

# მნათობი

ქართული  
ბიბლიოთეკა

114  
1936/2

## 2

### ზინაარსი

საბჭოთა საქართველოს წიგნი  
ხალხთა ზელად დიდ სტალინს

ლ. გარია — ლენინურ-სტალინური  
ნაციონალური კოლბიძის გამარჯვება

ა. თათარიშვილი — ქართული საბჭოთა მწიგნობა

საბჭოთა მწიგნობი 15 წლისთავზე

ლ. შიგელი

კ. მ. საშვარდიძე

ს. კლდიაშვილი

ნ. ლორთქიფანიძე

ალ. აბაშვილი

კოეზია

ზალ. ტაბიძე

ვ. გაფრინდაშვილი

გ. ქუჩიშვილი

ხ. კაჭახიძე

პროზა

მ. ჯამახიშვილი

ს. კლდიაშვილი

კ. ჩხიკვაძე

ლ. შიგინაძე

ლიტერატურის ისტორია

კ. კაპანელი

მოგონებანი

ი. მანუჩიშვილი

1

9

3

6



ქართული  
ზიზლირთეა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა  
მწერლების კავშირის უკველთვიური  
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-  
გადოებრივ-საკოლიტიკო შურნალი


2

შელისადი მესამეტი



სახელები

1936



1873  
79181



პ.შ. კვლავთორი გიორგი შუკულაშვილი

საკვლავთორი კოლეგია: ირაკლი აბაშიძე  
ნოე ჯომლითელი  
ნიკო ლოკთქიფანიძე  
კონსტ. ლოკთქიფანიძე  
გ. მუშიშვილი  
შალვა კაღიანი  
გალაკტიონ ტაბიძე  
ტიციან ტაბიძე  
ლუი კიაჩელი  
ვანტელეიზონ ჩიქვაძე  
დემან შენგელაია



---

რედაქციის მისამართი: ტფილისი, შინაბლის ქ. № 13. ტელ. № 3 — 55 — 25.  
გენ. ნინოშვილის სახელ. შეერთაობა სასახლე.  
განტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

---

სახელგამის პირველი სტამბა, პლენარის პროსპექტი № 91  
მთავლიტის რწმ. № 1 — 7007. შეკვ. № 99. ტირაჟი 7000.



ქართული  
ხელმოწილანი



ი. სტალინი

# საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ნაჩილი

## ხალხთა გეგმადს დიდ სტალინს

ჩვენი ძვირფასო და საყვარელო ამხანაგო სტალინი!

საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავის საყვარელთაო სახალხო დღესასწაულის დღეს ჩვენი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სასიხარულო გულწრფელი ბრძანებები მოკაჟოვილია შენსად, დიდო ბელადო, ბრძანო მასწავლებლო, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მიგობარო.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა და საქართველოს ყველა ხალხმა მიღწიეს განთავისუფლებას და კლევამოსილად აშენებენ ახალს ბედნიერს, სოციალისტურ ცხოვრებას.

მშრომელთა სისხლით არის დაწერილი ჩვენი ხალხის გმირული წარსულის ისტორიის ფურცლები.

★

ჩვენი მოთხრის და გასრესის, ვინლა არ იყო მდომელი; ხმაღს გეცემდა ზომის სარდალი, მოგედევდა მაცედონელი. ვინ არ ჰკორტნიდა ჩვენს მიწას სისხლით გასერილი ხელებით, არაბ-ოსმალთა, მონღოლთა, სასტიკი დამპყრობელები.

გვაობრეს, დაგვანაფოტეს, ცრემლებს წყარო გვადინეს, ყვინ-ხონთქარმა — ფაშებმა მახელით ჩაგვინადირეს. ცხენქვეშ, ფეხებქვეშ გვლეწადენ, მოსტყეფდა სისხლის დვარცხი, დათხარეს ჩვენი მთა-ბარი, ამრავლეს ნასახლარები,

გაავსეს ქართლის ტყვეებით ალყირ-სტამბოლის ბაზარი, ღამეს ღრუბელი მოჰქონდა, დილას — ახალი თავზარი, სულ ბნელი იყო ჩვენი დღე, წყვდიადი გაათებული, ერთი ელავდა თვალებში — მტრის ხმალი განათებული.

სიცოცხლის წყაროს გვიშრობდნენ, გეწყუროდა წელი მრავალი, ჩაგრულთა სისხლით, წარსულმა სწერა თავგადასავალი. ჩვენი კენესა და ვაება, ბავშვს წამში დააბერებდა, რომ ქცეულიყო კვამლად — ქვეყანას დააბნელებდა.

ვერ მოსპვს ხალხი მშრომელი, ვერ შეუწყვის მიზანი,  
 შიგ ედგა გული რკინისა, ვარედი — სალის კლდისანი,  
 მონობის უღელისათვის არ იყო დაბადებული: **განკურნული**  
 არწივი იყო დაქრილი კლდეებში დაბუდებული. **განპლენილი**

ჩვენ დაყავდით ჩვენს მეფეებს სხვისი მიწის დასაპყრობლად.  
 მეზობლებს, თუ შორეულებს მოედებოდათ ცეცხლის ღრუბლად.  
 გვიღწენია სპარს-ოსმალის, ყელს ვცემოდათ დასაპყრობლად.  
 გეასროლინენ ჩვენც ისარი სხვის გულ-მკერდში დასაპყრობლად.

ჩვენი ხელით მეფის დროშა საღია აღარ გაიშალა,  
 აზიაში ქალამანით გვითელია ბევრი შარა,  
 ცხრა მთას იქით მწარე სიკვდილს შევხვედროვართ უშიშარად,  
 რა გვინდოდა აელანისტანს — ჩვენი სისხლი იქ დამშრალა.

დაბრუნებულს დაგვხედებოდა შინ ბატონის მოურავი,  
 ხარჯსა ვეთხოვდა გადასახადს, უმოწყალო და მშარავი,  
 გვარბევდა და გვამტყვერებდა, როგორც მგელმა გლოჯოს კრავი,  
 ქობსა, გვერდით მინგრეულსა, არ ვინ ყავდა დამფარავი.

მიწა გეკონდა ლოგინადა, თავი — ქვაზე მიდებული,  
 თავზე გვადგა ყველა ჯურის მუქთა ხორა თითოული:  
 თავადი და აზნაური, ბატონი და დიდებული,  
 ყველა იყო ჩვენი ტვირთი, ჩვენს კისერზე კიდებული.

უარესმა გაკირვებამ მალე მწარედ გავვაშტერა:  
 რუსის მეფემ, სისხლის მსმელმა, ქრისტეს ჯვარზე ჰფიცა ჯერა,  
 მერე ცეცხლით შემოვიდა, სიკვდილივით დაგვეტერა, —  
 ხიშტებით და ბოროცილებით კვეცასია მოამტერა.

მას უნდოდა ოქრო, ვერცხლი, მიწა, მსხვერპლი ყველა მხრიდან,  
 ჰგვიდა, თხრიდა ყოველივეს, თავს რომელი არ უხრიდა.  
 ხაჭართველო წინ გაიღო აზიისკენ გზად და ბიდათ, —  
 ვაეგებნენ თავადები, საქმე კარგად მოუვიდათ.

ერთგულებით ემსახურნენ, ათასობით მისცეს შვილი, გამოზარდეს აფიცრები, ხმალი ჰქონდათ ამოწვდილი, **ერყინებული** საქართველოს, კავკასიის დაპყრობაში უღვეთ წილი: **გინგაშინძე** წინ უძღვოდათ ბიარალით აფთარივით ციციშვილი.

„დაგიმონებთ ამოგწვეტავთ! ჩემი რისხვა შეგეტყობათ ვინც გაბედავს ჩემს ურჩობას ჩემი ხმალით დაემზობა“. და შეფემაც დაუფასა, გაუტკბილა ძველი წყობა, მათი გულის მოსაგებად განამტკიცა ბატონყმობა.

ვითომც ყმა ბატონს გაჰყარეს, წყალობა გვიყვეს ამდენი, ბრძანეს: „გლუხს მიწას არ მიეცემთ, ვინა გვყავს მოკაშათენი, თუ გლუხი ვათავისუფლეთ, ვილა დაგვრჩება სათლელი, გაჰჭრება ჩვენი ცხოვრება, როგორც გამჭრალი სანთელი“.

ყმა ბნელ საკანში ჩააგდეს, გამოშვებული ციხიდან, უშიწო თავისუფლებას ნეტავ რა თავში იხლიდა, ახალ ხარჯების სახდელად პერანგის ნახევს იხლიდა, მწარედ დაგვეცინა ბატონმა, საქვეყნოდ დაიხითხითა.

ამოგვართო შეფემ ენა, სიტყვის კარი ამოჰქოლა, ათას წლოვან ჩვენს კულტურას მოეხვია ცეცხლის რვოლად, უღვენელი არ დასტოვა არც თეატრი, აღარც სკოლა, ხალხის ზრდა და მომავალი საუკუნოთ დააბრკოლა.

კავკასიის ერთა შორის აღარ დარჩა ძველი ნდობა, წაგვისიენ ერთმანეთსა, შეგვაძულეს ძმათა ძმობა, შუღლმა, მტრობამ, გამცემლობამ, ერთმანეთზე გაგვაცოფა მუხანათურ თავდასხმებით შევირცხვინეთ ვაჟაკობა.

გავყინეთ გული სამშოთა, როგორც ვარდს ჰყინავს ზამთარი, ძმათ სიყვარული დაკვარგეთ, დიდი ხნით გულში ნატარი. წავეკიდენით სასისხლოდ ლეკი, სომეხი, თათარი, — სულ რუსის მეფის ბრალია, იმისი ნაოსტატარი.

გვატარა — ვაი ოჯახო, გადამშეულო ბავშვებო, გვაჩივლა — ბედო, შავბედო, ვაებავ ნაერთბაშეგო, „თუ მტრმა ასე გვირია, სახლი როდის ავაშენო, გინდა სახლი ავაშენო — შიგ როდისლა მოვისვენო“.

— რადგან თვალი მუშტზე ჰქონდათ, მათრახზე და დამბანახზე,  
ნეტა ვილა მოგეცლიდა ან სმაზე და ან ჰამაზე, *ერკონეული*  
ჩვენი ლუკმა გაჭირების რა ნაღველში არ ჩავაწეთ... *ბიგლირუსეა*  
ჩვენი დიდი სატანჯველი სთქვა ილია ზამზაზაძემ.

„დღე-და-ღამ ჩემი უწყვეტი შრომა  
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა.  
ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა,  
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა.

მარტო ბატონის თვალსა ახარებს  
და თქვენ ცოლ-შვილო, კი არას გარგებს,  
ვაიმე, ბედჯრულს რაღა დამრჩება,  
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი,

ვინა შრომობდა და ვინა ძღვება,  
ღმერთო, სად არის აქ სამართალი.  
შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,  
დედას ძუძუდან შეილსა აპგლეჯენ,

ვინ იცის, საით სად გაპყიდიან...  
უწმინდურისა ხელითა სთხრიან  
დედისა გულში უკეთეს გრძნობას,  
ყოღვად უთვლიან შვილისა ტრფობას.

(ილია ქავჭავაძე — პოემა „აჩრდილი“. 1859 წ.).

მგრამ არ შეედრკით, უღელშიც ვრჩებოდით შეუპოვარი  
მიედევდით ძახალს ვაგაკურს, რაც გექონდა ძველ სახსოვარი,  
რაც გვიანდერდა რუსთველმა ჩვენ სიტყვა ოქრო ხმოვანი:  
„სჯობს სიციხელესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ველარ ვითმინეთ დარბევა მუდამ დღე ჩვენი ქონების,  
სასტიკ მოძალეს შევძახეთ მუჭარა გასაგონები:  
„ან შევაკედებით, ან დაფრჩით, მტერს აღარ დავემონებით“.  
და ათას რვაას თორმეტ წელს აღდგენენ კახეთში გლეხები.

ათს რვაას ორმოცდა ერთს გურიამაც დაიძახა,  
მალე მთელი სამეგრელოც თან მიქაეას დროშას წაპყვა,  
არ ჩამორჩა, — იმერეთმაც ამბობება გააჩალა,  
ხალხის წყრომა წამოვიდა, ტალღა ნაპირს დაეჯახა.

არ დავზოგეთ ვინცა გვეცემდა და ვინც შრომა გავგიწყალა,  
 გადუარეთ სასახლეებს ცეცხლ დანთებულ ქარიშხალად,  
 გავაპობდით მთას და გორას — ასეთია ხალხის ძალა,  
 მთლად ბატონებს ამოვწყვეტდით, თუ კი ვინმეს დაეცალა.

ცულით ვიბრძოდით, კეტებით, საყელო გადახვეული,  
 ერთად დავეციით მტარველსა, ხელი-ხელ გადახვეული,  
 დავეწვიით, დავბუგეთ, დავზოცეთ, ვინც შეგვხვდა მტერი წყეული,  
 დაემართეთ რისხვა მზარავი, გულიდან ამონთხეული.

მაგრამ მონობის ბორკილებს ვერავენ გამოგვაპარა,  
 აზნაური და თავადი რუსის ჯარს ახლდა საფარად,  
 შეერთდნენ, ჩვენი ქოხები ზარბაზნის ბოლმა დაფარა,  
 ჩვენი მიწა და სამშობლო სიკვდილმა მოიშთაბარა.

მტერი ისევ ისევ მოგვადგა, ისევ მკლავში გაძლიერდა,  
 გულში ბოლმას ვინახავდით, შურისგების ტინთან ერთად,  
 ქვას ვკენეტავდით სიბრაზითა, თითქოს გული გავგიჩერდა,  
 დაბე, ჩვენი მახრჩობელა ერმოლოვი რასა სწერდა:

„შეამზოხე სოფლები დავარბიეთ და გადავბუგეთ, ბაღებო და ვენახები  
 გადავკაფეთ; მოლაღატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ დაიბრუნებენ პირვან-  
 დელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღატაკე მათი სასჯელი იქნება.“ (დენერალი  
 ერმოლოვის მოხსენებითი ბარათიდან მის საქართველოს მართებლობის დროს  
 გვ. 112).

გვეყოფა ძველი ვაება, მყინვარ-მთას ამოსწევდენია  
 მაგრამ ვინ გენახა შემკრთალი, თუმცე გული ბევრჯელ გმტკენია,  
 ვინა სთქვა: მტკვარი დამშრალა, რიონს მოედო გენია,  
 დაუშრობელის დამშრობა, რა დამდგენს დაუდგენია.

ხალხი თუ ქირში გმინავდა, თან შზრდელი იყო ძალისა,  
 კლდესავით იდგა შემყურე იმედიანი ხეალისა,  
 გაჭედა მუშის მარჯვენა, ფოლადით დაახალისა,  
 აზეირთა კლასი მშრომელი, როგორც ღვართქაფი ღვარისა.

წამოიყვანა ლენინმა მილიონების ლაშქარი.  
 შენც მასთან ერთად უძლოდი, მტერს დაუნდობლად დაჰკარი,  
 შენ გამარჯვება მოგვეცი, გული ჩავვიდგი მაგარი,  
 გაპარტახებულ ქვეყანას ფოლადი გადააკარი.

შენმა გმირულ დაძაბვამ ხალხის ღამე გაათენა,  
 საბრალო და ხელშეკრული შენ აქციე შევარდენად, ენკენეული  
 და როგორც ზღვის შესართავში არ დაწყდება წყალბუნი წყალბუნი  
 ისე ჩვენშიც, შენდა მიმართ მადლობის თქმა იმოდენა.

შემოგხარით, რომ აპზიდე ტვირთი ძნელად საზიდველი,  
 გვაამაყებს კიდევ შენი ეაეკაცობაც უწინდელი,  
 კაეკასიის ძველ მიწაში დროშა დარგე ფერწითელი...  
 შენ გიგონებს, შენ გადიდებს ათას ცხრაას ხუთი წელი...

ლენინის კვალს გააყვა მუშა და მშრომელი ყველა ერთა.  
 ახალი მზის ბრწყინვალეობამ რუსის ხალხთან შეგვეერთა.  
 ამზობებამ შესძრა ქუჩა, შეარყია რწმენა მტერთა, —  
 რაზმი, ერთხელ ერთი მუქა — ასიათას გულში მღერდა.

მაშინ ხელი თვითმპყრობელი, ჩვენს ოჯახშიც თარეშობდა.  
 კაცურ კაცის ყოველ ზრახვას უმალ სისხლში ჩაგვიჭრებოდა.  
 ქართველი და სომხის ხალხი, მომე თურქი — ამას ბუობდა,  
 რომ საშველი აღარ არის, რომ სიკვდილი ერთხელ სჯობდა.


შენ გამოჩნდი, ბრძოლისაკენ გვეძახოდი, გაგვიზობდი,  
 გულს უშეოვ დობებულს, იმედებით გაგვითზობდი,  
 წინ იდექი, საშიშ ალაგს აღარავის დაგვითზობდი,  
 შენ ამიერ-კავკასიის ყოველ ხალხს და მშრომელს ძმობდი.

და პირველად, ცხრაას ხუთში, როცა ქარი ამოვიარდა,  
 ჩვენი ხალხიც დაეჯახა ბარბიკადის იქით მდგართა,  
 წინ წამოდგა — ვინც სტალინის მტკიცე ხელი მოიმართა,  
 და გმირული მათი ბრძოლით ბევრი მტერი დასამარდა.

„მეგობრებო, წინ, წინ, გასწით“ — გუგუნებდა ირგვლივ მაშინ,  
 „წაეა, წაეა, კარგად წაეა“ — ხმელეთზე და ფართო ზღვაში,  
 ერთი სული, ერთი გული, ერთი ჰანგი მრავალ თქმაში,  
 ასე იყო და შენი ხმა ირჩეოდა ყველა ხმაში.

შემდეგ, როცა რეაქციამ ყორნის ფრთები მოგვეფარა,  
 როცა შიგნი, როცა გარედ მტერმა მტერი მოგვეაპარა,  
 და ლენინმა, მილიონებს ბძოლის დროშა მოგვეაპარა, —  
 შენ ამ დროშას უპატრონე, გვეძახოდი მთად და ბარად, —





Գ. ՄԵՋՄԵՆՅԱՆ

— „ჭირსა შინა გამაგრება“ — წესი არის ჩვენი მარად, ძალა პროლეტარიატის არ მოკვდება, არც მოამკვდარა, ეტყინესული ისევ ბრძოლა, მიინც ბრძოლა, ყოველ წუთში, ყოველ წამში ხალხი გწამდა, ხალხმაც გიცნო ბელადათ და წინამძღვარად.

ათას ცხრაას ჩეიდმეტ წელში, უდიდესი ომის ბოლოს, თვითმპყრობელი იმპერია მოპყვდა, ველარ გაიბრძოლოს, ამოვარდეს მისი ხსოვნა, უფსკრულებში ჩაიქოლოს, და ჯილაგიც მენშევიზმის მისმა კუბომ ჩაიყოლოს, —

რადგან მაშინ საქართველოს დაეუფლა მენშევიკი, ჩვენმა ოდნავ შეყოვნებამ — განაცოცხლა თითქოს იგი, თავადი და აზნაური, ვაჭარი და მღვდელთა ხროვა, საქართველოს კარ-მიდამო, გადახრა და გადასძოვა. ეაგლახ ისევ დაგვიბრუნდა, ვინაც ერთხელ სისხლი გვწოვა.

მენშევიკებს, ხალხის მტრებს და რეაქციის საქმის მცველებს ვინ წაშალოს შავი ლაქა, ვინ შეაშროს სისხლი ხელებს. ჩვენ-ფიგონებთ ომის შემდეგ შინ მიმავალ არმიელებს, — მათ დახვრეტას და შამქორში მათი სისხლით შორწყულ ველებს.

და თუ მეფის რეაქცია მუშებისთვის იყო მწარი. მენშევიზმი საუკუნოდ გახდა მისი შესადარი. — გვახსოვს ალექსანდრეს ბალი, ჩვენი კრება ავი დარი. მათი ტყვია, მათი ხიშტი და მუშათა სისხლის ღვარი.

გაისძოდა გმინვა ხალხის: რად მოშხამე ნატერის წყარო, მწყემსო, მგელზე უარესო, შენთან როგორ გავიხარო, დაგვდგომიხარ მესაფლავედ, შენ საფლავის პირზე მდგარო, „თვით ოხერო, მოუვლელიო, როგორ გინდა მომიარო“.

მუდამ წყალი მენშევიზმის კაპიტალის ღარზე ისმის, ეორდანიაც ამს კნნიდა, მისგან თქმული ასე ისმის: აღმოსავლურ ფანატიკოსთ არ ვენდობი, იგი მძულსო, იმპერიალიზმს ვავეყები, ეეროპიდან შემოსულსო.

ასეც მოხდა, მენშევიზმი დიად რუსეთს გამოეყო, (აბა ვინ სთქვა, რომ ფინიას ლომის ძალა გამოელო). დასავლეთის დამპყრობელებს ფეხქვეშ მტვერად გამოეგო, და რაც შუბი სხვისთვის ლესა — იმავ შუბზე წამოეგო.

საქართველო გადაიქცა საალაფო რამე ქუჩად,  
 ბევრი უცხო მოგვევლინა ჩვენი ქვეყნის გასაფუქად;  
 ჯერ, გერმანელ ლენერლებთან იყავითო გვითხრეს ყუჩად  
 შემდეგ — ფრანგს და ინგლისელებს მიგვეცეს თვალთა დასახუქად,  
 შხამი იყო ჩვენი პური, ჩვენი ოქრო იქცა თუჯად.

მაგრამ ესეც არ იკმარეს, დაერიენ მოძმე ერებს,  
 ჯერ ფუძენი უცხო ტომთა როცა შიგნი აამტვერეს, —  
 სომხეთს, ადერბეიჯანსაც შემდეგ ხმალი დააძვერეს,  
 შოვინიზმის შავი დროშით ძმები ძმებზე დაამტერეს.

დაშნაკის და მენშევიკის, ვრანგელის და დენიკინის  
 მძვინვარებდა რეაქცია, დღე გამეფდა მათი ლხინის,  
 იზრდებოდა მრისხანება ხალხის, ტალღად მონადინის,  
 და ჩვენშიაც მტკიცდებოდა ოქტომბერის მკლავი რკინის.

და როდესაც საქართველო ამბოხებით აიშალა,  
 დუშეთსა და ლეჩხუმს შუა განსხვავება წაიშალა,  
 ყველა აღზდგა, არეინ გახდა მენშევიზმის მაჩანჩალა,  
 ოსეთი და სამეგრელო, აფხაზეთის ზღვა და ქალა. —

თვით ლენინმა, შენც ურჩიე, — დააეღა სერგოს, კიროვის,  
 რომ ქართველი მენშევიზმი ახლა უნდა გაიგმიროს,  
 მოგვეშველენ: წითელ ლაშქარს გამარჯვება აქვს და ერგოს,  
 რომ ვარსკვლავი ბოლშევიზმის ყოველ გულში ჩაინერგოს.

ათას ცხრას ოცდა ერთის, ქარბუქიან თებერვალში,  
 დასამარდა მენშევიზმი, ჩაიძირა უფსკრულ ზღვაში,  
 და ბრწყინვალე ოქტომბერის რაც აენთო სხივი თვალში, —  
 ვიბრძვით დღემდე, ვივლით შემდეგ, შენი აზრის ნათელ კვალში.

ჩვენი ქვეყნის მალლობლები, ვით სიუხვის მაგალითი,  
 ხან გუმბრინით გაულენთილა, ხან რკინაა, ხან — ბარიტი,  
 რას არ იტყვს წყალი, მიწა და წიაღი მალალი — მთის  
 ცაში ბრწყინავს ვარსკვლავებად ჩვენი ქვეყნის მარგალიტი.

მაგრამ მხეცი რუსთა მეფე, ჩვენს მხარეში გაბედული,  
 არ ხედავდა, მის ჩეჭმის — ქვეშ თუ რა იყო ჩადებული,  
 მას შრომელთა ზურგი ჰქონდა გზად და ხიდად გადებული,  
 მის ბნელ რუსეთს ანათებდა სისხლის წვიმა ანთებული.

შხოლოდ შრომის გამარჯვებამ ხალხს უსაზღვრო ძალა-მისცა,  
ათასწლოებით დაფარული, არე-მარე გააღვიძა.

აზრით, საქმით, მისწრაფებით დავეუფლეთ მთებს და მწვენი  
და მას შემდეგ საქართველო ინდუსტრიის ქვეყნად იქცა.

ჩვენს მიწის წიაღშია მარგანეცი, ქვანახშირი, ნავთი, დარიშხანი, ბარიტი, გუმბრინი, მოლიბდენი, მარმარილო და კიდევ მრავალი ძვირფასი სასარგებლო მადანი, რომელთა ფართოდ დამუშავება შხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ხორციელდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ ახალ ტექნიკურ საფუძველზე მოახდინა რეორგანიზაცია ქიათურის მარგანეცის მალაროებისა, რომლებშიც 1935 წელს 1.180 ათასი ტონა მარგანეცი მოგვეცა. მოეწყო მრეწველობის ახალი დარგები — მანქანათმშენებლობის, სამფომადნო, ფერომარგანეცის, საფეიქრო, აბრეშუმის საქაოვი, ქიმიური, სატყეო, ჩაის, საკონსერვო, საშენი მასალების მრეწველობა და სხვა.

იზრდებთან საქართველოს სამრეწველო კერები, სახეს იცვლიან ჩვენი ქალაქები.

ხალხი შეკრბა, მთებს მოედო ლალუმების ხმა და ცეცხლი, ნიადაგმა მოგვეცა ოქრო, მარმარილოს ქვა და ვერცხლი. მიწის გული და სიუხვე ფეროს ქარხნებს გადავეცით, რომ საბჭოეთს არ დააკლდეს ფოლადი და მარგანეცი.

ღვივის ფერო, იმერეთის არე-მარეს კვამლით ბოლავს, ღვივის ფერო, ღუმელები ცეცხლის ალში წვერთიან ფოლადს, რომ ქალაქის მრეწველობას არ მოუხდეს უქმად დგომა, რომ ქარხნებმა კოლექტივებს მანქანები მისცენ ბლომად.

მთის თხემიდან გადმოვარდნილ ჩვენი წყლების ენერგიას, სოფლებზე — და ქალაქებზე ცეცხლი დაუძვარებია. დაზგები — და მანქანები ყველგან აუმღერებია, სვეტს ვარსკვლავი გამოუსხამს, ღამე მოუგერებია.

ზაპესს, აბჰესს, ალაზანიჰესს და რიონჰესს იქებს ყველა, შუალამეს ანათებენ, როგორც დიდი ცისარტყელა. სოხუმჰესს და აჭქესს ვნახავთ, შუქს ტყორცნიდენ მთა და ველად, და ხრამჰესიც მათ სინათლეს გაასამებს უქველად.

რკინის გზამაც ღიანდაგით შეაერთა თანდათანა, ბროწეულა წყალტუბოსთან და ტფილისი სოხუმთანა, ჩვენს სოფლებს და ჩვენს ქალაქებს რომ უწვლიდით განდაგანა, ახლა ყველგან გაგვიხშირდა ორთქლმავალი და მანქანა.

ქუთაისი — ერთს დროს ბუდე მუქთახორა თავადების, ამოშენდა, შენობებიც დგანან მაღალ-ტანადები მრეწველობით გაიზარდა, ხარობს ცეცხლის დაბადებოფეგაპიუსეკა და შორიდან გვესალშება რიონჭესის განათებით.



ერქინული  
გაქმნული

ჩვენი ბლომა ნედლეული უმუშევრად აღარა ძვეს, ვხედავთ ბათომს—ცეცხლით ქშინავს, დგება დილის ნაღაროზე, მრეწველობა აამაყებს ზუგდიდს, ფოთს და მახარაძეს, — გუგუნია ქარხნებისა, ვიცნობთ კვამლის ქალარაზე.

უხსოვარ დროში ნაშენი, ქარცეცხლში გატარებული, ტფილისს ქალაქი მტერთაგან მრავალჯერ ამტვერებული. ვაშენეთ ახალ ნაგებად, ისიც რაც იყო ნგრეული კიდევ ბევრია საშენი, არა გვაქვს დამთავრებული.

ვაქრების და ჩარჩის ბუდე, მოხელეთა ძველი კერა მრეწველობის დიდ ქალაქად ჩვენმა ნებამ გამოკვერა, ქარხნის დიდმა საყვირებმა უბან უბან იწყეს მღერა, ზოგმა აერო შეაკეთა, ზოგმა ჰქსოვა, ზოგმა ჰკერა.

სახლი, ბაღი, ბაღა, ქუჩა, შარა-გზა და ქვაფენილი, თეატრები, სტადიონი, სულ მზით არის დაფერილი, ელექტრონის შექქრებით — ქალაქია დარბენილი, ვის არ უყვარს, ვის არ მოსწონს, ახალ სახე გარდაქმნილი.

სრულ ოცდა ხუთ წელს ფიქრობდა ტფილისის „დუმა“ დაბდური. ავლაბრის გზისთვის რა ექნა, ამ ფიქრში იყო ჩაფლული, ერთ წელიწადში გავკიდეთ გზა, ქარაფ კლდეზე გაბმული, ბზინავს, ფრიალო აღმართი, ლამაზად ჩამოყაფული.

ერთ დროს ქართველ მებატონის სათარეშო და სადავო, კუდაბზიკა აზნაურის სათამაშო, საბურთაევო, ველი, მთელნი მიწა-წყალი, ეზო-კარი და მიდამო. — კოლექტივებს გადაეცათ საუკუნოთ, სამუდამოთ.

მთაზე, კლდეზე, ყამირებზე შეტევაა ჩქარ და ჩქარი, წინ მივდივართ, ვიბრძვით, შერცხვეს ცრულამკვერელი და ლაჩარი, მრავალ ათას იარაღით ამოვიღეთ მიწის ჯაგრი, ათას რეაას ტრაქტორს მართავს სტახანოველთ შრომის ჯარი.



გარდამავალ დროშისათვის არის დავა, არის „ომი“, ეგრევე უკვე შრომა გახდა სასახელო, ჩვენს ქვეყანას გავზრდით მინდვრის დამკვრელ ბრიგადების დაუშრეტელ ნდობით, ღონით, — „ზობს“, „უდაბნო“ ეჯიბრება და „ოჩხამურს“, „დიდიკეონი“.

მთავ ხელხვედის — სიმღერებით შემოარტყეს ირველივ ალყა... ეკალ-ბარდებს და ქალაქებს შეუტტა შრომელ ხალხმა მათი ჯანსაღ სუნთქვისაგან სიფრცე ორთქლით დაითალხა, დელაჭს, შავ ზღვას უერთდება ჩაქვის ჩაის მწვანე ტალღა.

უცხო ჩაის შემოზიდვა საქართველომ უნდა მოსპოს, მიაწოდოს ჩაი ტაშკენტს, უკრაინას, ყირიმს, მოსკოვს, ჩვენი დაზვა ფართალს, ფარჩას, ათჯერ ასჯერ მეტად მოქსოვს, რომ ქართული აბრეშუმით საბჭოეთი შეიმოსოს.

რძით, კარაქით, საცხე კახეთს ვენახების ფერი დაპკრავს, ელდარიდან ცხვრის ღრუბლები ვერ დაუძრავს წვიმას და ქარს, ტირიფონს თავთუხს გვაძლევს, ქარხალს გვაძლევს ტბილს და მაგარს, და აგარას კომბინატი საქართველოს აწეღის შაქარს.

ას კომლიდან კოლექტივში სამოცდაათს უდევს წილი, რანაირის მიწა გინდათ, რა სიგანის, რა მანძილის, მუშაობა დროზე არის, თავის დროზე არის ძილიც, დღეს — საერთო ყანის გარეთ მოსავალი არის მწიორი

მოვიშორეთ სილატაკე, მოვიშორეთ ბატონები.

მოვიშორეთ ძველი ყოფა — ბნელ წარსულში დატოვებით „ორსანტია“, „გურიანთა“, „ტელმანი“ თუ „ნატანები“ დაუშრეტელ შრომით გახდენ მილიონის პატრონები.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობამ მიიღო 1.500.000 მან. შემოსავალი, აღბულაღ-მანგლისის რაიონის ბერისის სახელობის კოლმეურნეობამ — 2.300.000 მანეთი, კობულეთის რაიონის ეოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.800.000 მანეთი, მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნეობამ — 1.030.000 მანეთი, ნატანების კოლმეურნეობამ — 1.150.000 მანეთი, ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.000.000 მანეთი და სხვ.

ლებულობენ შრომა დღეზე — მის ნათესაში, მის ნახნაფში, თხუთმეტ მანეთს, ხშირად ოცსაც, — ემატებათ ეწი მკლავში, რეიდან თორმეტ ათასამდე ჩააგდებენ სათვალავში, (ეზოს გარდა) წლიურ დოვლათს. ხარობს დიდი, ხარობს-საქმეებს

ლაგოდებში ბატიაშვილს სიხარულით უბგერს გული: რეას ოცდა ათი ერგო მას შრომა-დღე ახლა, სრული, კოლმეურნემ ოჯახობით, შესძლო საქმე არ ნახული — ათას თუმანს ფულად იღებს, ორას ფუთსაც ქირანახულით.

იქვე, გამეზარდაშვილი ბატიაშვილს უკვე სჯობნის: ათას სამას შრომადღემდე — ოცდა ათი აღარ ყოფნის. მის ოჯახში მიიღებენ, — შეჭხარიან წელს ერთმანეთს, — შეიღსა ათას კილო ხორბალს და თოთხმეტი ათას მანეთს.

მიმინოშვილს, კოლმეურნეს, ახლა აქებს მთლად გურია, მისი ოდა — სიხარულის და სიმდიდრის სადგურია: ათას ეჭესას თუმანს იღებს — შეასრულა ვარაუდი, ზედ სიმინდიც მიიწონა ორას ოცდა ათი ფუთი.

საუკუნოთ დადგენილი აშშორებდა წყალი კოლხეთს, მიწის ტანი გაეღღენთა განუწყვეტელ წვიმის კოხებს, ხავსი ედო ადამიანს, ხავსი ედო ხეებს, ქოხებს; ტყეს შეუნთეს დინამიტი და ქაობი დამბოხეს.

აქ, ფაზისის ნაპირებზე ძველად კოლხებს ჰქონდათ ბინა ოქროს ვერძის ოქროს ტყავი ამ შამხარში გაიფინა, მრავალ მოსულ არგონავტელს იგი სურდა დაერჩინა, მაგრამ შერჩა მშრომელ კოლხეთს და სიმდიდრით გააბრწყინა.

მრავალ ათას ჰექტარ მიწას მანქანები დავასიეთ, დავაშუშეთ ჰრილობები, კოლოების ლაშქარს ვძლიეთ, ვშრომობთ მედგრად. უმეურისგან არ გვაერჯოლებს, არ გვაციებს, ცა ოქროსფრად აღნთია მანდარინის პლანტაციებს.

ყორათსა — და ჭალადიდში მხეციც ვეღარ გაივლიდა, ახლა იგი არე-მარე ორთქლით, კვამლით დაიბინდა, გადაშენდნენ ლაქაშები, ტყე დაიწვა, დაიფლითა. გადმომდგარან მცხოვრებლები ახალ სახლის აივნებიდან.

რიონს გეზი შევეუცვალეთ, დაეყარეთ ქვა და ლოდი.

ტყიდან, ტბიდან, ქაობიდან წყლის სინესტე აღარ მოდებოდა  
ზღვის ტალღებით აივსება მალე ძველი კალაპოტი, გამაღვივებს  
აშენდება ნავთსადგური — სილამაზე ქალაქ ფოთის.

გაშენდება რამი, დაფნა, ყოველ ბაღში, ყოველ გზაზე,  
დაამშვენებს ტუნგო, პალმა ევკალიპტის ხეთა რაზმებს,  
მაგნოლიაც ყვით მოიხვევს ოჯალეშის ძვირფას ვაზებს,  
მაშინ ნახეთ ამწვანებულ სამეგრელოს სილამაზე.

შენ რომ გეგმა დაგვისახე ათას ცხრაას ორმოცისთვის, —  
შესრულდება: ოცი ათას პექტარს დავსძლევთ, ეიბრძვით მისთვის.  
მილიარდებს ჩავაბარებთ ჩვენ საბჭოთა კავშირისთვის,  
ფორთოხალს და მანდარინებს სანაქებოს ჩვენი მშისთვის.

ასი ათას კილოს ძველად ჩაის ფურცელს თუ შეპკრებდენ,  
წელს კი — თორმეტ მილიონსაც წააპარებებს, არ დაპნებდენ,  
უმთავრესად პირველ ხარისხს სულ სასწოროზე დაუდებდენ. —  
ჩვენი ჩაი უცხო ჩინეთს და ცეილონს აკვირვებდენ.

ოცდა შვიდი ქარხანა გვაქვს, მორთულობით გასაკვირი,  
იზრდება და წითელ მიწას ფარავს ჩვენი ჩაის ძირი:  
წინეთ — ხუთას ორმოც პექტარს ჩაის ბუჩქი დაჰფარავდა,  
ეხლა — ოცდა თოთხმეტ ათას ის შეპხარის, ვინც ბარავდა.

მრავალ ჯიშის ვაზის ძირი ძველადგანვე ხარობს ჩვენში,  
თელიანი, წინანდალი, — უმჯობესი ღვინის წვენში.  
ქართლში — ღვინო ატენური, სამეგრელოს — ოჯალეში,  
და ჩხვერი გურიისა გარეული ნარინჯებში.

დავტრიალებთ ჩვენს ვენახებს, არაფერმა არ აწყინოს,  
რომ სეტყვამ არ დაგვისეტყვოს, ან ყინვამ არ მოგვიყინოს  
არ ვიკვებით, მივცემთ კავშირს უკეთესს და შემრგო ღვინოს,  
რომ მშრომელმა შრომის შემდეგ ოჯახურად მოიღვინოს.

ეს ყოფა და ეს ცხოვრება საარაკოდ იცვლის სახეს,  
გამდიდრებულ არტელებში აშენებენ ლამაზ სახლებს,  
დარბაზები დაამშვენეს, მორთულობა განაახლეს,  
საკრავები შეიძინეს და სიმღერაც შემოსძანეს.



ჩვენ სოფელში დაგუფუნებს ერთიანი შრომა ძმური,  
უკეთესი ცხოვრებაა — ცხოვრებაა საამური:  
სკოლა, კინო, სამკურნალო, რადიო და ელნათური,  
ალარც ძველი უვიცობა, ალარც დარდი ძველებური.



სოფელს ბევრი ახალგაზრდა შრომის გმირი აღეზარდა,  
ახლა მწყემსად ალარ არის ბატონთან და აბეზართან.  
ნასწავლი და გამოცდილი შედის ბაღში, მიდის ზღვართან,  
ტრაქტორის ცეცხლი აფანტვია, კომბაინიც მოგვიმართა.

ხალხის ორჯულს დასცემს ლახვარს სტახანოველთ მოძრაობა,  
რადგან თითონ სტახანოვი შენმა დიდმა საქმემ შობა,  
შენის აზრით, შენის რწმენით, მივალთ, უკან არ დავრჩებით,  
და ყოველ დღეს დავასრულებთ ახალ-ახალ გამარჯვებით.

ორთქლმავალის სამკედლოში ჭიკინაძემ რკინა ჰკვეთა,  
ორი ლატნის გაკეთება ინჟინერმა შეუკვეთა,  
ერთ დღეს შეიდი გამოჩარხა, მერე — ათი გააკეთა,  
თერთმეტზე რომ გადავიდა — ინჟინერი დააფეთა.

ახლა იმას ქველაშვილი შეება და შეეზომა.  
ერთი ჩაის მანქანაა, დასჭირდება დიდი შრომა:  
ისე უცბად გამოჩარხა, ვერ მოასწრო წამოდგომა —  
სამ საათის სამუშაოს, შეიდი წუთი მოანდომა.

ეს გაიგო სამზარაძემ — მარგანეცი იწყებს გრიალს,  
კლდეს ჩაქური დააჯახა, შავი ზოდი, ზოდზე ჰყრია,  
რაც ებარა დასანგრევად, სამჯერ მეტი დაანგრია,  
აჭა-იჭა იმახიან: „ცხადია, თუ სიზმარია“.

გიორგაძემ ტყიბულიდან კიდევ უფრო წაამატა,  
ბათომელმა სალუქვაძემ გაიხარა ერთი ათად,  
ბაქოს ნავთი აადულა სულ ბენზინად გამოხადა —  
ასი ათას ფუთით მეტი — რაც მიანდვეს გაამზადა.

შრომის სოციალისტური ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლები მოგვიცეს  
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის სტახანოველმა მუშებმა  
მ. გეწაძემ, მ. რუხაძემ, გ. ჯანვერდაშვილმა, ს. მამულაშვილმა; ბერძან სახე-  
ლობის ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველმა მუშებმა ა. ეკალაძემ, ი. ხა-  
ლიაბინმა, ვ. ჯაგაფმა; იბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკებისა — ქეთო ჭუმბურაძემ,

სოფელ რთველაქემ, სონა ზობუამ, ნატალია კანდელაკმა; მალაღა ვაჭარბინასა—  
დ. ზაქაიძემ, ა. მურადიანმა; მანქანათმშენებელი ქარხნებისა— გვერდუცემ, მ. აკო-  
ფოვმა; ტყვარჩელის სამადნოებისა— შ. ვოთუამ, გ. ბოფეფერეველუჭყვიტის  
სამადნოებისა— ა. ჯანელიძემ, გ. უშველიძემ და სდებმა. **გ ი ბ ლ ი ო ტ ი ე ქ ა**

ჩვენში არი კვირიკეთი, იქ ქიტია სცხოვრობს ერთი  
თავის საქმით გააკვირვა განა შარტო კვირიკეთი.  
ციტრუსების ნამყენები დაამზადა მეტზე მეტი,  
დაძფარა და ვადაძფარა მსოფლიური განაკვეთი.

აღზაზეთში ბოსტანჯანი დატრიალდა როვოროც ძრავი,  
შან თამბაქოს ნედლი ნეშო დაავროვა ხეაზე ხეავი,  
განთქმულია ახლა ყველგან ეს თამბაქოს ამკინძავი.  
ბეერს ასწავლა თავის საქმე, ისახელა კვლავაც თავი.

სამტრედიელმა ელენე შენგელაიამ და ხობელმა თამარ ქუთელიამ ეროი  
კოლოფი აბრეშუმის თესლიდან მიიღეს 60-დან 80 კილოგრამამდე აბრეშუმის  
პარკი; უჩანეიშვილმა ნახევარ კოლოფი თესლიდან 48 კილოგრამი მიიღო.

ამმა ქალმა შეისწავლა აბრეშუმის მოვლის დარგი.  
სხვების შრომა კარგი არი, მაგრამ მათი უფრო კარგი.  
კოლოფიდან თითომ მოგვცა ხუთ ფუთამდე წმინდა პარკი,  
ჯეროელი და თეთრი პარკი, ფარჩეულის მოსაქარგი.


და მარცხა ფუნდუკიდაც სხვებისათვის რა ცალია,  
დაახვევებს ჩაის ფოთოლს— თითქოს ფეტვის შარცვალია.  
ჩაის ბალში თუ ჩავიდა, სხვა საქმისთვის არ სცალია.  
ამას ეზარობთ, მტერის გული ნახშირივით დამწვეარია.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მრავლად გამოზარდეს სო-  
ციალისტური მიწათმოქმედების ოსტატები, სტახანოელები, რომლებიც ამხებრე-  
ვენ გამოიმუშავების ძველ ნორმებს.

აგარის მტანის ორდენოსანმა ტრაქტორისტმა ლ. რუსიშვილმა მოხნა 1153  
ჰექტარი; დავალიბული 344 ჰექტარის ნაცელად და დაზოგა 2125 კილოგრამი  
საწვავი მასალა.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ მალალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის  
ორდენებით დააჯილდოვა გიორგი ვრიგოლაშვილი, არსენ მოხვეე, ეფიმ აფო-  
ხვეე, დავით კამანაძე, ვანო შინასაშვილი და კომბაინერი არჩილ დუდუშაური.

გამოიზარდნენ სოციალისტური მიწათმოქმედების მოწინავეთა კადრები,  
რომლებიც გვიჩვენებენ საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერების საუკეთესო ნი-  
შნებს: კოლმეურნეები ვ. შეროზია, ი. თურქია (ცხაკიას რაიონი), ი. დოლიძე,  
პ. შუჯიანი (მხარბაძის რაიონი), კ. ჩხეიძე (მთიანეთის რაიონი) და ნუალია,  
(ხუთაღის რაიონი), ვ. კახელი (აღმოსავლეთის რაიონი) და ბეგიაშვილი  
(სოხუმის რაიონი), ბ. ჩახვაძე (ბათუმის რაიონი) და სხვები (ქობულეთის  
რაიონი).



საქართველოს მზეს და ჰავას ყველა იცნობს, ყველა ატყობს.  
 ზღვასთან, მთებში — ვუვლით, ვაგებთ მოელვარე ავარაკებს.  
 ზოგან ლურჯი ფერი შეფობს, ზოგს მზის სხივი ავარაკებს.  
 იქეთ თვალი მთას შეჰხარის, აქეთ ზღვას და ზურმუხტ ტალღებს.

ზღვის ნაპირად, სადაც მიწა ელავს მწვანე აბრეშუმით.  
 გულრიბშს შნოთი ეჯიბრება ხან გაგრა და ხან სოხუმი.  
 გულდაუთი სხივით ბზინავს, გვატკობს ჰავა ჭობულეთის.  
 ციხის ძირში ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფერი ტალღებს ერთვის.

აბასთუმანს იის ფერი მზის სხივები რამდენია.  
 ბორჯომს ჩავა სუსტი კაცი — მოდის უფრო ჯანმთელია.  
 ბახმაროს და ბაკურიანს ფიქვის სუნი გასდენია.  
 წყალტუბოში წყალი არის — სასწაულის ჩამდენია.

უვარჯისი დავანგრიეთ, ავაშენეთ ხელახალი.  
 გზა გაეკერიტ, დავიმონეთ სასარგებლო მთა მალალი,  
 ვიხმეთ ქვეყნის მშრომელები — მოდით ნახეთ თქვენის თვალით,  
 შეისუნთქეთ წმინდა ჰავა, საამური შესვით წყალი.

თხუთმეტ წელში საქართველო, საარაკოდ სახეს იცვლის.  
 კემშარიტად ახლა მოხდა აყვავება ჩვენი მიწის.  
 მშობლიური წერაკითხვა ასში ხუთმა თუ არ იცის,  
 ჩვენში ბევრი თმა ქალარაც — უსწავლელად აღარ იტდის.

ყველა ბავშვი სკოლის სკამზე — ჩვენ ეს წესი წესად დავრგეთ.  
 ოცი ათას სტუდენტს ვხედავთ ჩვენი შრომის მოამბავით.  
 ათასობით ინჟინრები, ექიმები გამოვზარდით.  
 მკოდნე მიწის ოსტატები, განახლებულ სოფელს ვარგეთ.

ჩენი ქვეყნის აზროვნებამ ასპარეზი გაიკაფა.  
 ბევრი ჩვენი მეცნიერი სინამდვილეს დაეწაფა,  
 მთელმა მხარემ დააფასა წინ გამწევი მათი ჯაფა,  
 რომ ახალი მწვერვალები დაიმონონ უფრო სწრაფად.

პროფესორებმა გ. მუსხელიშვილმა, ა. თვალჭერელიძემ, ი. ზერიტაშვილმა,  
 ა. ჯანელიძემ, კ. ზაფარიევმა, ი. ქუთათელიძემ, ტ. კვარაცხელიამ და სხვებმა  
 გამოაქვეყნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები.

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა მტკიცე ხელებს აბარია,  
 თუ სხეული ჯანმთელია, მაშინ სულიც მაგარია.

შეურნალების მუშაობა სნეულების ლახვარია,  
გვეზრდებიან ექიმები თავის საქმეს დაჰხარიან.



საქართველოში დიდი მიღწევები მოპოებულა საბჭოთა მედიცინის დარგში.  
გაიზარდნ საბჭოთა მედიცინის მოწინავე კადრები პროფესორები: ნ. ყიფშიძე,  
კ. ერისთავი, გ. ელიავა, ი. კონიაშვილი და სხვები.

ჩვენ წარსულმა გვიანდერძა პოეზია უმდიდრესი.  
მისაბაძად გამოდგება ჩვენი ხალხის ერთი წესი.  
საგანძურად მიაჩნია მას უკედავი შოთას ლექსი,—  
სიბრძნით საცეს ფერად უხვი, მოსასმენად უამესი.

ხალხმა იგრძნო საბას სიბრძნეც გასაგები მისთვის არი.  
ჰაფხავაძის ჰკუის სიღრმე — ენა სწორი და მდიდარი,  
მას „მერანის“ მთქმელი უყვარს, ხან მქუხარე ხანაც წყნარი.  
ვაჟაკური ვაჟას სიტყვა, წერეთელის ტკბილი ქნარი.

ჩვენ ქართულად ვისმენთ პუშკინს, ლევ ტოლსტოის — „ჰაჯიმურატს“.  
გოგოლს ვესმენთ, არ ვივიწყებთ უკრაინის ღამის სურათს,  
და შეეჩენკოს მედგარ ლექსებს ჩვენ ეკითხულობთ ჩვენებურად.  
ნეკრასოვის ლექსი გვატკბობს — ვესალმებით გორკის ძმურად.

დიდ მწერლების დიდი ჩანგი მწუხარებას უფრო ეღერდა,  
პოეტს, მწერალს ახლა გული სხვანაირად აუღვერდა,  
„სიტყვამ, მისმა გამოზრდილმა, ბინა ჰპოვა მშობელ ერთან,  
ზურმუხტებით შეიმოსა, მარგალიტი შეიერთა“

ზღუდეები გადალახა, კავკასიის მთებს გადასცდა,  
დიდი საქმის დამნახავი, ახლა თვითონ დაეაჟაკცდა.  
მან თეატრში შეიტანა შემომქმედი ხალხის განცდა —  
სწერ: და ახალ სიტყვებს სჭედაეს ბევრი ჩვენი ახალგაზრდა.

მწერლები და პოეტები — გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ე. ჯაბაშვილი, ან.  
ხაშტარია, დ. მეგრელი, დ. ჭიაბელი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. იაშვილი, ნ. მიწი-  
შვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. ლეონიძე, ხ. კლდიაშვილი, კ. გამსა-  
ხურდია, ა. აბაშელი, ხ. ეული, პ. საყვარელიძე, ი. გრიშაშვილი და სხვები  
მხატვრული სიტყვის იარაღით ემსახურებიან ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის  
საქმეს.

დრამატურგებმა — შ. დადიანიძე, ს. შანშიაშვილმა, ი. ვაკელმა, პ. კაკაბაძემ,  
პ. ხაშონიძემ, ვ. ბააშოვმა, მთელი რიგი პიესები მისცეს ქართული თეატრების  
სცენას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში გამოვიდნენ ასობით ახალი ნიჭიერი პოეტები და ბელეტრისტები: ნ. ჩიქოვანი, კ. დორთქიფანიძე, რ. ვეჯაძე, ე. პოდლუპოვდიანიძე, ა. ქუთათელი, ა. ვაშლიანი, ა. ლომიძე, დ. შენგელია, ი. მისაშვილი, რომლებიც თავის ნაწარმოებებს მსხატრებელ ასახვევს ჩვენი დროის პეროიკას.

ქართულ მხატვრის ფერადებში სიხალისე ელავს ცხადად. ჩვენ სამურ ცხოვრებასაც საამური ფერით ვხატავთ. ახალ ყოფას, მშენებლობას, მოქმედებას ჩვენთვის საჭებს, ბევრ ჩვენს ხელოვანი მარად ქვაში აქანდაკებს.

მხატვრები: მ. თოიძე, ვ. სიღაშინ-ერისთავი, დ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. მისაშვილი, ი. შტენბერგი, დ. კაკაბაძე, მ. მაყაშვილი, კ. სანაძე, ი. ვეჯაძე, დ. წერეთელი, ვ. კოტეხიძე, ს. ნადარეწვილი, აბუქელია, კ. გრძელიშვილი; მოქანდაკენი — ი. ნიკოლაძე, რ. თავაძე, კ. მერაბიშვილი, ნ. კანდელაკი; არქიტექტორები — სევეროვი, ჭურდიანი და სხვ. თავის ნაწარმოებებში ასახვენ სოციალიზმის მშენებლობის პათოსს.

ჩვენ უდიდეს აქტიორებს ბინა ჰქონდა წარმომეული, ავაშენეთ თეატრები არა ერთი ათეული. ორს იმათგანს მთელს კავშირში აქვს სახელი აწეული. ოპერებში გაეაცოცხლეთ ჩვენი ხალხის განძეული.

ქართულ თეატრში გამოიზარდნენ სათეატრო ხელოვნების ნიჭიერი ოსტატები: ა. ხორავა, ა. ვასაძე, ნ. გოციბოძე, შ. ღამბაშიძე, ა. ყორკლიანი, თ. ჭავჭავაძე, ნ. ქუთაიაშვილი, დ. ანდლუაძე, ა. ინაშვილი; რეჟისორები: დ. ანთაძე, შ. ასხაბაძე, ა. თაყაიშვილი, კ. პატარიძე, ვ. ყურული; მხატვრები — ი. გამარჯელი, ს. ვირხალაძე, დირიჟორები: ე. მიქელაძე, შ. აშმაიფარაშვილი; კომპოზიტორები — ა. ზალანტიძე, დ. არაყიშვილი, ი. ტუსკია, ი. გოციბოძე, გ. კილაძე.

შთებში სადაც ქობი იყო უჭერო და ულოგინო, ბილიკი რომ აღიოდა ნადირების საბოგინო, ახლა სულ სხვა ამბავია: ატრიალებს სურათს კინო, რომ გააცნოს მალალ მთასაც გამარჯვება თვალსაჩინო.

/ სურათები „უკანასკნელი მასკარადი“, „წითელი ეშაქნები“, „ელისა“ შექმნილი რეჟისორების — მ. ჭიაურელი, ი. პერესტიანის, ნ. შენგელიას მიერ, გაუთენიან სოცეტოსო საბჭოთა ფილმების რიცხეს. წარმატებით მუშაობენ რეჟისორები: ს. დოლაძე, კ. მიქაბერიძე, დ. ესაკია, ვ. მიტროფანოვი, ვ. მაკაროვი.

ქარბნებში და ჩვენს თემებში, ქალაქად თუ მწევანე სოფლად, არის კლუბში თემობაში, სიხალისე გაუჭრობლიად. —

ზოგი ჰმართავს წარმოდგენას ან სახატავ ფერებს ლესაგს,  
 ზოგი ხატავს ზოგი ცეკვაეს, ზოგი ავლებს ბურთის წრეჭრენულს  
 გიგლიჩიძესა

სტახანოველთ ყრილობაზე ერთხელ კიდევ მოგვაგონე  
 რა ძვირფასი მარაგია დღეს ცოცხალი ხალხის ღონე.  
 ვიბრძვი, ვშრომობთ ჩვენი დროშა არი უკვდავ ჯილდოს მქონე  
 დიდ ლენინის დიად ორდენს დაატარებს თავმომწონედ.

და ამიტომ ყოველ წამში, ყოველ დარგში გვადევს ვალად  
 გზას გაკაფულს შენის ხელით ჩვენ მივდივით კვალ-და-კვალად,  
 ის არ კმარა რაც, რომ გუშინ გამარჯვებულ ჩაგვეთვალა  
 დღესაც კარგად, ხვალაც უკეთ, აი ჩვენი წინსვლის ძალა.

და ახალი საქართველოც უხვი არი და მდიდარი,  
 ჩვენს ყანებში, ჩვენ ზეარებში მოსავალის დადგა დარი,  
 გვყავს ბერია მეთაურად და ეს არის საწინდარი  
 რომ მის ხელში არ შედრკება ორდენოსან დროშის ტარი.

ლენინმა და მისმა ძალამ გამარჯვებას მისცა გეზი  
 შენ გაშალე მუშაობის არნახული ასპარეზი,  
 ვართ აღსავეს სიამაყით, გვაქვს სამშობლო უმჯობესი  
 გვახსოვს მარად, გვეგერა მარად, სიტყვა შენი დანათესი:

„საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა დიდი და სერიოზული მონაპოვა-  
 რია, ეინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავი-  
 სუფაღნი და უძლეველნი იქნებიან. ჩვენთვის არაფერ არ არის საშიში — არც  
 შინაური, არც გარეშე მტრები, ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღე-  
 გრძელობს“.

ეს სიტყვები საზღვარს გასცდეს, მტერი დასცეს კრულზე კრული,  
 რომ ჩვენსავით დავაჟკაცდეს ყველა ქვეყნის დაჩაგრული  
 შეეცვალოს ლხენად ცრემლი, რაც აქამდე დაუღერია,  
 რომ გაიხსნას მისთვის კრემლი, როგორც ჩვენთვის არის ღია.

შენი ერთი სიტყვა კმარა, თუ დაგვექირდა იარაღი,  
 წითელ ლაშქარს გაუძღვება წინ ლენინის ბაიარაღი,  
 მას მივყვებით კვალ და კვალად გულით მტკიცე, ძალით საღი  
 რომ არასდროს არ დაშავდეს ბედნიერი ჩვენი ბაღი.

ხალხის მიწას არვის მიეცემით, არ დაუთმობთ არც ერთ მტკიცელს, უცხო ჩექმა ვერ გათელოვს წმინდა ყანის ოქროს თავედად და გავიმარჯვებთ სიმღერებით გაეახარებთ ისევ მთა ევლასა და მთა მთა ჩვენი ძალის იერიში რომელ მტერს არ გაათავებს.

რადგან ციხე არ იქნება, არც არი და არცა იყოს შენმა სიტყვამ შენმა ნებამ, შენმა საქმემ არ აილოს, შენი საქმის მოლაღატე — სამშობლოდან გაირიყოს, შენ იცოცხლე, შენი მტრები საფლავებმა დაირიგოს.

ოქტომბერმა გაგვამთელა აუხილა ერებს თვალი, უშიშარმა რუსის ხალხმა, გამარჯვებას მისცა კვალი. ამ დიდი და მოძმე ხალხის ჩვენ ქართველებს გვამოთებს ვიღა ერთად ვართ და ერთად მივალთ, გვაქვს ერთივე მოთავალი.

შენ პირველმა გადალახა, გზა სიმძიმის და სიძნელის რადგან გააყვა თავის დროშას, რადგან გააყვა თავის ლენინს. ახლა იგი თავს ევლება თავის ბედს და თავის სარჩოს. გმირულ რუსეთს, მოძმე რუსეთს და მის ხალხსაც გაუმარჯოს.

ჩვენ ვზეიმობთ, რადგან მტკიცედ შევასრულეთ დავალება. ჩვენ ლენინი გვახსოვს მარად, მისი აზრის უყვანდება, ახლა ქართველს, თურქს და სომეხს მუდამ ახსოვს მისი მცნება ერთად ყოფნა, ერთად შრომა და ერთადვე გამარჯვება.

მოლოტოვის ყურადღება მისი ზრუნვა, მარად გვახსოვს ჩვენს ზეიმზე მთელმა ხალხმა ერთად უნდა შემოსძახოს, გაუმარჯოს დიდ სამშობლოს შეურყეველ სადარაჯოს, საბჭოეთის დიდ მთავრობას და მოლოტოვს გაუმარჯოს.

საზღვარს კაცი ვერ გადმოვა, შემოსული მტრად და ავიდ რკინის სახკომს აბარია ეს საზღვრები დასაცავად, და თუ მჭრეალ ეოროშილოვს დასჭირდება ჩვენი ძალა ჩვენი ჯარი მას გააყვება ამოვარდნილ ქარიშხალად.

ჩვენ ბრძოლების პირველ დღიდან შენ მოგვეცა შთაგონება, საზარელი შეფის დროსაც არ იკოდი დაღონება, ჭირში მყოფელთ, გვარკინებდა შენი ხმების გაგონება. სიხარულში ჩვენთან არი შენი გული და გონება.



ჩვენო სტალინ, ჩვენო შკვიდრო, ჩვენო დიდო მოამბეფრქუნულე  
 ვაიშალა ის ნაყოფი, შენ რომ შენის ხელით დარგეც მშრომელთა  
 საბჭოეთის ერთა შორის სხეებთან ერთად ჩვენც ვივარგეთ  
 რადგან შენი დარიგების ერთი სიტყვაც არ დავკარგეთ.

დღეს, როდესაც უნაპირო ზეიმია ჩვენი ხალხის,  
 შთაში, ბარში, შინ და გარეთ, ყველა ერთად შემოგდახის  
 გაუმარჯოს ნებით მტკიცეს, გულით დიადს, საქმით შართალს,  
 ჩვენს დიდ სტალინს გაუმარჯოს ქვეყნის ბელადს, ხალხთა  
 სარდალს.



### წმირილს ხელი მოაწერა საბჭოთა საქართველოს 1.580.000 მშრომელმა

საქართველოს მშრომელთა წერილი ლექსად გამოსთქვეს ქართველმა პო-  
 ეტებმა: პაილო იაშვილმა, გიორგი ლეონიძემ, ნაკოლიზ მიწიშვილმა, აღიო  
 მაშაშვილმა.

ლექსი რუსულად სთარგმნეს პოეტებმა: ვალერიან გაფრინდაშვილმა, აღექ-  
 სანორე ეანშვილმა, გიორგი ცაგარელმა.





ლ. ბერიძე

## ლენინურ-სვალენური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება

(საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების  
არსებობის 15 წლისთავისთვის)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წელი — ეს არის ქართველი ხალხის ახალი ისტორიის შესანიშნავი ფურცლები.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროში საბჭოთა საქართველოს ხალხები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებითა და ძლევამოსილად აშენებენ სოციალიზმს.

### I

ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა — ეს იყო დამონებულ ერთა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის, შუებრალეხელი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პოლიტიკა.

რუსეთის ცარიზმი, აწარმოებდა რა დაპყრობის პოლიტიკას სამხრეთით და აღმოსავლეთით, ონაერული კლანჭებით აცხრებოდა საქართველოს ხალხთა სხეულს. ცარიზმი ეყრდნობოდა ქართველ თავადებს, აზნაურებსა და მემამულეებს. ხელს უწყობდა მათ მასების ექსპლოატაციასა და ძარცვაში და ამით ცდილობდა განემტკიცებინა და შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა საქართველოში.

საქართველოს დამონებული გლეხობა არაერთხელ აჯანყებულა მემამულეებისა და მეფის თვითმპყრობელობის ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ.

1812 — 1813 წელს გლეხები აჯანყდნენ კახეთში; 1841 წელს — გურიაში; 1857 წელს — სამეგრელოში; 1858 წელს — იმერეთში.

მეფის გენერლები, თავადები, და მემამულეები გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს სისხლის მორევში ახრობდნენ.

„მეამბოხე სოფლები, — სწერდა საქართველოს მთავარმართებელი გენერალი ერმოლოვი, — დავარბიეთ და გადავბუგეთ, ბუღებზე და კენახები გადავკაფეთ. მოლაღატენი მრავალი წლის შემდეგაც კი იმდენად იმდენად პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღატაკე მათი სასჯელი იქნება“ („Записки генерала Ермолова во время управления Грузией“, изд. 1868 года.).

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ტალღა ახალი სიძლიერით ამბოქრდა, როცა მასობრივი ბრძოლის სცენაზე გამოვიდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი.

1902 — 1905 წლები იყო გლეხთა განუწყვეტელი მღელვარების აჯანყებისა და მუშათა გაფიცვების წლები.

კავკასიის მეფისნაცვლი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო მეფის სახელზე წარდგენილ „უკვე შევრტომილეს მოხსენებითს ბარათში“ 1907 წელს აღეარებინა ის განსაკუთრებული შეუპოვრობა, რომლითაც საქართველოს მშრომელი მასები იბრძოდნენ თავისი განთავისუფლები-სათვის, თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

„ამ შხარეში ჩემი ჩამოსვლისას, — სწერდა ვორონცოვ-დაშკოვი, — რევოლუციურმა მოძრაობამ აქ, ალბათ, საერთო-საიმპერიო მოძრაობასთან დაკავშირებით, უკვე სახელმწიფო წყობილებისთვის საშიში მასშტაბი მიიღო. ქალაქ ტფილისში დაუყოვნებლივ გამოვაცხადე სამხედრო წესები... ამავე დროს ტფილისის გუბერნიის ნაწილს და მთელ ქუთაისის გუბერნიას მოდებული ჰქონდა სოფლის მოსახლეობის მღელვარება, რომელსაც თან ახლდა მემამულეთა კარმიდამოების დარბევა, გლეხთა მიერ ბეგარის გადახდაზე უარისთქმა, თავის სოფლის ხელისუფალთა არცნობა. კერძო მიწების ძალდატანებით ხელში ჩაგდება, სახაზინო და კერძო მფლობელთა ტყეების მასობრივად გაჩეხვა... ტფილისში, ბაქოში და მაზარის სხვა ქალაქებში თითქმის ყოველდღე ხდებოდა ყველა პროფესიის მღელვარების გაფიცვები, შინამოსამსახურეთა ჩათვლით...“

„ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის საერთო გაფიცვის გაელეწით ქუთაისის გუბერნია ტფილისისაგან საესეებით მოწყობილი აღმოჩნდა. რკინისგზის ყველა სადგური ამ გუბერნიის ფარგლებში ხელთ იგდეს შვიდობობა რევოლუციონერებმა. სურამის გვირაბი შეკრული იყო ორთქლმავლობით, რომლებიც ორივე მხრიდან შეუშვეს, რათა შეეფერხებინათ ჯარების გადაყვანა ტფილისიდან...“

„სულ ოდნავი წინააღმდეგობის გაწევის დროს გლეხთა ბრბო არბედა და სწეავდა სოფლის სამმართველოებს მათი საქმეებითურთ. სოფ-

ლებში ყველგან იმართებოდა მიტინგები და მანიფესტაციები, თითოც აშკარად ეწოდნენ წოდებრივი თანასწორობის, კაპიტალიზმის მოსპობისა და მართვაგამგეობის არსებული წესის შეცვლის იდეას. 1933 წელს მრავანდას... საქართველოს სოფლის მასების ამ მოძრაობას წინასწარმეტყველებული იყო ალმინისტრატორების უბედობა და სხვადასხვა რეპრესიულ ზომას. გურიაში, 1902 წლიდან დაწყებული, არაერთხელ გაიგზავნა ჯარები, სოფლის საზოგადოებებს ეგზეკუციებს უყენებდნენ, აგიტატორებს აპატიმრებდნენ და მხარიდან ასახლებდნენ..."

ასე ლაპარაკობდა სერიოზულად შეშინებული მეფის სატრაპი საქართველოს მეშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაზე.

ისეთი სატრაპიც კი, როგორც ევრონცოვ-დაშკოვი იყო, იძულებული გახდა მეფის სახელზე გაგზავნილ ფრიალ საიღუმლო მოხსენებითს ბარათში აღეარებინა ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის განსაკუთრებული სიმძიმე, იგი, ალბათ, ცდილობდა გაემართლებინა თავისთავი მეფის წინაშე და პასუხისმგებლობა საქართველოს რევოლუციური ამბებისათვის დაეკისრებინა თავის წინამოადგილეებისათვის საქართველოს და კავკასიის მმართველობის დარგში.

„ბატონყმობის გაუქმება ამიერ-კავკასიისა და მეტადრე საქართველოს ფარგლებში, — სწერდა იგი, მოხდა მემამულეებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ და გლეხებისათვის არახელსაყრელ პირობებში ამასთან... მან ვაადიდა გლეხთა საადგილმამულო ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ. ბატონყმობის დროს არსებულ ნორმაზე უფრო მეტად... სახაზინო ხარკით დასაბეგრ წყაროებს იძებენ მართალი თუ მრუდე გზით, გლეხთა ნადელის ნაწილში მოშენდება თუ არა ტყე, მაშინვე ტყეს სახაზინო ხარკის წყაროდ ხდიან... თუ ნადელის მეორე ნაწილი დაიფარა წვლით მდინარის კალაპოტის შეცვლის დროს, იგი ხდება სახაზინო სათეგზხო ხარკის წყაროდ... საშვი იჯამოი მითის, რომ მოსახლითა საკუთარი ხელით თავის საკარმიდამო მიწებზე ნახარებ კაკლის ხეებს სახაზინო სასარგო წყაროდ ხდიან.

გლეხები, მიწის იმ ფართობში, რომელიც ორჯერ აღმატებოდა კერძო მფლობელობის მიწებს, მარტო ფულადს ხარკს კერძო მფლობელებზე ოცჯერ მეტს იხიბინენ“.

გლეხობის მშრომილი მასების ამ ექსპლოატაციას იმართებოდა აზნაურების, თავადების, მოხელეებისა და პოლიციის თვითნებობა.

სოფლის სასამართლოებში და სოფლის სამმართველოებში გამეფებული იყო მექრთამეობა და ძალადობა. ქართველი მემამულეები მეფის პოლიციელებთან ერთად სცემდნენ, აწამებდნენ და დაუზოგავად ჰყვლეფავდნენ მშრომელებს.

ურბივ დაშველ ექსპედიციებსა და ეგზეკუციებს თან სდევდა მხეცობა და სისასტიკე.

კოლონიზაციის ინტერესებისათვის, საქართველოში <sup>ქვეყნის</sup> მოქმედებით ასახლებდნენ გერმანელ კოლონისტებს, ანატოლიის ბერძნებს, თურქეთის სომხებსა და რუს სექტანტებს.

4.670 ათასი მანეთის საერთო-საეროზო ხარჯებზე <sup>ქვეყნის</sup> შესანახად იხარჯებოდა 57 პროცენტი, სახალხო განათლებაზე კი — მხოლოდ 4 პროც. სკოლების საშუალებით ატარებდნენ რუსიფიკაციის პოლიტიკას. სკოლები ცოტა იყო, ხოლო სწავლა არსებულ სკოლებში უღირსად დაბალ ღირებულებით იდგა.

ცარიზმის ასეთი პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო წერა-კითხვის მასობრივი უცოდინარობა მოსახლეობაში.

„ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა კუთხეებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას, რათა მასეები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირების საუკეთესო კუთხეებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა მკვიდრი მცხოვრებნი უარეს რაიონებში შეედევნა და ეროვნული შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას. თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რათა მასეები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ყოველგვარ ინიციატივას უხშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანებს, დასასრულ, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხის მასათა ყოველგვარ აქტივობას“. (სტალინი. „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის ნაციონალურ საკითხში“. „პრავდა“, № 226, 10 დეკემბერი, 1920 წელი).

მაგრამ იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა ბლოკს ჰკრავდა ნაციონალურ ქართველ ბურჟუაზიასთან, თავადებთან, აზნაურებთან და მემამულეებთან, რათა განემტკიცებინა თავისი ბატონობა დამონებული ეროვნებათა მშრომელ მასებზე, და ცდილობდა გაეღვივებინა ეროვნებათა შორის შტრობა, ამ დროს რუსეთისა და საქართველოს მოშათა კლასისა და მშრომელი მასების მოწინავე წარმომადგენლები ერთმანეთთან ჰკრავდნენ მჭიდრო ინტერნაციონალურ კავშირს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რუსეთის მოწინავე პროლეტარები მხოლოდ იმ ეგვიპტელებსა და საქართველოს და კავკასიის მოშათა და გლობთა ემპროლო ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მხარს უჭერდნენ მას.



საქართველოში 1905 წელს გლეხთა რევოლუციურ გამოცდებთან დაკავშირებით. რ. ს. დ. შ. პ. (ბოლშევიკების) მე-3 ყრილობის მუხრანის დედა დაწვეტილება:

გ ა მ ო ც დ ე ბ ა

„ღებულობს რა მხედველობაში:

1) რომ კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულ პირობები ხელს უწყობდნენ იქ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2) რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად უკვე მივიდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

3) რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე გზავნის ჯარსა და არტილერიას გურიაში და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის უაღრესად შეუბრალებელ განადგურებას;

4) რომ კავკასიაში სახალხო აჯანყებაზე თვითმპყრობელობის გამარჯვებას, რასაც აადვილებს იქაური მოსახლეობის სხვადასხვა ტომობრივი შემადგენლობა, უაღრესად შავნე შედეგები ექნება აჯანყების წარმატებისათვის მთელს რუსეთში.

რ.ს.-დ.შ.პ. მესამე ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის კავკასიის გამორულ პროლეტარიატს და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს უაღრესად ენერგიული ზომები მიიღონ, რათა უფართოესად გაავრცელონ ცნობები კავკასიის მდგომარეობის შესახებ ბროშურების, მიტინგების, მუშათა კრებების, წრეებში საუბრებისა და სხვა გზით. აგრეთვე იმისათვის, რომ დროზე დაეხმარონ კავკასიას მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“. (III ყრილობის რეზოლუცია, გვ. 527).

ამაგრებდნენ რა შერყეულ ტახტს, მეფისნაცვალი და მეფის გენერლები ქართველ თავადებთან და აზნაურებთან თანამშრომლობით, ქართველი მენშევიკებისა და ნაციონალისტური პარტიების გამცემლობის დახმარებით, დაუნდობლად უსწორდებოდნენ საქართველოს მშრომელ მასებს, რევოლუციურ მუშებს, ცეცხლითა და მახვილით აქრობდნენ მათს განოსვლებს. ქართველი ხალხის საუკეთესო რევოლუციურ წარმომადგენელთა ძელებით მოჰყენა მეფის მთავრობამ შორეული გზა საქართველოდან ციმბირამდე.

ასეთი იყო მეფის თვითმპყრობელობის „ნაციონალური პოლიტიკა“.

II



რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დროიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საქართველოში მენშევიკ-ნაციონალისტთა ბატონობის თითქმის სამი წლის პერიოდი განიცადა.

მენშევიკურმა მმართველებმა საქართველოში არამც თუ არ მოუტანეს განთავისუფლება საქართველოს მშრომელ მასებს, არამც თუ ვერ მი-ღწიეს საქართველოს სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურულ აღორძინებას, არამედ პირიქით, მოშალეს ისედაც უძლეური სამეურნეო ცხოვრება, გახრწნეს კულტურის ჯანსაღი ყლორტები, რომლებიც თვით ხალხში იფურჩუნებოდა, ეწეოდნენ ქართველი ხალხის მოღალატეობას და ჰუდუნდნენ მას დასავლეთის იმპერიალისტებზე, მხარს უჭერდნენ საქართველოში თავადებისა და აზნაურების, მემამულეთა და კულაკთა ჩაგვრა-ბატონობას. მენშევიკების ბატონობის დროს ქართველმა ხალხმა კვლავ მძინე ტანჯვა განიცადა.

ლაღადებდნენ რა „დემოკრატიულ თავისუფლებებზე“ მენშევიკები აშკარად და უტიფრად დალატობდნენ ქართველი ხალხის ინტერესებს ზურჯუაზიისა და იმპერიალისტების სასარგებლოდ.

„ვიცი, — ამბობდა მენშევიკური მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანიანი, — მტრები იტყვიან, რომ ჩვენ იმპერიალისტთა მხარეზე ვართ. ამიტომ აქ მე გადაპრით უნდა განვაცხადო: მორჩენია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“. (დამფუძნებელი კრების 1-ლი სესიის სტენოგრაფია, 1920 წ. 14 იანვარი, გვ. 5).

და მენშევიკებს დასავლეთის იმპერიალისტები ერჩინათ, ვიდრე მშრომელი მასების რევოლუციური განთავისუფლება, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა.

თავინათ გამყიდველობას დასავლეთის იმპერიალისტებზე მენშევიკები ჰფარავდნენ „დემოკრატიული“ ლაყბობით საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესახებ.

საქართველოში გერმანიის „სოცუბაკიო“ ჯარების ჩამოსვლის გამო საქართველოს მენშევიკური მთავრობა 1918 წლის 13 ივნისს იუწყებოდა:

„საქართველოს მთავრობა აცნობებს მოსახლეობას, რომ ტფილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეადგენს საქართველოს მთავრობასთან სრული თანხმობითა და მისი მითითებით დაიცვან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები“. (ვახუთი „ბორბა“, 1918 წ. 13 ივნისი, № 92).

საქართველოს დამოუკიდებლობა პიჭუნინმა მოტყუებად იტყა. ნამდვილად გერმანიის ჯარების მოსვლა საქართველოში მოასწავებდა გერმანიის იმპერიალისტების მიერ საქართველოს ოკუპაციას და მის მთლიანად ხელში ჩაგდებას. „ეს, — როგორც ლენინი ამბობდა, — იყო გერმა-

ნელთა ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან მოღმწეობა ტუშათა და გლეხთა წინააღმდეგ".

გერმანიის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის ნოემბერში მენშევიკები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველო. მათი ადგილი ინგლისის საოკუპაციო არმიამ დაიკავა.

მენშევიკები თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ინგლისელი ოკუპანტებიც „მოწვეული“ ყოფილიყვნენ თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეადგენდა მთავრობასთან „სრული თანხმობით“ და მისი „მითითებით“ დაეცათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები.

1918 წლის 22 დეკემბერს, საქართველოში ინგლისის საოკუპაციო ჯარების შემოყვანის გამო, საქართველოს მთავრობამ ინგლისის მისიის თავმჯდომარეს პოლკოვნიკ ჯორდანს გაუგზავნა ნოტა, რომელსაც ხელს აწერდა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი:

1. „საქართველოს მთავრობას საქიროდ არ მიაჩნია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების შემოყვანა წესრიგის დასამყარებლად. ვინაიდან თვით მთავრობას მოეპოვება საკმაო ძალები ამ მიზნისათვის.

2. თუ ამ ჯარების შემოყვანა რაიმე სხვა მიზანს ისახავს, საქართველოს მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ამ შემოყვანას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუ საქართველოს მთავრობის თანხმობა არ იქნება“.

გეგეჭკორის ამ ყალბი და ბუტაფორული განცხადების პასუხად ინგლისის მისიის თავმჯდომარე ჯორდანი მეორე დღესვე, 1918 წლის 23 დეკემბერს, სწერდა მენშევიკურ მთავრობას:

„ემოქმედებ რა ბაქოში მყოფი მოკავშირეთა ჯარების სარდლის გენერალ ტომსონისაგან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას გამოჰყოთ სადგომები ქვეითი ჯარის ერთი ბრიგადისათვის, არტილერიის ერთი ბრიგადისა და 1.800 ცხენისათვის. აგრეთვე შესაფერი შენობა შტაბისათვის... მე მწამს, რომ ჩემი თხოვნა შესრულებული იქნება და ყოველგვარი დახმარება გამიწვევს მოკავშირე ჯარების შემოსაყვანად. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ხელს გამოგიგზავნით ავტომობილს და ოფიცერს, რომელიც მიჩაინებს თქვენს მიერ მოკავშირეთა ჯარებისათვის გამოყოფილ შენობებს“. (ამიერ-კავკასიასა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფილისი 1919 წ.).

ასე ელაპარაკებოდა ინგლისის სარდლობა საქართველოს მენშევიკურ „დამოუკიდებელ“ მთავრობას. ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ გეგეჭკორის პროტესტი ინგლისის ჯარების შემოყვანის წინააღმდეგ განცხადებული იყო მხოლოდ საქართველოს მშრომელთა თვალის ასახვევად და მენშევიკური მთავრობა სიამოვნებით დასთანხმდებოდა ინგლისის საოკუპაციო არმიის შემოყვანას.



როგორც ვიცით, ეს ასეც იყო.

საქართველოს „დამოუკიდებელი“ მმართველები ნამდვივად აცემოხნდნენ მოსყიდული მარიონეტები, რომლებიც ინგლისის სამხრეთ-დასავლეთით დედუკაზე ცეკვავდნენ.

„პროლეტარულ რუსეთსა და იმპერიალისტურ ანტანტას შორის გაჩაღებული სამკედრო-სასიოცებლო ბრძოლის პირობებში, — სწერდა ამხანაგი სტალინი, — განაპირა ქვეყნებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ორი გამოსავალი:

ან რუსეთთან ერთად, და მაშინ — განაპირა ქვეყნების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტთა ჩაგვრისაგან;

ან ანტანტასთან ერთად, და მაშინ — აუცილებელი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს“ (სტალინი. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის ნაციონალურ საკითხში. 1920 წ. 10 ოქტომბრის „პრავდა“, № 226).

ქართული მენშევიზმი — საქართველოში თავისი ბატონობის პერიოდში — ლრგიკურად ამთავრებდა მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მოღალატეობისა და გამცემლობის გრძელ გზას, რომელიც მან ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ჩასახვის წლებში დაიწყო.

1918 წლის 26 აპრილს საქართველოსა და სრულიად რუსეთის მენშევიზმის ერთერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი ამიერ-კავკასიის სეიმში ამბობდა:

„როცა რუსეთში იქმნებოდა ბოლშევიზმი და როცა იქ სახელმწიფოს ცხოვრების წინაღმდეგ სასიკვდილო ხელი აღიმართა, ჩვენ მთელი ძალღონით, რაც კი გავაჩნდა ვებრძოდით ბოლშევიზმს, ვინაიდან ჩვენ შევიგნეთ, რომ რუსის ერისა და რუსეთის სახელმწიფოსათვის ჩაცემული ლახვარი ეს არის ლახვარი მთელი დემოკრატიისათვის. ჩვენ იქ ვებრძოდით სახელმწიფოს მკვლელებს და ერების მკვლელებს და ისეთივე თავგანწირვით ვებრძოდით აქაც ერების მკვლელებთან“. (ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 26 აპრილის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან. ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები. გამ. ტფილისი. 1919 წ.).

წერეთლის ეს მაღალფარდოვანი ფრაზები მოასწავებდნენ, რომ მენშევიკებს ბოლშევიკებთან რაიმე დაახლოებას ურჩიენიათ ბლოკი თეთრგვარდიელებთან, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელ მტრებთან.

მართლაც 1918 წლის 25 სექტემბერს ქ. ეკატერინოდარში უღბანის შავრაზმული მთავრობისა და თეთრგვარდიელთა არმიების წარმომადგე-



ნელთა თათბირზე, რომელსაც გენერლები დენიკინი, ალექსეივი, რომანოვსკი, დრაგოძიოვი და ლუკონსკი დაესწრებენ, საქართველოში მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გენსკელმა მისი პოლიტიკის შესახებ დასრულებულად განაცხადა:

„ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხზე შემოძლიან განვაცხადო, რომ ბოლშევიზმთან ბრძოლა ჩვენს ფარგლებში დაუნდობელია. ჩვენს განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით ვახშობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრება, და შე ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც თავის თავად ლაპარაკობენ... ამასთან ერთად ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოვავლოთ, რომ არ უნდა დაიფიქვით ისიც, თუ რა საშახურო გაგიწიეთ თქვენ ბოლშევიზმთან ბრძოლაში“. „ახლა ჩვენ თქვენთან ერთად უურტყამთ ერთ წერტილს, რომელიც ამ მომენტში მოასწავებს მტრულ ძალას როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვისაც“...

(ამიერ-კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები, გამ. ტფილისი, 1919 წ.).

ჭართვილი მენშევიკები ლაქიობას ეწეოდნენ დასავლეთის იმპერიალისტთა წინაშე, უკავშირდებოდნენ თეთრგვარდიელებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ, მხარს უჭერდნენ საქართველოში ბურჟუაზიის, თავადთა, აზნაურთა და მემამულეთა ჩაგვრა-ბატონობას, რითაც ამაგრებდნენ კაპიტალიზმს, ხოლო საქართველოს მუშათა კლასსა და გლეხობის მშრომელ მასებს მძიმე სატანჯველს და ექსპლოატაციას განუკუთვნებდნენ.

„იქვს გარეშეა, — ამბობდა ნოე ჟორდანი, — რომ ყოველგვარი სახელმწიფო ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით ვერ დააღწევს თავს საქართველოს სახელმწიფოც. ამის თავის დაღწევა — წმინდა უტოპიაა და ჩვენ მას ოდნავადაც არ აყვებით“. (ნ. ჟორდანი, „ორი წლის მანძილზე“ მოხსენებანი და სიტყვები გვ. 121).

და ჭართვილი მენშევიკები ერთგულად ემსახურებოდნენ ბურჟუაზიის ინტერესებს. სოციალიზმის შესახებ ლაპარაკი ფუჭი ლაყბობა იყო მშრომელი მასების მოსატყუებლად.

„თქვენ გგონიათ, — ამბობდა ნ. ჟორდანი, — რომ რაჟი მთავრობა სოციალისტურია, მან სოციალიზმი უნდა განახორციელოს. ეს — ბოლშევიკების შეხედულებაა... ჩვენ კი სხენაირად ვფიქრობთ. ჩვენ ვამბობთ: როცა სოციალიზმი განხორციელდება სხვა ქვეყნებში, მაშინ იგი ჩვენშიც განხორციელდება (სიტყვა საქართველოს პარლამენტში 1918 წლის 16 ივნისს).

1920 წლის შემოდგომისათვის საქართველოში სამეურნეო ეკონომიურმა კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მარაგო, როგორც საქართველოში ყოფილი მეფის არმიის საინტენდანტო ხელმძღვანელისაგან დარჩა, შეიქმმა. ფაბრიკებისა და ქარხნების უმრავლესობა „ჩჩ“ მსჯ. მასამდა. რკინიგზის ტრანსპორტი სავსებით მოიშალა. საქართველოს სოფელი გაპარტახებას და გაღატაკებას განიცდიდა. მენშვეიკური მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანიას იძულებული იყო აღეარებინა:

„რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ... მაგრამ ახლა ეს ჩვენი აზრი უკვე გამართლდა, ახლა ყოველი ჩვენი თავანი მთელი სიმწვავეით განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს. ჩვენ უკვე მივედით კატასტროფამდე“.

(სიტყვა ეკონომიურ თათბირზე. ვაზეთი „ბორბა“ 16 ოქტომბერი 1920 წ. № 235).

მაშასადამე, ამ დროისათვის საბოლოოდ შეიქმმა ის უდიდესი მარაგი, რომელიც ტფილისში რუსეთის ყოფილი არმიის საინტენდანტო სამსახურთველომ დასტოვა.

შრომის მინისტრის მოადგილე ერაძე 1920 წელს საქართველოს რკინიგზელთა ყრილობაზე ამბობდა:

„საქართველოს მუშათა კლასი ამჟამად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. მისმა სიღარიბემ და გაჭირვებამ მიაღწია უკიდურეს საზღვარს, რომლის შემდეგ უნდა მოველოდით ჩვენი კლასის ფიზიკური გადაშენების სწრაფ და ძლიერ პროცესს. ჩვენი საზოგადოების არერთი დემოკრატიული კლასი ან ჯგუფი არ იმყოფება ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, როგორშიაც ქალაქის მუშები აღმოჩნდნენ“ (პროფ. მოძრაობის არჩევი №3, საქმე №280).

ასე აჯანყებდა ბატონი ერაძე მენშვეიკური პოლიტიკის შედეგებს საქართველოში.

საქართველოს მშრომელი მასები მენშვეიკთა ამ გამცემლურ პოლიტიკას აჯანყებებით უპასუხებდნენ.

1918—1919—1920 წლებში, ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საქართველოში რამდენჯერმე აზვირთდა აჯანყებთა ტალღა მენშვეიკთა ბატონობის წინააღმდეგ. ჯანყდებოდნენ გურიისა და სამეგრელოს გლეხები, ჯანყდებოდნენ გორის, დუშეთის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების, ქუთაისის და ლიჩხუშის მაზრების გლეხები, ჯანყდებოდნენ აფხაზეთის გლეხები. 1920 წელს აჯანყდნენ სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მასები. ვაფიციები მოედო ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების მუშათა ძირითად მასას.

ცუხლითა და მახელით უსწორდებოდა მენშვიკური მთავრობა საქართველოს მუშათა და გლეხთა ჩვეულებრივ გამოსვლებს...

ნოე ჟორდანიას შემდეგნაირად ცდილობდა გაემართლებინა მსმცემ-  
ლური, სისხლისმღვრელი ბრძოლა მშრომელი მასების რევოლუციურ  
გამოსვლათა წინააღმდეგ.

„თუმცა თქვენ არ უნდა გაგვეკვირებოდათ გლებთა აჯანყებათი ჩვენს  
წინააღმდეგ, — ამბობდა ჟორდანია, — მაგრამ ჩვენ იმდენად დავივი-  
წყეთ მარქსიზმი და ავეყვით ესერულ დომხალს, რომ დღემდე ბევრი ჩვენ-  
განი ამ აჯანყებულებს რევოლუციონერებად სთვლის და უხალისოდ  
თანხმდება მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზე. დროა დავუბრუნ-  
დეთ მარქსს და მტკიცედ ვიდგეთ რევოლუციის სადარაჯოზე გლებური  
რეაქციის წინააღმდეგ“ (6. ჟორდანია. „ორი წლის მანძილზე“, გვ. 119).

ფეარებოდნენ რა მაღალ ფრაზებს, ახდენდნენ რა მარქსიზმის ფალსი-  
ფიკაციას, მენშევიკები ინტერვენტულ — თეთრგვარდიული კონტრრევი-  
ლუციის დროის ქვეშ უსწორდებოდნენ რევოლუციურ მუშებსა და  
გლებებს.

„ახლა დამეა. ყველგან ცეცხლი მოსჩანს. — იწერდა თავის დღიურში  
მენშევიკი დამსჯელი ე. ჯუღელი, „სახალხო“ გვარდიის ყოფილი უფრო-  
სი, როცა იგი გლებთა აჯანყებების ჩაქრობას ხელმძღვანელობდა, — ეს  
აჯანყებულთა სახლები იწვის, ყველგან ჩვენს გარშემო იწვის ოსთა სოფ-  
ლები... მე დამშვიდებული გულით და წმინდა სინიღისით ვუყურებ ცეცხ-  
ლის ფერფლსა და ბოლს“ (ჯუღელი. „მძიმე ჯვარი“).

ასეთი იყო მენშევიკთა „ნაციონალური პოლიტიკა“.

მენშევიკური ბატონობის პერიოდში საქართველოში ჩამოვიდნენ კ. კა-  
უტკი, მაკონალდი, სნოუდენი, ვანდერველდე და მეორე ინტერნაციონა-  
ლის სხვა ბელადები. მენშევიზმის თარეშა და გახრწნას, მის მოლაღა-  
ტრობას იმპერიალიზმის სასარგებლოდ, მშრომელთა მასების ჩაგვრას ისინი  
თვალთმაქცურად „სოციალისტურ სამოთხეს“, უწოდებდნენ. მაგრამ მეო-  
რე ინტერნაციონალის ბელადთა ამ მყვირალა ფრაზებს არ შეეძლოთ და-  
ემაღათ საქართველოს და საერთაშორისო მენშევიზმის სამარჯვინო და-  
ცემს და გაკოტრება საქართველოს გამოცდილების მიზედვით.

ქართველი მენშევიკები — ქართველი ხალხის ყველაზე გათახსირებუ-  
ლი მოლაღატენი და გამცემლებია. მათ მოსწყვიტეს საქართველო რევი-  
ლუციურ რუსეთს და დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად ამიერ-  
კავკასია ვადააქციეს უცხოელთა ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრ-  
გვარდიული კონტრრევილუციის პლაცდარმად საბჭოთა ხელისუფლე-  
ბის წინააღმდეგ.

მენშევიკები ასულდგმულებდნენ და რაზმადნენ აზნაურების, თავა-  
დების, სამღვდლოებისა და ბურჟუაზიის რეაქციულ ძალებს საქართვე-  
ლოს მუშათა და გლებთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მენშე-

ვიკები ატარებდნენ მხეცურ ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას და ამიერკავკასიის ხალხებს ერთმანეთს უსისიანებდნენ. მათ მოჰყვეს სისხლის-მღვრელი ლაშქრობა საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ: ოსების, აფხაზების, სომხებისა და აჭარლები. მათ დაეწყო ქართველი მენშევიკები მუსავატელებთან და დაშნაკებთან ერთად იყენებდნენ რევოლუციურ ჯარისკაცთა შამქორის ხოცვა-ვლეტის ორგანიზატორები. მათ მოღალატურად დახვრიტეს ტფილისის მუშათა მიტინგი ალექსანდრეს ბაღში. მათ დაშნაკებთან ერთად მოაწყვეს ქართველ-სომხებთა სისხლისმღვრელი ძმათა ომი.

მენშევიკ გამცემელთაღმი უდიდესი სიძულვილით არის აღსაყვ საქართველოს მშრომელთა გული.

დღეს მენშევიკთა უბადრუკი ნაშთების ხვედრი ის არის, რომ იწანწალონ ემიგრაციაში, დასავლეთის იმპერიალისტთა აგენტების ეზოებსა, დერეფნებში და უკანა კარებთან.

1921 წლის 25 თებერვალს ქართველმა ხალხმა რუსეთის პროლეტარიატის და მუშურ-გლეხური წითელი არმიის დახმარებით დაამხო მენშევიკთა ბატონობა, დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება და ლენინ-სტალინის დროში დაადგა ფართო გზას სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისაკენ.

### III

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და ნაციონალურ-კულტურულ მშენებლობის საქმეში. ეს წარმატებანი წარმოადგენენ ბოლშევიკების პარტიის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა საქართველოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სწრაფი ზრდა.

რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონიიდან, „რუსეთზე კიდევ უფრო მეტად გლეხური ქვეყნიდან“ (ლენინი), საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად.

მაშინ, როცა მრეწველობის დაბანდებანი პირველი ხუთწლედის მანძილზე საერთოდ საბჭოთა კავშირში, მთელი აღდგენითი პერიოდის დაბანდებებთან შედარებით, 506 პროცენტს შეადგენდა, საქართველოში იგი უდრიდა 934 პროცენტს. კაპიტალდაბანდებათა მატება 1934 წელს მთელ საბჭოთა კავშირში უდრიდა 19,4 პროცენტს, საქართველოში — 32 პროცენტს. 1936 წელს საბჭოთა კავშირში მრეწველობის კაპიტალდაბანდებათა მატება შეადგენს 17,7 პროცენტს, ხოლო საქართველოში — 34,8 პროცენტს.

მაშინ, როცა ელექტროენერჯის გამომუშავებამ 1935 წელს 1913 წელთან შედარებით მთელს საბჭოთა კავშირში იმატა 1331 პროცენტით, საქართველოში ამავე დროს იმატა 2.259 პროცენტით. *ქართული*

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობა 1935 წელს 1913 წელთან შედარებით შეადგენდა 642 პროცენტს, საქართველოში იგი უდრიდა 1.908 პროცენტს. საქართველოს მთელი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ 1935 წელს იმატა 473 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1936 წელს იგი მიაღწევს 600 მილიონ მანეთს.

პირველი ხუთწლეულის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობის კაპიტალდაბანდებანი შეადგენდა 700 მილიონ მანეთს, ხოლო მარტო 1935 წელს დაბანდებულ იქნა 401 მილიონი მანეთი. 1936 წლის გეგმა ითვალისწინებს 616 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებას სახალხო მეურნეობაში.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის მანძილზე საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები. მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქტში გადიდა 74.9 პროცენტამდე.

საქართველოს სამრეწველო-სამეურნეო განვითარებისათვის იქმნება მძლავრი ენერჯეტიკული ბაზა. საქართველოს ელექტროსადგურთა, სიმძლავრემ 1935 წლის დასასრულისათვის მიაღწია 105 ათას კილოვატს, ხოლო 1936 წელს იგი ავა 162 ათას კილოვატამდე. 1913 წლის 3 ათასი კილოვატის ნაცვლად.

საქართველოს მთის სწრაფ მდინარეთა მდიდარი პიდრო-ენერჯეტიკული რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა ისე ფართოდ გამოყენებული.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა ტექნიკურად რეკონსტრუირებულია. საბჭოთა ხელისუფლებამ მარგანეცის მრეწველობაში უკვე დაბანდა 45 მილიონი მანეთი, ხოლო 1936 წელს დაბანდება, კიდევ 17 მილიონი მანეთი. მაშინ ამოღებულ იქნა 1.180 ათასი ტონა მარგანეცი.

ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე ქ. ჯუღელში (ზესტაფონი) აგებულია დიდი ფერომარგანეცის ქარხანა.

ტყიბულის ქვანახშირის ძველი მადაროები რეკონსტრუირებულია. საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო ტყვარჩელის ქვანახშირის მადაროები.

ბათუმში აგებულ იქნა დიდი ნავთსახდელი ქარხნები, რომლებიც გადაამუშავებენ 3 მილიონ ტონა ნედლ ნავთს წელიწადში. დიდი მუშაობა სწარმოებს ნავთის საბადოების გამოსაყვლევად საქართველოს შირაქის ელვებზე.

საბჭოთა საქართველოს წიაღი მდიდარია მრავალი სხვადასხვანაირი ნედლეულით. შექმნილია და ფართოდ ვითარდება სამთამადნო მრეწველობა. საქართველოს წიაღთა სიმდიდრე დაყენებულია სოციალისტური

მშენებლობის სამსახურად. მოწყობილია გუმბრინის დამუშავება ხავეთის მრეწველობის მოსამარაგებლად. სწირმოებს ბარატის, ანტონოვის, ლითონ-გრაფიული ქვის, დიატომიტის, მარმარილოს დამუშავებას. 1936 წ. შევუდევით დარიშხანის, მოლიბდენის სამრეწველო დამუშავებას. 1936 წელს იწყება აზოტ-ტუკის დიდი კომბინატის მშენებლობა ქუთაისში. შექმნილია მძლავრი, მსუბუქი და კვების მრეწველობა. მსუბუქ მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1923 — 1924 წლის 2.155 ათასი მანეთიდან ავიდა 87.557 ათას მანეთამდე 1935 წელს, ანუ გადიდდა 40-ჯერ.

კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1928 წლის 9 მილიონი მანეთიდან გადიდდა 71 მილიონ მანეთამდე 1935 წელს, ამასთან მთელი მრეწველობის 90 პროცენტი მზადდება უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებულ ქარხნებსა და ფაბრიკებში.

საქართველოს სატყეო და ხის დამუშავებელ მრეწველობაში პირველი ხუთწლედის მანძილზე დაბანდებულ იქნა 23 მილიონი მანეთი, ხოლო მეორე ხუთწლედის მარტო 3 წლის განმავლობაში დაბანდდა 41 მილიონი მანეთი. ზუგდიდში შენდება ენგურის ქალაქის მძლავრი კომბინატი, რომლის წლიური ნაყოფიერება იქნება 24 ათასი ტონა კულტურული ხარისხის ქალაქი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი ხნის მანძილზე საქართველოში აგებულ და მთლიანად რეკონსტრუირებულია 117 სულსხვა და სხვა სამრეწველო საწარმო, რომელთა ხედრითი წონა საქართველოს მრეწველობის ძირითად ფონდებში შეადგენს 96,7 პროცენტს.

ვითარდება საქართველოს სარკინიგზო, წყლისა, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტი: აგებულია 200 კილომეტრი ახალი სარკინიგზო ხაზი, ელექტროფიციურებულია 183 კილომეტრი სარკინიგზო მაგისტრალი.

შავიზღვის ნაპირზე — ოჩამჩირეში შენდება ახალი ნავთსადგური. გაყვანილია 4.462 კილომეტრი გზატკეცილი და გაუმჯობესებული გზები. 2.590 კილომეტრზეა გაჭიმული 50 საავტომობილო ხაზი, რომლებიც რაიონულ ცენტრებს აერთებენ რკინისგზების სადგურებთან და ერთმანეთთან აკავშირებენ ცალკეულ საქალაქო პუნქტებს. 1935 წელს 8 საავიაციო ხაზით დაფრინავენენ საბჭოთა საჰაერო ფლოტის თვითმფრინავები.

საქართველოს მთელ ამ დიდ სამრეწველო მშენებლობაში განსახიერდა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიულიზაციისა და მოწინავე რესპუბლიკების დონემდე. მათი აჯვანის ღენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკა.

გაზრდილი მუშათა კლასი, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ეუფლება შექმნილი მრეწველობის მოწინავე

ტექნიკას, სოციალისტური შეჯიბრების, დამკვერელობისა და მუშაობის სტახანოვერ მეთოდთა გამოყენების საფუძველზე აღიდეგეს შრომის ნაყოფიერებას და წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებულად აღიწინა პარტიისა და მთავრობის დაეაღებას.

უდიდესია აგრეთვე საბჭოთა საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში.

ლენინისა და ამხანაგ სტალინის პირდაპირი მითითებებით ფართოდ განვითარდა საირიგაციო სამუშაოები. საბჭოთა ხელისუფლებამ მოაწყვა ას ათასზე მეტი ჰექტარი.

საუკუნოებით ხელუხლებელი იყვნენ კოლხიდის დაბლობის ჭაობიანი მიწები და ავთვისებიანი მაღარიას ავრცელებდნენ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოჰკიდა ხელი კოლხიდის ჭაობთა ამოშრობას. კოლხიდის ამოშრობის სამუშაოებში უკვე დაბანდებულია 45 მილიონი მანეთი, უკვე ამოშრობილია 16,837 ჰექტარი, რომელთა ნაწილს ვიყენებთ ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების გასაშენებლად.

ნათესთა საერთო ფართობი საქართველოში 15 წლის მანძილზე გადიდა 738 ათას ჰექტარიდან, 957 ათას ჰექტარამდე.

საქართველოს ბოლშევიკები უდიდეს მუშაობას ეწევიან ძვირფასი და ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში. ჩაის პლანტაციების მთელი ფართობი რევოლუციამდე შეადგენდა 894 ჰექტარს. საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისათვის ჩაის მხრივ და ჩაის პლანტაციათა ფართობი 1935 წელს აიყვანეს 34 ათას ჰექტარამდე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა გაორკეცდა. 1935 წელს მოკრეფილ იქნა 12,5 მილიონ კილოგრამზე მეტი შწევანი ჩაის ფოთოლი. საქართველოს ჩაის მრეწველობა უკვე ახლა უშვებს ისეთ ჩაის, რომელიც თავისი ხარისხით ცეილონისას არ ჩამოუვარდება.

რევოლუციამდე ციტრუსოვანი კულტურათა ფართობი 500 ჰექტარს არ აღემატებოდა. 1935 წლისათვის იგი უკვე აყვანილ იქნა 3.280 ჰექტარზე. მარშან საბჭოთა საქართველომ საბჭოების ქვეყანას მისცა დაახლოებით 200 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სსრკ-ის სახკომსაბჭოს გადაწყვეტალებით ციტრუსოვანი კულტურათა ფართობი საქართველოში 1940 წლისათვის უნდა ავიდეს 20 ათას ჰექტარამდე. საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა ამ ამოცანის შესასრულებლად. ეჭვი არ არის, წარმატებით შეასრულებენ მას და ციტრუსოვანი ნაყოფის საბჭოთა საქართველო უკვე მილიონობით კი არა, არამედ მილიარდ ცალობით მისცემს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს!

საქართველოში სამრეწველო მასშტაბით ვითარდება ისეთი მკროფასი კულტურები, როგორცაა ტუნგო, ევკალიპტი, ეთეროვანი კულტურები, რამი და სხვ. მხოლოდ უკანასკნელ ორ წელს დაარსდა 15 მწვანელოვებით ერთი მილიონი ევკალიპტი, ხოლო 1940 წლამდე დაარსდა მასშტაბით სულ ცოტა — 10 მილიონი ხე მინც.

საქართველო იძლევა ყველაზე მაღალი ხარისხის საექსპორტო თამბაქოს — „ტრაპიზონს“ და „სამსუნს“. 1935 წელს თამბაქოს პლანტაციებს ეკავათ დაახლოებით 20 ათას ჰექტარი, რომლებზედაც აღებულია და მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვისა და საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებს მაღალი ხარისხის პაპიროსების დასამზადებლად მიეცა და საექსპორტოდ ჩაბარებულია საქართველოს და აფხაზეთის 15.875 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი თამბაქო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს ვენახი. მენშევიკთა ბატონობის დროს ვენახის მეურნეობა დაეცა. ფილოქსერამ ათასობით ჰექტარი მოსპო. უკანასკნელ წლებში ვენახის ფართობის შემცირება შეჩერდა და დაიწყო მისი ზრდა. 1932—1935 წლებში გაშენდა 4 ათასამდე ჰექტარი ახალი ვენახი, გაშენდა ამერიკული ვაზის 690 ჰექტარი სადედე. ვენახის საერთო ფართობი ამჟამად 39 ათას ჰექტარს აღემატება. საქართველოს მევენახეობა ჩვენს ქვეყანას აწვდის საუკეთესო მაღალი ხარისხის ღვინოს.

მარტო უკანასკნელ წლებში გაშენდა 12 ათასი ჰექტარი ახალი ბაღი. ბაღების საერთო ფართობი 50 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. 1935 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 21 ათასი ტონაზე მეტი სხვადასხვა ხილი.

საქართველოს მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მებაღე-შემომა. ახლა საქართველოს მებაღეშემომა სწრაფი აღმავლობის გზას დაადგა. 1935 წელს საქართველოს მებაღეშემომაზე გეგმა გადაჭარბებით შესრულეს, მათ მოგვეცა 2.552 ტონა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი.

ასრულდებნენ რა პარტიის მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკებმა 1934—1935 წლებში მიაღწიეს გარდატეხას მეცხოველეობის განვითარებაში. იგი სწრაფად მიდის აღმავლობის გზით, 1935 წელს გადაჭარბებით შესრულდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ზრდის გეგმები.

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინერგება მოწინავე აგროტექნიკა. ხდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

საქართველოს რაიონებში შექმნილია 37 სამანქანო-სატრაქტორო სადგური. საცილისტურ მინდერებზე მუშაობს 1.710 ტრაქტორი და ათი ათასობით სხვადასხვაგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

საქართველოში შექმნილია 254 საბჭოთა მეურნეობა, აქედან 117 მსხვილი საბჭოთა მეურნეობა.



სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (საბჭოთა მეურნეობებში, სხვანაირად — სატრაქტორო სადგურებში და სხვ.) 26 ათასი მუდმივი სასოფლო-სამეურნეო მუშა მუშაობს.

საბჭოთა საქართველოში სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ჩატარებული უდიდესი მუშაობა წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განსახიერებას.

რევოლუციამდე საქართველოში მიწის მწვავე ნაკლებობა იყო. ათეათასობით გლეხები ვერ პოულობდნენ თავისი შრომის გამოყენებას და შიმშილის შიშით მიდიოდნენ საშოვარზე შორს საქართველოს ფარგლებიდან. ახლა მრეწველობის ზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად, მას აქვთ რაც სოფლის მეურნეობაში ძვირფასი ტექნიკური კულტურები დაინერგა, უკვე საგრძნობია მუშა-ხელის ნაკლებობა, ხოლო ინტენსიურმა სოფლის მეურნეობამ ყოველგვარი პირობა შექმნა კოლმეურნე გლეხობის შექმნისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარებასა და აღმავლობაში ყველა ამ წარმატებას საქართველოს ბოლშევიკებმა მიაღწიეს საკოლმეურნეო წყობილების შექმნითა და განმტკიცებით. 1936 წლის 1 იანვრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 70 პროცენტი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე იზრდებიან და მტკიცდებიან კოლმეურნეობანი. წლითი-წლობით მატულობს მათი შემოსავალი, იზრდება შრომადღის ღირებულება. საქართველოში უკვე არის მთელი რიგი კოლმეურნეობანი რომელთა შემოსავალი მილიონ მანეთს აღემატება. ესენი მილიონერი — კოლმეურნეობანი არიან.

ამ კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულება 15 — 20 მანეთამდე ავიდა, ერთი საკოლმეურნეო მეურნეობის საშუალო შემოსავალი წელიწადში 8 — 12 — 15 ათას მანეთს აღწევს, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულ შემოსავალიდან ერთად 1935 წლისათვის უკვე ასობით კოლმეურნემ მიიღო 20 — 25 — 30 ათასი მანეთის შემოსავალი და აქედან ცალკეულებმა — 40 ათას მანეთამდე.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მაძღრისად, შექმნებულად და მხიარულად ცხოვრობს. სიმღერით ამუშავებენ კოლმეურნეები ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ვენახისა და სხვა პლანტაციებს.

იზრდებიან საქართველოს ქალაქები და ხდება მათი კეთილმოწყობა. ტფილისის კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში მარტო ორი უკანასკნელი წლის — 1934 — 1935 წლების მანძილზე დაბანდებულია 93 მილიონი მანეთი, ხოლო 1936 წელს დაბანდებულ იქნება 66 მილიონი მანეთი.

სწარმოებს სამრეწველო ჭალაჭებად გადაქცეული ქუთაისის, ფოთის, კიათურის კეთილმოწყობა.

ხდება ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქების, <sup>ქარქაზელს</sup> კეთილმოწყობა: ბათუმისა — აჭარაში, სოხუმისა — აფხაზეთში, სტალინორისა — სამხრეთ-ოსეთში. საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი სამრეწველო ცენტრი, სადაც არ სწარმოებდეს მათი კეთილმოწყობის სამუშაოები.

საქართველო საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის კერას წარმოადგენს. შაეიზღვის ნაპირებზე და საქართველოს მთებში მდებარეობენ მშვენიერი კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, გულრიბში, გაგრა, ჭიბულეთი, ბაკურიანი, აბტალა, ჯავა, ბახმარო, შოვი, მახინჯაური, მწვანე კონციხი. აქ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ათასობით მოდიან ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მშრომელები თავიანთი ჯანმრთელობის აღსადგენად.

დიდი მუშაობა შესრულდა კურორტთა რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. ამჟამად ახლად აშენდა მთელი საბჭოთა კავშირისათვის ცნობილი კურორტი წყალტუბო. 1936 წელს დაიწყება ახალი კურორტის — მენჯის მშენებლობა. ამ კურორტის წყლები თავისი თვისებით არ ჩამოუვარდებიან მაცესტისა და კისლოვოდსკის წყლებს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში სულ საქართველოს საკურორტო მშენებლობაში დაბანდებულია — 70 მილიონ მანეთზე მეტი.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო საქართველოს ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ნამდვილი აყვავება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს საბჭოთა საქართველო შეხვდება როგორც წერაკითხვის მთლიანი მკოდნობის ქვეყანა, — შემოღებულია ბავშვთა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება. საქართველოს დაწყებითისა და საშუალო სკოლებში ამჟამად 614 ათასი მოწაფე სწავლობს. დაწყებითისა და საშუალო სკოლებში 19 ათასი პედაგოგი მუშაობს.

ცარიზმის დროს საქართველოში არც ერთი უმაღლესი სკოლა არ ყოფილა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილია 19 უმაღლესი სასწავლებელი. თითქმის ყველა ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე სწარმოებს.

საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მუშათა და გლეხთა წრიდან უკვე გამოუშვეს 14 ათასი ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, პედაგოგი, ეკონომისტი და სოციალისტური მშენებლობის სხვა კვალიფიციური მუშაკები.

საქართველოს სკოლებსა და სასწავლებლებში განათლებას დედაენაზე  
 ლეზულობენ. ამავე დროს საქართველოს სკოლებში რუსულ ენასაც სწავ-  
 ლობენ.

საბჭოთა ხელისუფლებას დროს დიდად განვითარდა სამეცნიერო სა-  
 გამოკვლევო მუშაობა. სოფეყო 120 სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-საგა-  
 მოკვლევო დაწესებულება. ბევრი ინსტიტუტის ნაშრომები სამეცნიერო  
 ლირებულებას წარმოადგენენ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ჰყვავის ხელო-  
 ვნება და ლიტერატურა. რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სა-  
 ხელობის სახელმწიფო თეატრებმა მოგვეცეს მთელი რიგი მაღალხარისხო-  
 ვანი დადგმანი, რომელთა მეოხებითაც ისინი საბჭოთა კავშირის საუკე-  
 თესო თეატრთა რიგებში ჩადგნენ. ამჟამად საქართველოში მუშაობს 47  
 თეატრი, მათგან სამი მეოთხედი — ქართულ ენაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მოაწყო კინომრეწველობა.  
 ტფილისში აგებულია კინოფაბრიკა. საქართველოს საბჭინმრეწვა გამოუ-  
 შვა 80 საბჭოთა კინოფილმი.

ფართოდ ვითარდება ფიზიკური კულტურა. 1936 წლის 1 იანვრისა-  
 თვის 110 ათასმა ფიზკულტურელმა ჩააბარა ნორმები ნიშანზე „მზად ვარ  
 შრომისა და თავდაცვისათვის“. საქართველოს ფიზკულტურელებმა დაამ-  
 ყარეს მთელი რიგი საკავშირო რეკორდები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის მანძილზე საქართველო-  
 ში გამოიყა 35 მილიონზე მეტი წიგნი.

ასეუღათას ეგზემპლიარობით გამოიყა ქარ-  
 თულ ენაზე მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალი-  
 ნის, ნაწარმოებნი.

იზრდებიან საბჭოთა საქართველოს მწერლები და პოეტები. თავის ნა-  
 წარმოებებში ისინი ასახავენ სოციალისტურ მშენებლობის პრობლემებსა  
 და პეროიკას. იზრდებიან საბჭოთა მხატვრების, არქიტექტორების, მოჭან-  
 დაკეების კადრები, რომელნიც ამდიდრებენ საბჭოთა კულტურას სახვითი  
 ხელოვნების ახალი ნაწარმოებებით.

ინტელიგენციის ძველმა კადრებმა მტკიცედ დაუკავშირეს თავისი  
 ბედობალი საქართველოს მშრომელ მასებს, მათთან ერთად ხელიხელჩა-  
 კიდებულნი მუშაობენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეზე. ისინი შემ-  
 კიდროვდნენ საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, კომუნისტური პარტიის  
 ირგვლივ.

საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის მანძილზე საქართველოში გამოი-  
 ზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის ახალი, მტკიცე კადრები მუშებიდან  
 და გლეხებიდან. ეს კადრები შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ. ისინი  
 ესაზღვროდ ერთგულნი არიან მისი.

მეფის თვითმპყრობელობა, იწვევდა რა არმიაში საქართველოს მშრომელთა შეიღებს, ჰგზავნიდა იმპერიის შორეულ რაიონებში, ვინაიდან ემინოდა, რომ შეიარაღებულნი დაეტოვებინა თავის სამშობლოში. ამგვარად საბჭოთა საქართველოს ჰყავს თავისი ნაციონალური დივიზიები, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოების დიადი ქვეყნის მძლავრი და მამაცი მუშურ-გლებური წითელი არმიის ერთგულ მებრძოლ ნაწილებს.

ყოველივე ამში განსახიერებულია ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკა, რომლის დროშით საქართველოს მშრომელი მასები განთავისუფლდნენ ცარიზმისა და მენშევიკ-მმართველთა ჩაგვრისაგან, და მტკიცედ მიდიან ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების გზაზე.

#### IV

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელება უზრუნველყოფს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხალხთა მტკიცე მშვიდობიანობასა და მეგობრობას. ნაცვლად წინანდელი ნაციონალური მტრობისა, რომელსაც ცარიზმი და მენშევიკები საქართველოს ყველა ეროვნებას შორის აღვივებდნენ, ჰყვავის მეგობრობა და თანამშრომლობა.

იზრდებიან და მტკიცდებიან საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები: საბჭოთა აჭარა, საბჭოთა აფხაზეთი, საბჭოთა სამხრეთ-ოსეთი.

დიდია საქართველოს ხალხთა მშრომელების მეგობრობა ერთმანეთთან, დიდია საქართველოს ხალხთა მშრომელების მეგობრობა აზერბეიჯანისა და სომხეთის ხალხებთან.

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ხალხთა ამ მეგობრობაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხ. მოლოტოვმა სთქვა:

„ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ მრავალეროიან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ აღმოფხვრილია და ამ ბრძოლის მაგივრად ჰყვავის ამიერ-კავკასიაში ყველა მშრომელის ძმური ცხოვრება“.

(აშ. ბოლოტოვის სიტყვიდან საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს. „პრადეა“, 6 იანვარი, 1936 წელი.)

ამ წარმატებათა მიღწევაში დიდი როლი ეკუთვნის დიდ სტალინის თანამებრძოლს აშ. ორჯონიკიძეს, რომლის ხელმძღვანელობით საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ანმტკიცებდნენ და აწყობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ანადგურებდნენ მენშევიკებსა და ნაციონალ-უკლონისტებს, ზრდიდნენ მშრომელთა ფართო მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ნაციონალ-უკლონისტები ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გადაეცდინათ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სწორი გზიდან. ნაციონალ-უკლონიზმი საქართველოს ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის რიგებში წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც ასახავდა კულაკურ-ბურჟუაზიულ — ნაციონალისტური და მენშევიკური ელემენტების ზეგავლენას პარტიულ ორგანიზაციათა ცალკეულ ფენებზე. ნაციონალ-უკლონიზმი, დაადგა რა პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, დაეშვა ქართული მენშევიზმის პოზიციებზე. ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა შემტევ შოფინიზმს, რომელიც ასახავდა ქართველი მენშევიკებისა და ნაციონალ-დემოკრატების დიდმპყრობელურ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ნაციონალ-უკლონიზმი ასახავდა ქართველი თავად-აზნაურების, მემამულეებისა და კულაკების ინტერესებსა და მოთხოვნებს.

შეზღო ნაციონალ-უკლონიზმის უღმობელი განადგურებით, საქართველოში სოციალისტური მშენებლობის საქმის ხელმძღვანელობითა და მასების ინტერნაციონალური აღზრდით უზრუნველყო საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება.

სოციალისტური მშენებლობის ამ გამარჯვებებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში განმტკიცდა საქართველოს ბოლშევიკური პარტია და კიდევ უფრო ძლიერად შემკიდროდა იგი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ისა და ამხანაგ სტალინის ირგვლივ.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით, ბოლშევიკთა პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს მშრომელები მტკიცედ წავლენ წინ, სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.





აკ. თათაროვილი

## ქართული საბჭოთა მწერლობა

ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდი მიღწევებით ხედება საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების 15 წლის თავს.

ქართული ლიტერატურის 15 საუკუნის უმდიდრეს ისტორიას არ ახსოვს სხვა ისეთი ეპოქა, რომ ასეთი შედარებით მოკლე ხნის მანძილზე ლიტერატურაში გამოჩენილიყო ესოდენ მრავალი ახალი ნიჭიერი, შემოქმედებითი ძალები, დაგროვილიყო ესოდენ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქცია, ეპოქის დიდი იდეებით გაელენთილი და რევოლუციური კლასის საბრძოლო პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული, დასახულიყო განუწყვეტელი განვითარებისა და ზრდის ასეთი ბრწყინვალე პერსპექტივები.

გააფთრებული კლასობრივი ბრძოლების ვითარებაში მზარდი ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებს ხელი შეუწყო იმან, რომ საბჭოთა მწერლების ძირითადი კადრები სულ უფრო ახლოს და უფრო მჭიდროდ აკავშირებდნენ თავიანთ შემოქმედებითს მოღვაწეობას რევოლუციურ სინამდვილესთან, მუშათა კლასის ამოცანებთან, ისინი სულ უფროდაუფრო ძლიერ იარაღდებოდნენ პროლეტარიატის კლასობრივი მსოფლმხედველობით, მარქს-ლენინ-სტალინის იდეებით, უფრო და უფრო ღრმად ეუფლებოდნენ ქართული კლასიკური ლიტერატურის უმდიდრეს მემკვიდრეობას.

ცნობილია, რომ ქართული ლიტერატურა მსოფლიოში ერთერთი უძველესი ლიტერატურაა: მან წარსულში შექმნა მრავალი ისეთი მაღალშაატრული ძეგლები, რომლებიც დღემდეც სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენ მშრომელთა ფართო მასებში და რომლებმაც შეინარჩუნეს ნამდვილი ლიტერატურული შედეგების ღირებულება. საკმარისია დავასახელოთ რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (12 საუკ.), ს. ორბელიანის, დ. გუგუშვილის, ბ. გაბაშვილის ნაწარმოებნი (15 — 18 საუკ.), 19 საუკუნის ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე პლეადა (ნ. ბარათაშვილი,

გრ. ორბელიანი, ალ. ქავჭავაძე), გასულ საუკუნის მეორე ნახევრის-მოგვიანთა — ილია ქავჭავაძის, ავაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგის, ე. მამბრეშვილის და სხვ. შემოქმედება.

რევოლუციის წინა წლებში ქართული ლიტერატურა უმავალითო კრიზისის და დაქვეითების პერიოდს განიცდიდა. ქართველ მენშევიკთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არათუ ვერ შესძლო მიეცა იმპულსი ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი ძვრებისათვის, არამედ იგი ძველი ქართული ლიტერატურის უმდიდრეს ტრადიციათა შეფასებისა და ათვისების საქმეშიაც კი უმწეო აღმოჩნდა.

ეგრეთწოდებულ დემოკრატიულ პოეტთა ჯგუფი, რომელიც ოდესღაც ერთგვარ პრეტენზიას აცხადებდა „პროგრესიულობასა“ და „რევოლუციურობაზე“, დაკმაყოფილდა იმით, რომ დაიწყო ოდების წერა მენშევიკური „მმართველთათვის“ ხოტბის შესასხმელად და მენშევიკ მინისტრთა „ქარის მუშად“ იქცა.

ამიტომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ბანაკის მწერალთა უმრავლესობა პროლეტარული რევოლუციის მიმართ მტრულ პოზიციაზე დადგა, მთელი რიგი წლების მანძილზე თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში აშკარად და მალულად კონტრრევოლუციურ, ნაციონალისტურ იდეებს ჰქადაგებდა.

მაგრამ პროლეტარული სახელმწიფოს ძლევამოსილმა ზრდამ, კონტრრევოლუციური კლასების იმედებისა და პერსპექტივების დამსხვრევამ, მშრომელი მასების კულტურულმა აღმავლობამ და ლენინური კულტურული რევოლუციის ამოცანათა განხორციელებამ გამოიწვიეს ახალი შემოქმედებითი ძალების სწრაფი ზრდა მუშათა კლასის და პროლეტარული ახალგაზრდობის რიგებიდან, ახალგაზრდა წვრილბურჟუაზიული მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა თანდათანობით დაახლოვება პროლეტარიატის იდეურ პოზიციებთან, და ქართული მხატვრული სიტყვის რევოლუციამდელ ოსტატთა ძირითადი მასის თანდათანობით შემობრუნება პროლეტარული რევოლუციისაკენ.

ჯერ კიდევ ქართულ რევოლუციამდელ ლიტერატურაში ვპოულობთ პროლეტარიატის კლასობრივი ლიტერატურის სათავეებს. ჯერ კიდევ ბელეტრისტ ე. ნინოშვილის (19 საუკუნის დამლევი) ნაწარმოებებში დასახული იყო პროლეტარული მსოფლმხედველობის ელემენტები ლიტერატურულ შემოქმედებაში. რეაქციის პერიოდის ბოლშევიკურმა არალეგალიზმამ მთელი რიგი პროლეტარული პოეტები და მწერლები აღზარდა.

მაგრამ პროლეტარიატის კლასობრივი ლიტერატურის ნამდვილი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება შემდეგ იწყება.

თუ რევოლუციის პირველ წლებში პროლეტარული რევოლუციის ვიქანება და ზრდა საქართველოში კადრები განისაზღვრევენ პროლეტარულ მწერალთა იმ პირველი თაობის წარმომადგენლებს (ჩხეიძე, პ. სამსონიძე, ნ. ზომლეთელი, ი. ლისაშვილი და სხ.), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობას საქართველოში და რომელთაც თავის შემოქმედებაში ახასიათებდა აბსტრაქტული თემატიკა, კოსმიზმი, მხატვრული ფორმის მხრივ ახალი ძვრების უქონლობა, სამაგიეროდ შემდგომ წლებში პროლეტარულ ლიტერატურას შეემატა და გაიზარდა პოეტთა და ბელეტრისტთა ახალი მძლავრი თაობა: ა. შაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, პ. საყვარელიძე, კ. კალაძე, ე. პოლუემორდვინოვი, ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ბ. ჩხეიძე, ა. გომიაშვილი და სხვ.

ამ მწერლებმა და პოეტებმა პროლეტარულ ლიტერატურაში შეიტანეს რევოლუციური სინამდვილის კონკრეტული თემატიკა, მათ თანამიმდევრობითი მუშაობა გააჩაღეს ახალი პროლეტარული სტილის შესამუშავებლად და გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა მთელი რიგი დიდი ნაწარმოებებით, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ძირითად პროცესებს ასახავენ და გვაძლევენ რევოლუციაში დაბადებულ ახალ ადამიანთა სახეებს.

რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა იდეურ-შემოქმედებითი გარდაქმნის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ვალ. ტაბიძის შემოქმედება. ვ. ტაბიძემ პროლეტარული რევოლუციის წლებში გადაჭრით დასძლია მისტიციზმი, რომელიც წინათ მისი პოეზიის დამახასიათებელი იყო, დეკადენტური განწყობილებანი და განაზღვრული საქართველოს ნამდვილი აღფრთოვანებული მომღერალი გახდა.

ქართველ სიმბოლისტთა ყოფ. ბურჟუაზიულ-დეკადენტური ჯგუფის „ცისფერი ყანწების“ ჯგუფის პოეტები და მწერლები მტკიცედ დაადგინენ შემოქმედებითი ზეღაზალი შეიარაღების გზას, ისინი თანამიმდევრობით სძლევდნენ თავიანთ ნაწარმოებებში სიმბოლისტური ტრადიციების ნაშთებს და გადადიან მუშათა კლასის საგმირო საქმეთა რეალისტურად ასახვაზე. პაოლო იაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, ე. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე და სხვ. აქტიურ შემოქმედებითს შრომას ეწევიან და ახალი ქართული პოეზიის და პროზის მთელ რიგ სრულფასიან ნიმუშებს იძლევიან.

ახალგაზრდა მხატვრული ინტელიგენციის ისეთმა თვალსაჩინო და ნიჭიერმა წარმომადგენლებმა, როგორც არიან ს. ჩიქოვანი, დ. შენ-



გელაია, ალ. ქუთათელი, ი. მოსაშვილი და სხვ., რომლებიც, როგორც მწერლები, პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდნენ, მაგრამ თავიანთი შემოქმედებითი გუნდით კერძოდ წლებში ბურჟუაზიულ-წვრილბურჟუაზიული განვითარების ძლიერ გავლენას განიცდიდნენ. უკანასკნელ წლებში შექმნეს მთელი რიგი პოეტური და ბელეტრისტული ნაწარმოებნი. ეს ნაწარმოებნი ამ ავტორებს სოციალისტური ლიტერატურისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში აყენებენ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის უკანასკნელი წლები აღინიშნა იმით, რომ სერიოზულად ცდილობენ განთავისუფლდნენ ძველი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული გავლენისაგან და შემოქმედებით დაუახლოვდნენ პროლეტარიატის იდეურ პოზიციებს ლიტერატურის რევოლუციამდელი ჯგუფების ისეთი თვალსაჩინო ფიგურები, როგორც არიან მ. ჯავახიშვილი („არსენა მარაბდელი“), ნ. ლორთქიფანიძე („ბილიკებიდან ლიანდაგზე“), ლეო ქიაჩელი („კრეისერი შმიდტი“), შ. დადიანი („ურდული“) და სხვ.

ისეთი მწერლებიც კი, როგორც არიან კ. ვამსახურდიას, ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, რომლებიც წინათ ძალიან შორს იდგნენ საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებიდან, ამ ბოლო დროს ცდილობენ შექმნან ჩვენი ეპოქის შესაფერი ნაწარმოებნი, მოიპოონ ადგილი საბჭოთა მწერლების მებრძოლ რაზმში.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს მწერლების ვ. ქუჩიშვილის, კ. ჭიჭინაძის, ვ. გორგაძის, ვ. ცეცხლაძის და სხვ. აქტიური შემოქმედებითი მუშაობა.


იზრდება და წინაურდება ახალგაზრდა ნიქიერ მწერალთა ახალი კადრი (მ. გვასალია და სხვ.).

ამ 15 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა დრამატურგია. თუ წარსულში ქართული თეატრების რეპერტუარი უმთავრესად ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესებისაგან სდგებოდა, ახლა ქართული აკადემიური თეატრები უმთავრესად სდგამენ ქართულ საბჭოთა დრამატურგების: შ. დადიანის, ს. შანშიაშვილის, პ. კაკაბაძის, პ. სამსონიძის, ვ. ბააზოვის, ი. ვაკელის, ალ. შაშაშვილის, კ. კალაძის, ს. მთვარაძის და სხვ. ორიგინალურ პიესებს.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ამ წარმატებებს მიიღწია პარტიისა და პროლეტარული საზოგადოებრივობის ვაძლიერებული ყურადღების შედეგად, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული გადაწყვეტილების და სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დადგენილებათა განხორციელების შედეგად.



ქართული  
ბიბლიოთეკა



გ. მბალოშვილი

მაგრამ, ყველა ამ უდიდეს მიღწევათა მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ვერ შესძლო საქართველოს იმ მშრომელი მასების საგმირო საქმეთა ღრმად შესწავლა, რომლებმაც 15 წლის მანძილზე ბოლშევიკური ბრძოლის წინაშე მებრძოლებითი შრომის მაღალი ნიმუშები მოგვცეს.

ამ ჩამორჩენის ლიკვიდაცია წარმოადგენს იმ ძირითად საბრძოლო ამოცანას, რომელიც ამჟამად დასახულია საქართველოს საბჭოთა შწერლობის წინაშე.





ქართველი  
წიგლიერთა კავშირი

ლ.ო. ჭიაჩავლი

## ოქტომბრის რევოლუცია და ქართული მხატვრული ლიტერატურა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის თავზე სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგის მიღწევა იქნება შეუჯამებელი. მიუხედავად იმისა, რომ 15 წელიწადი სახელმწიფოს ცხოვრებაში მაინცადამაინც დიდ პერიოდად არ ჩაითვლება, ამ შეჯამებაში არა ერთი და ორი უდიდესი მიღწევა აღინიშნება. საკმარისია რამდენიმე დიდი მშენებლობის დასახელება საქართველოში, რომ ნათლად წარმოგვიდგეს. თუ რა ზღაპრული გაკანება შესძლება გამარჯვებულ რევოლუციას და რა გიგანტური მასშტაბის მუშაობა უწარმოებია კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში ამ მოკლე 15 წლის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, მხატვრული ლიტერატურა სულ სხვა კატეგორიაა. ვინმემ, ვსთქვათ, კოლხიდის მშენებლობა. მისი ეფექტი და მნიშვნელობა ციფრით არ განიზომება. მაგრამ როგორც კულტურული წინმსვლელობის ფაქტორს და მის უტყუარს გამომხატველს, მხატვრულ ლიტერატურასაც თავისი ადგილი დაეთმობა საბჭოთა საქართველოს ზრდის სხვა მაჩვენებელთა გვერდით.

ოქტომბრის რევოლუციის წინადროინდელ მხატვრულ ლიტერატურას დიდი დაქსასულობა ახასიათებდა. ეს დაქსასულობა იმდენადვე ორგანიზაციული იყო, რამდენადც იდეური. ასევე იყო რუსეთში. როგორც მაშინდელი რუსული, ისე ქართული ლიტერატურაც ვითარდებოდა უმთავრესად დეკადანსის მიმართულებით, რომელიც რამდენიმე ნაკადისა, დაჯგუფებისა თუ სკოლის სახით იყო დაყოფილი. დეკადანსის გაძლიერებას მხატვრულ ლიტერატურაში ხელს უწყობდა იმდროინდელი საზოგადოების ძალთა განწყობილება, მისი სოციალურ მორალური სტრუქტურა. თითქოს მთელი მაშინდელი ნიჭიერი ახალგაზრდობა ჩაითრია ამ მიმართულებამ. აქ შე აღენიშნავ მხოლოდ ერთ დამახასიათებელ გარემოებას, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს ამ სკოლებისა და დაჯგუფებათა არსებით სახეს, სახელდობრ იმას, რომ დეკადანსმა ჩვენშიაც თავისი პირველი იერიში მხატვრული შემოქმედების იღუპრობაზე მიიტანა. ეს

იყო უკიდურესი გატაცება უსაგნო, უშინაარსო ესთეტიკური შემთხვევით მოვლენათ არ ჩაითვლება ის, რომ ამ მიმართულების ყველა დაჯგუფებაში ილია და აკაკი პოეზიის ვარეშე დააყენეს, ამას კარგად იცნობდა დეკადანსის პრინციპი და მისი ფილოსოფია. — აკაკისა და ილიას იმიტომ კი არ უარყოფდნენ, რომ ისინი გარკვეულ საზოგადოებრივ-ეროვნული პრინციპის მატარებელი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათი პოეზია უაღრესად იდეური და პრინციპული იყო არსებითად.

რასაკვირველია, რევოლუციის წინადროინდელი ქართული ლიტერატურა მხოლოოდენ ამ დეკადენტური მიმართულების სკოლებით არ ამოიწურებოდა. მუშაობდნენ და იბრძოდნენ სრულიად საწინააღმდეგო დაჯგუფებანიც, ამაში საკმაოდ ძლიერ ნაკადს წარმოადგენდა ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციულ პოზიციებზე მდგარი მწერლობა. ის ვერ გასცილდებოდა დრომოკმულ ლიტერატურულ ფორმებსა და საზოგადოებრივ იდეებს და თავისი შემოქმედების სოციალური პორიზონტი ნაციონალიზმის ვიწრო ფარგალში მოექცა...

ეს მოკლე და მეტად ზოგადი ისტორიული ექსკურსი მე აქ იმიტომ დამეჭირდა, რომ ნათელმეყო ოქტომბრის რევოლუციის ის ზეგავლენა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაზე, რომლის შედეგად ჩვენ გვაქვს დღევანდელი საბჭოთა ლიტერატურა. უწინარეს ყოვლისა, ეს ზეგავლენა იმაში გამოიხატა, რომ ოქტომბერმა ნიადაგი გამოაცალა როგორც უპრინციპო, ისე დრომოკმულ პრინციპების მატარებელ ლიტერატურას, და მხატვრულ შემოქმედებას ყველა სხვა დარგის სოციალურ შემოქმედებასთან ერთად გარკვეული გზა და მიზანი დაუსახა. ეს იგივე გზა იყო, რომელზედაც დადგა თვითონ რევოლუცია და მიზანიც იგივე იყო, რაც მან თავიდანვე დაისახა. ეს იყო: საზოგადოებისა და ადამიანის გარდაქმნა, ცხოვრების უმაღლესი განვითარების ახალი ფორმების გამონახვა, ახალი ურთიერთობის ნორმებისა და ახალი საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალის განმტკიცება.

გამარჯვებული ახალი კლასის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას, არ შეიძლებოდა უდიდესი ძვრა არ გამოეწვია ლიტერატურაში. ეს ძვრა მოხდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოთხოვნა იმპერატიული იყო, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ იგი უაღრესად გააზრებულ, ისტორიულად გამართლებულ და აუცილებელ იდეურ კონცეპტიაზე იყო დამყარებული. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ისეთი დიდი მწერლები, როგორც არიან პრიუსოვი, ბლოკი, მაიაკოვსკი და სხ. რევოლუციის პირველ წლებშივე დადგნ ახალ გზაზე, ჩვენშიაც ასე მოხდა, და მართლაც, ოქტომბრის 15 წლის თავზე საქართველოში ჩვენ ვხედავთ, რომ ვუშინდელი დეკადენტურ-ფუტურისტული, კუდა და ჩიქორთული მანიფესტების ავტორებიც კი დღეს სოციალურად და მხატვრულად უაღრესად მნიშვნელოვან შემოქმედებას ეწევიან და სახელს იხევენ.

ეს არის ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურის წინაშე.

დღეს ქართული მხატვრული ლიტერატურა მონოფუნქციურია ნაბმულია იმ დიდ სოციალისტურ მშენებლობაში, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა ემსახურება. თუ სოციალურ მშენებლობაში ჩვენ შეგვიძლია გიგანტები დავასახელოთ, თანამედროვე ლიტერატურასაც მოეპოვება ეპოქალური მნიშვნელობის, დიდი ტილოს ნაწარმოებნი, რომლებიც საბჭოთა მწერლების მხატვრული შემოქმედების პოტენციის მონუმენტალურ ძეგლებად დარჩებიან ლიტერატურაში. ჩვენ არ გვაქვს უფლება ოდნავად დავამციროთ იმის მნიშვნელობა, რაც გაკეთებულა.

ნამდვილი მხატვრული სახეების ლიტერატურული ფორმაცია ხანგრძლივი პროცესისა და ყალიბის შედეგია, და არ უნდა დავიფიქსოთ, რომ ამ პროცესში მწერლის გარდა უზილავად მონაწილეობს მთელი ეპოქისა და საზოგადოების შეგნების სიმახვილის დონე. მიუხედავად ამ სირთულისა, თუ, მაგალითად, დღევანდელი ქართული მხატვრული პროზის დარგში ჩვენ უკვე გვაქვს ათეული რომანი და ზოგმა მათგანმა უკვე დაიმკვიდრა მტკიცე ადგილი ახალი შემოქმედების საგანძურში. ეს მიეწერება განვითარების იმ საოცარ ტემპებს, რომლებიც მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ.

ახალი სინამდვილის ასახვის მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. არაეის შეუძლია უგულვებელპყოს ჩვენი პროზისა და პოეზიის მიღწევა ამ სფეროშიაც უკანასკნელ წლების განმავლობაში. ეს არის იმის საწინდარი, რომ შემოქმედების დიდი გზა უკვე მიგნებულა: დიდ გამარჯვებას მხატვრულ შემოქმედებას მხოლოდ თავისი ეპოქა ანიჭებს, ამ ეპოქის იდეები, სახეები, ფერები. — ახალი ქართული მხატვრული ლიტერატურაც ამ გზით შედის მეორე 15 წლის პერიოდში დიდ გამარჯვებათა მოსაპოვებლად...



ეროვნული  
წიგლმწიფისა

### 3. 8. სახვარელიძე

## ხუთმეტი წლის საბჭოთა საქართველო

(უმთავრესი ნაწილის მკვლევარი)

საბჭოთა საქართველოს ხუთმეტი წელი უსრულდება.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა, ვითარცა სოციალისტური ცხოვრების მშენებელთა ერთი რაზმი, ვალდებულია წარსდგეს მშრომელთა მასის წინაშე და სთქვას, თუ რა გააკეთა მან საერთო საქმიანობის დასაწინაურებლად.

მეც, როგორც ამ რაზმის ერთი რიგში მდგომი მემომარი, ვალდებული ვარაუბ ჩემს თავს ეთქვა მკითხველთა წინაშე, რა გამოიკეთებია, რას ეკეთებ და რის გაკეთებას ვაპირებ; რას ვწერ და როგორ?

თითქოს უბრალო კითხვაა და ადვილია პასუხის გაცემა, მაგრამ აგერ ამდენი ხანია ვზივარ და ვერ გამიბეღია პირველი სტრიქონის დაწერა.

არ ვიცი, საიდან დავიწყო, როგორ მივეუდგე ამ საკმეს?

ეს კითხვა ისეთია, რომ მას ადვილად შეუძლია გადავიყოლოს და სადმე პირად მოგონებათა ჩიხში მოგამწყვდიოს, შეიძლება სხვა რამ „ფათერაქსაც“ შეგამთხვიოს... ამიტომ, გასაგებია, რომ მე ამ წერილს მორიდებით ვწერ.

ბავშვობისას, ცოტა რომ წამოვიზარდე, სულ იმას ვნატრობდი:

„— ნეტავი ერთი რომელიმე მწერალი მაინც ჩემი თვლით მაჩვენა— მეთქი“.

მაშინ ქართულში „ბუნების კარს“ გვასწავლიდნენ. იქედან ლექსებს ვიზეპირებდით.

აღბად, მარტო მე როდი ვიყავი ასეთი სურვილით შეპყრობილი; მყავდა ერთი ამხანაგი, მასაც ხშირად გამოუთქვამს ასეთივე სურვილი ჩემთან. ერთხელ სწორედ ამ ამხანაგმა დიდი საიდუმლოების ქვეშ გამანდო:

— ამაღამ ლექსის დამწერის ნამდვილი გვარი ესადაგს ყოფილაო. თუ გინდა კიდევ გაჩვენებო — დაუმატა მან.

გვარი რაღაც მეტისმეტად ჩვეულებრივი იყო. ასეთი გვარის კაცი სხვაც ბევრი მყავდა ნახული.



ქართული

შეხვედრის

ვერ დავიჯერე.

შეგობარი კი მარწმუნებდა:

— ამ საღამოს წამოდი, გაჩვენებ მე იმას და აბა, შეხვედრის მხარეში გამოვდგებიო.

იმ საღამოს, მართლაც, მაჩვენა მან ქუთაისის ბულვარში ერთი ვიღაც საკმაოდ შეჭალარავებული კაცი.

შემოდგომა—დრო იყო.

— აი, ეს არის, აგერ რომ მოდის, ხელში ყურძენი რომ უკავიაო! — მითხრა ჩემმა შეგობარმა.

ამ ყურძენმა და ყურძენის კაკლებს რომ პირში იყრიდა ხარბად — ამ გარემოებამ პირდაპირ გამაოცა.

ყურძენი, მწიფე, კარგი ყურძენი საუცხოვო რამ ხლია, რა იყო აქ გასაკვირვებელი და გასაცეცხელი? მე თვითონ არ მიჭამია ყურძენი, თუ?

სწორედ იმიტომ, ყურძენი რომ სრულებით უბრალო ყურძენი იყო, ისეთი, როგორც მეც ხშირად მიჭამია — აი, სწორედ ამან დამიბნია დავთარი.

ყურძენს რომ მოვაშორე თვალი, ტანისამოსს დავაკვირდი, შემდეგ თვით ადამიანიც შევათვალე რე გულმოდგინეთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, არაფერი უცხო და საუცხოვო, არაფერი დიდი და განსხვავებული... ჰო, გამახსენდა, რომ გვარიც სრულებით ჩვეულებრივი ჰქონდა და თვით ადამიანიც ჩია-კაცად მეჩვენებოდა. როდი იყო მაინცადამაინც წარმოსადღეი თვალ-ტანადობის პატრონი.

მე იმ ლეჭების დამწერი ადამიანი სულ სხვანაირად მყავდა წარმოდგენილი, რაღაც ზენაარს ქმნილებად... ეს კი აგერ მიაბიჯებს მოკლე ფეხებს, გახუნებული პალტო აცვია და გუნებიერად ჰყლაპავს ყურძენის მარცვლებს...

ეს ყურძენი და გახუნებული პალტო დიდ ხანს გამომყვია.

გამომყვია, როგორც საფრთხობელა, რომელიც შეუბრალებლად მიერეკებოდა ყველა ჩემი ოცნებით დახატულ სახეებს სხვა და სხვა მწერლებისას.

იშვიათი იყო მაშინ მწერლის სურათის ნახვა.

ათასში ერთხელ თუ რომელიმე მწერლის სურათი ჩამივარდებოდა ხელში და როცა ჩვეულებრივად შევეუდგებოდი მის სხვა და სხვა სამკაულებით შემკობას, მაშინათვე ყურძენისკვამია მწერალი და მისი გახუნებული რუხი პალტო გამახსენდებოდა.

რატომ მეუცხოვა?

რატომ ასე გამიკვირდა, როცა ცოცხალ ადამიანს ცოცხალი არსების თვისება და საქციელი დავუნახე?



ამის პასუხი შეიძლება ის იყოს, რომ ჩვენ დროსაც მწერალი წერდა, მკითხველი კითხულობდა. ამაზედ იყო გულდაწყვეტილი უკმაყოფილება გამოჩენილი სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინის იგონებებით.

ეს მდგომარეობა ჩემსობისაც სრულებით ურყევი და უძლევი იყო. მგონია, რომ ახლაც არ გვაქვს სრულად და სავსებით ეს ნაკლი ძირიან-ფესვიანად ამოგდებული.

ახლანდელი დრო სულ სხვა დროა, ახლა სულ სხვა მდგომარეობაა, რომელი რეგენი იტყვის ამის წინააღმდეგს, მაგრამ ჩვენ ზშირად ვამჩნევთ, რომ აჭა-იქ ძველი და დრომოქმული ზოგიერთი რამ ჯერაც არ მომკვდარა; მართალია სულს ლაფავს, მაგრამ მაინც ცოცხალია, ჯერ-ჯერობით ის კიდევ არ არის მოსპობილი და განადგურებული.

მე ამას ვგრძნობ პირადად ჩემ თავზე, თუმცა ამჟამად არა როგორც მკითხველი, არამედ როგორც მწერალი.

თუ უწინ მკითხველი მხოლოდ კითხულობდა და მწერალს ვერ იცნობდა, სამაგიეროდ ვერც მწერალი იცნობდა თავის მკითხველს და მასაც შეიძლება ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა თავისი მკითხველის შესახებ, როგორც მკითხველს მწერალის შესახებ.

მწერალისათვის, რასაკვირველია, ისეთი გულუბრყვილობა არ იყო საეაღებულო, როგორც გამოუცდელი მკითხველისათვის, მაგრამ მწერალი თავის მკითხველს მაინც ვერ იცნობდა, ის მწერალისაგან შორს იდგა, ჩრდილშიაფარებული.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა დღესაც. ყოველ შემთხვევაში, წესიერი და მუდმივი ურთიერთობა მწერალსა და მკითხველს შორის დღესაც არ არსებობს.

მაშ გვაეცნოთ ჩვენ-ჩვენი თავი მკითხველებს.

უკუდო ხარის მდგომარეობაში არ მინდა ჩავეარდე, მე ჩემსას მოგახსენებთ და სხვამ თავისი იცოდეს.

ახლა ვუბრუნდები კითხვას: — „რ ას ვწერ?“

მხატვრულ ლიტერატურაში ჩემი ნაწერები არც იმდენია, რომ ამის პასუხმა დამაბრკოლოს. დღემდე დაბეჭდილია ჩემი ხუთი წიგნი, მეექვსე ამ დღეებში გამოვა. თუ რაიმე დაუძლეველმა დაბრკოლებამ არ შემიშალა ბელი, ორი ამდენი მაინც უნდა დავეწერო კიდევ. ასეთია ჩემი ცხოვრების გაკვეთილი და ვალდებულება ნებაყოფლობით ჩემ თავზე აღებული.

იმ ნაწერებში, რაც დღემდე დაიბეჭდა, მინდოდა მკითხველებისათვის დამენახებოდა ჩვენი პარტიის ისტორიის ერთი ნაჭერი — ის დრო და ხანა, როცა ბოლშევიკური პარტია რევოლუციის სჩმძიმით შებორკილი, მენშევიკების ლალატით ზურგიდან დაჭრილი, იარაღს არ ჰყრიდა, ავრო-ვებდა და თავს უყრიდა დაქსაქსულ ძალებს და მათ მომავალი ბრძოლისათვის ამზადებდა.

მინდოდა და მინდა დავანახო მკითხველებს, თუ როგორ შემოინახა და გააღვივა ჩვენმა პარტიამ ის ნაკვერცხალი, რომელმაც მანქანის უნდა ჩამქრალიყო 1906 წლის რევოლუციის დადგომის შემდეგ.

როგორ ვახერხებ მე ამას — ეს სხვა საქმეა, განზრახვა და სურვილი კი ასეთი მქონდა და მაქვს.

ზევით რომ მკითხველისა და მწერალის შორის ურთიერთობაზე ვამბობდი — ეს საერთო გარემოებას უფრო ეხება. მე პირადად ცოტა რამ და ოდნავ გამოწვავის მივალწიე ამ შემთხვევაში. მომდის მე ჩემი მკითხველებიდან წერილები, თავის შთაბეჭდილებებს მწერენ, ნაირნაირ კითხვებს მიძლევენ. მეც უპასუხოდ არ ვტოვებ ამ შეკითხვებს.

ამ წერილების გამოისობით მე ცოტა თუ ბევრად მაინც ვიცი როგორ და რამდენად სწვედება ჩემი ნაწერები მკითხველების გრძნობასა და გონებას.

მკითხველთა წერილების გარჩევა თავისთავად საინტერესო ამბავია. აქ მე კმ საქმეს ვერ ვივისრებ, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვთქვა. მაქვს მე ერთი წერილი მიღებული, სადაც ერთი ახალგაზრდა მკითხველი, ვინმე ხნიერი „კლვისდამრიგებლის“ ზეგავლენით უეჭველია, ასე მწერს:

„...იყო დრო, როდესაც მენშევიკები თავგანწირვით ებრძოდნენ თვით-მპყრობელობას, ისტორიას ახსოვს მაგალითები, როდესაც...“ და ასე ამგვარად.

ერთი სიტყვით, მე, თურმე, მენშევიკებს განზრახ ვამცირებ, კვბობობას ვიჩენ.


ჯერ ერთი, სრულებით არ ვითაკილებდი ამ შემთხვევაში „კვბობობას“, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მენშევიკების ამბავი ისე არ მაქვს აღწერილი, რომ ის ვინმეს მოსაწონად ეჩვენოს. რატომ?! — იმიტომ რომ, თვით მენშევიკების მოქცევაში და საქმიანობაში არაფერი ყოფილა ისეთი, რომ ის მოსაწონი და წასაბამი ყოფილიყოს არც მახლობელ, არც უფრო შორეულ წარსულში.

ზოგიერთს იგივე ემართება, რაც, როგორც ერთ არაკმია ნათქვამი, თურმე მაიმუნს რომ დაემართა, თავისი თავი სარკეში როცა დაინახა და არ მოეწონა. მე ამათ სანუგეშოს და მოსაწონს ვერაფერს მიეპართმევე.

არის კიდევ ერთი წყება ეგრედწოდებული „უპარტიო“ მკითხველები, რომლებიც იგაგებითა და არაკებით ლაპარაკობენ... თითქოს ამბობენ, მაგრამ ვერც ამბობენ, ენას იჭავენ, მაგრამ გულისნადებს ვერ ამელავენებენ.



ქართული  
ენობრივი  
ინსტიტუტი



ვ. მახარაძე

შათი ფანდი და ქამანდი იმაში მდგომარეობს, რომ ნაწიერ სახელი გაუტეხონ.

„— შენი ნაწერი... ჰო, ასე ვთქვათ, თითქმის მხატვრული ნაწარმოებია — მეუბნებოდა ამასწინად ერთი ძველი ნაცნობი, რომელსაც სამხრევოლუციის ორომტრიალში პოლიტიკური პასპორტი დაეკარგა და ახლა მოკლილ დროს თავისი ძველი „კოდების“ გახსენებასა და მონაწიებას უნდებდა.

„— გამაგებინე, რა გინდა?

„— ის, რომ შენი წიგნები — ეს ერთი დიდი კორესპონდენციაა ცხის შესახებ.

ასეთი „აზრი“ შემდეგ სხვებისაგანაც გაეიფონე.

ეს ძველი ხერხია და დაჩლუნვებული. ასე იცოდენ ყოველთვის, როდესაც ნაწარმოების სახელის გატეხას აპირებდენ.

იყო რუსეთში მწერალი — გარშინი. ის რუსეთ-თურქეთის ომში იმროძოდა; ვითარცა მოხალისე იყო იქ წასული. ომში ის დასჭრეს.

ამის შემდეგ დასწერა გარშინმა მოთხრობა „ოთხი დღე“. ეს კარგა ხნის ამბავია.

მოთხრობამ მაშინ დიდი ყურადღება მიიპყრო. მაგრამ გამოჩნდა მშინაც ჭკუიანი ხალხი, რომელიც წყალს ასხამდა ამ მოთხრობით დანთვბულ აღვლებს კოცონს.

„— ჩინებულია გარშინის მოთხრობა — ბრძანებდა ერთი მათგანი — მაგრამ ერთი რამ აკლია: — ის არ არის მხატვრული ნაწარმოები. გარშინი მხოლოდ თავის განცდას აგვიწერს. ამ შემთხვევაში ის მხოლოდ თავის გრძნობათა რეპორტიორია“.

ამას ვინმე და ვიგანდარა კაცი კი არ ამბობდა, არამედ იმ დროს ლიტერატურაში დიდად სახელმძღვანელო კრიტიკოსი — ა. მ. სკობინეცკი.

გარშინის ისედაც ომის საშინელებით მოშლილსა და დაავადებულს ნერვებს ეს რალს ეჭირვებოდა. მას საშინლად სწყენდა ეს ამბავი.

დარჩა გარშინს თავისი თავგადასავალი დაწერილი და იქ სწორედ ამ გარემოებითაა გამოწვეული, როცა ის თავის „ოთხი დღის“ შესახებ ასე ლაპარაკობს: „— მე პირადად არაფერი ამის მზგავსი არ მიგრძენია და დამჭრეს თუ არა, მაშინათვე გამომიტანეს იმ ადგილიდან, სადაც სწორა იყო“.

ისტორიამ იცის განმეორებაო.

მართალია, უდავოა!

ვსაგებია ასეთი არაკები და მოშაქრული საწამლაფი. იმათ, ვისაც მენშევიკების ავადხსენება არ მოსწონთ, ვისაც ბოლშევიკური პარტიის დაუცხრომელი და დაუდევარი ბრძოლის უნარი გულში ეკლად ხედება, მათთვის, რასაკვირველია ძალზე საჭიროა ასეთი რამეების ლაპარაკი.

„ — მისი თავგადასავალია, თავის საკუთარ განცდას ვადმოვცემ. შეიძლება ნამდვილი ამბავიც იყოს, მაგრამ ეს, უფროსად ყველაში ერთი კერძო შემთხვევაა და არა მხატვრულად ნაკრები ფაქტო. და სხვა და სხვა და კიდევ — ახლა და კიდევ ბევრი რამ ამგვარი და ამისთანა.

ახლა იმაზე, თუ როგორ ვწერ?

პირველი ჩემი წიგნი, „დაფანტული ფურცლები“, 1930 წელს გამოვიდა. ახლა კი, როგორც მოგეხსენებათ, 1936 წელია და ამ ხნის განმავლობაში, თუ იმასაც მივათვლით რაც დაწერილი მაქვს, მაგრამ დაბეჭდილი ჯერ არ არის, გამოვა დაახლოებით არა ნაკლებ 300 სასტამბო ფურცელი, ეს კი ჩვეულებრივი ფორმატის წიგნის თითქმის 5000 გვერდს უდრის.

ექვსი წლისათვის ეს გვარიანი ბარაქიანი ნამუშევარია.

ზოგს სწორედ ამიტომაც არ მოსწონს ჩემი ნაწერი. — ასე ჩქარა წერა როგორ შეიძლებაო. ბოროტი ენის პატრონი ბლომადაა ამ ქვეყნად, არიან ისეთები, რომლებიც ამის შესახებ კიდევ თხუნჯობენ.

„ — საწერი მანქანა უდგია და ბრავა-ბრუვით აცბობსო! “

ამის მთქმელს პასუხისმგებლობა რომ მოეკითხებოდეს, ადვილად მიხედებოდა, რომ აქ სათხუნჯო მაინცადამაინც ბევრი არაფერია.

თვითონ ის, რასაც საკუთრად წერა — ასოების გამოყვანა და სტრიქონებით ქალაქის გადახენა ჰქვიდ — ეს მწერლობაში, შემოქმედებაში სრულებით ადვილი საქმეა.

დავიმოწმებ ამაში განსვენებულ დ ა ე ი თ კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ს, რომლის „მემუარები“ ამ რამოდენიმე წლის წინად დაიბეჭდა. აი, რას სწერს ის ამ წიგნში. „ჩამოყალიბებულ, ჩამოსხმულ მოთხრობას ვერ მოვლნახე პირველი სტრიქონი. ჩემთვის ეს პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მიმცემი იყო. ამ პირველ სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა, იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. ხშირად ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვით შევედგომოდი წერას. — საჯეროს ვერ ვნახულობდი“ (იხ. დ. კლდიაშვილი. „მემუარები“ გვ. გვ. 366 და 367.).

მეც ამას ვიტყვოდი, ოღონდ ცოტა სხვანაირად.

მე, ჩემდა-თავად, პირველი სიტყვა და პირველი სტრიქონი არ გამჭირვებია. ამას არ დავუბრკოლებივარ, დამაბრკოლა და მაცდევინა მე სულ სხვა გარემოებამ. ეს იყო ჩემი ცხოვრების პირობები. ჩემი თავგადასავალის გადამკიდე მე დიდ ხანს ვიყავი მოლოდინში, სანამ პირველ დღეს ველირსებოდი ისეთს, რომ ამ საქმისათვის ხელი მომეკიდებია, ამის საშვალეება მომცემოდა.

სწორედ ჩამოლაგებული და ჩამოყალიბებული იყო ყოველივე... მაგრამ არ იყო დრო, მოცალეება, არ იყო პირობები. ჩემთვის მხოლოდ 1929



შეღობი. ამ წლის დამლევმა მოიტანა მოხერხებული შერჩეული დრო, როდესაც ხელი მოეკიდე სამუშაოს და პატივცემულ დაეიდინე ჩვენს წინაპრებს, „გასრი აღდა“, ესე იგი, შედარებით ცოტა ხნის განმავლობაში ქალაქებზე დალაგდა ის, რაც უკვე აწყობილი და დალაგებული იყო თავში. ჩემს ნაწერს ბევრი ნაკლი ახლავს.

სხვებზე მეტად მე თვითონ ვხედავ მათ.

ვხედავ და ვიცი, რომ ჩემ ნაწერს სჭირდება ერთნაირი შელამაზება, ზოგან შეკვეცა, ზოგან შეცვლა, მაგრამ აშკარად ვამბობ:

— არ მცალია ჯერ ამისათვის.

ჩემი დროს ანგარიშს ვერ შევავლიჯე იმდენი მოცალეობა, რომ სამაგისოდ დავჯღღე.

მკითხველებთან ერთი რამის მიზოვნელი ვარ: — თუ მოვიცალე, ამ ჩემ ნაწერს ქოჩორსაც გადავვარცხნი, დაუთოვებულ სამოსელსაც ჩავაცმევ, დავბან, შევავაობტავებ, მაგრამ ამის დრო ჯერ არ მიშოვია და ნუ დამეძღვრებით, თუ, ვინცობაა სადმე ჩემ ნაწერებში მართლწერის კანონის დარღვევას წაადგეთ თავზე, იქნებ სადმე წინადადება ვერ იყოს კობწიათ გამოკობიტებული, ზოგან, იქნებ, სხვა რამ მარცხი და ზინჯიც გამოკვეცეს... ამისათვის ნუ დამიწუნებთ.

ჩემი თაობის ხალხი მიმავალია.

ციხეში გდება, ბორკილი, ციმბირი, სიცივე, სიმშოილი... ყოველივე ეს როდღე მატებს ჯანსა და გამძლისობას ადამიანს. ჩემი თაობის ხალხის შესახებ ითქმის:

„Иных уж нет, а те далече!“

არ მინდა თან წაეიყოლო ის, რაც ჩვენ გამოვიარეთ, რისი ცოდნა და გაგება გამოადგება მომავალსა და მომქმედ თაობას. ამიტომ ვუჩქარი და, თუ, ადამიანის თავზე რაც აუცილებელია ისე მოხდა, ჩემი ნაწერების დავარცხნა-დასუფთავებას ვერ მოვესწარი — არა უშავს-რა: — ამის სხევიც მოახერხებენ.

ვატყობ, რომ გამომრჩა წერის ასე ვთქვათ ტექნიკური მხარე, ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ორიოდ სიტყვა ამის შესახებაც ითქმის.

პირველ ყოვლისა ისაა სათქმელი, რომ თვითეული ჩვენგანი თავისებურად სწერს და მუშაობს. ჩემი წესი მუშაობის შეიძლება სხვისათვის სრულებით გამოუსადეგარი იქნეს და სხვისი წესი ჩემთვის არ გამოადგეს.

როგორია მაინც ჩემი წესი მუშაობის?

მწერ ყოველთვის განსაზღვრულ დროს: დილით და საღამოობით. გაკვეთილად მაქვს დადებული ხუთ-ხუთი გვერდი, ასე რომ დღე-ღამე მთელი ვარა ითი გვერდი შეთავაზდება ხოლმე. როცა ასეთი ადგილები გვეუბნებიან, თვის განმავლობაში მოიყრის თავს — ეს უკვე მთელი წიგნი გამოდის.

ბევრიაო — ამიტომ არის, რომ ამზობენ. მაგრამ, ვინც ამას ამბობს, მათ ესიც ავიწყდებათ, რომ მე ამ ჩემი წერისათვის „ნედლი მასალა“ დიდხანია დამზადებული მაქვს. მასალა ბლომადა მაქვს, ორი ახალგაზრდა მწერალის სიცოცხლეს ეყოფა.

გოტა რამ, დასასრულ, ამ ჩემი ყბადაღებული მანქანის შესახებაც.

მეტეირობაში ნურავინ ჩამომართმევს, უცხოეთის მავალითი მინდა დავიმოწმო, ნამყოფი ვარ იქაურობაში.

ამხვითია იქ მწერალი-კაცი, რომ საწერი მანქანა არ ჰქონდეს. ეს არ არის ჩვეულებრივი მანქანა — კანცელარიაში და კანტორებში რომ ხმარობენ; ჩვენი ხელობის კაცის მანქანა შედარებით პატარაა, ის გზაშიად ადვილი სატარებელია, სახლში კი მას ბევრი ადვილი არ უნდა და არც არაფერი დიდი მოვლა ჰქირდება.

მანქანაზე წერის სწავლა ძნელიაო, არ ითქმის, მაგრამ უბოლო მარტო „სწავლა“ არ კმარა. მანქანაზე მუშაობა ზედმიწევნით უნდა გქონდეთ შეთვისებული (ახლა რომ იტყვიან „დაუფლებულით“). უამისოდ შემოქმედებითი მუშაობისათვის მანქანა არამცადაარამც არ გამოდგება. თითებისათვის გონების გაყოლება და საჭირო ასოს ძებნა თუ დაგჭირდა, ასეთი მუშაობა გამოუსადეგარია. მარტო თვალი უნდა მუშაობდეს, გონება ამ საქმეში მონაწილე არ უნდა იყოს, თორემ მას თავისი საკუთარი საქმე დარჩება გაუკეთებელი.

ამნაირი მუშაობა კი, მართალი უნდა ვთქვათ, არც ისე ადვილია. რასაკვირველია, ყოველივე საქმე გაცეთდება, თუ ადამიანი მონდობად კი ღირს, ვინაიდან მანქანას ბევრი უპირატესობა აქვს უბრალოთ ხელით მუშაობასთან.

ხელით წერის დროს — გამოცდილი მაქვს — შეუძლებელია, რომ ხელი არ აჩქარო. ეს აჩქარება ხანდახან იქნამდეც კი მიდის, რომ ადამიანი თავის საკუთარ ნაწერს ველარ კითხულობს. ასეთ აჩქარების დროს აზრის მუშაობა რალაც დოდის შეჯიბრებას უფრო ჰგავს. ხელის სიმარდე და აზრის მოძრაობა ერთი მეორეს ეჭიშვებიან თითქოს.

მანქანაზე მომუშავეს ეს არ დაემართება.

უქმია მანქანაზე წერა, თუ რაც დასაწერი გაქვს, თავიდანვე არ შეამზადე, არ გამოიფიქრე, არ ჩამოასბი შესაფერ სიტყვებსა და წინადადებებში. სიჩქარე აქ რასაც ხელს არ შეგიშლის, თორემ არაფერს წავადგება.

ზოგი ასე ფიქრობს: — მანქანა ხმაურობს და ხმაურში წერა შეუძლებელიაო.

ეს შეჩვევის საქმე უნდა იყოს.

ქარქინეული

შე კი მგონია, რომ წერასაც ერთნაირი მუსიკა ასევე უნდა ჰქონდეს მანქანის რაკა-რუკი ერთგვარი მუსიკაა. ის, თუ გნებავთ, მუშაობის რიტმს იძლევა. მე ის, რასაკვირველია, სრულებით არ მიშლის ხელს. პირიქით, ის თითქოს ესმაურება ქალაქდზე გადმოსატან აზრს, თითქოს შას თავს უვლის და გარკვეულ კალაპოტისაკენ გზას აძლევს.

ყველადათვის მანქანა არც გამოდგება, არც საჭიროა. შით უმეტეს, რომ არაერთი „თილისმა“ მანქანას არ გააჩნია. ის მხოლოდ ხელსაწყოა და მეტი არაფერი, მაგრამ კარგად მორგებული და მოხერხებული... ვისაც შისი მოხმარება შეუძლია.

ოროიღე სიტყვა კორექტურისა და სტამბის შესახებაც.

ჩემთვის ცოდვა-მადლის განკითხვის დღე მაშინ დგება, როდესაც საავტორო კორექტურა უნდა ვასწორო.

დაეწერე, თითქოს კიდევ-გავასწორე, ხელახლაც გადაეკითხე და შევასწორე. გავაგზავნე სტამბაში, მომიტანეს აწყობილი და, დალაზეროს ეშმაკმა, ნუ-თუ ასე დაეწერე? ვადარებ დედანს: — სწორედ ასე უთავბოლოდ ყოფილა დაწერილი.

ვასწორებ, რასაკვირველია, მაგრამ ვაი ამ სწორებას.

სტამბიდან დაბარებული მაჭებს:

„ — რაც შეიძლება ნაკლები იყოს ვასწორება, თორემ სულერთია არ გავასწორებთო“.

ვასწორებ და ტანში მბუძგავს: — ვაი-თუ, ასე დამიტოვონ?!

საჭიროა საგანგებოდ სტამბაში მისელო, ხეიწნა-მუღარა...

ჩემი წიგნების ამწყობებთან შე სამღურავი არ მეთქმის, მათ ჩემი თხოვნა შეუსრულებელი არ დაუგდიათ. ასეთი მავალითი არ მახსოვს.

წიგნი მაინც არ იბეჭდება ჩვენში არც სუფთად, არც დროით, არც უშეცდომოდ.

ერთი დიდი მიზეზი ამ საქმეში — ჩვენი სასტამბო მანქანების სიძველე და მოცვეთაა. მაგრამ ყველაფერს მანქანებს მაინც ვერ გადავაბარებთ. ხშირად, ძალიან ხშირად საქმეს მანქანის სიძველე და უვარგისობა კი არა, ადამიანის გულგრილობა აფუჭებს.

გავათავე.

წერილი მოკლე როდი გამოვიდა, მაგრამ ეს იმიტომ, ალბად, რომ ჩემთვის ასეთი წერილი პირველია, ხოლო პირველ ცდას ნაკლი მუდამ ახლავს.

მთავარი მაინც ისაა — მწერლისა და მკითხველის ურთიერთ შორის დაიხლოვება.





ქართველი  
წიგლისმწიქნი

საგზო კლდიაშვილი

## მწერალი და თანამედროვეობა

შემთხვევითი არაა ის მოვლენა, რომ ჩვენი მწერლები თითქმის დღემდე მასალას უმთავრესად სოფლიდან იღებდნენ. თითქმის ყველა სოფელს ასახავდა, მიწაზე მიჯაჭვულ გლეხს დასტრიალებდა. ამავე დროს მწერალი აგვიწერდა იმ კუთხეს, რომელსაც თითონ ეკუთვნოდა. იშვიათია შემხსოვეთ, რომ ვინმეს გადაეხედოს იმ გარემოს იქით, სადაც შობილია და ბავშვობის პირველი წლები გაუტარებია. არა თუ ისინი, რომელნიც ადგილის დედას არ მოშორებიან, ისინიც კი, რომელნიც უმთავრესად ქალაქში ცხოვრობდნენ და აქ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდნენ, მაინც სოფლის ფონზე გაშლილ ნაწარმოებს იძლეოდნენ. გაიხსენეთ ილია, აკაკი, ალ. ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი ე. ნინოშვილი და სხვ.

ჩვენს პროზაში თითქმის არა სჩანს ქალაქი, მუშა, ინტელიგენცია მხოლოდ ვაკვრით არის ნაჩვენები.

ქართულმა მწერლობამ სოფლის ფონზე განვლო ყველა ის ეტაპი, რაც ევროპის და რუსეთის ლიტერატურას ახასიათებს — რომანტიზმი, რეალიზმი, ნატურალიზმი, შემდეგ სიმბოლიზმი, ფუტურზმი და სხვა. ქალაქი არ სჩანს ჩვენს ლიტერატურაში. მე მგონია, ეს იმით არ აიხსნება, რომ ქალაქი ჩვენში მჭრთალი იყო და მასალას არ იძლეოდა. ალბად ამ მოვლენას უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ კი ჩვენს მწერლობას ახალი პერსპექტივები გადაუშალა და არა თუ ახალი შემოქმედებითი წყარო მისცა, — სრულიად შეუცვალა თვით ხასიათი და ბუნება შემოქმედებისა.

წინად ჩვენი მოწინავე მწერლები იბრძოდნენ არსებულის წინააღმდეგ, ხალხს ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. არსებულის უარყოფა — აი რა ახასიათებს ჩვენს საუკეთესო ოსტატებს წარსულში.

ეს ბუნება აღარ შეიძლება ახასიათებდეს დღეს იმ ჰეგუნებს, რომელიც საბჭოთა კავშირის დროშის ქვეშაა გაერთიანებული. თუ წარსულში პროტესტი მოწინავე ხელოვანის თვისებას შეიცავდა, ახლა პროტესტი ახასიათებს მხოლოდ მას, ვინც რევოლუციურ თანამედროებას უარყოფს და უკან იხედება რეაქციისაკენ.

ასეთი მდგომარეობა ახალ კალაპოტში აყენებს მწერლობას, ჩვენმა სინამდვილემ მწერლობა ჩააყენა სრულიად უჩვეულო პირობებში, ბუნება შეუცვალა მას. ამ მხრივ, ჩვენ არა გვყავს წინაპარი, ჩვენი მწერლობა ახალგაზრდაა და ჯანსაღი.

ეს მდგომარეობა, ცხადია, ახალ მოთხოვნილებას უქმნის მწერლობას და ყოველ შემომქმედს აიძულებს გადაიხალოს თავისი თავი, თუ მას უნდა კვალი დასტოვოს.

გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენში ამ მხრივ პოეზიამ გაუსწრო პროზას.

ამ 15 წლის განმავლობაში გლეხური საქართველო სულ სხვა ქვეყანად იქცა. თანამედროვე სოფელიც ძველს აღარ ვაგს. სიტყვა გლეხი იმ ვაგებით, როგორც ამას ჩვეული ვიყავით, ისტორიას ეკუთვნის. ინდუსტრიის განვითარებამ ჩვენში არა მარტო დიდი ქარხნები შეგვიძინა — აქ ახალი ადამიანები აღიზარდნენ.

ეს ადამიანები ნელინელ შედიან ჩვენს მოთხოვნილებსა და რომანებში და მთელი ჩვენი ვულგისური ახლა იჭითვენ უნდა იჭნეს მიტყუული, რომ ამ მხრივ მუშაობა გაძლიერდეს. ეს აუცილებელია ყველასთვის, ვინც თანამედროვეობას გრძნობს და არ უნდა სინამდვილეს გაეჭკეს.

მხოლოდ იმ მწერალს დაუჩენია კვალი, მხოლოდ ის მწერალი დაუზოგავს დროს, ეისაც თავისი დრო აუსახავს. ის, ვინც თავის ეპოქის მიწაში ვერ გაიკეთებს ძირებს, ვინც თავისი დროის წვიმამ არ ასხურა, ვერასოდეს ვერ იხარებს.

ვერც ის ნაწარმოები იხეირებს, რომელიც ორგანიულად არაა დაკავშირებული ეპოქასთან.

ბუნებრივია ის გარემოება, თუ მწერლობას ახალ შინაარსთან ერთად ახალი ხერხიც მოეთხოვება.

ხშირად ჩვენი კოლმეურნე და მუშა ახალ გარემოცვაში გვყავს მოცემული. ისინი ახალ აზრებს ამბობენ, მაგრამ ამავე დროს ისეთი იარაღით გვყვანან გამოკვეთილნი, რომ უნებურად დაეჭვებული რჩები მათ ახალ ადამიანობაში.

ძველი მუშა და გლეხი ძალიან განსხვავდება თანამედროვესგან არა მარტო იმით, რომ მისი ფსიქოლოგია გარდაიქმნა. ამასთან ერთად შეცვალა მისი გარეგნობაც. აი თუნდაც მოძრაობა ავიღოთ. რიტმია ცხოვრების სხვა და ამ გარემოებამ ყოველგვარად გამოსცვალა ადამიანი. შეუძლებელია ერთიდაიგივე მოძრაობა ახასიათებდეს ძველ გლეხს, რომელიც სახნისზე მუშობდა და დღევანდელ კოლმეურნეს, რომელიც კომბაინერის და ტრაქტორის შემწეობით შრომობს. რაინდი, შექურვილი მძიმე ჯავნანოს პერანგით. ყოველგვარ უფლებას მოკლებული მუშები და გლეხები სულ სხვანაირად მოძრაობდნენ და ლაპარაკობდნენ, ვიდრე თანამედროვე წითელარმიელი, მუშა და კოლმეურნე.

სხვაგვარია თანამედროვე დიალოგის ხასიათიც. ილიას, აბაშიძის, ყაზ-  
ბეგის, კლდიაშვილის — შესანიშნავი დიალოგი ახასიათებთ, მაგრამ თუ  
ჩვენ მათი დიალოგის ბუნება ვადმოვიღეთ, ეს გულმგობრად შეგვიწყნარებს,  
უსათუოდ წინააღმდეგობაში ჩავევარდებით თანამედროვეობასთან.

ჯერჯერობით ოსტატობის მხრივ ჩვენზე მალლა სდგანან ძველი მწერ-  
ლები. მრავალ საუკუნეთა მანძილზე მათ წინაპრები ყავდათ და ბუნება  
მათი შემოქმედებისა უცვლელი იყო. ისინი ძლიერნი იყვენ მაშინ, რო-  
ცა ადამიანის ტანჯვას გვისურათებდნენ. თუ ზოგიერთნი იცინოდნენ, ეს  
მხოლოდ იმიტომ რომ დასცინოდნენ. ბუნება მათი შემოქმედებისა სრუ-  
ლიად განსხვავდება ჩვენი ბუნებისაგან, ამ მხრივ ჩვენ წინაპარი არა  
გვეყავს და საკუთარი ძალღონით გვიხდება გზის გაკაფვა. რომელიმე მათ-  
განი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, იმასაც აუცილებლად ხელახლა  
უნდა დაებადებინა თავისი თავი და ახალი იარაღისათვის მიემართნა ახა-  
ლი ადამიანის დასურათებისათვის.

ჩვენი მწერლობა თანდათან იმარჯვებს ამ იარაღს და მას ყოველ-  
გვარი პირობები აქვს იმისათვის, რომ გაძლიერდეს.

ორიოდე სიტყვა ჩემს თავზე: მთელი ის დრო, რაც საქართველოში  
საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, მკიდროთაა დაკავშირებული ჩემს სა-  
მწერლო მუშაობასთან. ამ ხნის განმავლობაში რვა წიგნი გამოვეცი.  
ამით არ ამოიწურება ყველაფერი, რაც ამ 15 წლის განმავლობაში და-  
ვწერე. რამდენიმე მოთხრობა, შემდეგ ნარკვევები, ფელეტონები,  
ბიბლიოგრაფიები, რეცენზიები და წერილები დაბეჭდილი მაქვს სხვადასვა  
ჟურნალსა და გაზეთში („მნათობი“, „გრდემლი“, „მრომა“, „დროშა“,  
„მეოცნებე ნიამორები“, „ლიტერატურული გაზეთი“, „კომუნისტი“, „მუ-  
შა“, „სიტყვა და საქმე“, „ლენინის გზით“, „მიწის მუშა“, „კოლექტივიზა-  
ცია“, „ახალი სოფელი“, „ბაბტრიონი“ და სხვ.) და უმეტესი ნაწილი აქე-  
დან არცერთ წიგნში ჯერ არ შემიტანია. გარდა ამისა დავწერე პიესა, რო-  
მელიც რუსთაველის თეატრში იდგმება. რუსულ ენაზე გამოვიდა კიდევ  
ჩემი სამი წიგნი (ორი გამოცემა მოსკოვის სახელგამში, ერთი „ზაფხუში“).

მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურად ვმუშაობდი, გულახდილად უნ-  
და ვაღიარო, რომ ზოგი რამ იმ ნაკლულევეანებიდან, რომელზედაც ზემოთ  
ვლაპარაკობდი, ჩემს შემოქმედებითი მუშაობასაც ახასიათებს. მაგრამ  
ეპოქის სიდიადის შეგნება და მისი გავლენა ძალას მაძლევს დაეძლიო  
ნაკლი და თანამედროვეობის ამსახველი გავხდე.

შემოდგომაზე დაეამთავრებ ორი წლის წინად დაწყებულ ხაწი-  
შობებს, სადაც, იმედი მაქვს, ჩემი ახალი სამშობლოს ახალი ადამიანები  
შათვის შესაფერისად ნაჩვენები იქნებიან.

ნიკო. ლორთქიფანიძე

## საბჭოთა მწერალი და მკითხველი

ოქტომბრის რევოლუციის ზედ-გავლენა ცხოვრების ყველა მხარეზე, და კერძოდ მწერლობაზე, იმედნად ნათელი და თვალსაჩინოა, რომ ძალზე ძნელია მისი განმარტება, პატარა წერილში.

ოქტომბერმა ქართველ მწერალს ორი-სამი ათასი მკითხველის მაგიერ, მოუყვანა ათიათასები და თან ისეთი მკითხველი, რომელიც არ კმაყოფილდება მხატვრული ნაწარმოების ცალმხრივი ღირსებით (ეთქვათ, მარტო სტილით, მხატვრობით, რიტმიულობით ან კითხვების წამოყენებით ან ტიპის გამოყვანით), არამედ მოითხოვს შედუღებულ ნაწარმოებს, რომელშიაც ძნელად ერკვევი, რა უფრო გზიბლავს შინაგანი თვისება, თუ გარეგანი სამკაული.

როცა მკითხველს ასეთი მოთხოვნა გაეღვიძა, რა თქმა უნდა, პატივისცემაც გაუძლიერდა ადამიანებისადმი, რომელნიც მოახერხებენ ამ რთული დავალების შესრულებას...

პარტიამ და მთავრობამ დაამშვიდა მწერალი, რომ მისი ნაწარმოები წლობით არ იქნება უჯრაში შენახული, და მისი გრძნობა და აზრი ჯერ გაზეთებისა და ჟურნალების საშუალებით, შემდეგ კი წიგნებად გამოცემული მოედება ქვეყანას... სწორედ ქვეყანას და არა მარტო საქართველოს.

აკაკისა და ილიას, ყ ა ზ ბ ე ვ ს ა და ვ ა ე ა ს არ ღირსებია ყველა თავისი თხზულება ცალკე წიგნებად ენახა, ეხლა კი ახალგაზრდა მწერლის პირველივე ნაწარმოებიც ხომ ზმირად იბეჭდება მეორე და მესამე გამოცემით.

მწერლის ზნეობრივ დაკმაყოფილებას თან სდევს მატერიალური უზრუნველყოფაც.

ამ თუთხმეტი წლის წინად საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მხატვარი — მწერალი, რომლის საყოფაცხოვრებო მინიმუმი დამყარებული ყოფილიყოს ლიტერატურულ პონორარზე — ყველა ან მსახურობდა, ან სოფლის მეურნეობას ეწეოდა, ან მშობლების ხარჯზე ცხოვრებდა. ეხლა კი მეტად იშვიათია მწერალი, რომელიც თავის დროს რაიმე გარეშე საქმეს ანდომებდეს, და უნდა ეთქვა — შეიძლება ეს ზედმეტიც

ყოს: — პარტიისა და ხელისუფლების სიუხვე და ზრუნვა ლიტერატურის საქმეების მიმართ ბევრად აჭარბებს იმას, რაც მოსალოდნელო ეყოფა უმაგალითო გარდაქმნისა და ყველა სასიცოცხლო ძალებზე დაქონდას!

მკითხველთა რიცხვის ზრდამ, საზოგადოების ყურადღებამ, შრომის დაფასებამ, მთავრობისა და პარტიის ზრუნვამ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, მწერალში გამოიწვია პასუხისმგებლობის მეტი გრძობა, გაამაზვილა სურვილი, მართლაც ღირსი გახდეს „სულის ინჟინერის“ საპატიო წოდების.

ცოტა რამ ჩემზედაც: სამწუხაროდ ბევრის წერა არ მეზერხება... საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მე დაეწერე მეტი, ვიდრე წინად („ბილიკებიდან ლიანდაგზე“, „შელოცვა რადიოთი“, „რაინლები“, „ფეოდალები“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ყაეახანა“, „თავსაფრიანი დედაკაცი“ და სხვა...); რუსულად ნათარგმნი გამოვიდა კრებულების სამი წიგნი.

რას ვწერ? ბევრი რამ მაქვს დაწყებული. დეტალებზე ნება მიბოძეთ არ შეეჩერდე — ძნელი სათქმელია სათაური როგორ შეიცვლება და რის დამთავრებას მოვახერხებ — მოგეხსენებათ წერის პროცესში რა გადაჩევა ხდება.



აღ. აბაშიძე

## საბჭოთა მწერლობის მაღალი მწვერვალები

რევოლუციის წინააღმდეგელი მწერლობა ისეთივე ჭრელი იყო, როგორც ის საზოგადოება, რომელსაც ის გამოსახავდა; ყოველ მწერალს ჰქონდა თავისი განსაზღვრული იდეათა სფერო და ხშირად ეს რეალური ძალიან შეზღუდული იყო. გაბატონებული იყო ინდივიდუალისტური კარნაქტილობა. კრილოვიც ერთი არაკის გმირებით, მწერლობის ხანგრძლივ ტერორს ზოგი წინ ეწყეოდა, ზოგი უკან. პროგრესული მწერლობის გედები წინ იცქირებოდნენ, კონსერვატორულ-რეაქციონური ორგანოები და კიბოები უკან სწევდნენ და ამ გაწვევ-გამოწვევაში ლიტერატურის განვითარება შენელებული იყო და ოღრო-ზოღრო გზაზე მიიშრებოდა.

ოქტომბრის რევოლუციამ რადიკალურად შესცვალა ეს მდგომარეობა. მან მოსცა მწერლობას დიდი იდეები, მოაშორა მას თევზები და კიბოები და ფრთავაშლილ გედებს ვადაუშალა წინ უსაზღვრო ნათელი სივრცე. მწერლობაში დილის მზესავით შემოვარდა სინათლე და პაერი.

პირველხანებში მწერლობაში სინათლის ელვარებამ ზოგიერთს თვალები აუჭრელა, მაგრამ იგი მალე შეეჩვია მას და დღეს საბჭოთა კავშირის ლიტერატურა თავისი მაღალი იდეებით და სრულიად ახალი შინაარსით კაპიტალისტურ ევროპისათვის მიუწევდომელ სიმალლეზე დგას. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი და ყურადღება, რომელსაც იჩენენ საბჭოთა მწერლობის მიმართ მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ძალები.

ქართულ მწერლობაშიც შემოაშუქა ოქტომბრის რევოლუციამ. ამ 15 წლის განმავლობაში მანაც დიდი ძვრები განიცადა და ამჟამად საბჭოთა კავშირში ქართულ საბჭოთა მწერლობას საპატრიო ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით ითქმის ეს ქართული პოეზიის შესახებ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია საკავშირო მანშტაბით.

ეს ბუნებრივიცაა. პოეზიას საქართველოში მუდამ მოწინავე ადგილი ეჭირა და იგი უნათებდა გზას მთელს მწერლობას, ყოველთვის მავარი იყო და ძლიერი ქართული პოეზიის ტრადიციები. ამით, რა თქმა უნდა, სრულებით არ იზრდილება ქართული პროზის დიდი ღირსება; ჯერ კიდევ „დაბადება“ და „ქართლის ცხოვრება“ ამკლანებენ ქართველი პროზაიკოსების მძაღლ ოსტატობას, რომ არაფერი ვთქვათ შემდეგ დრო-

ინდელი პროზის დიდ ოსტატებზე. მაგრამ უკედემა შოთამ მე-XII საუკუნეში ისეთი პოეტური კოცონი ააგიზგინა, რომ მრავალსაუკუნო მწერლობის ისტორია განათებულია მისი ელვარებით. უკმაყურს საუკუნეშიც ჩვენ არ მოგვეპოება პროზის ისეთი ნიმუში, რომელიც გაუტოლდება ბარათაშვილის, გურამიშვილის და ვაჟაფშაველას ნაწარმოებთ. მაგრამ უკანასკნელ წლებში ქართულ პროზას შესანიშნავი მიღწევები აქვს. ვისაც ახსოვს რევოლუციის წინანდროინდელი ინტელიგენციის ჩივილი: ჩვენი ცხოვრება ისე დაქინდა, რომ არ იძლევა რომანის მასალასო, ის მიხვდება, თუ დღეს წარსულთან შედარებით, რა დიდ მიღწევებთან გვაქვს საქმე ამ დარგში. ქართული რომანი, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, მაგრად იღვამს ფესვებს და შორს არ არის ის დრო, როცა იდეური და მალაზხარისხოვანი პროზა, — ეს უმკველი საზომი მწერლობის კულტურული ზრდისა, — გაუსწორდება ქართული პოეზიის მწვერვალებს.

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებას, მისი ზრდის ტემპების აჩქარებას ხელს უწყობს პარტიისა და ხელისუფლების დიდი მზრუნველობა. უდავოა, რომ მწერლობაში დაგროვილ შემოქმედების პოტენციური მარაგის თავის დროზე და სავსებით გამოვლენისთვის საჭიროა შესაფერი პირობები, სათანადო იდეოლოგიურ-მორალური გარემოცვა. ამ მხრივ საბჭოთა მწერალი იმყოფება იდეალურ პირობებში. ეს გარემოება კი მას უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს: საბჭოთა მწერალს ისტორიამ მეტად დიდი და საპატიო როლი მიაკუთვნა სოციალიზმის მშენებლობაში, მის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენენ პარტია და ხელისუფლება, მაშასადამე მას ბევრიც მოეთხოვება.

სამწუხაროდ ბევრ ჩვენგანს ჯერ სავსებით ვერ მოუშორებია ინტელიგენციის ძველი თაობის სენი—სიზარმაცე. უწინარეს ყოვლისა ეს უნდა ვთქვა საკუთარ თავზე. მართალია, მე საერთოდ ძალიან მცირე პროდუქციის მწერალი ვარ; მაგრამ ვგრძნობ, რომ მეტიმეტად ჩამოვრჩი საკუთარ შესაძლებლობასაც. ამიტომ გადავწყვიტე, მიმდინარე წელს ცოტა ხელა გამოვიღო და შევეურიგდე ჩემს საწერ მაგიდას. ამჟამად ვწერ დიდ მოთხრობას ისტორიულ-რევოლუციონურ თემაზე. მაისისთვის დავამთავრებ. ზაფხულში მინდა დავასრულო ჩემი ფანტასტიური რომანი „ქალი სარკეში“, რომლის დასაწყისი იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობ“-ში 1930—31 წლებში. რომანს გამოსცემს გამოცემლობა „ფედერაცია“. ამავე დროს ვამზადებ სახელგამისთვის ჩემს რჩეულ ლექსებს ერთ წიგნად და პარალელურად ვმუშაობ ლექსების მეოთხე წიგნზე.





ქართველი  
წიგლისმწერთა

გალ. ბაგიძე.

## ლეჩხი განახლებულ ქვეყანაზე

საქართველოს მთებს მრავალფერს,  
შარაა თუ ვიადუკი —  
გამარჯვებას, თანაბრად სწერს  
თმაჭალარა და კაბუკი.

მოხუცი არ გულმავიწყობს  
ახალგაზრდას სდევს ოცნება.  
და ორივეს სურს დაიწყოს  
ოცნებათა შემოწმება:

სიყვითლით და დაობებით  
რომ ბორგავდა წინათ ფოთი,  
შრება ძველი ქაობები  
და რიონის ცხრება შუოთი.

ცხრება მისი მავნე შფოთი,  
გადარევა ველარ ართობს;  
გასჭრეს რა სხვა კალამოტი —  
ეს ძველს, ძვირფასს, სტოვებს ფართობს

სად ხედებოდენ ზღვა ძლიერი  
და ფაზისი მედიდური —  
უახლესი, მშვენიერი  
დაფუძნდება ნავთსადგური.

დრომ კი ძველი მალარიით  
მოშამული ატმოსფერა,  
ახალ ჩაით, ახალ იით,  
ახლად გააოქროსფერა.



ვით ქობი ისე ვაქრა  
უამფრი სიშწრის ჯაფა  
შფოთიანი, ძველი „გაყრა“ —  
უმკაცრესი პაპისპაპა.



სწუხდა, მეგრამ რაზე სწუხდა,  
რად ლალავდა ზვირთს რიონი  
აგერ ველად აზურმუხტდა  
ხე, მრავალი მილიონი.

ოცი ათას გვეტარ მინდორს  
ციტრუსების გვინდა ვარდი  
შილიონი კი არ გვინდა:  
მილიარდი, მილიარდი.

ფორთოხალი, მსგავსი მთეარის  
მისი დარი და ამინდი —  
ფორთოხალი კი არ არის —  
მტრისთვის არის — დინამიტი.

ციტრუსები ვადართული  
ეს სარკეა: ჩენი ყოფა,  
ქრთის ძალით გამართული  
შეგნება და ნებისყოფა.



3. ბაზრინდაშვილი



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

## ოსნება ბელადზე

ისევ მოწაფე მე ვაგზდე მინდა,  
დავდე დაფასთან, ვისწავლო წერა,  
დავწერო სიტყვა პირველი, წმინდა,  
ენახო ახალი და ნორჩი ბგერა.

ყოველგან: სოფლად, ქალაქად, ველად,  
ჩვენ მუდამ ვეტრფით ოცნებით ბელადს,  
და ვაფიფიჭრებით ხშირად: — ნეტავი  
ჩვენც ვაგვეგონა ხმა გამბედავი!

ჩემმა ოცნებამ დიდხანს ეძია  
ხმა ბელადისა ფოლადის ხმაში, —  
ამ ხმის მუსიკა და პოეზია  
სრანს სინამდვილის ათასგვარ თქმაში

ბელადის სიტყვის გამომძახილი  
მომცა ქალაქმა თავის ხმაურით.  
დღეს ფრთა შესხმული მისი სახელი  
ბაიროლია და მეთაური.

ვარსკვლავისა და ტალღის პროფილი  
იმის თვალეშში ხშირად იალებს,  
და შთაგონება მისგან შობილი  
მიწას კიდემდე შეატრიალებს.

შრომის და ბრძოლის მთელი გენია,  
როგორც შემევიდრეს, მას ჩაებარა.  
იგი მშრომელთა დასაყრდენია,  
მათ ზეცის მსგავსად გადაეფარა.

მშრომელთა ნიჭი და ენერჯია —  
ხალხის სიღრმიდან გამოსატანი,  
რაც მომავლისთვის დასაწერგობ,  
აღმოაჩინა, როგორც მადანი.

იგი სდარაჯობს, საბჭოთა კავშირს,  
 არის ბრძენი და არის სარდალი.  
 და იბადება მის ნათელ თაეში  
 დიდ ხუთწლეულების გეგმა მართალი.



ჩვენ თანასწორად გვაღელვებს ახლა  
 ზღვა და ბელადი: სიმტკიცე ორი.  
 ვით წინამძღოლი იგი დგას მაღლა,  
 და ჩვენგან მაინც არ არის შორი.

მისი ძლიერი ხელის შეხება  
 ბევრ კოლმეურნეს ხსოვნაში დარჩა.  
 მან სიხარულის ფერით შეღება  
 სტახანოველის და გმირის მარჯა.

ბრწყინავს ღიმილით და უტეხ ჯანით  
 ძველი მებრძოლის ნაკვეთი სახე:  
 ბავშვებს — ყვავილებს დახრილი ტანით  
 ეალერსება, როგორც მებაღე.

მტკვარს ახსოვს იგი — კიდევ ჭაბუკი  
 და მეტეხს მისი შუბლი ნათელი,  
 ციმბირს თოვლიანს ახსოვს სხვა ბუჭი  
 და ვზები — მისგან გადანათელი.

დღეს — კი კრემლიდან მისი ძაბილი  
 წვდება მსოფლიოს — დაუშრეტელი,  
 დღეს მისი სიტყვა, მისი სახელი  
 ჩვენი ცხოვრების არის მკედელი.

მისი სახელით უმღერის ნანას  
 დედა აკენაში პირმშოს ალერსით,  
 რიტმს აძლევს იგი ყოველ ქარბანას,  
 როგორც ლოტბარი უმზურვალესი.

ეს ოცნებაა თვითიუღლ მზატვრის,  
 ეს ოცნებაა ყოველ პოეტის —  
 ასახონ იგი ვით თვალი ნატვრის  
 და შთაგონება მთელ საბჭოეთის.  
 თებერვალი 1936 წელი.

მის. ჯავახიშვილი

## ქალის გვირგვინი

(რომანი \*)

აკაკი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. თითქმის ცარიელი ქუჩა შიშით და ძრწოლით იყო გატენილი. თავჩალუნული და მობუზული მგზავრები თითქმის მივრბოდნენ, მხოლოდ მოწაფენი მიდიოდნენ ლაღად და გამომწვევი სითამამით. ვაჭრებს მალაზიები დაეკეტნათ. აქა-იქ დარაბები ოდნავ გაეღოთ და შიშნარევი თვალებით შიგნიდან იყურებოდნენ.

ქვეყნის ქუჩის კუთხიდან უცებ გამოსულმა სამხედრო პატრულმა მგზავრებს გზა გადაუჭრა და ჩხრეკა დაუწყო.

აკაკის ახლა ზაფრანის ფერი დაედო! უბეში ახალთ-ახალი პროკლამაცია ედო, რომელიც წელან სევასტიმ გადმოსცა. მას წესად ჰქონდა დადებული: არც შინ და არც ჯიბეში არასოდეს არაფერი სახიფათო რამ არ შეენახა, და დღემდის ამ წესს პირნათლად ასრულებდა, ახლა კი ეშმაკმა გააბრიყვა და დაპლუბა. აკაკიმ შიში აილაგმა, მარსელიოზის ღიღინი დაიწყო და თავჩალუნულმა განაგრძო სიარული, ვინაიდან უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა.

— ხელი ასწიე! — მიამახა მას ერთმა სალდათმა და უცვვე ჯიბეებზე მოუფათურა ხელები.

ამ დროს აკაკიმ პატრულის შეთაურს კლიმიაშვილს მოჰკრა თვალი და გაზარებულმა დაუძახა:

— ბატონ სანდროს ჩემი უღრმესი სალამი!

— ბატონ აკაკის ვახლავართ!

— კაცო, ამ სირცხვილს ვადამარჯინე. ყაჩაღი ხომ არა ვარ, რომ საქვეყნოდ მჩხრეკავთ.

— თავი დაანებე — უბრძანა სანდრომ სალდათს და აკაკის უთხრა: — მიბრძანდით, ბატონო აკაკი, მიბრძანდით. ვთხოვთ თქვენს დედმამას და ქალბატონ ქეთოსაც მოკითხვა გადასცეთ.

\*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 1.

— რაღა მოკითხვა უნდათ! — ღიმილით და ხელგაშლით მიუძღო აკაკიმ. — დღეს ქეთოს დღეობაა, მობრძანდით და პირადად მიულოცეთ. ერთი უწინდელი დროც გავიხსენოთ და ძველებურად ქადაგებას ვიქეიფოთ.

უცებ უკნიდან სალდათის ყვირილი მოესმა:

— სტოი, სტოი! — შესდექი, თორემ გესვრი!

აკაკიმ მიიხედა და თედო დაინახა, რომელიც თურმე უკნიდან მოსდევდა. სალდათი აკაკის ხელაწეულ ამზანაგს გულმოდგინედ სჩხრეკავდა. აკაკის აზრმა გაუღვლა სანდროსთვის ეთქვა, რომ თედო არ გაეჩხრეკათ, მაგრამ ენა დაემა, თითქო შერცხვა ელიარებინა, რომ ის ტლანქი და ქუჭყიანი მუშა მისი მეგობარი იყო.

სალდათმა თედოს რაღაც ქალაღდები ამოუღო უბიდან, თვითონ თედო კლიმიაშვილს მიუყვანა, ის ქალაღდებიც გადასცა და მოახსენა:

— რუსულს არა ჰგავს და იქნება თქვენ წაიკითხოთ.

აკაკიმაც დაჰხედა იმ ფურცლებს და ის პროკლამაცია იცნო, რომელიც თვითონაც ედო ჯიბეში. იცნო და სათქმელი მოამზადა, მაგრამ თქმა დაუგვიანდა, სამიოდე წამით დაუგვიანდა.

კლიმიაშვილმა აკაკის ერთი ვადმოჰხედა და ისე გაუღიმა, თითქო რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ დროზე ვერ მიიღო პასუხი და სალდათს მიუბრუნდა:

— ეს კაცი კომენდანტს მიუყვანე და ეს პროკლამაციებიც გადაეცი. მარში!

თედომ აკაკის უცნაურად გაუღიმა, რამდენჯერმე უცნაურადვე ჩაუქნია თავი და სალდათს ვაჰყვა, რომელმაც თოფი მხარზე გაიღო და პატიმარი წინ გაივლო.

— მამ გელოდებით. — მიადახა აკაკიმ კლიმიაშვილს და ქავკავადის ქუჩას აჰყვა, თან სინდისის ქეჯნა და ნაოქებად ქცეული შუბლი წამოიღო.

„რას ნიშნავს თედოს უცნაური ღიმილი და თავის-ქნევა? — ჰკითხა მან თავის თავს და თვითონვე უპასუხა: — საყვედურს და... მუქარას. ვითომ შემემლო ვადამერჩინა? მგონი შემემლო, უეჭველად შემემლო, მაგრამ განზრახ ხომ არ მიქნია? ეშმაკი დამაჯდა ენაზე და სამიოდე წამით დამაგვიანა. მაშინ მაინც მეთქვა რამე, როცა სანდრომ შემომხედა. ვადავარჩინდი, დავიშადღობდი. ახლა კი მთელ ქალაქს ქორს მოსდებენ და საყვედურით თავს მომაბეზრებენ. ეჰ, რაც მოხდა, მოხდა! გვიანლა სასანული და ვიში“.

მართლა გვიანლა იყო სინანული. უცებ ხიფათი ვაახსენდა, უბიდან პროკლამაცია ამოიღო, ნაკუწნაკუწად აქცია, აქა-იქ მიაბნია და ვაიფიქრა: „ამას რაღა წაკითხვა უნდა! ზეპირად ვიცი რაც ეწერება“.

და ათიოდე წუთის შემდეგ მარსელიოზის ლილინით-მეშვიდე ნარმიან სახლს მიადგა, სადაც თვითონაც ჰქონდა ბინა და მისი დედამა და ძმებიც ცხოვრობდნენ.

ეროვნული  
გამაგრილებელი

აკაკი, მისი ბიძაშვილი გრიგოლი და უმცროსი ძმა ნიკო თითქმის ერთად ავიდნენ ანდრიასთან და იქ მყოფ გამარჯვება უსურვეს.

გრიგოლი ოცდა-ხუთმეტე წლისა იქნებოდა, შუა ტანისა, მკვრივი, ბელტივით მოჭრილი, ჯაგართმიანი, მოკლე-კისრიანი, სოფლის მზისგან და ქარისგან გარუჯული. ის ორიოდე თვის წინათ ჩამოსულიყო ქალაქში, ახლალა დაეწყო წვერის პარსვა და ამიტომ მის განიერ სახეს ორი ზოლი ემჩნეოდა: ზევით — ჩამუქებული, დამწვარი, ქვევით კი უფრო სუფთა და ღია ფერისა.

ნიკო მორიდებით დაჯდა კუთხეში და გაზეთის კითხვას შეუდგა. ისიც ამ ოჯახისა იყო, ისიც ამ სახლში დაიბადა, აქვე აღიზარდა, და ქვემო სართულებში — ძმასთან და ბიძაშვილებთან ხშირად მოდიოდა, დედამისის ბინაში კი უკანასკნელ ხანს იშვიათად ამოდიოდა და თავი სტუმარსავით ეჭირა, ნამეტან კი პოლიტიკურ საუბარს ერიდებოდა, ვინაიდან იგი მუდამ უსიამოვნო კინკლაობით თავედებოდა.

ნათესაებმა ყუშმარებზე და დახოცილთა ვინაობაზე ჩამოაგდეს საუბარი, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა ვინ იყო და რამდენი იყო დაჭრილ-დახოცილი.

— ნიკო, შენ გეცოდინება: ვინ მოაწყო დღევანდელი ქლექა? — ჰკითხა ლიმიტრიმ.

— მე რა ვიცი? — ჩაიბურტყუნა ნიკომ.

ყველამ ლიმილით გადაჰხედეს ერთმანეთს და ერთი წუთით დუმილი ჩამოწვა. მერმე აკაკიმ ხელების ფშვენეტით და ტკბილი ლიმილით ჰკითხა წვერაძეს:

— რასა იქმ, იაკობ? ამ ერთ კვირაში რამდენი ფქვილი გაჰყიდე, რამდენი მატყლი იყიდე და რამდენი სომხის სახლი დაიგირავე?

— ეჰ, ბატონო, — თავდაბლად მიუფო მან, — სომხებთან ჯიბრი რა ჩემი საქმეა? თუ გაიგეს, მართალი ეგონებათ და სამ დღეში გამაკოტრებენ. ისევ იმათი წყალობით მიდგა სული და მადლობის მეტი არაფერიც არ შეთქმის.

— ვიცით, გიცნობთ, ლამის ერთმანეთი დასქამოთ. აქამდის კიდევ დასქამდით, მაგრამ საერთო მტერი გაგიჩნდათ, პროლეტარიატმა შემოგიტიათ და ამიტომ ვახდით სოლოლაკელთა მადლიერი, არა? ეხე-ხე! ვიცით, ვიცით! — და აკაკიმ მას ლაზღანდარულად მოუტაცუნა ხელი.

— რასა ბრძანებთ, ბატონო აკაკი! ქართველ ვაჭრებს საილაღლაკე-  
ლებთან სავაჭრო საქმე გვაკავშირებს, თორემ სხვა მხრივ...

— კარგი, კარგი, ნუ კი გეწყინა. — გააწყვეტინა ჩვენ და  
თქვენ ჯერ სადავო არაფერი გვაქვს. ჯერ საერთო მტერი გავანადგუ-  
როთ, ჯერ ბიუროკრატია და ფეოდალები მოვსპოთ და მერმე თქვენ  
მოგიბრუნდებით, ეხე-ხე! ვხუმრობ, ჩემო იაკობ! არ დამიჯერო! ეხე-ხე!

— იაკობს მართლა ხუმრობა ჰგონია, — ჩაურთო გრიგოლმა და სა-  
ქანელა სკამში გაიჭიმა, — ნამდვილად კი აკაკიმ ალალი სიშართლე  
უთხრა.

ლიმიტრიმ ხმამაღლა გადიხარხარა. ანდრიაშვილი გაიღიმა.

წვერაძეს უნდოდა რალაც ეთქვა და გამოშვებული თითი პაერში  
შერჩა. მას ჯერ ვერ გადაეჭრა, აკაკი მართლა გაეხუმრა, თუ ხუმრო-  
ბაში სიშართლე ჩაურია. აკაკიმ აღარ დააცადა და მიამხა:

— ჰა, არ მოგატყუოს! ჩვენს პარტიულ პრესას და პროკლამაციებს  
ყველაფერი კი არ უნდა დაუჯერო. მთქმელს გამგონი უნდაო. ჩვენც ვი-  
ციოთ, რომ მუშას მხოლოდ კაპიტალის წყალობით შეუძლიან იარსებოს.  
თქვენისთანა განათლებული ვაჭარ-მრეწველი ასი-ათასობით გვჭირდება.  
უთქვენოდ ჩვენ ისევე ვერ გავძლებთ, როგორც თეგზი უწყლოდ.

ახლა გრიგოლმა გადიხარხარა და რამდენიმე სიტყვა მიაწოდა:

— ესე იგი, პოლიტიკა შენ და ეკონომიკა მავას, არა?

— დიად, სწორედ აგრეა. — ჩამოართვა აკაკიმ. — ჩვენ ვაჭრობა-  
ძრეწველობას ახლოსაც არ გავეცარებით. სამაგიეროდ კომერსიანტს პო-  
ლიტიკა არ ესმის და არც აინტერესებს. ეს უმთავრესად იურისტების  
საქმეა.

— ესე იგი შენისთანა ადვოკატების საქმეა, არა? — ისევ გააწყვე-  
ტინა გრიგოლმა და ჰკითხა: — მუშებს რალა დაუტოვე?

ნიკომ გაზეთის კითხვა შესწყვიტა და გაოცებით გამოაშხედა აკაკის.

ფანჯარასთან მდგომმა ლიმიტრიმ გაიციხა და ჩაურთო:

— თბის პატრონს თბის კუდიც ეყოფა.

აკაკი თითქო შეერთა, მაგრამ მაშინვე ხელთ იგდო თავის თავი,  
გრძელი წითური წვერი მოიფოცა და უპასუხა:

— მუშებს თავი დაანებეთ. მუშები თქვენი სახსენებელი არ არიან.  
ჩვენ და მუშები მუდამ მოვრიგდებით. ყველა პარტიას შტაბიც ჰყავს და  
ლაშქარიც.

— ვინ არის შტაბისტი და ვინ არის ლაშქარი, ეგ ზურაბ გურგენი-  
ძესაც ჰკითხე. იქნება ნიკომაც გვითხრას რამე. — ლიმილით მიუგო ლი-  
მიტრიმ.

ნიკომ არაფერი უპასუხა.

— ეგეც ჩვენი შინაური საქმეა და მოპრიგებელი არა გავუბრუნებ. ჩვენ სხვა რამეზე ვლაპარაკობდით. — მოუჭრა აკაკიმ კეფის ფურცლებს და მოუბრუნდა: — დღეს მებრძოლნი ასე არიან დალაგებულნი, მხარეს მუშები, გლეხები და პროგრესიული ინტელიგენცია სდგას, მეორეზე კი მეფის ბიუროკრატიას, მემამულეებს და თავადაზნაურობას მოუყრია თავი.

— მე რომელ ბანაკში მომაქციე? — ჰკითხა გრიგოლმა.

— შენ ცარიზმის დამხობის მომხრე ხარ, ნაციონალისტი ბრძანდები, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ ამავე დროს მემამულეც და რეაქციონერიც ბრძანდები.

— ის მამული ყველას გვეკუთვნის. — მიუგო გრიგოლმა და წამოიწია. — მე ყველას საიჯარო ფულს ვიხდით. პირადად შენ წელიწადში სამოც თუმანს მართმევ. წლეულს გლეხები ამიჯანყე, დიად, შენ და ნიკომ ამიჯანყეთ, შემოსავალი მომისპე და ამავე დროს შენს ზვედრს სამოც თუმანსაც მოითხოვე? მაშასადამე შენ მემამულეცა ხარ და უარესიც. შენ ჩემი ხელით სცარკავ გლეხებს და პირადად ჩემს ნაოფლარსაც მიართმევ. ნიკო კი პარტიოსანი რევოლუციონერი გამოდგა. მან ამ საბლზედაც აიღო ხელი და მამულსაც თავი დაანება.

დიმიტრიმ ნიკოს ბულღულივით აპენტილ შავ თმაზე ხელი გადუსვა და გრიგოლის ნათქვამი უსიტყვოდ მოიწონა, აკაკიმ კი უპასუხა:

— ნიკო სულელურად მოიქცა. თავის წილი იმასაც უნდა გამოერთმია შენთვის და ერთობის საქმეზე დაეხარჯნა.

ნიკომ ახლა კი ამოიღო ხმა:

— ყველას კარგად ესმის ვინ არის სულელი, მე თუ შენ. გრიგოლს შემოსავლის წყარო ჩვენვე დაუშროთ და იჯარაც მოეთხოვოთ? სად არის შენი სანაჭებო პრინციპი და იურიდიული საბუთი?

ანდრეამ სავარძლის სახელურზე თითი ააკაჯუნა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მას ამგვარი უდიერი კილო არ მოეწონა. შეილები და ძმისწულები მიუხედნენ და თავი აილაგმეს.

— დაიცა, გრიგოლ, ნუ ავდელდებით. — ისე განავრძო აკაკიმ, თითქო ნიკოს სიტყვები არ გაეგონოს, და გრიგოლს ახლო მიუჯდა. — ეს ძლიერ საინტერესო და ძლიერ რთული იურიდიული პრობლემაა. იგი რამდენიმე მხრიდან უნდა გაეჩხრიკოთ.

დინჯად გაჩხრიკა და დაუმტკიცა, რომ მას, აკაკის, უფლება აქვს მემამულეებს გლეხები აუჯანყოს და თვითონ კი არ დაზარალდეს; რომ სხვების მამული გლეხებს დაურიგოს და თავის წილი კი რაღაც მანქანებით შეინარჩუნოს; რომ ყველა მემამულე მხოლოდ იმიტომ არის უცი-



ლობლივ ერთობის მტერი, რომ ის შემამულეა, ხოლო გეგმებს შეუძლიან— მარტო აკაკის— შეუძლიან და სხვა არავის— ერთობის მტერი იყოს და მამულის შემოსავალიც შეინარჩუნოს; რომ გრიგოლი ერთობის „მოშრია“, მაგრამ ის მოჯანაგირე გლეხებს ამუშავებს.

ყველას სიცილი წასკდა, გრიგოლმა კი წყრომით წამოიძახა:

— შენ არც იურისტი ყოფილხარ და არც სოციალისტი.

— მაშ ვინ არის? — მაშინვე მიაწოდა დიმიტრიმ.

— შენ გენიალური მეტაფიზიკოსი, კაზუსტი და კაბალისტი ხარ. შენ რომ სოციალისტობაზე ხელს აიღებდე და ზონში ან ზაშურში დასახლდებოდე, იქაურებში პირველი აბლაკატი იქნებოდი. იულიოს კეისარმა სთქვა:

— ვიცით რაცა სთქვა. — გააწყვეტინა აკაკიმ. — ჭალაქში მეორე აღაგს ისევე სოფელში, პირველობა მიჩვენია. შენ პირველი კაცი იყავი სოფელში, მაგრამ გამოგადღეს, მე კი მეასე ვარ ჭალაქში და ესეც მტყოფა.

ანდრია ვაუნძრეველად იჯდა, თითქო სთვლემდა და ხანგამოშვებით ცბიერად იღიმებოდა.

ამ დროს თავის ოთახიდან ქეთო გამოვიდა და თან ბედნიერი ღიმილი და ისეთი სინათლე გამოიტანა, თითქო ფანჯრებს უცებ ხავერდის ფარდები ჩამოხსნესო. ძმებმა და ბიძაშვილებმაც მზიარულება დაუხვედრეს: დღეობა მიულოცეს, დაჰკოცნეს და საჩუქარი მიართვეს.

მამამ დილას ათი თუმანი აჩუქა და ახლა განმეორებით აკოცა.

გრიგოლმა მძივებით მოქარგული ატლასის ჩანთა მიართვა.

აკაკიმ შოკოლადით სავსე ბროლის ლარნაკი მოუტანა, რომელიც ფანჯრის რაფაზე იდგა.

რაფის მეორე ნახევარი ვეება თაიგულს ეჭირა, რომელიც წვერაძეს მოეტანა.

დიმიტრიმ „ვეფხის ტყაოსნის“ ძვირფასი გამოცემა მიართვა, რომელიც როიალზე იდო, ხოლო მის გვერდით დობროლუბოვის და ჩერნიშევსკის ტომები ეწყო, რომელნიც ნიკოს ქეთოსთვის ეშოვნა.

ქეთო როიალთან დაჯდა, სახურავი აპხადა და ცალი ხელით კლავიშებს აკოდვილებდა და ამავე დროს ხელის ჩანთას სინჯავდა, რომელიც გრიგოლმა აჩუქა.

— როგორც ვატყობ, ქეთოს ყველაზე მეტად გრიგოლის ნაჩუქარი მოეწონა. — სთქვა დიმიტრიმ.

— მშვენიერია. — მიუგო ქეთომ. — ასეთი რამე მაღაზიაში არ იშოვება.

— რა თქმა უნდა არ იშოვება. — დაუდასტურა გრიგოლმა. — ახლა მალაზიებში მხოლოდ მანქანით ნაკეთები უშნო და უსსლო სტანდარტული საქონელი აწყვია.

— ჩანთას კი სული აქვს? — ჰკითხა აკაკიმ.

— მთქმელს გამგონი უნდა, აკაკი. — მიუგო გრიგოლმა. — „სული“ ფიგურალური სიტყვაა და არა თეოლოგიური. ყველა ლამაზი და იშვიათი ნივთი ხელით არის ნაკეთები. ხელოსანი ზოგჯერ ხელოვანია და რასაც აკეთებს, სულით და გულით აკეთებს.

— მაგალითად?

— მაგალითად ძველებური ხელსაქმე, ძველებური იარაღი, ოქრო-შქედელთა ნახელავი, ზოგიერთი ქსოვილი და ბევრი სხვა რამეც. ერთხელ მაინც შეინხედეთ მუზეუმში, ძველებურ ოჯახში და თვალნათლივ დარწმუნდებით. რალა შორს წავედეთ. ჩვენი მდებურის დოვლათაშვილის კოლექცია გასინჯეთ და გაოცდებით.

— შენი მასწავლებლის მართასი?

— ანტონისა და იმის შვილის მართასი.

გრიგოლი რომ ქალაქში ჩამოვიდა და შინამრეწველობის კომიტეტში დაიწყო სამსახური, იქ კურსების მსგავსი რამ დაუხვდა, რომელიც მან ერთი-სამად გააფართოვა და მართა ხელსაქმის მასწავლებლად მიიწვია.

— ოდესღაც ქართული ხელოსნობა მთელ წინა-აზიაში იყო განთქმული და მისი სახელი ევროპაშიც კი გავიდა. — ამბობდა გრიგოლი. — ეს პუშკინმაც კი იცოდა და ქართულ ფოლადს ქება უძღვნა. განთქმული იყო აგრეთვე ქართული სამართებელი და ხელსაქმე. დიდი მწერალი პიერ ლოტი სწერს: ქალმა საუკეთესო ქართული რიდე მოიბურაო. მეორე მწერალი ოსკარ უალდი და ალექსანდრე დიუმაც აქებენ ჩვენებურ სიროფს, ჩაფარიშს და საერთოდ ხელსაქმეს. 1812 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრი გურევი კავკასიის მთავარმართებელს სწერდა: მთელ აზიაში საუკეთესო ძვირფას ხელსაქმედ ქართული ხელსაქმე ითვლება და მას გასატანი ბაჟი დაადეთო. ახლა კაპიტალმა ის ესთეტიკური ქვეყანა დაანგრია. მანქანებმა ხელოსნობა თითქმის სულ მოგვისპო.

— ძალიან კარგი უქნიათ. — მიაწოდა აკაკიმ.

— შენთვის უცხოში ყველაფერი კარგია და ჩვენებური კი ცუდია. — მიუგო გრიგოლმა. — შენ იმასაც კი არ აქცევ ყურადღებას, რომ ხელოსანიც და საქარხნო მუშაც ორივე მუშაა, მაგრამ ხელოსანი თავისუფალია, კაპიტალისტურ ქარხანაში მუშა კი მანქანის მონაა.

ამან ფიცხელი კამათი გამოიწვია. ნიკო იმ აზრს ანვითარებდა, რომ სოციალიზმი მუშას თავისუფალ მოქალაქედ აქცევს, ხოლო ახლანდელი ხელოსანიც მუშასავით კაპიტალის ყმა არისო.

ანდრო მათს საუბარს ყურს უგდებდა და გრიგოლს თანხმობის ნიშნად თავს უკანკურებდა.

— მაშ მანქანა უნდა მოვსპოთ, არა? — ჰკითხა გრიგოლმა.

— სულაც არა. — მიუგო გრიგოლმა. — მანქანა თავის საქმეს აკეთებს და მას ვერაფერს ალუღდება წინ. მაგრამ უცხოელნი რომ მანქანებით იყვნენ აღჭურვილი და ჩვენ კი მხოლოდ სათითო და ხელეჩო გვეჭიროს, რა თქმა უნდა, ჩვენ მათი ყმები გავხდებით. ჩვენ საკუთარი მრეწველობა უნდა გავიჩინოთ და ამავე დროს შინამრეწველობაც გავავითაროთ, რომელსაც საერთო სახალხო მეურნეობაში ათჯერ უფრო მეტა წონა აქვს, ვიდრე ზოგს ჰგონია.

— ჩვენ მრეწველობის განვითარებას ხელს არ ვუშლით. — განაცხადა აკაკიმ.

— რა თქმა უნდა, უშლით. — მიუგო გრიგოლმა. — გაუთავებელი გაფიცვა კაპიტალს აფთხოვს. განა ჭიათურა ასე უნდილად უნდა მუშაობდეს? უცხოელებმა საქართველოში სულ რამდენიმე მილიონი მანეთი შემოიტანეს და ლამის უკანვე წაიღონ. აკი კიდევ ვაიტანეს. მანთაშეგმა და ნობელმა თავიანთი ქარხნები ბათომიდან ეგვიპტეში გადაიტანეს. ეს სულ თქვენი საქმეა, გაუთავებელი გაფიცვების შედეგია. ამის გამო რამდენიმე ათასი მუშა მშვიერი დარჩა. მათ ორი მილიონი წლიური შემოსავალი დაჰკარგეს.

— მუშებს შენი სარჩლობა არა სჭირდებათ მეთქი. — გააწყვეტინა აკაკიმ.

— შენც ტყუილად იჩემებ მუშებს, აკაკი — განაგრძო გრიგოლმა. — ნუ გავიწყდება, რომ ინგლისელი მუშა, რომელიც ჩვენებურ მუშას პროფესორად გამოადგება, იქაურ ბურჟუაზიას ენდობა და საარჩევნო ხმას უმთავრესად მას აძლევს ხოლმე.

ნიკომ ველარ მოითმინა და ჩაილაპარაკა:

— მალე ვნახავთ ვინ გახდება პროფესორი, აქაური მუშა თუ ინგლისელი.

— კარგი, გრიგოლ. — მიუგო აკაკიმ. — ვთქვათ ბათომში გადავაქარბეთ. მერე რა?

— ერთი დახე, გადავაქარბეთო! — ჩაულაპარაკა ნიკომ დიმიტრის. — აქ გაჩაღებული ომია და რა საკვირველია, რომ ორიოდე ბურჟუა დაფრთხეს და გაიქცეს?

— არც მე მიკვირს. — უპასუხა მიტომ.

— მერმე ისა, რომ თქვენ ეროვნულსა და უცხო კაპიტალს ერთმანეთში არ არჩევთ — უსაყვედურა გრიგოლმა აკაკის.

ნიკომ გესლიანად გაღიხარხარა და წამოიძახა:

— ახლა კი თავის შოვინისტურ-კაპიტალისტურ კვამბში მესტობა და ველარ გამოვა!

გრიგოლმა ეს რეპლიკა თითქო ვერ გაიგო და ისევ დაჰქექსუ უბნინდა, რომ ეროვნული კაპიტალი სისხლია, რომელიც შინვე დატრიალდება. ზოლო უცხოელთა კაპიტალის მოგება გარეთ გავა და ერი სისხლისგან დაიცლებათ. გარდა ამისა, უცხო კაპიტალს საშინელი ხიფათიც მოსდევსო, და მაგალითიც დაასახელა: სომეხმა კაპიტალისტებმა ტფილისში რამდენიმე მილიარდი აგური დააგროვეს და ჩვენი დედაქალაქი დაიჩემეს, ზოლო ჩვენს მიერ აქ დაღვრილი ზღვა-სისხლი ანგარიშში აღარ შედისო.

— აკი ვამბობ, ამ კაცს რევოლუციისა და სოციალიზმისა არაფერიც არ ესმის მეთქი! — წამოიძახა ნიკომ და წამოხტა. — ჩვენ კაპიტალიზმს სრულ მოსპობას ვუპირებთ, ეს კი გადმომდგარა და გვიარჩევს: სომეხების კაპიტალი განდევნეთ, ნობელ-როჩილდებისა! ჯერჯერობით დასტოვეთ, იქნება ჩვენ მათი ნასუფრალი გვერგოსო, ზოლო ქართველი ვაჭრუკანები ნობელივით გაგვისუქეთო. ისევ თავის რაშზე შეჯდა და ველარავინ გააჩერებს მეთქი!

ისევ ანდროამ გააჩერა: მისმა თითმა კაცური დაიწყო და მოსაუბრენი აიძულა საუბრის კილო და საგანი გამოეცვალნათ.

ამას წინათ ახატუნელები თეატრში იყვნენ და იბსენის „ხალხის მტერი“ ნახეს. ყველამ აღიარა, რომ დიდმა არტისტმა ლადო მესხიშვილმა, მიუხედავად სიბერისა, შტოკმანის როლშიც თავის უდიდესი კულტურა, შინაგანი ტემპერამენტი და კლასიკური პლასტიურობა გამოაჩინა.

მერმე სხვა ახალი პიესებიც გაიხსენეს, რომელიც ერთობამ გააჩინა, და აფრთოვანებით მოიხსენეს მუდამ ახალგაზრდა ვასო აბაშიძე, მისი ნაკოლარი სმენა-დაზიანებული და მაინც უბერებელი მაცო, მათი გიჟმაგი ქალი ტასო და უბადლო ხანუმა ნატო გაბუნია. პოლიტიკა თითქო დაივიწყეს, მაგრამ ამ ქალბატონმა მალე ჯერ ნაჩერეტში შემოჰყო თავი, მერმე კარი გააღო და ბოლოს ისევ მოსაუბრეთა შუაგულში დაბრძანდა.

— მე ევროპა დავიარე და გავოცდი — ამბობდა გრიგოლი. — ქალი ბატებს აძოვებს და დილიდან საღამომდის თავჩალუნული ჰქაოვს, ტრამვაის ან რკინის გზის ვაგონში შეიხედავ და იქაც ჰქაოვენ; საღმე ბალში ასობით თამაშობენ ბავშვები, ზოლო მათი ძიძები და დედები სხედან და ჰქაოვენ, ჰკერავენ, ჰქარგავენ. ყველა ევროპელი იმის ცდაშია, რომ ყოველი წუთი და საათი ასარგებლოს, აქ კი ისევ აღმოსავლეთი სუფევს, რომელსაც საათის მნიშვნელობა ჯერაც ვერ გაუგია. ამ საათმა და დროს გამოყენებამ შეჰქმნა ის სახელოვანი ევროპული კულტურა, რომელიც ჩვენც გვენატრება, მაგრამ მას შესაძლოა ათასი წლის შემდეგაც ვერ დავეწიოთ. რა არის ის სანაქებო კულტურა? იგი ოციოდე საუკუნეში დაგროვილი ნაოფლარია, იგი ასიოდე თაობის მიერ შედედებული ენერგია. „ნათობა“ № 2.

გიაა, რომელსაც ქართველი ვერც ასწონავს და ვერც გაზომავს ჩვენ გვარწმუნებენ, თითქო ევროპაში მხოლოდ მუშა და გლეხი მუშაობდეს.

— ნამდვილ მეშჩანურ-ბურჟუაზიულ ფილოსოფიას ვეჩქვანდებით. — ჩაილაპარაკა ნიკომ, რომელიც ხანგამოშვებით ტოკავდა და თავს ძლიერს ილაგმავდა.

ქეთომ ნიკო ღიმილით და თავის ჩაქნევით გააშხნევა. ქალი ყურს აღარ უგდებდა წვერაძეს, რომელიც გვერდით მოსჯდომოდა და საარწიყო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა.

გრიგოლი ახლა კი მიუბრუნდა ნიკოს და ბრაზით უთხრა:

— თქვენ ყველაზე მეტად ყველაზე უფრო მშრომელი გლეხი და მშრომელი მოქალაქე ვქულთ. ერთ მათგანს ბობოლა დაარქვით, მეორეს კი მეშჩანინი.

— დიალ, აგრეა. — დაუდასტურა ნიკომ და გასწორდა, თითქო საბრძოლველად მოემზადაო.

— მე კი მოგახსენებ, რომ კულტურის ქონებრივ-მორალურ საფუძველს სწორედ ისინი ჰქმნიან და არა მუშები და ბანკირები.

— კულტურას ყველა თანაბრად ჰქმნის თავთავის დარგში: ბურჟუაზი, მუშაც, გლეხიც და მოქალაქეც. — ჩაერია აცაკი.

— საქმე ეგ არ არის — განაგრძო გრიგოლმა, — საქმე ის არის რომ თქვენ ახლანდელი არისტოკრატიული სული ჩაიდგით და ახლანდელ არისტოკრატებზე უფრო მეტად შეძლებული გლეხი და მეშჩანინი შეიძლება.

— ჩვენს არისტოკრატობას თავი დაანებე. სულ ერთია არ დაგიჯერებენ. — ნერვიულად გააწყვეტინა ნიკომ. — შენ მრავალჯერ გიქია საერთოდ ევროპა და კერძოდ იტალიური ფერმერი. მეშჩანინი, მათი ფეხისალაგები, მათი სიფხიზლე, შრომის მოყვარეობა, მომჭირნეობაც და სისუფთავეც. სადავო მანდ არაფერია. ჩვენ მართლა ჩამოვრჩით ევროპას, არა ათასი წლით, მაგრამ მიინც ჩამოვრჩით. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვეჯერა, რომ სოციალიზმის წყალობით დრიგინ-დრიგინით დავეწვეით. უმთავრესი მიინც ის არის, რომ შენ მდიდარ გლეხობას და მეშჩანობას ესარჩლები. გვეუბნები, ყველაზე მეტს ისინი შრომობენო. საეჭვოა რომ აგრე იყოს, მაგრამ ვთქვათ დაგეთანხმე: მერმე რა? შესაძლებელია, რომ ზოგი ბანკირი, ზოგი მრეწველი და ზოგი ვაჭარიც ყველაზე მეტს მუშაობდეს. მერმე რა მეთქი? საქმე ეგ კი არაა, საქმე ის არის, რომ შენი შეძლებული გლეხობა და შენი საყვარელი მეშჩანები ორი უმთავრესი ბურჟია, ორი უმთავრესი ავტორია დღევანდელი წყობილებისა, მართალია თუ არა?

— სრული სიმართლეა. — დაუდასტურა გრიგოლმა. — მერმე რა?

— შერმე ისა, რომ შენ სწორედ მაგ ბურჯებს ეყრდნობი, ესე იგი კერძო საკუთრებას იცავ, ჩვენ კი სწორედ მაგას ვუმეჭყვინთავთ. ნიკომ და წამოდგა. — შენი პროგრესისტობა მხოლოდ ასე დაიქვამა გინდა მაგ დამპალ შენობას მესამე ბურჯიც შეუდგა.

— რომელი?

— ახლაც მოგახსენებ. ორბელიანებს და დადიანებს თვითონ ას-სამოცი ათასი დესეტინა მამული აქვთ, რომელიც მათ არც კი დაუთვალეობიათ და არც მისი საზღვრები იციან. ამგვარი მუქთახორები ჩვენს პაწია საქართველოს უზარმაზარ წურბელებივით სწოვენ. ეს ნამდვილი ფეოდალიზმია და ამას ვერაფერს უარაკოფს. რას გეთავაზობ შენ ამის ნაცვლად? გლებებმა ეს მამულები გამოისყიდონო, არა?

— დიად, უნდა გამოისყიდონ. — დაუდასტურა გრიგოლმა.

— ეს მამულები მათ ასჯერ მაინც გამოისყიდეს, აკმარეთ, ამყოფეთ! — აუწია ხმას ნიკომ. — მაგრამ თქვენ სოფელს მაინც თავს არ დანებებთ. თქვენ გინდათ იქ კულტურული როლი შეასრულოთ.

— დიად, აგრეთ. — ამყად მიაწოდა გრიგოლმა.

— თქვენ გინდათ, რომ თავადაზნაურობამ მუქთახორობაზე ხელი აილოს, ცოდნითა და კაპიტალით შეიარაღდეს და ევროპელ მემამულეზე გადაიქცეს. ეს ხომ ილია ჭავჭავაძის პროგრამაა, რომელსაც შენც გეოქადაგებ ხოლმე.

ილიას ხსენებაზე ანდრიამ თვალები გაახილა, გრიგოლმა კი ნიკო გააფრთხილა:

— ამ ოჯახში სანამ ილიას სახელს ახსენებდე, მანამდე პირი გამოირეცხე ხოლმე.

— მე ილია მხოლოდ იმისთვის ვახსენე, რომ ის მესამე ბურჯი დამესახელებინა, რომელსაც შენ ეჭიდები. მაგრამ იგი ხავსია და არა ბურჯი, ოცნებაა, ლანდია, რომელსაც ერთობა მალე გაპტანტავს, დიად, ცეცხლითა და მახვილით გაპტანტავს!

— გეყოფათ, გაათავეთ! — სთქვა ანდრიამ და ხმაში დაეტყო, რომ ამგვარი კილო და სიტყვები ემწარა. — დღევანდელ დღეს მაგისტანა კამათი არ შექმენის.

ოჯახის მეთაურს ურჩობა არავინ გაუწია. ანდრო თავის კაბინეტში გავიდა. აკაკი აღელვებულ უმცროს ძმასთან მივიდა და უთხრა:

— ყოჩაღ, ნიკო. შენ რომ არ გეთქვა, მეც სიტყვასიტყვით მაგასვე ვეტყვოდი. საკვირველი მაინც ის არის, რომ შენი მასწავლებლისგან უმთავრესი ხერხი აგრე მალე გისწავლია: წერილიმანს ნაგავსავით გადაპყრის და მაშინვე უმთავრეს ღერძებს ჩაავლებს ხოლმე ხელს. სამ წუთში გააშიშვლე ჩვენი გრიგოლი და მისი კლასობრივი სარჩული დავანახვე.

ნიკომ აღარ ჰკითხა აკაკის, რომელ მასწავლებელს ჰპატივდებდა შენ კარგად იცოდა, რომ მისი ძმა ზურაბ გურგენიძეს ჰგულივებდა, რომელიც არა ერთხელ უხსენებია ირიბული ღიმილით, მუხამაყდარე ახლაც დასცინოდა, ნიკოსაც დასცინოდა და ზურაბსაც. ნიკოს ძლიერ ჰსურდა თავისთავადი ყოფილიყო, აკაკის და სხვებს კი ზურაბის ჩრდილად მიანდათ.

აკაკიმ წყენა შეამჩნია მას, მკლავში ხელი წააელო და ჩაუღიმილა: — ნუ კი გეწყინება, ბიჭო. ეგ კარგი რამე გისწავლია ზურაბისგან, სხვა მხრივ კი შენ მხოლოდ ნიკო ახატნელს ჰგეგხარ და მეტს არავის. ყველამ იცის, რომ შენ ზურაბზე უფრო ნაკითხი ხარ, იმაზე უფრო მეტი ტემპერამენტოცა გაქვს და იმაზე უკეთესი ორატორიოცა ხარ. მაგრამ... მაგრამ — აკაკიმ თითები ააცმატუნა და დაასრულა: — მაგრამ ზურაბი მარტო მუშებს ემყარება და შენისთანა ინტელიგენტს გზას არ მისცემს. ეს ჩვენში დარჩეს. ჩემი ძმა ხარ და იმიტომ გეუბნები. სხვაფრივ კი ზურაბს უღრმეს პატივსა ვცემ და ყოველგვარ გამარჯვებას ვუსურვებ. ჩემი ნათქვამი იმასაც გადაეცი და დაუმეტე: თუ ვინმემ ჩემზე ცუდი რამ უთხრას, არ დაუჯეროს, ქორს არ აპყვეს. ზურაბი ჰკვიანი კაცია და ვიცო, რომ არ დაიჯერებს, მაგრამ მაინც... ისე გეუბნები... ვინ იცის...

აქ რომ საქმე გაიკეთა. ახლა გრიგოლს მიეკრო და ჩასწორჩულა:

— ჩვენი ნიკო მეტისმეტად აფორიაქებული კაცია და არ ვიცი რა ეუყო. ბევრი სისულელე წამოროშა, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევ. გაიზრდება და დადინჯდება.

მერმე ჭეთოს წვერაძე ჩამოაშორა, განზე გაიყვანა და დაბალი ხმით უთხრა:

— კაცო, იაკობ, აღბათ შენც შეამჩნევდი, რომ გრიგოლი ალთას მიიწევს და ნიკო კი ბალთას. ორივეს უკიდურესობა უყვარს. რა თქმა უნდა, არც ერთს დაეჯერება და არც მეორეს. კიდევ რალაც უნდა მეთქვა... ჰო, მართლა: ამ თვის ხარკი არ გადაგიხდია და რას იტყვი? კომიტეტს ათასი საქმე აქვს და უფულობის გამო თითოც ვერ გაუნძრევია.

— ახლავე მოქართმევთ. — მიუგო წვერაძემ და თავის ბინისკენ გასწია.

ჭეთო ნიკოსთან მივიდა და უთხრა:

— შენ ძალიან კარგად უპასუხე გრიგოლს. მეტის ღირსიც იყო. მაგ-ს აზრები მეტისმეტად რთულია, ერთმანეთს არ ეგუება. ნამდვილი შოვინისტია, კაციჭამიაა. შენ კი მოკლედ და ნათლად გააშუქე ყველაფერი. მამაჩემი აქ რომ არ ყოფილიყო, მეც ჩავერეოდი კამათში. შენი ნაჩუქარი წიგნები ორ თვეს მაინც შეყოფა. სამადლობელო ჩემზე იყოს. ახლაც ეს მითხარი: ავშაროვი მართლა მოჰკლეს?

— ავრე სთქვეს. რა იყო, ზომ არ დაგენანა?

ქეთოს წამწამები აუკანკალდა. თვალებზე ხელი მოსხვა და მართლ-  
ვარე ხმით უბასუხა:

— არ ვიცი... ნუ შეკითხები... კარგი კაცი იყო. <sup>ერქონეული</sup> <sup>გინგლიქოსეა</sup>

— ენდარში და კარგი კაცი? არა გრცხვენია? — უსაყვედურა ძმამ.

— მე მინდოდა სხვა რამე შეთქვა...

— ვიცი რაც გინდოდა გეთქვა: ავშაროვს ლამაზი თვალები და  
კობტა უღვაშები ჰქონდა, ხომ?

— გეყო, გაჩუმდი, თორემ ვიტყვებ. უსინდისოვ! — და გულაჩუყე-  
ბული ქალი თავის ოთახში შეეარდა.

— შენ ჰეი, მარქსიძე! — დაუძახა ნიკოს გრიგოლმა. — ქეთოც შენ  
რჯულზე ხომ არ გადაიყვანე?

— თუ შეგიძლიან, შენს ჭკუაზე დააყენე. — მიუგო ნიკომ.

— ქეთო ჩვენია, ხელი არ ახლოთ — ჩაერია დიმიტრი. — ჩვენს წრეში  
დადის და გირჩევთ ხელი აიღოთ.

— როგორ იშლება ეს ოჯახი! — თავის ჩაქნევით სთქვა გრიგოლმა. —  
მარქსიც ამბობს: რაც ოჯახია, სახელმწიფოც ის არისო. ახლა ყველა  
ოჯახი იშლება და მასთან ერთად სახელმწიფოც ირღვევა. სოციალიზმი  
ქერძაფივით პშლის საზოგადოებას.

მას აღარაეინ უბასუხა.

დაბრუნებულმა წვერაძემ აკაკი ტალანში გაიხმო და ხელში რაღაც  
ჩაუღო. მერმე დიმიტრიც გაიხმო და იმასაც ოცი თუმანი გადასცა.

— შენშევიკებსაც აძლევ? — ჰკითხა მიტომ.

— მაშ რა ექნა, ბატონო? — დარცხვენივ მიუგო იაკობმა. — ეგე-  
ნიც ერთობის ხალხია. ამ ორ პარტიას როგორმე გავუძლებ, მაგრამ ახლა  
ანარქისტებმა და ესერებმაც დამადეს ხარკი და არ ვიცი რა ვუყო.

— ეგ სალახანები კინწისკვით გააგდე და შენი თავი მარტო ჩვენი  
პარტიის წვერად გამოაცხადე. თუ კიდევ შეგაწუხონ, ან მე დამიძახე და  
ან აკაკის. დანარჩენი ჩვენ ვიცით და იმათა.

— ავრე ვიზამ, ჩემო ბატონო. თუ იმ ხალხს მომამშორებთ, თვეში  
ათ თუმანს მოგიმატებთ.

— კარგი. ავრე იყოს. — დაამშვიდა მიტომ ვაჭარი და მაშინვე შეუ-  
რიგდა იმ გარემოებას, რომ აკაკი მონახევრედ გაუხდა, მაგრამ მას მეტო  
მონაწილე არა მსურდა და ამიტომ მზად იყო არამკითხე პარტიებისთვის  
მაუშერიანი ბიჭები მიეგზავნა მოსალაპარაკებლად.

ქეთო ხელახლა გამოვიდა თავის ოთახიდან და ნიკოს სთხოვა ქვეით  
ჩასულიყო და მართა ამოეყვანა.

— ახლაც ამოგიყვან — მიუგო ძმამ და საჩქაროდ გავიდა.



## VI



საათის ექვსზე თოვლივით თეთრსა და საესე სტუქჩანს უკუტნელის მთელი გვარეულობა და რამდენიმე სტუმარი მიუსტყნის კსსბაბი ქეთევანი სუფრის თავზე დააბრძანეს. მარცხნივ და მარჯვნივ ორი გასათხოვარი მეგობარი მიუსვენს.

ანდრია სუფრის ბოლოს დამჯდარიყო და გვერდით თავის მეუღლე მარიამი მოესვა, რომელიც შავი ხავერდის კაბით გამოწყობილიყო. დიასახლისი სიბერეს ჯერ არ იმჩნევდა. სპილენძის-ფერ თმაში შეპარული თეთრი ბეწვები შორიდან არა სჩანდა. აღმასების ძველებური მანიაკი, ასეთივე საყურეები და ოთხიოდე ძვირფასი ბეჭედი მის მკერდზე და ხელებზე დილის ნამივით ეყარა.

გრიგოლის მეუღლე ანიკო თავის ქმარს ჰგავდა: მისებრ მკერდით, მისებრ შეგვერემანი, პირსავსე, მზისგან დამწვარი, ვადაგასულ კაბით გამოწყობილი, სოფლურ ცხოვრებისგან გასადავებული და ფოფოდიასავით მორცხვი, რომელიც მოულოდნელად დიდებულთა შორის აღმოჩნდა. ის ობოლი იყო, მცხეთის წმინდა ნინოს დედათა მონასტერში აღიზარდა და ზებირად იცოდა სამღთო სჯული, უთვალავი ლოცვა და საეკლესიო გალობა. ქალაქში იშვიათად ჩამოდის. ძმა ადრე მოუკვდა და მისი მამული მზითვეში დარჩა, რომელიც ამჟამად გლეხებმა დაიჩემეს.

ანიკოს მცირე რამ ოქრო-ვერცხლული და თვალი პატიოსანიც მოეპოვებოდა, რომელიც სოფლიდან გამოქცევის შემდეგ ლომბარდში დაეგირავეს და ამის გამო გრიგოლის მეუღლის ფუნჩულა თითებზე იმ დღეს მარტო ნიშნობის სადა ბეჭედილა კრიალებდა მორცხვად.

აკაკის მეუღლე თამარი გვერდით მისჯდომოდა ანიკოს, თითქო იმისთვის მისჯდომოდა, რომ მათი სხვაობა უფრო აშკარად გამოჩნდილიყო. მაღალი და გამხდარი ტანი სწორედ ეჭირა, შეუსვენებლივ ტიტინებდა, ხშირად და უსაბაზოდ იციწოდა, დიდს უსწორ-მასწორო კბილებს აელვებდა, ნაცრისფერ წვრილ თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. და გათივრად გაპენტლილ ჭერა თმას სიცილის დროს ისე არხევდა, თითქო ორივე მხრივ ჭარი უბერავდა.

წვერამე გრიგოლისა და აკაკის შუა იჯდა. მას თავის ალაგი ქეთოს გვერდით შიანდა, მაგრამ იქ სანები დასვენს და ამის გამო ოდნავ გაბუტული იყო და უგემურად ილოდნებოდა.

აქა-იქ შორეული ნათესავებიც მოსჩანდნენ. ზოგი ჩინოვანი და ზოგიც უჩინო, რომელიმე ჩოხოსანი და რომელიმე მუნდიროსანი, ზოგი ჩიხტკობიანი და ზოგიც ვეროპულად ჩაცმული.

სუფრას ორი თეთრობიანი მსახური დასტრიალებდა, ერთი ანდრიასი და მეორე დიმიტრისა.

კუთხეში მეორე პატარა სუფრა გაეშალნათ და იქ წვრილდენიანა და ძიძები დაესხათ.

ნიკომ თითქმის ძალით ამოიყვანა მართა, გვერდის მხარეს მთვითონვე უწყობდა თევზზე საკმელს და ჯიქის ამბავს უყვანიდა. მართა სმენად იყო ქცეული და საკმელს პირს არ აკარებდა. მას უხერხულად შიანდა მართო ამოსულიყო იმ ოჯახში, სადაც მის ძმას ძლივს კადრულობდნენ, ვინაიდან ლევანი არც საკმაოდ განათლებული იყო მათთვის, არც საკმაოდ სუფთა და არც საკმაოდ ზრდილობიანი.

ლევანი ამ უბანში საუკეთესო ხელოსნად მიაჩნდათ და ამ სახლსაც უვლიდა. რაც კი იყო შესაკეთებელი — ელექტრონი, წყლის მილი, სახურავი თუ სხვა რამ წერილმანი, მუდამ ლევანი უნდა მოეწვიათ, რომელმაც მთვარის გაკეთების გარდა ყველა ხელობა იცოდა. სამაგიეროს ახატნელები საჩუქრებით და რამდენიმე ჭიჭა ლენით უხდიდნენ. ლევანმა თვითონაც იცოდა თავის ალაგი და ახატნელებთან სხვანაირ ურთერთობას სიყრმიდანვე გაურბოდა. ეს ალაგი ლევანს მისმა მამამ ანტონმა მიუჩინა, რომელიც ხშირად ჩასჩინებდა ანდაზას: თხა თხას უნდა, ეტანებოდეს და ბატი ბატსაო.

სულ სხვანაირად შეეზარდნენ ერთმანეთს ქეთო და მართა. მათს დაახლოვებას მარიამიც ხელს უწყობდა. ის ადრე დაობლებულ მართას ქეთოს მიერ ნატარებ კაბაკუბას აცმევდა, ზოგჯერ წერილმანსაც უყიდიდა და იმ წარმოდგენებზედაც დაჰყავდა, სადაც თვითონაც თამაშობდა ხოლმე. ხელოსნის ჭალი წარმოდგენის ბოლომდე კულისებში ტრიალებდა, მარიამს საპრფარეშოში ემსახურებოდა. მერმე ეტლს მოუძებნიდა და გამოჰყევებოდა.

ბავშვობაში მართა მთელ დღეს ახატნელთა ოთახებში ტრიალებდა და ქეთოსი ერთსა-და-იმამე დროს მეგობარიც იყო და მოახლევ. აქვე სვამდა, აქვე სკამდა და თავის ბნელ ბინაში შოლოდ დასაძინებლად ჩადიოდა. აქვე ისწავლა მან წერა-კითხვა, ზემოურთა ზრდილობა, სიტყვა-პასუხი და მიზერამოხერა, რომელიც ყველაფერში ახლაც მკაფიოდ ემჩნეოდა. შემდეგში ქეთო ინსტიტუტში მიაბარეს, ხოლო მართა მარიამმა ჭრაკერვის სკოლაში შეიყვანა, რომელსაც ეკატერინე გაბაშვილი ხელმძღვანელობდა. იმ ხნიდან ორი მეგობარი დიდი ხნით დაშორდა ერთმანეთს, ხოლო მას აქეთ, რაც ერთობის სიო მეშვიდე სახლშიც შემოიჭრა და საცაა გრივალად უნდა ქცეულიყო, ქეთომ ხელახლა მიიახლოვა ნამეგობრალი და ახლა გულში კიდევაც ამყავდა იმის გამო, რომ ხელსაქმის მასწავლებელი საზეიმო სუფრაზე თავის ნათესაებს გვერდით მოუსხვა.

გრივოლი, დიმიტრი და აკაკი თამადობას ერთმანეთს სთავაზობდნენ. სწორედ ამ დროს გაიღო კარი და ორი ახალი სტუმარი შემოვიდა.

სანდრო კლიმიაშვილს მჩატე თაიგული ეშოვნა, რომელიც ქეთოს მართვა და ხელი ჩამოართვა.

მას წვერულვაშიანი, გრძელთმიანი, დაუვარცხნელი, <sup>ქაღალცი</sup> <sup>ქაღალცი</sup> <sup>ქაღალცი</sup> მზდარი სტუდენტი მოჰყვა, რომელიც კარებში შესდგა და იქიდანვე შემოსძახა ლექსი:

— ახატნელებო, უჩემოდ ვით იღუნეთ, ვითა მღერითა!

შუქურაული ელიზბარ თამადად დასვით კერთა.

სუფრას ქებულსა დაგიშვენთ გლობით, ლექსით, ეღერითა.

იყავნ კუთხეულ მარადის ჩემით, ქეთვენით ბერთა.

ელიზბარს მზიარული შენაძახებით და ჟრიაშულით მიეგებნენ:

1 — ვინც მოვიდა გაუმარჯოს!.. ნაფიც თამადას სალამი!.. მოიტანა ლექსი, ცრემლი და ზამზახი!

შუქურაულს მართლა მაღალღერიანი ზამზახი ეჭირა, რომელიც დიდის მოწიწებით მიართვა ქეთოს და დაუმატა:

— სულით და გულით მიძღვნილი მცირედიც შეიწირების. ან კი ჩემისთანა ღატაკს რა მოეთხოვება! წინ მარტი მიჩანს და უკან აპრილი.

— შენ სადღეისოდ ლექსს შემპირდი და გინდა ერთი ყვავილით გადარჩე? ლექსი სად არის მეთქი? — ჰკითხა ქეთომ.

— ერთობამ ლექსის წერა გააუქმა. — თავი იმართლა სტუდენტმა.

— დაიწყო გოდება! — ჩაილაპარაკა ნიკომ.

— ცრემლი ნომერი პირველი. — ჩაიციხა აკაკიმ.

ახალმოსულებმა დედაკაცებს ხელი დაუკოცნეს, გასათხოვარ ქალებს და მამაკაცებს კი მხოლოდ ჩამოართვეს და დასხდნენ.

— აბა, ელიზბარ, დალიე და დაგვაღევიე.

ელიზბარს არც ერთ სუფრაზე თამადაობა არ ასცდებოდა. მესუფრენიც ხშირად ჰპატივობდნენ და ამიტომ თითქმის მუდამ მთვრალი დადიოდა. ის ახლაც ნასვამი მოვიდა. რომ დაჯდა, მაშინვე ხიზილილა გადაიღო, ღვინო დაისხა, წვერულვაშზე გადისვა ხელი და წარმოსთქვა:

— აბა, ეგ ჰიქებიც ისე გაავსეთ, როგორც ეს გულია სავეს უიმედო სიყვარულითა. — სთქვა და ქეთოს გადაჰხედა. — ბატონებო, ამ ოჯახს იმ მომღერლის ამბავი დაემართა, რომელიც ხმას მეტისმეტ ძალას ატანდა და არა გამოდიოდა რა. ერთხელ ჰქუა მოიკრიბა, თავის ხმით იმღერა და მას ბქეთ ხალხის საყვარლად გადაიქცა. ანდრო ახატნელის უფროსი ძმისწული, ჩვენი საყვარელი გრიგოლი, ორბელიანს მონათელინეს. გრიგოლის ცხონებულ მშობლებს ეგონათ, ორბელიანის მაღლი დაჰყვებო. დიმიტრიც ნეტარხსენებულმა ყიფიანმა მონათლა. მაგრამ ორივენი ისე ჰგეანან თავიანთ ნათლიებს, როგორც მე დავემსგავსე შოთას. უბატოისნეს ანდრიას შეილებიც — აკაკი, ნიკო და ილიაც — ისე ჰგეანან თავიანთ ბუმბერაზ ნათლიებს, როგორც ჩემი თითი ჰგავს იალბუზს.

ყველამ ვაიცინა. გალანძღული აკაკი და ნიკოც ილიშუმოდნარ, ჩადგან ელიზბარისგან ამაზე უარესიც გაეგონათ და მოეთმინათ. თამადამ განაგრძო:

— მარტო ეს ერთადერთი ქალი არ მოანათვლინეს ვინმე ცოცხალ დიდებულს. ხმას ძალა აღარ დაატანეს და ქეთევანი დაარქვეს. მაგრამ, ბატონებო, ამ ქალს განსვენებული ქეთევან წამებულის სახელი უფრო მეტ ვალს აკისრებს, ვიდრე ნიკოს — მისი ცოცხალი ნათლიისა.

— მაშ ვისაც ისტორიული სახელი არა ჰქვია, მას არავითარი ვალი არ ეკისრება. — მიაწოდა ნიკომ და ყველანი გააცინა.

— შენ ისტორიული სახელების იღუმალ ძალას ვერასოდეს ვერ შეგაგნებინებ. — აუკრა სიტყვა თამადამ და, რა გაიხსენა წმინდა ნინო, თამარ მეფე და საერთოდ ქალის როლი ქართველ ერის ცხოვრებაში, ისევ ქეთოს მიმართა: — შენ შავი გედივით ზიხარ ბროლის ციხეში და ვირჩევ ასეთ დარში გარეთ არ გამოხვიდე, თორემ ლაფში ფეხს გაისერი და ველარ გაისუფთავებ, სული დაგიმდაბლდება და ველარ განიკურნები.

ქეთოს ეუცხოვა: მან იმ დღეს ღრუბლებში მალალი კოშკი და ზედ შემოჯდარი შავი გედი დაინახა, ახლა კი ელიზბარსაც ეგვივე სურათი მოეღანდა.

— შავი გედი... ბროლის ციხე... შიგა ზის ქალი ეთერი, ყელიც მოუღერებია... მშვენიერი პოეტური შედარებაა — ჩაუღრთეს აქეთ-იქიდან, თამადა კი განაგრძობდა:

ეგ ზამბახი მკაცრ ქვიშნარში ვერ იხეირებს. შენც მაგ ყვავილივით გახმები და გვიანლა იქნება ცრემლთა დენანი.

— ცრემლი ნომერი მეორე. — ჩაილაპარაკა აკაკიმ, ხოლო ქეთომ, ნიკომ და მართამ ერთმანეთს გადაჰხედეს და ჩუმი სიცილი ასტეხეს, რომელიც თამარის ხარხარმა ჩაახჩო.

თამადა სიცილის მიზეზს მიუხედა:

— ვიცი რატომ იციანთ. შავი გედი კოშკის ქვემო სართულში ჩამოვიდა, უკვე კარებში დგას, გარეთ გამოსვლას აპირებს და ის კი არ იცის, რომ ფრთებსაც მოსტეხენ და მოღერებულ კისერსაც მოუღრებენ. ბატონებო, მე პოეტი ვარ და მიწის ძვრის შორეული გუგუნი მესმის. ღმერთო, იმ კოშკს ნუ დაგვინგრევ! ღმერთო, ქეთევანს იმ კოშკიდან ნუ გამოიყვან! ახლა ქეთოს ბრძოლის კივინი ესმის და ვაგაკაცივით უჭერს გული.

ერთობისტები ქალებსაც ატყუებენ, თანასწორობას სთავაზობენ. შავო გედო, ჩემო ბედო, შენ მაინც ნუ მოტყუვდები. ჩვენი გათანასწორობა მარტო მაშინ შეიძლება, როცა ქალი გავაფიქრება და ვაფი კი გაქალაჩუნდება. მათ არ იციან, რომ ორივენი წააგებენ. ქეთევან ქალო, ფრთხილად იყავი მეთქი, თორემ ეგ აბრეშუმის ფრთები დაგეწეება და ვედის კისე-



— მეც მაგის ნატვრაში ვარ, მეც მინდა სამუდამოდ მოვიანოთ თავი, — მიუფო ელიზბარმა, — მაგრამ თვითონ შენი თვალები არ მანებებენ თავს და არ ვიცი სად დავემალო.

აკაკის ცოლმა თამარმა „მარავალეამიერი“ დაიწყო. სხვებიც მოეშველნენ და ქეთოს ერთად შეასხეს ხოტბა.

მერმე ქეთომ „მადლობელი ვარ“ დაიწყო და ძლიერი და სუფთა ხმით სუფრა დაატკბო.

თამადამ არავის არ აწყენინა და ყველასთვის იპოვა საქებარი სიტყვა და შედარებანი: მარიამის სადღეგრძელოს გამო ღეთისმშობელი და მისი წილხვედრი ივერია გაიხსენა; მასპინძელი ანდრია მოციქულს შეადარა, რომელმაც აფხაზეთი და კოლხიდა გაანათლა; თამარის გახსენებაზე, რა თქმა უნდა, ოქროს ხანა მოიგონა; ანიკოს ისტორიული პარალელი ვერ უპოვა და სამონასტრო აღზრდა, თავდაბლობა, დედობა და სათანოება მოუწონა; გრიგოლი ცამდის ასწია, დიმიტრის და აკაკის წითელი „ბაქტერიები“ აღმოუჩინა და იმედი გამოსთქვა, რომ ორივენი მალე განიკურნებოდნენ, ხოლო ნიკო თავისებურად გააღალანდარა, ბოლოს უიმედოდ ჩაიქნია ხელი და თქვა:

— რახან ანდრია ახატნელის შვილს კურტანი აუკიდნია, სჩანს მართლა მეორედ მოსვლის დღე გვიდგება და ყველამ თავის თავს უნდა უშველოს.

— მე კურტნითაც ვიცხოვრებ და არ შემრცხვება. ზოგი კი სხვასა ჰკიდია კურტანივით და არა სცხვენია — მიუფო ნიკომ და ელიზბარი გააწითლა, რომელსაც არავეითარი სარჩო არ ებადა, არც შრომობდა და მაინც უღარდელად ცხოვრობდა.

ქეთომ ელიზბარს პასუხის გაცემა აღარ დააცადა და „გაფრინდი შავო მერცხალო“ დასძახა. ანდრია შელონებული იჯდა.

როცა თამადამ სადღეგრძელოთა ერთი თალია მოიარა, სუფრაზე უკვე ტბილეული ჩამოატარეს და ხილიც მოიტანეს. ელიზბარი ძლივსლა იდგა ფეხზე და მსმენელი რომ აღარა ჰყავდა, თითქმის მარტო თავის თავს ელუღლუღებოდა:

— მყინვარის წვერზე შემჯდარი კოტი სამშობლოს ჩსე დაჰკივის, თითქო სასიკვდილო ეტლსა სწერდეს. მაგრამ...

ჩვენ შამიანი ვართ ჯიანჭველა  
და ვინც ჩაგველაპავს, მოიწამლება.

— მშენიერება პოეტის მეექვსე გრძნობაა და მეშვიდეც მოეპოვება. ეს გაბლავთ მარადიული წყურვილი ვარსკვლავზე აფრენისა. მგოსანი მუდამ მშვიერია, მწყურვალე და გაავებული. თვითონაც არ იცის რას

ეტანება და რა უნდა... პოეტი მუდამ მთვარეს შესცქეროს და ციმი და-  
ჭრის, თქვენ კი ქვემძრომნი ხართ და მიწაზე დახოხავთ.

ჩემი ხალხი გულში მიზის,  
მეც იმ ხალხის სულში ვხივარ.  
შემიყვარდა, შევიყვარე,  
ისიც ღირს და მეცა ვღირვარ.

საქართველო  
განთავისუფლება

— თქვენ კი, ერთობისტებო.

რასაც თქვენა მოხვით, არა მაქვს;  
რაცა მაქვს, ის თქვენ არ გინდათ.

— თქვენ გარეთ მტერს დაუყენეთ თვალი და შინ კი ჩვენივე თავს.

— ჩვენივე თავს კი არა, შენისთანა ზღბრებს დაუყენებთ თვალს. —  
ჩაუჩურჩულა მართას ნიკომ და მათს სიცილს ქეთოს სიცილიც ჩაეხლარ-  
თა. ელიზბარმა ნიკოს ჩანართი ვერ გაიგო და განავრძო:

— პოეტი ის არის, ვინც ხალხს ანთებული სანთელივით ჩაუდგება  
სულში.

— ზოგი კი კრაქივით ჩაუდგება და სულს აუყროლებს — ისევე  
უჩხვლიტა ნიკომ და იმ კუთხეში ხითხითმა ამოხეტქა.

ელიზბარმა ვერც ახლა გაიგო და სუფრას ერთი ტაეპიც მიუგდო:

სასახლე იმ ჭოხსაც ჰქვიან,  
საცა დასახლდეს მეოსანი.  
ხმალი რომ დაგვიღუნდებდა,  
კალამი გასჭრის ფხოვანი.

— ყური მიგდეთ, კაენის და აბელის პრობლემა მუდამ ცოცხალია და  
ჯერაც არ გათავებულა.

— მე კაენი ვარ. და ევ აბელი. ჩქარა უშველეთ, თორემ მოეკლავ! —  
ჩაილაპარაკა ნიკომ და კვლავ სიცილი გამოიწვია.

— საწყალი აბელი! ისევე მე უნდა მივეშველო — ჩაურთო ქეთევანმა.  
ელიზბარი მიხვდა, რომ იმას დასცინოდნენ და ნიკოს გადაუგდო:

— შენი ჰქუისა არც აქამდის მომეკიდა რამე და არც იმას იქით მო-  
მეკიდება.

— ოღონდაც! — მაშინვე ჩამოართვა ნიკომ. — კედელს ცერცვი არ  
მოეკიდება.

ეს სიტყვები ყველამ გაიგო და სიცილი ასტეხეს. ანდროიამაც ყური  
მოჰკრა და შუბლზე კოპები დაილაგა.

— შენ ერთი საკუთარი აზრიც არ მოგებოვება, სულ სხვის ნაწერსა  
და ნათქვამს იმეორებ და სხვის მიერ გატყეპნილ შარა გზაზე დადიხარ, —  
შეუბრუნა თამადაძე, — მე კი ბეწვის ხიდზე დავაჭენებ რაშა და...

— სამეფო რაშს დააქენებს — განმარტა ქეთომ და ელიზბარს შიგ  
გულში დასკრა. მან თავი ჩაიჭნია და მოწამებრივ კილოზე სიტყვა:

— ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული ქეთოს ეკუთვნის. მაგრამ  
ახლა ქართველი ხალხისთვის მიმიცია, ხორცი კი თქვენია და ანა, სჯიჯ-  
გნეთ და პკორტნეთ, უწმინდურნო და ლაზღანდარებო!

— ელიზბარ, ფილოლოგი ხარ და გეკოდინება, რა სიტყვიდან წარმო-  
იშვა სიტყვა „ფუტურისტი“? — ჰკითხა ნიკომ.

— ფუტუროდან — მაშინვე უპასუხა ქეთომ და მის კისკასს სხვების  
ხარხარი დაერთო.

ელიზბარმა იარაღი დაჰყარა. წელმოწყვეტილი დაჯდა და ქეთოვანს  
აჩუყებული ხმით უსაყვედურა:

— შენც მილაღატე? შენც დამციანი?

არა, არა! ისევ შენი ერთგული ვარ, ისევე! — გადმოსძახა ქალმა.

— აღარა მჯერა. ახლა კი ცხადია, რომ ბროლის კოშკიდან გამო-  
სულხარ და ტლაპოში შეგიტოპნია. ბედი სამაგიეროს გიზღავს... მალე  
დაისჯები... ეგ წასთი გაგიშავდება და ეგ შავი ბჟულული გაგიითეთრდება.  
ატირღები, აკენჯღები, გაგახსენღები, მაგრამ გვიანღა იწენღა თითზე  
კბენანი.

ელიზბარმა თავი ხელებში ჩაიგდო და მიყუღდა. ზოგს მოეჩვენა თით-  
ქო პოეტი ჩემად ტიროდა, ყველა გაჩუმდა და სუფრაზე მკედარი ღუმე-  
ლი გაწვა.

— ელიზბარ — დაარღვია სიჩუმე აკაკიმ. — ერთი გვითხარი შე კაი  
კაკო, ახლა სადა ცხოვრობ? ბინა სადა გაქვს?

ელიზბარი სღუმდა. ანდრიას თითი მაგიდაზე აკაკუნდა და მისმა  
ცივმა თვალებმა სუფრა მოირბინეს. აკაკის კითხვაზე ყველამ გაიღიმა,  
ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ ელიზბარი იმალებოდა და ხშირად იცელი-  
და ბინას. მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ მას არავინაც არ დასდევდა და ამი-  
ტომ მისი მალვა-სირბილი სასაცილო ხდებოდა.

მართა ჩემად გაპარულიყო.



უცებ სასტუმრო ოთახში ღუღუკის და დოლის ხმა გაისმა და კარიც  
ფართოდ გაიღო. ყველამ იქით მიიხედეს და ანდრიას ვაგი ილიკო და-  
ნახეს, რომელსაც ჩოხაზე ხავერდის სუფრა მოესხა ანაფორასავეით, თავზე  
ქაღალდის ქვაბივით რაღაც ჩამოეფხატნა, შათრახს საცეცხლურივით იქ-  
ნეედა და ბურტყუნით შემოდოდა:

— ქეთევანსა ჩვენსა რომელიცა რომა უფალსა ჩვენსა შევეყვდროთ.

— უფალო შეგვიწყალებე — მოაძახა უკნიდან ოთხმა ახალგაზრდა  
ჩოხოსანმა და ყველანი ქეთევანს შემოეხვივნენ.



— და აღდეგრძელოს და გაიხსენოს სასუფეველსა თვისსა, უცლისა მიმართ ვილოცოოთ.

— უფალო შეგვიწყალებე.

გონება-დაბნეული ქეთევანი მორცხვად ილიმებოდა და ნათესაეებს შესცქეროდა. ანდრიამ პირსახე ხელებში ჩაიმალა და გახეცდა. ჭალები, აკაკი, მიტო და ნიკოც ნაძალადევად ილიმებოდნენ და მასხრობის გათავებას ელოდნენ. გრიგოლი, მისი მეუღლე და ელიზბარი შუბლშეკრული ისხდნენ. ჭავჭავაძის ნათლული კი ისევ ჰბოდავდა, მისი ავარა მეგობრებიც ისევ ვალობდნენ. მერმე ილიკომ საოხუნჯო სამოსელი მოიგლიჯა და დაიძახა:

— შემოიტანეთ!

ახლა ხუთი კინტო შემოვიდა. ყოველ მათგანს ხელში ვეება თაბახი ეჭირა. ზედ ყვეილებით მორთული უამრავი ხილი ეყარა და რამდენიმე სანთელი ენთო.

— ჩვენს ქეთევანს გაუმარჯოს! — დაიძახა ილიკომ და ათმა ახალმოსულმა სამჯერ დაიღრიალა:

— გაუმარჯოს!

— ღმერთმა ბედნიერება, სიხარული და თორმეტი ქალვაჟი მიანიჭოს!

— მიანიჭოს!

ღუღუქმა ტუში დაუკრა.

ქალებმა სუფრა მიალაგეს, ხოლო კინტოებმა ის თაბახები ზედ დააწყეს, განზე გადგნენ და ულვაშების გრეხას შეუდგნენ.

მარიამმა ხუთი თუმანი გამოიტანა, კინტოებს დაურთო და გაისტუმრა. ილიკო ხელში ეცა დედას და შეეხვეწა:

— დედილო, გარეფ ხუთი ფაიტონი გველოდება და თუ ათი თუმანი არ მოგიცია, აქვე თავს მოვიკლავ.

— სადა მაქვს, შვილო!

ილიკომ რევოლვერი იძრო და საფეთქელზე მიიღო. დედამ ხელში ხელი სტაცა და მეორე ოთახში გაიყვანა. სანამ ახალმოსულნი ქეთოს ეარშიყებოდნენ და მის სადღეგრძელოს სეამდნენ, ილიკომ ათი თუმანი მიიღო, უკანვე შემობრუნდა და შესძახა:

— სუფრა აალაგეთ! ლეკური!

მედღუღუქვანი შიგნით შევიდნენ და ლეკური დაუკრეს.

ქალები ხელახლა ეცნენ სუფრას და ნახევრად მიალაგეს. ავარებმა ტაში დაჰკრეს და სხეებიც აჰყენენ. ენაიდან იმათაც იცოდნენ, რომ ილიკო სანამდის არ მოისვენებდა, მანამ სუფრაზე არ იცეკვებდა.

ილიკა ნათლული მარდად აბტა სუფრაზე, ჩოხის კალთები აიკეცა და თაბახებსა და ბოთლებს შუა ჩამოუარა. მერმე გადაბრუნებულ თევშზე შეხტა და ფეხი გაუსვა.

— ტაშტუშ! ტაშტუშ! — ჰკიოდნენ მისი ავანჩავენები და ტაშტუშ ფეხის წვერებთან უკრავდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა ილიკო თითის წვერებზე უკრავდა, კარებში ლურჯმუნდირიანი როტმისტრი და ვეება თაიგული გამოჩნდა.

ქანდაკი ყველაზე ადრე ილიკომ დაინახა:

— ჩემ სიძეს გაუმარჯოს!

ოთხმა ამხანაგმა მაშინვე შესწყვიტა ტაში და შესძახა:

— გაუმარჯოს!

ავშაროვის გამოჩენამ ყველანი წამოშალა, ხოლო ილიკოს შენაძახმა ყველანი დააბნია და გააშეშა, ნამეტან კი წვერაძეს და კლიმაშვილს გაუყვირდათ.

როტმისტრიც შეკრთა, მაგრამ კრთომა მაშინვე გაიფანტა, ოდნავ აიჩნა სწორე მხრები და თავდახრით სთქვა:

მაგას რომ ველირსებოდე, ჩემზე ბედნიერი ვილა იქნებოდა!

მერმე დეზების უღარუნით გაემართა ქეთოსკენ, მეტად დაბლა დაუკრა თავი, მეტად ზრდილობიანად ჩამოართვა ხელი და თაიგული მიართვა.

ავშაროვი შუა ხნის და შუა ტანისა იყო, საკმაოდ ჩასუქებული, პირთეთრი, ქერა თმა-ულვაშიანი, დედის მხრივ პირწავარდნილი ჩრდილელი. მას ისე სწორედ დაჰქონდა ოდნავ დამძიმებული სხეული, რომ მისი მაყურებელი იფიქრებდა, ალბათ ვაყური კორსეტა აცვიოა.

სანამ როტმისტრი დიასახლისებს ხელს უკოცნიდა, უცებ გამოფხიზლებული ელისაბარი და ნიკო უკანუკან წავიდნენ და ისე გასხლტნენ ავანზე, რომ მათი წასვლა თითქმის ვერავინ შეამჩნია.

ავშაროვმა ყველას ჩამოუარა, ყველანი მოიკითხა და ანდროისა და მარიამის შუა დაჯდა, რომელმაც ქეთოს ალაგი გამოაცვლინა და გვერდით მოისვა.

— ჩვენ ხელს აღარ შევიშლით — პრანკვაჯრებით მიმართა ილიკომ ავშაროვს. — ბელვიუში ცუგრუმელა გოგოები გველოდებიან.

— სირცხვილია შეილო — ჩაილაპარაკა მარიამმა.

— შობრძანდით, ბატონო ილიკო, ქვეით ხუთი ეტლი, დგას და ალბათ თქვენ გელოდებიან — მიუგო ავშაროვმა და თავაზიანად დაუკრა თავი.

ილიკო და მისი მეგობრები ხარხარით გაეიდნენ, ის კი არავინ იცოდა რა აცინებდათ ან ვის დასცინოდნენ.

როცა ყველანი დალაგდნენ, ავშაროვმა ლამაზი ულვაშები აიჭრინა. ყველას შოაფლო დიდრონი თვალები და სთქვა:

— ჩემმა მოსულამ ყველანი გაგაოცათ, თუ გნებავთ, თქვენი გოცების მიზეზს მე თვითონვე მოგახსენებთ.

ახატნელები ხელახლა გაოცდნენ, ხოლო ქეთომ უთხრა:

— თუ იცით, გვითხარით.

— ყველას მოკლული გვეგონეთ და იმიტომ გაოცდით.

— რასა ბრძანებთ! ჩვენ არაფერი გავგიგია. — წამოიძახეს ქალებმა და ანდრიამ.

— არც თქვენ გავგიგიათ? — იკითხა ავშაროვმა და ქეთოს, დიმიტრის და აკაკის შეპხედა.

— არა, ბატონო, პირველად გვესმის—ყველას მაგიერ უპასუხა აკაკიმ.

— მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს—განაგრძო როტმისტრმა. — დღეს ორნაირი უბედურება დამემართა. ჯერ ერთი რომ დილას ის ყაჩაღი ჯიქი გამეჭკა.

— მართლა? — წამოიძახა აკაკიმ. — ზურაბ გურგენიძე გავეჭკათ?

— დიად, ზურაბი გამეჭკა. ხომ იცნობთ, ბატონო აკაკი?

— არა, ბატონო — მიუგო აკაკიმ. — ვიცი ვინც არის, სხვაფრივ კი არც ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე.

ავშაროვმა უღვაწებში ცბიერი ღიმილი აისახა და განაგრძო:

— გამიწყრა ღმერთი და მეც ქუჩაში გამოვედი. მეგონა, იქნებ ჯიქს სადმე წავაწყდე მეთქი. თურმე ტერორისტები ამდევნებთან. ერთ ალაგას რამდენიმე პოლიციელი იდგა. მივედი თუ არა, უცებ მეხივით დაიჭეჭა, ის საწყლები დაფლითა და მეც წამაჭკა. მერმე გონს მოვედი და აი თქვენი მონა-მორჩილი ახლა ტყბილად გესაუბრებით და იმედი მაქვს შინ უფნებლად დაებრუნდე.

— მაშ მოგილოცავთ, არტემ ივანიჩ. გულწრფელად მოგილოცავთ — უთხრა ანდრიამ ავშაროვს და ხელი ჩამოართვა.

დანარჩენებმაც მიულოცეს — ზოგმა გულწრფელად, ზოგმა ცალი ყბით, და საუბარი გაპყვა ხელისუფალთა ელექტას, გლეხთა მოძრაობას, გაფიცვის გახშირებას, ქვეყნის აღრევას და ტახტის რყევას, რომელსაც ისეთი საზარელი შედეგი უნდა მოჰყოლოდა, რომ მისი გათვალისწინება არავის არ შეეძლო.

აკაკი წამოდგა და ავშაროვს მიმართა:

— მაპატიეთ ბატონო. საქმე მაქვს და უნდა გეახლოთ.

მას დიმიტრი და რამდენიმე მათი ნათესაივც გაპყვა. დანარჩენნი სასტუმრო ოთახში გავიდნენ და ყაუა იქ მოითხოვეს.

ქეთომ როილის სახურავი აპხადა და შტრაუსის ხმოვანი ვალსი დაუქრა. როცა ვაათავა, ავშაროვი გვერდით მიუჯდა და მიულოცა:

— მშვენიერია, საუცხოვოა. ვანა სოციალიზმის თეორიის შესწავლას ის არა სჯობია, რომ მუსიკა და სიმღერა შეისწავლოთ?

— რა იცით, რომ სოციალიზმის თეორიას ვსწავლობ? — გოაცებით ჰკითხა ქეთომ.

— მე ყველაფერი უნდა ვიყოდე, ნამეტან კი პირადად თქვენს ცხოვრება მაინტერესებს.

— რა მიზეზია?

— თითქო არ იცოდეთ -- და ავშაროვმა, ყურში ჩასჩურჩულა: ის მიზეზია, რომ უშენოდ აღარ მეცხოვრება.

ქეთომ განზე გაიწია და უთხრა:

— კმარა. მაგაზე ნულარაფერს მეტყვიო.

— კეთილი, მაგრამ მაინც გირჩევთ ახალგაზრდების წრეს თავი დაანებოთ, რომელიც თქვენი ბიძაშვილის დიმიტრის ბინაზე იკრიბება ხოლმე.

ქეთომ გაოცებით შეჰხედა როტმისტრს. მან გაიღიმა და განაგრძო:

— აქი გითხარით, მე არაფერი გამომეპარება მეთქი. თქვენ რომ რამე დაგემართოს, მე თავს მოვიკლავ.

— აქი გთხოვეთ...

— უკაცრავად, ბოდიშს ვიხდი. ამისთანას აღარაფერს გეტყვიო. მართლა, წელან თქვენს უმცროს ძმას ნიკოს მოვეკარი თვალი. მეც ვიცი, რომ სოციალ დემოკრატია, მაგრამ აგრე აშკარად რად გამირბის? ისევე ნათალადევიც ცხოვრობს?

— არც კი ვიცი სადა ცხოვრობს.

— მგონი ნიკიერი ყმაწვილია და ძალიან მენანება. იქ სულ ადვილად დაიჭერენ. აქ მაინც ცხოვრობდეს. უფრო მეტად მოერიდებიან და თვითონაც იმდენს ვერას გაპბედავს.

— რომ ვერჩიო, მაინც არ დამიჯერებს.

— თქვენს მშობლებს უთხარით და იქნება იმათ მაინც დააჯერონ. ის პოეტი შექტურაული კი ტყვილად გამეჭკა. მას არაუინაც არ ერჩის. ჰბოდოს რამდენიც უნდა, ცენზორის ხელს მაინც ვერსად წაუფეა. ჯერ ავღაბარში იმალებოდა, მერმე კობის ქუჩაზე გადმოვიდა, ახლა კი ღამეს დიდუბეში ათევს ხოლმე. იმ სიშორეზე რას დაუბეტება.

— მაშ ელიზბარისთვის თვალყური გიდევნებიოთ.

— თვითონვე ავგალებინა ეჭვი. ნუ სულელლობს. თავისუფლად იცხოვროს და ეჭვი გაგვიფანტოს, თორემ დაიჭერენ და ალიბის დამტკიცება ძლიერ გაუძნელდება.

როტმისტრმა ოთახის მეორე კუთხისკენ გაიხედა. იქ საუბარი იყო გამართული. წვერამდე ახატუნელს ყურს არ უგდებდა და მოშურნე თვალი აქეთ ეჭირა. კლიმათიშვილი გულდასმით უგდებდა ყურს, მაგრამ ისიც ქეთოსკენ იციჩრებოდა.

ავშაროვის და სიმონის თვალები ერთმანეთს შეხედნენ. პარუჩიკმა მაშინვე დაუთმო განდარბს და თვალები დაბლა დახარა.

— ერთი მითხარით, ქეთევან, აგერ ის ვაჟი რა გვარისაა? — მკობხა ავშაროვმა და თვალთ ანიშნა კლიმიაშვილი.

— კლიმიაშვილია.

— კლიმიაშვილი? — გაოცდა ავშაროვი. — კლიმიაშვილი ეგ არის?

— დიაღ, ეგ არის. რად გაგიკვირდათ?

— ახლა კი მესმის.

— მე კი არაფერიც არ მესმის.

— ახლავე. გაიგებთ — მიუგო ეანდარმმა და ხმას დაუდაბლა. — მე ვიცი, რომ ეგ ახალგაზრდა გეარშიყებათ, მართალია თუ არა?

— თქვენ რაღაც სხვანაირად მელაპარაკებით. — იწყინა ქეთვან. — ბარემ ქალაღი მოიტანეთ და ოქმი შეადგინეთ.

— არა მეთქი. რა დროს ხუმრობაა! ვთქვათ არ გეარშიყებათ, მაგრამ ხომ მოსწონხართ?

— ვთქვათ მოეწონვარ მერმე რა?

— მერმე ისა, რომ დღეს თქვენ და მაგან ამ ბინაში ზურაბ გურგენიძე დამალეთ — უცებ მიახალა ავშაროვმა და თვალეში ჩააშტერდა. — თქვენს ოთახში დამალეთ. მე დანამდვილებით ვიცი. უარი არას გიშველით. თუ გნებავთ, ყველაფერს დაწერილებით ავიწვრთ.

ქალს ერუანტელმა ჩაურბინა ტანში.

გონებაარეული, თავჩალუნული და ფერწასული, თავის თავს ებრძოდა და ლამობდა მიხვედრილიყო, ეს ამბავი საიდან გაეგო ავშაროვს, და ახლა რა პასუხი გაეცა მისთვის. ბოლოს ძალა მოიკრიბა, თავი ასწია და შხამნარევი ღმილით ჰკითხა:

— მაგისთვის მოხვედით? მაგიტომ მომიტანეთ თავიული?

ავშაროვი აიღანძა:

— ღმერთმანი არა, პატროსან სიტყვას გაძღვეთ, არა მეთქი, პირიქით, პირიქით! მე იმისთვის მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ. ხიფათი მოველის და მინდა გადაგარჩინოთ. ყური დამიგდეთ და ადვილად დარწმუნდებით. სალდათების ჩვენებიდან ცხადად მოსჩანს, რომ ჯიქი თქვენს ოთახში დაიმალა, რომ კლიმიაშვილმა სალდათები იმ ოთახში არ შეუშვა. მან ყუმბარის გავარდნა მოიმიზუნა, ეს სახლი არ გაჩხრიკა და პატრული წაიყვანა. თქვენ ვიღაც უწინდელი მხარეული გყოლიათ, რომელსაც სამადლოდ ინახავთ. ის ხატკა და ღმერთს ფიცულობს: იმ დროს სამხარეულოს კარებში ვიჯექი და ყოველად შეუძლებელია, რომ ვინმე გამოსულიყო აივანზე და მე არ დამენახაო. მაშასადამე, ჯიქი ამ ბინიდან არსად გასულა. მე არც კი გეკითხებით, მართლა დამალეთ ის კაცი თუ არა. მე იმისთვის მოვედი, რომ დავარცხოთ: თუ ვინიცობაა დავიბარეს და

გკითხეს არამც და არამც არ გამოტყდეთ, თორემ თქვენს დასაყ და-  
 ლუბავთ, კლიმიაშვილსაც და ამ ოჯახსაც ვააუბედურებთ. ახლა ხომ  
 დარწმუნდით, რომ შესაძლოა თქვენი გულისთვის მეც დაეფუჭებო. მე  
 ჩემი სიცოცხლე თქვენ ჩაგაბარეთ. შესაძლებელია ვამჯობობ! წინასწარ  
 სადმე, რომ მე დაგარიგეთ...

— არა, არა! არასოდეს! — მხურვალე ხმით გააწყვეტინა, ქეთომ. —  
 არავისაც არ ვეტყვი, არავის.

— კლიმიაშვილს თქვენი გადარჩენა უნდოდა და იმიტომ დამალა  
 გურგენიძე. ალბათ ისიც ჩემს დღეშია, ალბათ იმასაც უყვარხართ და იმი-  
 ტომ ვასტეხა ფიცი. ახლა ჩემი ჯერი დადგა. ფიცი მეც გავტეხე, მეც  
 სიყვარულმა გამატეხინა და იმედი მაქვს, რომ... ნუ მაწვავლებთ... ნუღარ  
 მტანჯავთ. — და აეშაროვმა პირსაზე ისე ახლოს მიიტანა ქეთოსთან, რომ  
 ქალმა თავის კისერზე მისი თბილი სუნთქვა იგრძნო.

ქეთო გაბრუებული იჯდა. ყველაფერი ერთად მოაწვა: გვეი, სიბრა-  
 ლული, მადლობა და სინანული იმის გამო, რომ დღეს ამ კაცის სურათი  
 დახია და გულის კუნჭულში მიჩქმალული ხსოვნაც კი ამოივლიჯა.

„ამ კაცს ძლიერ ვუყვარვარ, ეს უეჭველია, — ჰფიქრობდა ქეთო. —  
 თვითონაც ღირსია სიყვარულისა. მეც მიყვარდა, თითქმის მიყვარდა,  
 მაგრამ ამ მუნღირმა ერთმანეთი დაგვაშორა... არა მეთქი, არა! ჭირიანსა-  
 ვით შემაჩვენებენ, აღარავინ მიმიყარებს... ჰო, ღმერთო ჩემო! არა  
 მეთქი!“

და „არას“ თქმის მაგიერ მოუფიქრებლივ წააელო ხელი ავშაროვის  
 აქსელბანდს და ჰკითხა:

— ამას ვერ მოიხსნიით?

ავშაროვი შეკრთა.

— მესმის. თქვენს თვალშიც კეთროვანი ვარ. ვფიქრობდი მაზრის  
 უფროსობა მიმეღო.

— განა სულ ერთი არ არის?

— თითქმის სულ ერთია. ახლა მაზრის უფროსებსაც ბედურასავით  
 ხოცავენ. თქვენი იმედი რომ მჭონდეს... სიტყვას რომ მომცემდეთ...

— არა, არა! — შიშით წამოიძახა ქეთომ და წამოდგა. — არ შემო-  
 ძლიან. ჯერ აღრეა.

„ჯერ აღრეამ“ ავშაროვს იმედი გაუღვიძა. ისიც წამოდგა და სთქვა:

— მაშ კიდევ ვიფიქროთ.

— ვიფიქროთ — ადვილად მიუგდო ქეთომ და სულიერი ფორიაქის  
 დასამალავად თავის ოთახში გავარდა, ხოლო ავშაროვი მოსაუბრეთა  
 ჯგუფს შეუერთდა, რომელსაც ახატნელი აჯერებდა, რომ რუსის ჯარი

მალე დაამარცხებს იაპონელებს, ტახტიც მალე მომაგრდება და რუსეთი უცებ მოიგლეჯს წითელ აჩრდილს.

ავაშაროვი საუბარში არ ჩაერია, ვინაიდან ენდარში ეჭუქუჯუქუქოსთან პოლიტიკურ საუბარს მოხერხებულად გაურბოდა. *ბიზმარქი*

## VII

იმ ზაფხულს სააგარაკოდ არც ერთი ახატნელი არ წაუსლა. ყველაზე მეტად გრიგოლს მიუწევდა გული სოფლისკენ მაგრამ გლეხები უარესად გაანჩხლებულიყვნენ და ამიტომ იქ აღარ მიესვლებოდათ, ზოლო დიმიტრი და მათი ბიძაშვილები საკუთარსა და ერთობის საქმეებს შეებოკათ და ყველანი ქალაქის სიციხეში იხარშებოდნენ.

იმ საღამოს ქეთევანი მარტო გამოვიდა შინიდან და მართას ფანჯარა ქუჩის მხრივ დაუკაკუნა. შიგნით ბნელოდა. პასუხი არაეინ ვასცა. ქეთოს ეწყინა: მიტინგზე ერთად უნდა წასულიყვნენ. მაშ მართას აღარ მოუცდია და მარტო წასულა!

დღეს დილთ ქეთომ ყური მოჰკრა: საღამოზე ქალაქის გამგეობის დარბაზში მიტინგი გაიმართებაო, და მართას შეხებეწა, ერთად წავიდეთო. მართამ ისეთი პირი აჩვენა, თითქოს არაფერი სცოდნოდა, ქეთო არ მოეშვა. მის დაეინებით ჰსურდა ერთ ნამდვილ მიტინგს მაინც დასწრებოდა.

ამას წინათ არტისტულ კლუბში პოლიტიკური ბანკეტი გამართეს. აკაკიმ, გრიგოლმა და დიმიტრიმ ქეთოც წაიყვანეს. გაბმულ სარკიანი ვეება დარბაზი დარჩეული ინტელიგენციით გაიქედა. ყველა ორატორებს სერთუკი ან სმოკინგი ეცვათ და მათი კილოც — თავაზიანი, ეზოპისებური, დავარცხნილი და მოლოკილი — სათანადოდ იყო შეფარდებული.

მათ ირიბულად მოითხოვეს კონსტიტუცია, ერობა, ომის შეწყვეტა, ბიუროკრატიზმი დაჰგმეს და იმედი გამოსთქვეს, რომ ტახტი მათს ღალატებას შეისვენდა და თავისუფლებას მოწყალებასავით მიართმევდა. დიმიტრიმაც ილაპარაკა და, სხვათა შორის, საქართველოს ავტონომია ახსენა. აკაკიმ ინგლისური პარლამენტი, რვა საათის სამუშაო დღე, პრესის, სიტყვის, კავშირებისა და გაფიცვის თავისუფლება მოითხოვა, ზოლო ავტონომია დაჰგმო და მქუხარე ტაში მოიხევექა.

სხდომა რომ გათავდა, გრიგოლმა გადაჰკრა აკაკის:

— მომილოცნია, ავტონომიის დაგმობის გამო ყველა სოლოლაკელმა და რუსის მოხელემ ტაში დაგიკრა.

აკაკი ამნაირ ვესლს უკვე შეჩვეული იყო და გრიგოლს მხოლოდ გაუღიმა. ნიკოც იქ ყოფილიყო და იმან უპასუხა:

— ეგ რა საბუთია! შავის გამო აკაკის მეც ტაში დაეუკარი. ავტონომია პირწავარდნილი ნაციონალიზმია და ერთობას სათავეშივე დაჰლუპავს. საქმე ეგ არ არის. საქმე ის არის, რომ თქვენ, ინტელიგენტები, ერ-



თობის მაჩანჩალები ხართ. თქვენი დღევანდელი სხდომები კრედიტორთა მომდის ბოდიშის მოხდა იყო და მეტი არაფერი. მშრომელთა ჩადენილ კრთობას ყოველდღე სისხლით რწყავს და ზრდის, თქვენ კი რედინგოტები და თეთრი ხელთათმანები ჩაგიცვამთ, სარკიან დარბაზში მოგიყრიათ თავი და ირიბულად ტიტინებთ: ერობა, ბიუროკრატია, კონსტიტუცია და კუდმოკვეცილი უფლებათ. დღეს არც ერთი თამამი სიტყვა არ ითქვა, ვერც ერთმა ვერ იფაქცა, ვერავინ გაგვიტაცა და ერთი წამითაც ვერ აგვიდულა სისხლი. მაჩანჩალები ხართ მეთქი, მაჩანჩალები!

— აგრეა, მართალია! — წამოიძახა ქეთომ.

— სჯობდა დღეს ხმაც არ ამოგელო — მიუბრუნდა ნიკო აკაკის. — ყველას კადეტი ეგონე.

— ხომ გაგიგონია: საცა მიხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო — იმართლა თავი აკაკიმ.

— სულელური ანდაზაა — მიუგო ნიკომ. — მაშ მონასტერს რომ ეწვიო, ანაფორა უნდა ჩაიცვა, ბერებს ხელზე უნდა ემთხვიო და სულ „უფალო შეგვიწყალო“ იბურტყუნო.

ქეთომ გადიკისკისა და დაუმატა:

— თურქებში რომ გაერიოს, თავზე დოლბანდს დაიხურავს, ილ-ალლას შესძახებს, თითებს ხინით შეიღებავს, თანაც დაიმკლავებს და მუქით შესკამს ფლავს, ახაზა!

გოლოვინის პროსპექტი გადასჭრეს და მამადავითის აღმართს შეუდგნენ. გრიგოლი ძლიერ იყო ნაწყენი და არ ისვენებდა.

— ყური მიგდეთ — სთქვა და ყველანი შეაჩერა. — ერთი რამე ვერ გამოიგია და უნდა გამაგებინოთ. მარქსისტების, სოლოლაკელი ვაჭრებისა და ქეშმარიტი რუსების პროგრამები არაფერშიც არა ჰგავს ერთმანეთს, ხომ მართალია?

— აგრეა... მართალია. — დაუდასტურა სამივე ძმამ.

— მაშ გამაგებინეთ, რად ემტერებით ავტონომიას თანაბრად ყველანი? თქვენს შორის უცნაური ნათესაობა გაჩნდა, არაბუნებრივი ერთნაირი გეზი დამყარდა. აქ რალაც იღუმალი ამბავია და ვერ გამოიგია. თქვენ მეუბნებით: ეროვნული საკითხი ტაქტიკური საკითხი არისო. ზემოხსენებულ ჯგუფებს და პარტიებს არც ერთი ტაქტიკური საკითხი არ აერთიანებს და რაღა ამ საკითხმა შეგაერთათ? ეს ერთი. მეორეც ისა, რომ რვა საათის სამუშაო დღე პრინციპული საქმედ მიიჩნით და ოთხმოცი მილიონი არარუსის ბედი კი ტაქტიკად აქციეთ?

გრიგოლთან და შიტოსთან ერთად ქეთოც აღელვებული იყო. ავტონომიის ირგვლივ ატეხილი კამათი ასჯერ მაინც ჰქონდა მოსმენილი და წაკითხული, კერძო საუბარში ზოგჯერ თვითონაც ჩარეულა.



— დიად, გამოყოფა მკვდარი ფორმულაა, თვალის საბჭოელი ფან-  
დია — ახლაც გაიმეორა გრიგოლმა. — თუ არა გჯერათ, მეპასუხებთ: რო-  
ცა რევოლუცია გაიმარჯვებს და ერის თვითგამორკვევად მიქცევა, სა-  
ჭმე, თქვენ რას ურჩევთ ხალხს, რა მოითხოვოს მან: ერობა, სეპარაცია,  
ავტონომია თუ ღოზნა?

აკაკის და ნიკოს ყველაფერზე მზად ჰქონდათ პასუხი, ამას კი არ  
მოელოდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ. გრიგოლმა დაბნეულობა შეა-  
ტყო და გაუმეორა:

— მითხარით, მაშინ რას ეტყვიოთ, მცირე ერების ბედს რა კონკრე-  
ტულ ყალიბში ჩამოასხამთ მეთქი?

დიმიტრი გაოცდა. ეროვნულ საკითხს გულმოდგინედ სწავლობდა. ათა-  
სი რამ ჰქონდა წაკითხული და ათი-ათასი მოსმენილი, მაგრამ ასეთი სა-  
ბუთი ჯერ არ გაეგო. „უშეშველად გამოვიყენებ წერილში“ — გადასჭრა  
მან და აკაკის უთხრა:

— პასუხი მიეცი.

აკაკიმ სახელდახელო პასუხი მოიგონა:

— შენ გგონია ძლიერ თავსამტკრევეი კითხვა მოგვეცი? შენ არ მო-  
მიკვდე ჩვენ მაგაზე კისერი არ მოგიტებოთ, დრო ბევრი გვექნება. დავ-  
სხდებით, ვიფიქრებთ და ისე გადავჭრით, რომ არავისაც არ ვაწყენინებთ.

— გულწრფელი პასუხია და მომწონს — გაეხარდა გრიგოლს. — მაშ  
შენც მიდასტურებ, რომ ეროვნულ საკითხს მერმელა გადასჭრით. ერთი  
რამეც ცხადია: თქვენ სიტყვა „ავტონომია“ ისე შეაძულეთ შეგნებულ  
ხალხს, რომ მერმე მაგ სიტყვას ველარც კი ახსენებთ და ჩვენთვის ერობა-  
საც ძლივს გაიმეტებთ.

— თვითონვე ინანებენ — ჩაუბოლო დიმიტრიმ. — თუ ამათ გაიმარჯ-  
ვებს, მაშ ხელისუფლებაც ამათ დარჩებათ და ძალაუფლებურად საეროობო ჩი-  
ნოენიკის როლს დასჯერდებიან.

— გიცნობთ ვინცა ხართ — ბრაზიანად ვანაგრძო გრიგოლმა. — ფი-  
ნეთს რომანოვებმა მისცეს ავტონომია, თქვენ კი წაართმევთ და გუბერ-  
ნად გადააქცევთ.

ნიკომ გულიანად გაიცინა, აკაკიმ შეაწყვეტინა:

— გენერალი ბობრიკოვი გავიწყდება, გრიგოლ.

— ბობრიკოვი სეპარატისტებს ებრძვის — მიუგო გრიგოლმა. — ბო-  
ლოსდაბოლოს მთელმა კაცობრიობამ იცის, რომ თქვენ ცენტრალიზმის  
მომხრენი ბრძანდებით, მართალს ვამბობ თუ არა?

— ერთადერთი სიმაართლე წამოგცდა — დაუდასტურა ნიკომ.

— ამ სიმაართლეს მეორე უდავო სიმაართლე მოსდევს — სთქვა გრი-  
გოლმა. — მე ახელ ვაწვდის ამ თავ სინათლეს უფრო ადვილად წარმო-

ვიდგენ, ვიდრე ცენტრალისტურ-სოციალისტურ სახელმწიფოში თავისუფალ მცირე ერების არსებობას და ყოველმხრივ განვითარებას.

— აკი ვამბობ, რომ ამ კაცს და ჩემ ჩემსას სოციალისტური თანაბრად ექმის მეთქი — წამოიძახა ნიკომ. — მარქსიზმი და ცარიზმი ერთმანეთში აღრია.

— გაჩუმდი, შე ლაწირაკო, თორემ ყურებს დაგაგლიჯავ! — მიიძახა გრიგოლმა და მიიწია.

აკაკი შუაში ჩაუდგა.

— სირცხვილია. ქუჩაში ვართ, რას იტყვიან!

გრიგოლი გატრიალდა და სასამართლოს ქუჩისკენ წავიდა.

ნიკოც გამობრუნდა და ქვეით დაეშვა.

— დაუჯერებელია, რომ განათლებული ხალხი უწინ ამნაირად განმზღლებულიყო ქუჩაში — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

— მამას არაფერი უთხრათ — სთქვა აკაკიმ და საუბარი დასრულდა.

• • •

ახლა ქეთო მართას ბნელ ფანჯარასთან იდგა და ამ საღამოს და ამ საუბარს იგონებდა. იგონებდა და პფიქრობდა: რად მოატყუა მართამ? რატომ არ წაიყვანა იმ მიტინგზე, იმ ნამდვილ მიტინგზე, სადაც (სხე უთხრეს დილით) აშკარად მოითხოვეს რესპუბლიკას და ლაპარაკი აეტონომიაზედაც ექნებოდა. „მარტო კი ვერ წავალ? — ჰკითხა მან თავის თავს და პასუხი გასცა: — ვზაც ვიცი და კარსაც ვიპოვი“ — გადასქრა და თავქვე დაეშვა. ვეთა პირველ გიმნაზიის წინ ეტლი შეჰხვდა. გააჩერა, ჩაჯდა და უთხრა:

— განოვის ქუჩაზე წამიყვანე.

ხუთი წუთის შემდეგ ეტლმა ერეენის მოედანი გადასერა და განოვის ქუჩისკენ შეუხვია. უცებ ეტლი გააჩერეს. თეთრად ჩაცმული ქეთო ზეზე აღდა და წინ გაიხედა. ქუჩა ყაზახებით და პოლიციელებით იყო სავსე.

— რა მოხდა? რატომ არ მიშვებთ?

— გთხოვთ უკანვე გატრიალდეთ.

— გამატარეთ მეთქი.

— გთხოვთ მეთქი!

ანაზღად იქვე შენობიდან ყრუ გრიალი მოისმა თოფისა. მას მეორე, მეოცე და მეთხუთსე მოჰყვა. მეეტლემ ცხენებს შოლტი დაუშინა, გამოაბრუნა და ქენებით წამოიყვანა. ყოველ მხარეს დაფეთებული ხალხი მოსჩანდა. უთავბოლოდ მორბოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, აქცევდნენ და ზედ გადარბოდნენ. ახლა სროლა მკაფიოდ ისმოდა. ეტყობოდა, რომ ყაზახებს გართუალ აეტეხათ სროლა. ქეთოს ეტლი პუშკინის ქუჩით მიჰქროდა.

— გააჩერე! ჩამოხსვი! — ყვიროდა ქეთო და მეეტლე, თიხის ბალღით ეკიდებოდა მხარში.

— რამ გაგაგიჟა, ქალო! — შემოსძახა ნეეტლემ დასწრისკენ სხობთა. ქეთოს უნდოდა ჩამომხტარიყო, უკანა მხრიდან განულოცავ გაწოვის ქუჩაზე და მართასთვის ეშველნა. „აღბათ ნიკოც იქ არის, ლევანიც და თავს ხომ ვერ დავანებებ, ძმას და მეგობრებს ვერ ვუღალატებ“.

ეტლი უცბად შესდგა. მეეტლე წინ გადაწვარდა. ქეთო მკერდით მიაწყდა კოფოს, მერმე გასწორდა და ძირს გადმოხტა. ერთი ცხენი ქვედენილზე ეგდო და ფართხალებდა. ფეხში იყო დაჭრილი და ველარ ამდგაოიყო.

ქეთო ტროტუარისკენ გაიქცა და პირქვე დამხოზილ კაცს წააწყდა. ახლა კი დაივიწყა, ძმაც, მეგობარიც და, შიშით და გადარჩენის ალლოთი შეპყრობილი, ქვეით ბაზრისკენ გატრიალდა.

თოფის ხმა ფეხდაფეხ მისდევდა. რამდენჯერმე ტყვიის ზუზუნიც მოესმა. ქვეით რომ ჩავიდა, მარცხნივ შეუხვია და შიში ნელნელა დაუცხრა. იქიდან ისევ გოლოვინის პროსპექტზე ამოვიდა და თხლად მიმავალ ხალხს ყური მიუგდო. უმეტესობა თითქმის სირბილით მოდიოდა. ზოგნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ რა მოხდაო, მაგრამ მრბასუხე არავინ იყო. მათ მარტო ის იცოდნენ, რომ დარბაზში თავმოყრილს უიარაღო ხალხს ყაზახებმა თოფი დაუშინეს და უამრავი ქალი და ვაჟი გაუღიტეს.

ქეთო ნელი ნაბიჯით შეუდგა აღმართს და, თავის სახლს რომ მიადგა, უკნიდან ეტლი დაეწია. ცხენები ხენეშით შესდგნენ. სიბნელის გამო ქეთომ შივ მუდომანი ჯერ ვერ იცნო. ეტლიდან ზედიზედ ზურაბ გურგენიძე და ლევანი გადმოხტნენ, რომელმაც მაშინვე ჩასჩურჩულა ქეთოს:

— ქეთოჯან, მართას და ნიკოს ცოტაოდენი სისხლი გამოადინეს და დიმიტრი გააფრთხილე. ნურც შენ შეშინდები, რალა.

— რა დაემართათ?

აკი ვითხარი, ოდნავ დასჭრეს მეთქი. ხმა-კრინტი არ დასძრა, არავინ გაიგოს. აბა შენი გულის სიმაგრე გვიჩვენე და ყარაჩოლელებში ჩაგწერავ.

აჩვენებს, უეჭველად აჩვენებს. მართალია, ქეთოს ჯერ არც მოკლული და არც დაჭრილი ვინმე უნახავს, მაგრამ ეს არაფერია. სიმაგიეროდ გაჭრილი თითი და ხელის სისხლი მრავალჯერ უნახავს და გული არ შეპლონებია.

ქეთო მარდად ავარდა მეორე სართულზე. მძაფრად ჩამოჰკრა ზარი — ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ ჩამოჰკრა, ფეთიანივით შევარდა დიმიტრის კაბინეტში და სხაბასუპით მიახალა:

— მიტო, ისინი დასჭრეს... ორივენი დასჭრეს და ჩქარა უშველე.

— ვის დასჭრეს?



ქალის ტვირთი

— აკი ვითხარი, ნიკო და მართხ დასჭრეს მეთქი.

— სთქვი, სად არიან?

— აქვე არიან. ეტლით მოიყვანეს. აბა ჩქარა!

და უკანვე გაიქცა. დიმიტრიც ფეხდაფეხ მისდევდა. მართხ კი ხეზე მართხ დაუხვდათ. ზურაბი ილლიაში შესვდომოდნა და ფრთხილად მოჰყავდა. ქალს ფითრის ფერი ედო, მარცხენა ხელი მათრახივით ეკიდა და სისხლი ფრთქიალით ჩამოსდიოდა. მან ოდნავ გაიღიმა და სთქვა:

— არა მიშავსრა. საიმისო არაფერია. ნიკოს უშველეთ.

დიმიტრის უნდოდა ქვეით ჩასულიყო და ნიკო ამოეყვანა, მაგრამ ზურაბმა არ დაანება:

— თქვენ მართა შეიყვანეთ, ნიკოს კი მე და ლევანი ამოვიყვანთ.

მართას ახლა მიტო მიეშველა, შინ შეიყვანა, ტყაეის სკამზე დასვა, საკინძი გაუხსნა, სისხლში ამოვლებული ზედატანი, გაჰხადა და იარას დაჰხედა. ტყეიას ფერდი გაეცაწრა, იდაყვის ზევით მკლავში მოხვედროდა და მეორე მხარეს გასულიყო. ეჭიმმა მკლავი გასინჯა და რამდენჯერმე ჰკითხა:

— გტკივა თუ არა?

მართამაც რამდენჯერმე უპასუხა:

— არა მტკივა.

— მაშ გადარჩენილხარ. ძვალი არ დაზიანებულა, ორ კვირაში ისე მოგიჩრჩება, თითქო სულ არაფერი დაგშავებოდეს.

ლევანმა და ზურაბმა ნიკო შემოიტანეს და ტყაეის გრძელ სავარძელზე დაასვენეს. ისედაც გამხდარ სტუდენტს ყბები ჩავარდნოდა, მკედრის ფერი დასდებოდა, პირი ეღმიკებოდა და ჩუმი ხმით ჰკვენსოდა.

დიმიტრიმ სისხლში მოსვრილი შალვარი აუქცა და ფეხი გაუსინჯა. ნიკომ ტკივილს ვერ გაუძლო და შეჰყვირა. მიტოს ოდნავ ფერი ეცვალა, ვინაიდან იმის ძმას კოჭი ჰქონდა გატეხილი და შესაძლო იყო დაკოჭლებულიყო.

ქეთომ ზურაბი შეათვალეირა. მას ლურჯი საზაფხულო ხალათი ეცვა. ხშირი გრძელი თმა თავზე უწყსრივოდ ეყარა. ახლად გაპარსული მკრთალი სახე კუშტებივით ჰქონდა შეკრული. ხშირი აბურძგენილი წარბები ერთად შეჰყრილიყვნენ და მრისხანედ აზღარბებულიყვნენ.

ზურაბმაც შეხედა ქეთევანს, თითქო ახლალა იცნოო, ოდნავ გაუღიმა და ქაღილით ჩაიქნია თავი.

— თქვენც იქ იყავით?

ზურაბმა არ უპასუხა.

— ბევრი სისხლი დაიღვარა?

— იმდენი დაღვარეს, რომ სანაზღაუროდ მთლად თავიანთი სისხლიც არ ეყოფათ. აგრეა, არ ეყოფათ. დრო მოვა და ვანანებთ.

ქეთომ თვალეზში შეჰხედა და შეშინდა.

ზურაბმა სისხლიან ხელებზე დაიხედა, მაშინვე გატრიალდა და პირსაბანში ჩირიცხა, თან დროგამოშვებით ისე იქნევედნენ, როგორც ვილაქას ემუქრებოდა.

ღიმიტრიმ სწრაფად გადაიკვა თეთრი ხალათი, ლევანი დოსტაქრის მოსაყვანად გაჰგზავნა, მოსამსახურეს სისხლის მოწმენდა დაავალა, ორივე დაჭრილს თითო ტაშტი შეუდგა, ზამბა, არტაშანი და სპირტი გამოიღო, ქეთო და ზურაბი მოიშველია და ჯერ მართას მკლავს მიადგა.

სანამ მოწითალო იატაკზე დაღვრილი სისხლი არ მოსჩანდა, ქეთომ უბრალო ალტკინების მერტი არაფერი ემჩნეოდა, მერმე კი, როცა თეთრ თასი წითლად შეიღება, ქეთომ ტანში ერუანტელის რბენა, სიცივე და სისუტე იგრძნო.

ნიკო იქვე გვერდით იწვა. ის წამოწეულიყო, კისერი მოედრიცნა და ლამობდა მკერდ-შიშველი მართა დაენახა. ქეთომ ძმას გადაჰხედა. საწადელს მიუხედა, წინ ამოეფარა და თვალი ზურაბზე გადაიტანა. გურგენიძეს მართას მკლავი ეჭირა, ხოლო ვნებით ამწვარი თვალები იმის მოზრდილსა და თეთრ ძუძუებზე დაებჯინა.

ქეთომ იგრძნო, რომ თავბრუ ესმოდა და ცალი ხელით ზურაბს დაეყრდნო მხარზე. გურგენიძემ თითქო არაფერიც არ იგრძნო და მართას მკერდს მოხიზლულივით დააკეჭრა.

— ქეთო, დაასხი... დაასხი მეთქი, რა დაგემართა?

ქეთოს ეს სიტყვები თითქო ჯურღმულიდან მოესმა. სპირტით სავსე ბოთლი ხელიდან გაუშვა, წატორტმანდა და დროზე წამომდგარ ზურაბს მკლავზე მიესვენა.

— ეგლა მაკლდა! — წამოიძახა ეჭიმმა და ზურაბს მიადახა: — მაგ ხალიჩაზე დაასვენეთ, ყურები დაუსრისეთ, საკინძი გაუხსენით, საფეთქლები დაუზილეთ და ეს წამალი ასუნებინეთ.


წიშადურის სპირტი მიაწოდა და თვითონ ისევ მართას მკლავს დაუბრუნდა.

ქეთომ თავის ლოგინში გაახილა თვალები და დედის თვალებს წააწყდა, რომელთაც სიამით დაიწყეს ციმციმი. იქვე გრიგოლის ცოლი ანიკო და აკაკის ცოლი თამარი იდგნენ. იმათაც გაუღიმეს ქეთოს და წაიჭურჩულეს:

— მადლობა უფალსა... მოსულიერდა.

მარიამმა მათ კარზე ანიშნა. ორიენი ფეხაკრეფით გავიდნენ და კარებიდან ქეთოს თითო ღიმილი კიდევ აჩუქეს.

დედამ თავის ქალს თმაზე ხელი გადაუსვა, შუბლზე აკოცა და ჩასჩურჩულა:

— ნურაფერზე ნულარ იფიქრებ. დამშვიდდი და ჩაიძინე.  აქ ვიქნები. ხომ არაფერი გინდა, შვილო? მურაბიანი წყალი დალე.

ქეთომ ერთი ჭიქა მოტკბო და მონყავო წყალი დალე და იქნება:

— ისინი როგორ არიან, დედილო?

— ძალიან კარგად არიან, შვილო. ორივენი ორ კვირაში წამოდგებიან.

— სადა წებანან?

— მართა თავის ოთახშია, ნიკო კი მიტოსთან დავტოვეთ. შენ იმათ დარდი ნუ გეჭნება, ნურც იფიქრებ. თვალები დახუჭე, ჩემო ჩიტუნია და არხინნად დაიძინე.

— კარგი, დედი, დავიძინებ.

და თვალები მილულა, მაგრამ ძილს კარგა ხანს ებრძოდა. მართას შიშველი მკერდი და ზედ მიბჯენილი ზურაბის თვალები ელანდებოდა და თან ჰფიქრობდა: „ნეტავი კაბა სად გამხადეს, აქ თუ ქვეით? ჩემი მკერდიც ნახა თუ არა ზურაბმა? და თუ ნახა... მერმე რაო, მართა ხომ ჩემზე უფრო თეთრია? თვითონ ზურაბიც ჩემსავეთ შავგვრემანია, მაგრამ მეც და მართასაც... მგონი მართასაც... ღმერთო ჩემო, რა ტუტუცი ვარ! ვინ შე და ვინ თავზეხელაღებული უსახლკარო გურგენიძე, რომელსაც საცაა დაიჭერენ და ციმიბირში დააღობენ!“



მეორე დღეს ქეთომ გვიან გაიღვიძა. მაშინვე წამოხტა, შიშველი ფეხები მართას მიერ მოქარგულ ჩუსტებში ჩაჰყო, ფანჯარა გააღო და სარკიან კარადის წინ შესდგა. თეთრ ოთახში დილის სიგრილე შემოვარდა, იჭაურობა მოიბრინა ყველაფერი დაჰსუნა და მოაფათურა.

ქეთომ წელამდე ჩამოიშვა თეთრი პერანგი და სარკიდან გამომზიარალი ნახევრად შიშველი ქალი გულდასმით გასინჯა. კისერი — ზომიერად საესე და მალალი; ბეჭები და მზრებიც — სწორი და საესე; ძუძუებიც მსხლის მსგავსი, მკერივი, მოქნილი და ზომიერად მოზრდილი. მაშ რა მოხდა? რად შეეპარა შიში? არაფერიც არ მომხდარა. არა, ქეთო არ შეშინებულა. მართა მას მეტოქედ არც კი მიაჩნია. სხვადასხვა ჯიშისა არიან, შორჩა და გათავდა! მართა რომ გათხოვდება, თავის განსვენებულ დედას დაემგვანება — ფეხმოკლეს, ჩასუჭებულს, დიდმუცლიანს და ბაჯბაჯას, ქეთო კი პირწაყარდილი დიდედა იქნება — სიბერეშიც ზომიერად სრული, ზომიერად მალალი, გრძელთმიანი, თეთრნასთიანი და მალაღფეხიანი. შესაძლოა მართა დროებითი გასართობი იყოს ზურაბისთვის

— ამაზე მამაკაცს ხელს ვერ ააღებინებ.

ქეთო კი სამუდამო მეუღლე იქნება და მათ სიყვარულს ცხრა უღველი კამეჩიც ვერ გასწყვეტს.

მარდა ამისა, თუ ქალვაჟმა მკვიდრი ზუღე არ გაიჩინა, ერთი მეუღლე მარცხნივ გაფრინდება და სეოიყ კი მარჯვნივ. რას შეიტანს ამ ზუ-

დღეში ზურაბი? არაფრისგან არაფერს. რას შეიტანს მართა? რა დღეშიმე მოჭარგულ-მოჭსოვილ ჩეარს, ესე იგი: არაფერს არაფერს, მიეცემა და არაფერი გამოვა.

ქეთო კი... მარტო ქეთო დაუხვედრებს მორთულ ბინას, თვალმარგალიტს, უამრავ თეთრეულს, ჭურჭელს, მამულს, ათას ოქროს და ისეთ საზოგადოებას, რომელიც მის ჭმარს იმზობს, წინ წასწევს და დიდ გზაზე დააყენებს.

ასე ჰფიქრობდა ქეთო სანამდის, მანამ მოახლე ტანთ აცმევდა და თმას უვარცხნიდა. იმ დღეს მან სულ თეთრი ჩაიცვა, ბეჭდები და სამკაული ბლომათ გაიკეთა, ცხელცხელი შოკოლადი დალია, ერთხელ კიდევ ჩაიხედა ჯიბის სარკეში და ჯერ ძმის სანახავად ჩავიდა.

ნიკო დიმიტრის საწოლ ოთახში იწევა და წიგნს კითხულობდა. დაირომ დაინახა, გახარებულმა გაიღიმა, ხელში ორივე ხელი ჩასჭიდა, ლოგინზე დაისვა და ცრემლნარევი ხმით უთხრა:

— მარტო შენ გებრალები, ქეთო...

— მაგას რად ამზობ, ნიკო? განა კარგად არ გივლიან?

— ძალიან კარგად მივლიან, მაგრამ ზედ შხამს ატანენ: აგრე გინდა, ახია, იქ რა მიგათრევდაო.

— რატომ მე არ მომიცადეთ?

— მართამ მე და ლევანი განგებ აგვაჩქარა. შენი წაყვანა არ უნდოდა... ეშინოდა, არაფერი დაემართოსო.

„ეშინოდა, ზურაბს არ შეხვდესო“ — თავისთვის გაიფიქრა ქეთომ და ნიკოს ჰკითხა:

— რა მოხდა, როგორ მოხდა?

— საქმეც ის არის, რომ ჩვენი მხრივ ბევრი არაფერი მომხდარა. ვერ მოვასწარიტ. მიტინგი რომ დავიწყეთ, ვილაც შემოვარდა და მოითხოვა, ახლავე დაიშალენითო. თავმჯდომარემ უარი მიახალა და არც ჩვენ დავნებდით. უცებ ყაზახები შემოცვივდნენ და პირისპირ დაგვახალეს თოფები. „დაწეეთ!“ — მოგვაძახა ზურაბმა და ჩვენც სკამებში ჩავწეეთ. ვინც გაიჭკა, უარესი დღე დაადგა.

— ზურაბი როგორღა გადარჩა?

— მოტყუებით გადარჩა. თავი მოიეჭიმა, გამოვიდა, ჩვენც გამოგვიყვანა და... დანარჩენი შენც იცი.

ქეთომ შუბლზე ხელი დაადო და უთხრა:

— სიცხე გქონია. ლაპარაკი გაწყენს — და ასადგომად წამოიწია.

— ნუ წახვალ, ნუ — შეეხვეწა ძმა და ისევ ხელში ეცა — ალბათ მართას სანახავად მიდიხარ. მომიკითხე, სიყვარულით მომიკითხე... იშვიათი აღამინაია, კეულიანი, გულკეთილი, შრომის მოყვარე და ერთგული.

— ვისი ერთგულია, შენი?



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნიკომ ღიმილით აპხედა და განუმარტა:

— საქმისა და ამხანაგების ერთგულია.

— მეტი არაფერი?

— ჯანსაღია და... ეშხიანი.

— ეშხიანიც არის და ლამაზიც. — დუმოწმა ქეთომ.

— ჰო, ლამაზიც არის.

— მე რომ ვატი ვყოფილიყავი, უეჭველად შევიყვარებდი.

— გინდა გამომტეხო?

— რალა გამოტეხა გინდა. დიდი ხანია ვიცი. თვალი მიჭრის და ვხედავ: მე რა დამემალება!

— რაკი გკოდნია....

— სთქვი, რალას მიმალავ! — გაამხნევა დამ. — თუ გიყვარს, დაგეხმარები. უთხარი რამე? აგრძნობინე? რა გიპასუხა?

ნიკო წამოჯდა, თვალეხი აუკამკამდა და მთრთოლვარე ხმით შეეხვწწა დას:

— მაშ დამეხმარე და რაც გინდა მთხოვე... ყველაფერს შეგისრულებ... ყმად დაგიღვები... მართა მიყვარს, გაგიყვებით მიყვარს. აღარც ძილი მაქვს და აღარც ქამასმა... ბევრჯელ ვაგრძნობინე, მერმე გამოუტყდი და ვუთხარი...

— რა გითხრა? რა გიპასუხა?

— ეშხიანი, არა სჯერა. სად მე და სად შენაო. ახლან მუშას ყველა ეარშიყება, მერმე კი ისევ შენს გვარეულობას დაუბრუნდები და მე კი გავუბედურდებიო.

— არ უთხარი ცოლად შეგიერთაო?

— ეგეც ვუთხარი, მაგრამ არც ამან გასჭრა. ჩქნება არ გამეყარო, მაგრამ აღარ გეყვარები და ესეც მეყოფაო.

— სხვა ზომ არაეინ უყვარს?

— ვერ შევამჩნიე. ვითომ ვინ უნდა უყვარდეს?

— მე რა ვიცი. ვანა ცოტანი არიან? — და დუმილის შემდეგ დაურთო: — ზურაბი ზომ არ მოსწონს?

ნიკო ხელახლა დაეშვა ბალიშზე, ჩაფიქრდა და იმედდაკარგულივით უპასუხა:

— არ ვიცი, არაფერიც არ ვიცი. ერთმანეთს იშვიათად ხედავენ... ძლიერ თავდაპერილად იქცევიან... ვერაფერიც ვერ შევამჩნიე.

— მაგას მე შენზე უკეთ ვაგიგებ. ერთი სიტყვით, მე და შენ კავშირი შეგვარით, თუ მეც დამჭირდეს დახმარება, იმედია, არც შენ დაიწვევ უკან.

— ყმად დაგიღვები მეთქი.

— მართას ვიტყვი, რომ დღეში ერთხელ მაინც დაგხედოს. შენ კი... შენც ვაეკაცს უნდა დაემგვანო. ჩვენ, ქალებს, ქალაჩუნა და დავრდო.



მილი მამაკაცი არ გვიყვარს. შენ თავს დაჰხედე რასა პევესო. უფრო სუფთად ჩაიცივი, შენს თავს უკეთ მოუარე. დალაქს დაევიწყებ, წვერი გაიპარსე და თმაც გაიკრიჭე. აბა, კარგად იყავი. პოემათა წყნელად დამაფიწყდა, მინდოდა დედასთვის მეკითხა და ველარ მოვასწარი: წუხელის რომ გული წამიფიდა, კაბა აქ ხომ არ გამზადეს?

— კაბა არ გაუნდიათ, მკერდი კი გაგიღელეს.

— ვინ მასულიერებდა?

— ზურაბი. დიდხანს ეწვალა, მაგრამ ვერ მოგასულიერა. მაგას რად მეკითხები?

არაფრად.

— მაშ ყოჩაღათ იყავი და ვინძლო საწადელს მიადწიო.

ზურაბ გურგენიძემ ლანდივით გადასჭრა ახატნელის ეზო და დოვლა თაშვილის ბინაში შევიდა. მან წინდაწინვე იცოდა, რომ შინ მარტო მართა დაუხვდებოდა და ამიტომ პირდაპირ იმის ოთახისკენ შეუხვია. ხელახვეული მართა მაგიდასთან იჯდა და ცალი ხელით რაღაცას ცოდვილობდა. კარი რომ შემოაღეს, ზეზე ადგა, მაგრამ ზურაბმა მოასწრო და —

— ნუ ადგები, ნუ. — ორივე ხელი მოჰხვია, ისევე დასვა, გვერდით პიუჯდა და მზრუნველობით ჰკითხა: — როგორა ხარ?

— ძალიან კარგად.

— მკლავი ხომ არ გტკივა? სიცხე ხომ არა გაქვს?

— არცა მტკივა და არც სიცხე მაქვს. დღეს დიმიტრიმ არტაშანი გალომიცვალა და მითხრა: ყველაფერი თავის რიგზე მიდის, ოღონდ ხელი არ შეაწუხო და ნურც აღელდებიო.

— ჩემთვის მაგაზე უარესი რაღა იქნება! — სთქვა ზურაბმა და დაიღონდა.

— არ მესმის.

— ველარ გაკოცებ, ვერც მოგეხვევი, თორემ აღელდები და გაწყენს. მართა გაწითლდა. მერმე გაუღიმა და პირსახე მიუშვირა:

— მე შემძლიან ჩემ თავს ძალა დავატანო და არ ავლელდე.

— მართლ? მაგას რა სჯობია! — და მათმა კოცნამ სანამდის გასტაია, მანამ სული არ შეუგუბდათ.

მერმე წითლად აღანძულმა ქალმა ვაჟის მკლავი მოიშორა, სკამი მოშორებით გასწია და

— ეს ერთი გვეყოფა — უთხრა. — მეტი აღარ შეიძლება. ორივეს გვენებს, ერთი მითხარი, წუხანდელი ზოცვა-ვლეტისა რა გამოიჩევა?

ზურაბმა ვჩუქლებმისამებრ ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ოთახში ნელსიარულს შეუდგა, თანაც ისე ლაპარაკობდა, თითქო თავის თავს უამბობდა:

— ამბობენ, ოცდაათი კაცი მოჰკლეს და ასიოდე დასტოვდა. ამ რიცხვს ოდესმე სამიოდე ნოლს მივუმატებთ და ვაღს ვადაეუხდით... ჩენმა ოთხიცი და ხუთიცი მივუმატათ. ერთმანეთის ხორცს დავაჭრებენ და ვაჭრებთ. ვინც ვაჭრის დღეს ვაწყველინებთ. ნეტა იარაღი მაინც გვექონება. მაინც ვიტყვით: ბრძოლა მოვიზადეთ და დავმარცხდით. ქალაქნები არიან, უბადრუკი ქალაქნები! ხელცარიელ ხალხს დაერივნენ და აჯობეს. ეგ ლაჩრული ვერაგობა ძვირად დაუჯდებათ-მეთქი!

— ჩენი ნაცნობი ამხანაგი ვინ მოგვიკლეს, ვინ დაგვიტრეს?

— ჯერ არ ვიცი. ორიოდე საათის შემდეგ მეცოდინება. — მიუგო ზურაბმა და მართას გადაჰხედა. — ფერი წასვლია. ავადლეღე. სჯობს სისხლის ამბები გავათავოთ.

— წუხელ სად გეძინა?

— რაედენტან.

— რომელ რაედენტან?

— ასოთამწყობთან. გუშინ დილით ისიც გამოვაშვებინე და თედოც-თედომ თავის დაპატიმრების ამბავი მიაშპო. თურმე აკაკის ადვილად შეეძლო განსაცდელისგან დაეხსნა, მაგრამ მოჭრიდა. ამასაც სათვალავში ჩავუწერო. ეს კაცი თავისას არ იშლის და ისევ პროვოკატორებს გვეძახის. ჩემი გამოქცევაც სწყენია. ინტრიგანია და ისევ აგერეგსო. ეს ადრევეც ვიცოდი. ორიოდე თვის წინათ კვალის არევა მოინდომა და ნიკოს დააბარა: ზურაბს ჩემი სიყვარული და პატივი გადაეციო. მაგრამ მე რას მომატებენ! ყველანი ხელის გულზე მყვანან. წუხელის ქუჩაში შემხვდა და კინალამ გადამხვებია. მერმე ისეთი ქათინაურები მომაცარა, რომ სხვა ვინმე აუცილებლივ მოტყუებდებოდა. ამისთანა მეგობრებს აშკარა მტერი მიჩივენია.

— შენ ეს მითხარი, რაედენი და თედო ვის გამოაშვებინე?

— ისევ ამილახვარმა გვიშველა. თურმე იმასაც გაუგია, რომ ავშაროვი ქეთოს თხოვლობს და კარგი ფანდი უხმარია: ქეთოს დედა მარიამი წაუყვანია და ავშაროვი ხუთ წუთში მოუღბიათ.

ზურაბი შუა ოთხაში შესდგა. იფიქრა და წაიჩურჩულა: — ქეთოს დედა მარიამი ძლიერ გამოგვადგება, ქეთოს რომ...

— ქეთოს რომ ავშაროვს მიათხოვებდნენ — დაასრულა მართამ.

— ვითომ არ მიათხოვებენ?

— დედამამს ძლიერ უნდა, ძმები კი ამოღებული ხმლებით ეომებიან.

— თვითონ ქეთო რას ამბობს?

— ყოყმანობს. სულ ჩვენსკენ მოიწევს. ერთობას უნდა ვეშაბუროო. აბა რა იმის საშუალება? პეპელასავით დაიწვება.\*

— ცალი ფეხით რომ შემოეუშვას, ვითომ რა მოხდება?

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს. მართამ თავი დახარა და უპასუხა:

— იქნება გამოგვადგეს, მაგრამ იქნება ავშაროვმაც გასწავლეს; ქალს ქმარზე უფრო მახლობელი არავინა ჰყავს, ჩვენ კი ქეთოსთვის...

— შესმის. გავიგე — აღარ დააცადა ზურაბმა. — ქეთიანი ქალი ხარ და იშიტომ მიყვარხარ. თუ რამ შეგიძლიან, ქეთოს ავშაროვისკენ მიუბრუნე გული. იქნება მისთხოვდეს. დანარჩენი მერმე გამოჩნდება. მგონი ვილაც მოდის.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში დილასავეთ ქორთვა ქეთევანმა შემოიხედა. შემოიხედა და სახეზე სიხარული გაეშალა.

— შემოდი, ქეთო, შემოდი — შეიპატოვა მართამ.

— მობრძანდით, ქალბატონო ქეთევან, მობრძანდით — მიეგება ზურაბი და მაგრად ჩამოართვა ხელი. — ჩემ მხსნელს და მფარველს ასიათასი ვაჭყაცით ვახლავარ. წუხანდელი ღამე როგორ ვაატარეთ? გახსოვთ გული რომ წაგივიდათ?

— ისღა მახსოვს, რომ გული მიმდიოდა, მერმინდელი კი არაფერიც არ მაგონდება. — მიუგო ქეთომ და მართას გვერდით მოუჯდა. — შენ როგორ ხარ, მათიკო?

— ძალიან კარგად.

ზურაბი ისევ ქეთოს მიუბრუნდა:

— ეგ ყურები ბევრი გისრისეთ, მაგ ლოყებზე სიღებიც კი გიტყაბუნეთ, ოხოხო, მაგრამ ვერ მოგასულიერეთ. მერმე ზევით აგვიყვანეს და გონს იქ მოგიყვანეს. გახსოვთ თქვენს ოთახში რომ მოთხარით, სისხლისა არ მემინიანო? ახლა რას იტყვით?

— იმას ვიტყვი, რომ სისხლს მეც შევეჩვევი

— არც აგრე ადვილია — მიუგო ზურაბმა. — ერთი მოთხარით, ქეთომი ხომ დაგიკლავსთ?

— რა ჩემი საქმეა! — სიცილით შესძახა ქეთომ.

— მაშ კაცს მოსაკლავად ვერ გაიმეტებთ და ვერც ბარკიდაზე ახვალთ.

— ეგ სულ სხვა საქმეა. აუღალ კიდევ და თოფსაც დავცლი.

— თოფის გასროლა კი შეგიძლიანთ?

— ჩემმა ძმებმა მასწავლეს. ერთხელ ყვაფი მოკალი, ახახა!

— ჩემზე გაჯავრებული ხომ არ ხართ — სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მართამ.

— ძალიან. — მიუგო ქეთომ. — რატომ არ წამიყვანე?

— ჩვენ რა ხეირი ენახეთ, რომ შენც ჩამეთრიე? მადლობის მაგიერია? ქეთომ ხელი მოჰხვია და მიუგო:

— გეზუმრობა. ვინ იცის, იქნება მეც დავიქერი, ან მოკვალა. სამაგიეროდ ერთ ნამდვილ მიტინგს მაინც ენახავდი.

— ძალიან გინდათ? — ჰკითხა ზურაბმა.

— მინდა, მამა! რევოლუციის გუგუნი მხოლოდ შორიდან ჰქმნის და იმის აღსაც შორიდან ვხედავ. რა სიცოცხლეა ჩემი ჯერჯერობა ვარ, ვწევარ, დავდივარ, ვიცვამ, ვჭამ, ვკითხულობ, ვწმენდები, ვახარებ, ვანა ეს არის სიცოცხლე?

— გიყვართ, უყვარხართ, გათხოვდებით, შვილებს გაიჩენთ და გამო-  
ზრდით, ვანა არ გეყოფათ? — გაუთავა სურათი ზურაბმა.

— ამას ზურაბ გურგენიძე მეუბნება? — გატყვირდა ქეთოს.

— ამას მამა თქვენი ანდრია გეუბნებათ. ყველგან ამას ჭადავობს —  
მიუგო ზურაბმა.

— მამაჩემს თავი დაანებეთ. ზუბრია და ველარ მოარჯულებთ.

— მაშ გათხოვება არ გინდათ?

— თუ ჩემი ჰკუისა შემხედება, რატომაც არ მინდა!

— შორიდან ყური მოგკარი, ქეთევანს ხუთიოდე მთხოვნელი ჰქაესო-  
ნუთუ ეს ხუთში თქვენი ჰკუისა არც ერთი არ გავრია?

— არც ერთი არ გარეულა ყველანი მემჩანები არიან.

— თქვენ კი გმირი გუნდომებათ. გმირები კი მანჯურიაში ათასობით  
არიან და მალე დაბრუნდებიან.

— ბატონო ზურაბ, ნუ დამცინით, თორემ ამატირებთ.

— ახლა კი მივიხვლით: ბომბისტი გუნდომებათ.

— ნუ დამცინით მეთქი!

— კმარა. ხუმრობა გეყოფა — სთქვა ზურაბმა და წამოდგა. — ახლა  
კი მესმის, ძალიან კარგად მესმის. რაღა სიტყვა გაეაგრძელოთ: თქვენც  
ერთობის სული ჩადგომიათ და ის სული საქმეს დაეძებს. ნუ გეწყინებათ:  
ათასში ერთხელ ოხუნჯობა მომინდება ხოლმე და მეც უჯერს ვიჭარებ.  
თქვენი გულის ნადები ძალიან კარგად მესმის მეთქი. ერთი ეს მიბრძანეთ:  
მგონი თქვენი ძმები ერთობის საქმეში ურევინ და რატომ თქვენც არ ჩა-  
ვითრევენ?

— იმიტომ, რომ ჩვენი დედმამისა ეშინიათ და მეტისმეტად მიჯრთ-  
ხილდებიან. კიდევ დამცინიან: ერთი შავი გედი გყავს, ბროლის ციხეში  
დავამწყვდიეთ და გარეთ აღარ ვუშვებთო.

— შავი გედი? საუცხოვო სახელი დაურქმევიათ. — წამოიძინა  
რაბმა და ქეთევანი თავით-ფეხებამდის ჩაათვალიერა. — ეგ სახელი ვინ  
მოვიგონათ?

— შექურაულმა. იცნობთ თუ არა?

— შექურაშვილს ვინ არ იცნობს! — ღიმილით მიუგო ზურაბმა. — გუ-  
შინწინ მეოცე ბინა გამოიცვალა. ლანდს ემალება. ნამდვილი სირაქლემა-  
ძილის დროს იმალება და სხვა დროს კი ქალაქის ქუჩებს სცვეთავს. სახე-  
ლი კი მშვენიერი მოუგონია: შავი გედი... ბროლის ციხე... „შენც ხომ  
მ. „ნათობი“ № 2.

იცი ბროლის ციხე როგორ ცამდის მაღალია. შოგა ზის ქალი ქეთინო. ყელიც მოუღერებია. გედივით მოუღერებია. ჩინებული სურათია. ლამის მეც დავეჯერო, რომ შეჭურაული მართლა პოეტია.

— ისევ დამცინით?

— ღმერთმა დამიფაროს! ბარბაროსი ნუ გგონივართ. ბროლის ციხეში ჩამჯდარ შავ გედს დაეცინო?! რა ბრძანებაა! — და თითქო სინანულით დაურთო: — ნეტა იმდენი მეცალოს და კალამიც იმდენად მიჭრიდეს, რომ შავი გედის პოემა დავწერო. ნამდვილად კი მეც და ჩემი ამბანაგებიც შავ პროზას ვწერთ.

— ტყუილია! — გააწყვეტინა აღფრთოვანებულმა ქეთომ — თქვენ უდიდეს წითელ პოემას სწერთ შავ დედამიწაზე.

— მაგას დროება გამოარკვევს — მიუგო ზურაბმა და ჩალის ქუდი დაიხურა. — ვინ იცის ეგ პოემა თუ პროზა როგორ დაიწერება და როგორ დასრულდება.

— მე მჯერა, რომ მშვენივრად დაიწერება და გამარჯვებითაც დასრულდება — მტკიცედ მიიძახა ქეთომ. ზურაბმა ვაოცებით გადაჰხედა მას და გაიფიქრა: «ცოდო არ არის, რომ ეს ქალი ავშაროვს დაუთმობთ? ჩვენც გამოგვადგება». მერმე ახლოს მივიდა, მაგრა ჩამოართვა ხელი და ღრმა გრძნობით უთხრა:

— გმადლობთ, ჩემო ქეთევან, მაგ იმედიან სიტყვისთვისაც გმადლობთ. მე სიცოცხლე მმართებს თქვენი და, თუ საჭმემ მოიტანა, მუდამ მზად ვარ სამაგიერო გადაგიხადოთ, მგონი წელან გაწყენინეთ და დაივიწყეთ, გულიდან ამოიგდეთ. მშვიდობით იყავით, მართა, შენც მშვიდობით იყავი. მალე ისევ ვნახავ და ეგ ხელიც გაჯანსაღებული დამიხვედრე. კარს რომ ხელი წააელო, ქეთომ მიიძახა:

— ბატონო ზურაბ, ავშაროვს ერიდეთ!

— თვითონაც მერიდოს! — დამუქრებით გადმოუგდო ზურაბმა და გაუღია.

• •

ქეთო და მართა მარტო დარჩენ.

— გენაცვალე მათიკო, ძალიან შეგეშინდა?

— თუ ვინმემ გითხრას არ შემშინებიაო, ნუ დაუჯერებ — მიუგო მეგობარმა. — არც გული წამსვლია, არც ყვირილი ამიტეხია, მაგრამ მაინც შემეშინდა.

— დაჭრილი და მოკლული რამდენია?

— ამბობენ ასზე მეტი იქნებაო.

ქეთო ბრაზმა მოიცვა. კარგახანს შფოთავდა, ჯალათებს სწყეცილიდა, ემუქრებოდა და მზად იყო რომელიმე მეთაურისთვის ყუმბარა ესროლნა.

მართამ მოლოურჯო თვალებით გაუღიმა და ჰკითხა:

— ვითომ ვაბედავ?

— რატომ არა?

— ყველას გაუბედავ?

— ვინც უნდა იყოს, გავუბედავ.

— ავშაროვსაც გაიმეტებ?

— რატომ არ გაიმეტებს?

— იმიტომ რომ... ავშაროვი ჩვენი დიდი მტერი არ არის.

— მართლა? აგრე ამბობენ? — და ქეთოს ხმას სიხარულის იერი დაეტყო.

— ნამდვილად აგრე ამბობენ. ზოგჯერ გამოსადეგი კაციც არისო. მართამ ქეთოს თვალეზში სიამის ნაპერწყმები შეამჩნია, მცირე ხანს იყურა და ჰკითხა: — აღარ გეშვება?

— ჩემი დღეობის შემდეგ ორჯელ კიდევ მოვიდა. ერთხელ დავემაღლე და მეორეჯერ შინ არ დაუხვდი. ყვევილებს და შოკოლადსაც ხშირად მიგზავნის. ამას დასასრული აღარ აქვს და არ ვიცი რა ვუყო.

— ან შენ რაღად წვალობ, ან იმას რად აწვალებ — ჩუმი ხმით ურჩია მართამ. — ან თავიდან მოიშორე, ან უფრო მეტად დაიახლოვე. რაღას აჭიანურებ? კარვად გცნობია ვინც არის და ახალს რაღას გაიგებ?

— ძალიან კარვად ვიციან, ძლიერ კარგი კაცია. არაფერიც არ აკლია. საკმაოდ განათლებულიც არის. რუსეთში დიდი მამული ჰქონია, სამსახურშიც ძლიერ აფასებენ, მაგრამ სწორედ ეს სამსახური და მისი მუნდირი ჩავვიდგა შუაში. ის სხეანაირ სამსახურს ვერ მოულობს, მე კი სანამდის არ გავყვები, მანამ პატიოსან საქმეში არ ჩადგება. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ძველი ქვეყანა ინგრევა და რაღა იმის ერთგულ დარაჯს ავეციდო! მე ახალი თაობის ქალი ვარ და ქმარიც ჩემი ჰქუის მყოლები.

— რასაკვირველია აგრე სჯობია, მაგრამ პირუკუღმაც ხდება ხოლმე. ხომ შეიძლება, რომ სხეანაირ ოჯახში გათხოვდე და ერთობას იქიდანაც ემსახურო?

— ქეთო მიუხვდა და შეშფოთდა:

— მაგას რას შეუბნები, მართა! თუ ქმრის წინაშე გულწრფელი ვიქნები, მაშინ სიყვარული ჯოჯოხეთად გადამექცევა, თუ არა და მუდამ თავი უნდა ვიკატუნო, ნიღაბი უნდა ავიფარო და სული ჭუჭყით გავივსო. ნუ თუ შენც ამას მიჩნევ მათიკო?

— მე არაფერსაც არ ვიჩნევ. მე მარტო იმას ვამბობ, რომ ერთობას ბევრი დიდებულის ცოლიც ეხმარება.

— მე ისევ კაცის მოკვლა მიჩნევნიან — მიუგო ქეთომ.



— ეგ პიტალო სიტყვაა, ჩემო ქეთუნო. შენ სისხლს დამწვრივლი არა ხარ, აბა რა შენი საქმეა! მართალს ვამბობ თუ არა?

— მართალს ამბობ — გამოტყდა ქეთინო.

— მაშ რაღა დაგრა? ხალხში გაერეო და „გაუმარჯოს“ იმანთნ პოლიციელს თვალეზი უბრალო? ეს ხომ ყველას შეუძლიახ.

— მაშ შენ მიჩჩეც....

— შე არაფერსაც არ გიჩჩეც მეთქი. შენი ძაღლონე შენვე გაზომე და იმის მიხედვით მოიქეცი. შე მუდამ ასე ვიქცევი, რაც არ შემეძლიან, იმას არც ხელს მოეციდებ.

— ეგ ხომ აგრეა, მაგრამ ერთი მითხარი, ზურაბი დღეს შენთან პირველად იყო?

მართამ ეჭვიანად გადაპხედა ქეთოს, იყუჩა და ჰკითხა:

— მაგას რად მკითხავ?

— არც არაფრად. ისე გკითხე.

— პირველად იყო — უპასუხა მართამ და განზე გაიხედა.

— ისეც უბინოდ არის?

— აბა რა ვიცი.

უხერხული დუმილი ჩამოწვა. ქეთო საბაბს ეძებდა ნიკოზე გადაეტანა საუბარი და კიდევ იპოვნა:

— ნიკო მიტოს ოთახში წვეს, რატომ არ დაპხედავ?

— წავიდეთ, მოვიკითხოთ — მიუგო მართამ და წამოდგა.

— შე არა მცალიან, ძალიან მეჩქარება, მარტო შენ აღი და გაართე. ხომ იცი რა რიგ უყვარხარ.

მართამ არა უპასუხარა და ისე შეპხედა, თითქოს მსურდა მის სახეზე უფრო მეტი წაეკითხა.

— ცოდოა, იტანჯება — ჩუმი ხმით დაუმატა ქეთომ.

— გითხრა რამე? — ჰკითხა მართამ.

— შე თვითონ მიეხვდი.

— იწნება იმის ტანჯვის მიზეზი სხვა 'ვინმეა.

— შენა ხარ მეთქი. ეს-არის ეხლა ენახე და ორიოდ სიტყვა წამოსცდა. საწყალი ბიჭი სულ ჩამოხმა. სულ შენზე შელაპარაკება. ცოდოა მეთქი.

— შე რა ვქნა, რა უშველო? — მხრების აჩჩევით ჩაილაპარაკა მართამ. — შე ნიკოს ტოლი არა ვარ.

— რატომ არა ხარ? საუკეთესო მეგობრები ხართ. ჩვენს ოჯახს მოსწყდა და ერთობას ვადაეგო. ერთი გზა ვაქვთ და ბარემ ბოლომდის ერთად იარეთ.

მართამ პირი აარიდა და ხმას აღარ იღებდა. ქეთომ გაითრია: „ამას ზურაბი უნდა უყვარდეს და ნიკოს იმიტომ იწუნებს. მეც მართასავით მოვიქცეოდი. ჩემი ძმა გურგენიძეს ვერ შეედრება. მამაჩემს ვეწინააღმდეგებოდა? ნუ თუ იმასაც უყვარს მართა? შესაძლოა უყვარდეს. მართა ლამაზიც არის, ეშხიანიც და ჰკუიანიც — და უცებ ერთმა აზრმა ელვასავით გააქრა: — იმისათვის ხომ არ მიჩნია მართამ ავშაროვს მივთხოვდე, რომ თავიდან მომიშოროს და ზურაბი საბოლოოდ დაიჩემოს? ნუ თუ მართლა შევაშინე? ასე უცბად შევაშინე?“ — და წელანდელიც გაახსენდა: სანამ ზურაბი ქეთოს ელაპარაკებოდა, მანამ მართა პირქუშად იყო და მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ გამოცოცხლდა. „არა, ჩემო მათიკო, მე არც შენი მეტოქე ვარ და არც ავშაროვს მივთხოვდები“ — გადასჭრა მან და წამოღგა.

— მაშ ნიკოს დახედე, თორემ ძლიერ მოწყენილია — სთქვა და ოთახიდან გავიდა.

## VIII

— მამა-ჩვენი თავსა გვეჭრის, საქვეყნოდ გვარცხვენს! —

ანჩხლად წამოიძახა ყვარჯენზე დაბეჯენილმა ნიკომ და კოქლობით განაგრძო სიარული. ის ჯერ არ იყო საბოლოოდ განკურნებული და ისევ აკაკის ბინაზე ცხოვრობდა. სტუდენტი ჭრილობისა და ხანგრძლივი უძრავობის გამო უწინდელზე მეტად გამხმარიყო და უარესად გაკაპასებულყო.

ახალი ფორიაქი ანდრო ახატნელის ახალმა წერილმა გამოიწვია, რომელიც იმ დღეს დაიბეჭდა „ივერიაში“.

ოთახში ნიკოს გარდა აკაკი, დიმიტრი და ქეთო ისხდნენ და ისინიც შფოთავდნენ. აკაკიმ თავის ცოლი და გრიგოლიც დაიბარა. ორივენი თითქმის ერთად შემოვიდნენ. მათ მარიამი და ანიკოც შემოჰყვენენ. ისინი დაბარებული არ იყვნენ და იმიტომ მათი მოსვლა ნიკოს და აკაკის არ ესიაშოვნათ.

— რა ამბავია, რა მოხდა? — იკითხა გრიგოლმა.

— მამა-ჩვენს ახალი ეპისტოლე დაუწერია და უნდა წავიკითხოთ.

— მიუგო აკაკიმ — დასხედით და მოისმინეთ.

ყველანი რომ დალაგდნენ, აკაკიმ განაცხადა:

— წერილის ავტორი ისევ ფსევდონიმს ამოჰფარებია. „ვინმე ახალი“ ანდრო ახატნელი უნდა იყოს და სხვა არავინ. სულ რომ არაფერი მოეწერა, მაინც გამოვიცნობდით. ახლა ამგვარი არქაიზმები მარტო ჩვენს პატრივცემულ ანდრიას შერჩა: „მოკითხვას გითვლისთ“, „რამეთუ“, „ძმასა ჩემსა უუუნეტარესსა“, — ჰამბავი ჰავლაბარცა შინა მომხდარი“...

— გლახა ჭრიაშვილივით ნუ გასქიმავე. არა მცალიან. — გააწყვეტი-  
ნა გრიგოლმა. — თუ კითხულობ, წაიკითხე.



— წერილს სათაურად „ჩვენი გეზი“ აქვს. — განაგრძობ აქტონ.

ახლა ნიკომ ვააწყვეტინა:

— რატომ ღმერთი არ გაიცინებს! მამა-ჩვენიც კი გეგმავდნენ და ღალბს! გრიგოლმა თვალებით რისხვა შეასხა ნიკოს და გაჩაღდა. მისი კი ბრძოლა იყო. კითხვას შეუდგა. კითხულობდა მანჭვით, თავის-ქნევით, თვალბის თამაშით, დამცინავი ღიმილით და რეპლიკებით: „პა!... ერთი დახე!.. დიდებულია! შესანიშნავია!“

წერილის ავტორი შეშინებული იყო და მკითხველსაც აშინებდა.

სოციალისტები რუსის მუჟიკს სულაც არ იცნობენ; ის ერთობას სტიქურ „ბუნტად“ გადააქცევს და ყველაზე ადრე ერთობის მეთაურებს შემუსრავს და ასი თაობის მიერ დაგროვებულ კულტურას ნაჯახით და ცეცხლით გაანადგურებს; რუსეთის ბედს თვითონ რუსები გადასჭრიან და ამ საქმეში ქართველები ფინებივით განზე უნდა ვიღვეთ, თორემ ყველაზე მეტი ჩვენისთანა პაწია მეტიჩარას მოაზვებდებო; საქართველოს ავტონომიაც მეტად სახიფათოა, ვინაიდან ალბათ ჩვენი ბედი თავაგლეჯილ დემაგოგებს ჩაუვარდებათ ხეშლი და იქნება მათ შახაბაზი და თემურ ლენგიც კი მოგვანატრონო.

ნიკომ ნერვიულად ჩაიხიხითა და ლოგინიდან სკამზე გადაჯდა.

ავტორს პარლამენტარული წყობილებაც აფრთხობდა; ას-ხეთი წლის წინათ ბიუროკრატია 1783 წელს დადებული ხელშეკრულება მოსპო და საქართველო სამუდამოდ შეიერთა. ახლა ზოგნი ამ ხელშეკრულების აღდგენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ სჯობს იგი სამუდამოდ დაევიწყოთ. ამჟამად ჩვენი საზრუნავი მარტო ის უნდა იყოს, რომ ერობა გვიბოძონ და ჩვენი დედა-ენის უფლება აღადგინონო. ვინ მოგვეცემს ამას? — კითხულობდა ახატნელი და პასუხსაც იძლეოდა: რუსეთის დემოკრატია ისეთი უზარმაზარი და მოუხეშავი ვინმე იქნება, რომ ჩვენი ხმა მას ვერ მისწვდება. ჩვენს ჩივილსა და უფლებას ვერც გავაგონებთ და ვერც შევაგნებინებთ; პარლამენტს ჩვენისთანა საქმე ათასობით ეჭვება და ამიტომ ეს უთავბოლო ურჩხული ჩვენთვის სულაც ვერ მოიცილსო. სამაგიეროდ მეფისა და ათიოდე მინისტრის კარი მუდამ ღია გვაქვს და საქმარისია ათასი დებუბრტის ნაცვლად „ჩვენი უფუზენაესი ბატონი და უფუსაყვარლესი იმპერატორი“ დავაჯეროთ და ერთგულება დაუმტკიცოთ, რომ ერობაც გვიბოძონ და დედა-ენის უფლებანიც დაგვიბრუნოსო.

— გათავდა. — განაცხადა აკაკიმ, თან წითელ წვერზე მოისვა ხელი. მსმენელთა გუნება თევზისებური თვალებით გასინჯა და დაუმატა: — რედაქცია აცხადებს: ავტორს არ ვეთანხმებითო.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. ყველანი ერთმანეთს შესკვროდნენ და პირველ სიტყვას ელოდნენ. სიჩუმე დიმიტრიმ დაარღვია:

— თქვით რამე.

გრიგოლმა უპასუხა:

— პირველი სიტყვა იმისია, ვინც თავი მოგვიყარა.

— მე იმისთვის დაგიძახეთ, რომ ეს წერილი წაგვექრათ ნაწილებად ამოიღო ხმა აკაკიმ და ნიშნად გაჩუმებისა თვალი უნდა წივოს! რომელიც მოუსვენრად ცმუტავდა. მან აკაკის აზრი არ შეიწყენარა, რომელიც ამას ნიშნავდა: ყველაფერს ნუ ვიტყვით, გადავდოთო; არ შეიწყენარა და წინდაწინვე მიღებული გადაწყვეტილება სავსებით გადმოშალა:

— ჩვენ იმისთვისაც დაგიძახეთ, რომ ამ წერილზე მსჯელობა ვაგვემართა.

— და დაგვედგინა რამე, არა? — ჰკითხა გრიგოლმა.

— უკველად — დაუდასტურა ნიკომ, მერმე ჩაახველა, წამოდგა და ისე აუწია ხმას, თითქო მიტინგზე ყოფილიყო: — რევოლუციის ტალღა დღე-დღისით მატულობს, ხალხის რისხვა მთელ ქვეყანას აყრუებს, ნიკოლოზის ტახტი ირყევა და საცაა დაინგრევა, მამაჩვენი კი ხალხს აწყენარებს და ურჩევს: ტახტის წინ დაიხოკეთ, შეივედრეთ, იქნება მეფემ წყალობა მიიღოს და ერობა გვაჩუქოსო. ეს პირწაყარდნილი ლალატია. ვერაგობაა. შერაზმელობა! მამაჩვენი ჭეშმარიტი რუსების ბანაკში გადასულა, გოროდცევის და ვოსტორგოვის ძმად გამხდარა და საქვეყნოდ გვარცხვენს. მთელმა საქართველომ იცის, რომ ჩვენი ოჯახი ერთობის ოჯახია. ზოგი მებრძოლია და ზოგიც თანამგრძნობი, მამა-ჩვენმა კი შავი დროში აღმართა, გზა გადაგვიჭრა და საქვეყნოდ თავი მოგვეჭრა. ჩვენ ამას ვერ მოუთმენთ, ვერ ვაგჩუმდებით. დუმილი მამა-ჩვენს უფრო მეტად წააქეზებს და ამილახვარ-აბღუშეილს დაგვინათესავენს. ეს ჩირჭი ყველას მოგვედო და მისი ჩამორეცხვა მთელი ოჯახის საქმეა. მე ჩემი ეთქვი და ახლა სხვამ ილაპარაკოს.

ნიკომ ლაპარაკი დაასრულა და ჩამოჯდა.

— ბარემ გვიჩიე — მიაწოდა გრიგოლმა. — რა ექნათ, როგორ მოვიქცეთ?

ნიკომ აკაკის ვადაძხედა. ეგონა, დინარჩენს ის იტყვისო. მაგრამ აკაკი განზე იხედებოდა და ცხვირსახოცით ოფლს იხოცავდა. ნიკომ ცოტა ხანს კიდევ მოუცადა, მერმე ხელახლა წამოდგა და დაასრულა:

— უნდა გავემიჯნოთ, საერთო წერილი დავწეროთ, ჩვენი გულის წყრობა გამოვთქვათ, სასტიკად გავვიცხოთ, ყველა გავზეთებში დავბეჭდოთ და...

— და ისევ ერთ ოჯახში დავრჩეთ? — გააწყვეტინა გრიგოლმა. — ისევ ერთ სუფრაზე დავსხდეთ ზოლმე?

— არა მეთქი! სრული ბოიკოტი უნდა გამოუცხადოთ! — წამოიძახა ნიკომ. — აღარც ხმა გავცეთ, აღარც მივეკაროთ, აღარც...

უცებ ენა ჩაუფარდა და თვალებიც გაუშტერდა: ღია კარებში, თეთრ-  
კიტელიანი ანდრო იდგა, რომელიც თავის შეილებს მრისხანედ ათვალი-  
ერებდა.

მარიამმა ქმარი ვერ შეამჩნია, ხელები აიფარა პირსახეზე და ამო-  
იყენესა:

— დამიდგეს თვალები! ბოიკოტი! ეგ რა სთქვი, შე პირშავო?!

ოთახი თითქო ზამთრის სუსხით გაივსო. ზოგი წამოდგა, ზოგი შეი-  
შმუშნა, ზოგი გახედა. ხმას აღარეინ იღებდა. ყველა სდუმდა, ეს დუ-  
მილი ყველას ყელში ეკუმშებოდა და სულს უხუთავდა. ანდრია კი ისევ  
იქ იდგა, ისევ სდუმდა და ხელს ბარივით წაწვეტილ წვერზე ისევამდა.  
ბოლოს ოთახში შემოვიდა და ხმაც ამოიღო:

— ნუ შეფოთავ, მარიამ... დროებამ მოიტანა. შეილები მამას ასამარ-  
თლებენ... განაგრძეთ, შეილებო, განაგრძეთ... მე ხელს არ შევიშლით...  
არც თავს გავიმართლებ.

ღინჯათ გადასჭრა ოთახი, ფანჯარას მიადგა და გარეთ გაიხედა. იქ  
სანახავეი არაფერი ჰქონდა აქ დაბერდა და ყველაფერი ხელის გულზე  
ედო. ტროტუარს გამხმარი ბალახი არშისავეით მოსდებოდა. ჩანგრეულ  
ქვაფენილზე აქა-იქ რიყის ქვა ეყარა. პირდაპირ ერთ-სართულიანი სახლი  
ისე იდგა, თითქო საცაა თემოზე უნდა მიწოლილიყო.

ანდრიამ თითქო იცოდა, რომ შეილებსა და რძლებს მისი დუმილი  
სასტიკად აწამებდა, რომ დუმილს მისი ყვირილი და ფეხთა ბრახუნე  
უჩიენათ, რომელიც აქამდის ჯერ არავის გაეგო, თითქო იცოდა ეს და  
ხმას აღარ იღებდა, თითქო ისიც იცოდა, რომ ვერც სხვა ვინმე დასძრავ-  
და კრინს, და ამ წამებაც განგებ აგრძელებდა, ტანჯვას უმატებდა და  
თვითონაც იტანჯებოდა.

თამარამ აპენტილი წითური თმები შეისწორა, დიდრონი კბილებით  
ბრადიანივით გაუღიმა აკაკის და წასვლა ანიშნა. ორივენი ადგნენ და ფე-  
ხაკრეფით გაიპარნენ.

ანიკო უშიზეზოდაც ტიროდა ხოლმე და ახლაც ქურდულად იცრუმ-  
ლებოდა.

მარიამიც მზად იყო ატირებულიყო.

გულხელდაკრეფილი დიმიტრი ბიძის ზურგს მისჩერებოდა.

გრიგოლს თავი ხელებში ჩაემალა. მას თითქო სცხვენოდა, რომ ნიკო  
დროზე არ გააჩუმა, რომელიც არაფერს იმჩინებდა, კოკორ წვერულვაშ  
იწიწინიდა და გაზეთს ათვალეირებდა.

ქეთომ მამა შეიბრალა: წამოდგა, გვერდით ამოუდგა. მკლავში მკლავ-  
ვი გაუყარა და პაწია ხელი ბანჯელთან მთრთოლვარე ხელზე გადაუსვა.  
მარიამმა შეიღს მიჰბაძა: ის მეორე მხრიდან ამოუდგა ქმარს და მხარ-  
ზე ხელი დაადო. მერე ჩუმი ხმით უთხრა:.

— ანდრო, დაწყნარდი. ვერაფერსაც ვერ გაგიბედავენ. უფროსი შე-  
მოხვედი. უშენოდაც გავაჩუმებდით... შე და გრიგოლი გავაჩუმებდით. აქ  
რა გინდა?... წამო, წავიდეთ.

ანდრია მოტრიალდა, ყველას თვალი მოავლო და ბეჭეტი: *გველნი მისი*

— ეინც თავი მოგიყარათ, ის უკვე გაპარულა. ნუ შეგრცხვებით. ისევე  
შეგროვდით, ისევე იმსჯელებთ, და — მწარე ღიმილით დაასრულა: — და  
განაჩენიც შემატყობინეთ.

და ოდნავი ტორტმანით გავ და. მარიაში და ქეთო ხელგაყრილი გაპ-  
ყვნენ.

როცა ყველანი გავიდნენ, ნიკო მაგიდას მიუჯდა, წინ ტალღის დაი-  
ლაგა და აკანკალებული ხელით მსხვილი ასოებით დასწერა: „ზუბრი“.  
მერმე ცოტა კიდევ იფიჭრა და დაიწყო: „კატკოვ-პაბედანოსცევს და შავ-  
რაზმელ ამილახერებს ობერ-ხულიგანი „ეინმე ახალი“ მიემატა, ეს ფსევ-  
დონიმი უწინ ასე იწერებოდა: „ახა-ლი“, ახლა კი ავტორმა „ეინმე“ მიუ-  
მატა, ტირე წაშალა და სირაქლემქს დაემსგავსა, რომელიც პაწია თავს  
ბუჩქებში ჩაპყავს ხოლმე და ჰგონია, ვერაეინ დამინახავსო. მაგრამ ყვე-  
ლანი იცნო საბანკო და სათავადაზნაურო საკრებულოს მოღვაწე და რე-  
აქციის ერთგული მუნდირიანი მსახური, რომელიც ვერც პროლეტარიატს  
მოატყუებს და ვერც ერთობის გამარჯვებას შეაფერხებს.“

შკაცრი დაუნდობელი წერილი გამოვიდა. აგი რისხვით იწყებოდა და  
მუქარით თავდებოდა? ერთობა ზუბრებს ერთი მოქნევით შემუსრავს და  
მათ ხსენებას მტვერსავით აღგვისო.

ნიკომ წერილი ჯიბეში ჩაიდო, ქუდი დაიხურა, ყავარჯენი აიღო და  
წასასვლელად მოემზადა. ამ დროს ქეთო შემოვიდა.

— სად მიხვალ, ნიკო?

— მივდივარ. აღარ დავბრუნდები.

— ჯერ ფეხი არ მოგჩენია. სიარულში გაგისივდება და დაკოქლდე-  
ბი. არ გაბედო. ხომ არ გაგიკდი?

ნიკო მოშლილივით დაეშვა სკამზე:

— აქ აღარ დამედგომება.

— მამას საშინელი გულის-ფრიალი აუფარდა. გაფითრებული წევს  
და ძლივსლა ლაპარაკობს.

— ნეტა სულაც აღარ ადგებოდეს. ჩვენს შერცხვენას ბოლო მოელება.

— რას ამბობ, ნიკო! რაც უნდა იყოს, მაინც მამაა.

— შენც იმის ბახალა ყოფილხარ. არც მწვადსა სწვავ და არც შამ-  
ფურსა.

— გაჩუმდი, დაწყნარდი. ერთობა სულაც არ მოითხოვს, რომ შეი-  
ლებმა დედამა საქვეყნოდ ლაფში ამოსვარონ.

— სწორედ მაგას მოითხოვს, სწორედ მაგასა! — შეწყვიტე შეიქრა  
ძმამ. — თუ ერთობის ნამოწილი შეილი ხარ და მშობლებმა გზა მოგი-  
ქრა, არც ის უნდა დაინდო და მოსისხლესავით მოიშორო. დიად, აგრეა,  
უნდა მოიშორო მეთქი! თუ არა და ნურავის ატყუებ. შენც შეავე ლიბე-  
რალი ყოფილხარ და მეტი არაფერი.

ქეთო გაოცებით ისმენდა ნიკოს უღომბელს, გაცეცხლებულ სიტყვებს  
და ფიქრობდა: „ჩემი ძმა ჯერ კარგად არა მცნობია. ბრმა ფანატიკოსი  
ყოფილა. თუ ვინაცოობა გარემოებამ მოითხოვოს, არც მე დამინდობს.  
ყველაფერს გამიბედავს, ყველაფერს მაკადრებს. ერთობის ლალატისთვის  
ჩამოხზობა რომ გადამიწყვიტონ და ჯალათი ვერ იშოვნონ, თვითონ აი-  
ლებს თოკს და სახრჩობელამდის თმებით მიმათრევს.“

— ეს შავრაზმელების სახლია მეთქი! — აღარ ცხრებოდა ნიკო. —  
წავალ და აქ ფეხს აღარ მოვდგამ.

— ნუ წახვალ მეთქი. მართაც ამ სახლში ცხოვრობს — ცბიერი ღიმი-  
ლით გაახსენა ქეთომ. — ისევ ნაძალადევი რომ გადახვიდე, მართაც ათას-  
ში ერთხელაც ძლიერ შეხვდები და... მართლა, შენა საქმე როგორ მიდის?  
მართა რას გეუბნება?

— არაფერს. რა დროს ეგ არის! დაბმული ვარ და ველარსად გავ-  
სულვარ — მოუფონა კილოს სტუდენტმა.

— სჯობს არც ვახვიდე. ავშაროვმა მიჩრია, ნუ გაუშვებთ, თორემ ნა-  
ძალადევი არ მოერიდებიან და მაშინვე დაიჭერენ. აქ კი ანდრია ახა-  
ტნელის კალთას ამოეფარებო.

— მეც სწორედ მაგ შავრაზმულ კალთას ვეროდეგი. მაგრამ მართლა  
უნდა დავიჯერო: სანამ სულ არ მოვრჩები, მანამდის... მეტი რა გზა მაქვს!  
იქნება მართლა დავკოჭლდე. ახლა კი ეს წერილი მართას ჩაუტანე და  
უთხარი ზურაბს გადასცეს.

ქეთომ ყურები სცქვიტა:

— იცის ზურაბი სადა სცხოვრობს?

— იცის... იპოვის.

— მითხარი სად ვიპოვო და მე თვითონვე გადაეცემ.

— გაგიძნელდება.

— ვიპოვი მეთქი.

— საჭირო არ არის მეთქი. მართას მიეცე. დღესვე გადასცემს.

ქეთომ წერილი ხელის ჩანთაში ჩაიღო და ეზოსკენ დაეშვა. კბეზე  
რომ ჩადიოდა, ეზოში თვალი მოჰკრა მართას, რომელიც ჭიშკარისკენ  
მიდიოდა.

— მართა, დაიცა, საქმე მაქვს — და როცა დაეწია, წერილი გადასცა და უთხრა: — ნიკომ დამაბარა, მართამ ეს წერილი დღესვე ზურაბს გადასცესო.

გინგლიჩიძე

მართამ უნდობლად შეჰხედა და ჰკითხა:

— ჩემზე ვითხრა თუ ლევანზე?

— შენზე მითხრა.

— მე რა ვიცი ზურაბა სადა ცხოვრობს?

— აგრე კი მითხრა და, დანარჩენი შენ იცი.

— ლევანს გადაეცემ. იქნება იმან იპოვოს — მიუგო მართამ და ჭიშკრისკენ გაემართა.

ქეთო ზევით ავიდა, თავის ოთახში შევიდა, ფანჯარაში გაიხედა და მართა დაინახა, რომელიც ნელი ნაბიჯით ავიდა კუთხემდის და ფრთხილად მოათვალიერა ქუჩები. მერმე ქვემო კუთხეში ჩამოვიდა, იქაურობაც მოჩხრიკა და ისევ გამოძრუნდა. ახატუნელის სახლს რომ მოაღწია, თავის ოთახის ფანჯარასთან შესდგა და ოდნავ დააკაკუნა.

ორიოდე წუთის შემდეგ ჭიშკრიდან ვილაც გამოვიდა და თავჩალუნული შეუდგა აღმართს. ქეთომ მისი პირსახე ვერ შეამჩნია, მაგრამ მოყვანილობაზე და სიარულზე ზურაბი იცნო და გულაჩქოროლებულმა, სანამდის გააყოლა თვალი, მანამ გურგენიძე მიიმალეობოდა.

მართამ ზევით აიხედა, ქეთო დაინახა და თავჩალუნული შებრუნდა ეზოში.

— ახლა კი ცხადია — გადასჭრა გულდამწვარმა ქეთომ. — ზურაბს მიმალავს. ნუ თუ მართალია? არა მგონია... არა მეთქი! იქნება მართასთან ღინს იკლავს, ცუდლუტობს... ერთობის საერთო საქმეს აკეთებენ და შესაძლოა ამაზე მეტი არაფერიც არა ზდება, მე კი ბოდმა მახრობს... შური მკლავს... ღმერთო დიდებულო, ეს რა შემართება!

ოთახი გაიარა, სარკეში ჩაიხედა, წვერამის წერილს დაავლო ხელი, რომელიც მუშტაიდში ვასასეირნებლად ეპატიყებოდა, შორს მოისროლა იგი, ისევ ფანჯარას მიადგა და გარეთ გაიხედა.

მის პირდაპირ ერთსართულიანი მარჯვნივ სახლი იდგა, რომელსაც წინ ხის შალალი მესერი ჰქონდა. იმ სახლის ეზოდან მიწით დატვირთული ურეში გამოვიდა. ვილაცამ უკნიდან ჭიშკარი მოუკეტა და ისე გაჰყვა მესერს შიგნიდან, თითქო ხალხს ემალებოდა. ერთ ადგილს ისევ ერთი წამით გამოჩნდა და სახლს მიეფარა.

ქეთომ ლევანი იცნო და გაუკვირდა. იმ ფიცრულში რა საქმე აქვს ლევანს? რას დაეძებს? რასა სთხრის? ამას წინათ ქეთო შუალამისას დაბრუნდა შინ და იმ სახლის ეზოდან გამოშული ლევანი დაინახა, რომელიც მაშინვე გაბრუნდა და უკანვე შევიდა. მესამე დღეს ქეთომ ჰკითხა:

„ლევან, გუშინწინ შუალამისას იმ ეზოში რა გინდობდა არც არაფერი — უარზე შესდგა ლევანი. — მოგლანდებია“.

ახლაც მოელანდა? არა, აქ რალაც ამბავია. ქეთო კვლავ კვლავ გვიყვებს. მშვენიერი საზევრაჲი ალაგი აქვს და გაუგებარი არ გადაურჩება. იქნება ამ გზამ ზურაბთან მიიყვანოს? თუ არა და ახალ რამეს მაინც მიიგნებს და ერთხელ კიდევ შეიხედავს ერთობის იღუმალეზში, რომელსაც ზურაბი, მართა, ნიკოც და ლევანიც ცხრა-კლიტურით უყეტავენ.

ახალგაზრდა ქალი უცნაურმა მოუსვენრობამ მოიცვა. რალაც აწუხებდა, რალაც უნდოდა, რალაც წყენას გრძნობდა, მაგრამ თვითონაც ვერ გაერკვია, რად შეაშფოთა ასე ძალუმად მართას ტყუილმა?

ლიპერტის „კულტურის ისტორიას“ დაავლო ხელი, საქანელა სკამზე ჩამოჯდა და გადაფურცლა, მაგრამ ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ გადასდო და ბაირონის ლექსების ტომი აიღო, რომელიც ამას წინათ ავშაროვმა გამოუგზავნა. მან ზეპირად იკოდა ის წერილიც, რომელიც იასაშნის სუნით იყო გაელენთილი და ახლაც წიგნში იდო.

„ნუ თუ თქვენი ნახვა არასოდეს აღარ მეღირსება? — ეწერა ვარდისფერ საუცხოვო ქალაღდზე. — შარშან თქვენი გულის კუნჭულში პაწია ალაგი მეჭირა, წრეულს კი ვიღაცამ თუ რალაცამ იქიდანაც გამდეენა. მას აქეთ გამალეზით ვებრძვი ჩემს თავს და ვლამობ თქვენი ღვთაებრივი სახე დავიფიწყო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ჩემო თვალის სინათლეც! ჩემს ტანჯვას დასასრული არ უჩანს. მგონი თქვენც უნდა იყოთ დარწმუნებული, რომ მე გაგიყებით მიყვარხართ, და თუ არ გეზიზღებით, თუ ოღნაე მაინც გესიამოვნებათ ჩემს გვერდით ყოფნა, შემატყობინეთ, საღ და როღის გავიტაროთ ერთად თუნდაც ერთი საათი, ერთად-ერთი საათი. თქვენს უღრმესად პატივეცემულ ოჯახში მოსვლას ველარ ვებღაე, ვინაიღან თქვენს ძმები და ბიძაშვილები — შეჩვენებულსავით გამირბიან და ჩემს თავმოყვარეობას სთელავენ. მე არა ვძრახავ მათ. ისინი თავიანთ რწმენას ეშახურებიან, მაგრამ მეც ჩემი რწმენა გამაჩნია და მეც ერთგულად ვეშახურები მას“.

ქეთომ ავშაროვს პასუზი არ ვასცა. ახლა ის წერილი მეზუთევეერ ჩიიკითხა და სიბრალული იგრძნო, რომელიც თანღათან უღვივეღებოღა. შემდეგ წვერაძის წერილი გაახსენღა და ბრახი მოერიღ. „ბრიყვი, მოუხეშავი, ვაჭრუკანა! მუშტიღღში გავიაროთო! ნოჭრებისა და ლაჭიების ბაღისკენ მპატეოზს. ამაზე უკეთესი ალაგი ვერ მოუძენიღ.“

• •

ამ დროს წვერაძე ანდროს კაბინეტში იჯღა და ახატუნღს ეუზნებოღა: — სამი ათას მანეთზე მეტი ვერ მოგიხერხებთ. ძველი ვალიც რომ მივღმატოთ, სულ თექვსმეტ-ათას ზუთას-ეჭვსი მანეთი გამოვღ. იი ამ თა-

მასუქზე მომიწერეთ ხელი... ძალიან გაჭირდა, მეტი სმეტად გაჭირდა... ერთობამ აღებმციემობა სულ დასცა, საქონელი აღარ შეფუძვ ზუღზე რჩება, ლებება, იბნევა, ზოგჯერ ნახევარს იპარავენ. გაფრქვტა მოსდევს. — ფული წინ დაუდო და განაგრძო: — დათვალეთ სწორედ სამი ათასია. თქვენი შვილი ილიკო მეტად ძვირად გიზის, მაგის ქეიფს, ქალებსა და ყომარს მანთაშოვიც ვერ გაუძღვებს. ახლა ჩემი ხარჯიც მატულობს ოცდახუთმეტისა შეგსრულდი და დროა ოჯახი გაეიჩინო. მარტოხელი ზომ არ დავებრდები.

ანდრო ფულის თვლაში იყო გართული, მაგრამ წვერაძის უკანასკნელი სიტყვები გონებაში შერჩა, და როცა დათვლილი ათ-თუმნიანები უჯრაში ჩაალაგა, იაკობს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— საცოლედ უკვებ აირჩიეთ?

— მე კი ავირჩიე, მაგრამ...

— ვინ არის?

— ერთი ვინმეა... ძლიერ განათლებული, კეთილშობილი და ლამაზი — ფორხილით მიუგო იაკობმა და მოულოდნელად გაუბედა: — რაღა დასამალია, პატივცემულო ანდრო: თქვენი ქეთო მომწონს, მეტად მომწონს.

— იმასაც მოსწონხართ? — ცივად ჰკითხა მამამ, რომელიც აღრევაც იცოდა, რომ წვერაძე ოდესმე ქალს სთხოვდა მას.

— ჯერ არ ვიცი.

— არც მე ვიცი.

— რასაკვირველია არ გეცოდინებათ. მაგრამ მე მაინც მინდა წინდაწინვე გავიგო — წაილულლულა იაკობმა და იგრძნო, რომ საქმე ბოლოდან დაიწყო.

— ჯერ ქეთოსთვის უნდა გეკითხათ და მერმე ჩემთვის — მიუგო ანდრომ და თავისთვის გადასჭრა: „არ გაჰყვება. ქეთოს გული ვერ მოუგო და მსურს მე დამიხმაროს“.

იაკობმა აღარც დახმარება სთხოვა, აღარც თანხმობა და მოკლედ მოსჭრა:

— მართალი ბრძანებაა, პატივცემულო ანდრო. ჯერ ქეთოს უნდა დავკითხებოდნი. ადვილი საქმე არ გახლავს... ხუთი-ექვსი ახალგაზრდა დასდევს და ამიტომ ძალიან გამიძნელებდა.

— კარგ გასათხოვარ ქალს ათიც დასდევს, უხეიროს კი არც ერთი — ლამილით მიუგო ანდრომ და წამოდგა. — ახლა თქვენ იცით და ქეთომ ცდა ბედის მონახვერეა.

— აგრეა, სრული სიმართლეა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ..

— ნახვამდის, ჩემო იაკობ. გმადლობთ. ღმერთმა მაგ საქმეშიც გამიარჯვება მოგანიჭოს.



— მეც მადლობელი ვარ — მიუგო თავისთავზე გაბრაზებული და ბრახს ახალი სირცხვილი დაერთო: ანდრიას შეათეჯერე, მერჯულა... ვერც თანხმობა გამოპვლიჯა შვილის მითხოვებაზე და დაუხადა. „რისთვის ვადაუხადე მადლობა? სულელი ვარ და იმიტომ ვადაუხადე“.

უნდოდა შინისკენ გაბრუნებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს როიალის სუსტი ხმა მოესმა და ანდროს სასტუმრო ოთახში შეიხედა.

როიალთან კლიმიაშვილი იდგა — კრიალა ჩექმინი, დიავონალის შარვლიანი, თეთრი კიტრებით გამოწყობილი, სუფთად გაპარსული, სანიმუშოდ ჩასმული, ლამაზი და ახალგაზრდა მხედარი, რომლის მსგავსი წვერბძეს უნებურად შიშს, რიდას და პატივს ჰგვრიდნენ ხოლმე.

ქეთომ კარებში გაჩერებული სტუმარი შენიშნა, პირი აარიდა და ისე ძლიერ აათამაშა კლავიშები, რომ წვერბძემ ვერც სალამი გაუბედა, არც შევიდა, ცივად გაბრუნდა და თავის ბინისკენ გასწია.

• • •

იაკობი რომ გავიდა, ქეთომ როიალს სახურავი დაძხუო, შობრუნდა და კლიმიაშვილს ჰკითხა:

- ის დილა ხომ ვახსოვთ, ჩვენი ბინა რომ გაჩხრიკეთ?
- ძალიან კარგად მახსოვს-ლიმილით მიუგო სანდრომ და ჩამოჯდა.
- იმ დღეს პირველად გავტეხე ფიცი.
- რად ვასტეხეთ?
- თქვენი გულისთვის გავტეხე. ის კაცი რომ დამეჭირა, თქვენც ჩავითრევდნენ და მკაცრად დაგსჯიდნენ.

— რა უმადური ვარ! — წამოიძახა ქეთომ და ორივე ხელი გაუწოდა. — აქამდე მადლობაც კი არ ვადაგიხადეთ.

სანდრომ მაჯებში სტაცა ხელები და ორივე ხელზე დაეკონა. მათმა სილბომ, სითბომ და სურნელმა ახალგაზრდა ვაჟი გააბრუა. აღმოადებული ტუჩებით ხან თითებს უჯოცნიდა, ხან ხელის გულს, ხან ხელის ზურგს, ერთი ხელიდან მეორეზე გადადიოდა, ისევე პირველს უბრუნდებოდა, მერმე მაჯებს დაეწაფა და ტუჩები თანდათან მკლავზე ააცოცა.

ცხელი ქროლა ქეთოსაც მოედო, ხელებს თავისკენ ეწეოდა, თან ძსევ ანებებდა, თითქო ეუბნებოდა: „აჰა, კიდე დაპკოცნეო, კიდე, კიდე — და იმავე დროს გაუბედაკად ჩასსურჩულებდა:

- კარგი... კმარა... გეყოფა.
- სანდრომ უცებ ჭალს მკლავები მობლუჯა და მის პირსახეს მიეტანა. ქეთომ თავი ჩალუნა, გაუსხლტა, სწრაფად ადგა და სუსხიანად უთხრა:
- კმარა მეოქი-დინჯად დავსხდეთ და დინჯად ვისაუბროთ, თორემ... — მერმე მოშორებით ჩამოჯდა და ჰკითხა: — იცით იმ დღეს ვინ ვადაარჩინეთ?

— საიდან მეცოდინება! — მიუგო სანდრომ იმ ხედიდან, რომელიც რომელსაც საწადელი უდროოდ შეაწყვეტინეს.

— ვინმე ჯიქი გაგიგონიათ?

— ჯიქი? გურგენიძე?

— დიალ, ზურაბ გურგენიძე იყო. არა გჯერათ?

სანდროს გაოცებული შესცქეროდა. მერმე თავი გააქნია და დაჯერებით უთხრა:

— ალბათ მეხუმრებით, თორემ, ჯიქს აქ რა უნდოდა?

— ის იყო მეთქი. მაინც არა გჯერათ?

— მაინც არა მჯერა.

— დანამდვილებით გეუბნებით. იმ დღეს ეანდარმებს გამოექცა და თქვენ შეგეფეთათ.

სანდროს საბოლოოდ გამოფხიზლდა. სწრაფად წამოდგა, გაიარა-გამოიარა, მერმე შეჩერდა და ამღვრეული ხმით სთქვა:

— მართლა ის იყო?... მაშ ის იყო? რომ მცოდნოდა, გეფიცებით, ამავე ოთახში გაეგაგორებდი.

— მაგას რას ამბობთ, სანდრო!

— დიალ, აღარც თქვენ მოგერიდებოდით და თქვენს ლოგინს იმ მხეცის სისხლით შევლებავდი.

— სანდრო, გონს მოდით! რა დაგემართათ? გურგენიძე და მხეცი?

— დიალ, ყაჩაღია, ყაჩაღი მეთქი! ამას წინათ უფროსი ძმა მომიკლეს... ბოჭკული იყო.

— ვიცი, აკი მიაშხეთ.

— ახლა დანამდვილებით გავიგე, რომ ამ საქმეში გურგენიძეს ხელიც ერია...

— გურგენიძემ მოჰკლა?

— არც მაგრე დახურდავდება, რომ საკუთარი ხელით დაღვაროს სისხლი, მაგრამ იმან მოაწყო. იმან ჩააგონა, იმან უბრძანა.

— არ მოგატყუონ.

— არა მეთქი! ის არის. ნამდვილად ის არის! ნეტა მცოდნოდა, ნეტა მცოდნოდა! არ დაეინდობდი. აღარც თქვენ მოგერიდებოდით. გამალებული დავეძებ და ვერ მიბოვნია. ოჰ, ნეტა მცოდნოდა!

კლომიაშვილი ველარ ისვენებდა: ტოკავდა, შფოთავდა, ხან ჯდებოდა, ხან დგებოდა და ჩქარი ნაბიჯით დადიოდა.

ქეთო გაჩუმდა. ის გრძნობდა, რომ დარიგება უალაგო იქნებოდა. მერმე დრო შეუჩინია და ჰკითხა:

— იცით თუ არა, რომ ჯიქის ვადარჩენის ამბავი ავშაროვმაც გაიგო? სანდრო შედგა.

— არა, არ ვიცი. საიდან გაიგო? ნეტა ვინ ეტყოდა?

— იმავ დღეს გაიგო. სალდათებს და ჩვენს ბებერ ~~მხარეებს~~ გამო-  
კითხა და მიხვდა, რომ გურგენიძე ჩემ ოთახში დაიმალა. ~~თქვენი~~ იმი-  
ტომ დამალეთ, რომ მე გადაგერჩინეთ. მაგრამ იცოდნენ ~~მე~~ ვე-  
როვს არავისთვის არ უთქვამს.

— არ ვიცი უთქვამს თუ არა. ის კი ვიცი, რომ სამსახურში ძლიერ  
დამაქვეითეს. საუკეთესო გრენადერთა პოლკიდან საყარაულო ბატალი-  
ონში გადამიყვანეს.

— გეფიცებით, რომ ეგ ავშაროვის ბრალი არ არის. იმას ხმაც არ  
ამოუღია. ავშაროვი ძლიერ კარგი კაცია.

— თქვენი ავშაროვი ძლიერ დაგეშლილი მეძებარია.

— მეძებარი? ხომ არ იჭვიანობთ? — ჰკითხა ქალმა და ცუდლუბი ლი-  
შილით გაუღიმა.

— არ დაგიმალავთ, ქეთევან: თქვენ ავშაროვს სწყალობთ, შადლია-  
ნი თვალით უყურებთ და, საკვირველი არ არის, რომ შური მახზობდეს.

— ავშაროვი ნამდვილი რაინდია, ნამდვილი ვაჟკაცია — უარესად გა-  
აღიზიანა ქეთომ.

— ეანდარში და რაინდი?! — წამოიძახა აფიცერმა.

— ვითომ აფიცერი ეანდარში რით სჯობია?

კლიმიაშვილი ნახებნივით წამოხტა:

— შეურაცხოფასაც მაყენებთ? რა დაგიშავეთ, ქეთევან?

— ეანდარში ცოლის შერთვა მაინც შეუძლიან.

— აფიცერს კი არ შეუძლიან?

— ახალი ბრძანება თქვენც გეცოდინებათ: აფიცერმა ხუთი ათასი  
მანეთი უნდა შეიტანოს ხაზინაში, რომ იმის ცოლშვილი მშვიერი არ დარ-  
ჩეს. ზოგ ახალგაზრდა აფიცერს ხუთი ათასი კი არა, ხუთასიც არ მოე-  
პოება. მართალია თუ არა?

კლიმიაშვილი მოჭრილივით დაეშვა სკამზე და სიჩუმის შემდეგ მშვი-  
დად მიუგო:

— ჩემდა საუბედუროდ, სრული სიმართლეა... სწორედ დროზე გა-  
მასხენეთ... დიად, აგრეთ: მე დიდხანს ვერ შევირთავ ცოლს და ამას იქით  
ვერც გაგინებდავთ... ძალიან მოხერხებულად გამიფანტეთ იმედი.

ქეთო ზეზე წამოიჭრა და —

— გრცხვენოდეს, სანდრო! — წამოიძახა. — მე მაგისტვის ხომ არ ვი-  
თხარით... აზრადაც არ მომსვლია... მე გათხოვებას არ ვაპირებ... ჯერ  
სულ სხვა მიზანი მაქვს და ტყუილს ვერ გატყვით, ვერ დაგვიმედობთ...  
მე მაინც მუდამ თქვენი მადლიერი ვიქნები. მუდამ... მუდამ — უცებ მოე-  
ხვია, მხურვალედ აკოცა შუბლში და თითქმის გაიქცა. — ნუ დამძრახავთ,  
ნუ გამიწყრებით, ახლა წადით და ბედნიერი იყავით — დაასრულა მან  
აივის ოთახის კარებში და მიიშალა.

ზეამდგარი გამტრებელი კლიმიაშვილი ერთ ხანს შუბლზე ხელს ისვამდა, თითქო ქალის კოცნით დამწვარ ალავს იამებდა. იფანტავდა. მერმე თავი ჩაქინდრა და გაღახულივით გაფრთხილდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქეთო ისევ ნიკოსთან ჩავიდა. ნიკო და მიწით მოთხუბნული ლევანი ცხარედ საუბრობდნენ. ქეთო რომ დაინახეს, უცებ გაჩუმდნენ და მოუთმენლად მიიხერდნენ. ქალმა პასუხი აღარ დაუგვიანა:

- იცით რისთვის ჩამოვედი? სანდრო კლიმიაშვილს ხომ იცნობთ?
- ძალიან კარგად ვიცნობ — მიუგო ნიკომ. — ობერ-ხულიგანია.
- რომელია? — ჰკითხა მას ლევანმა.
- ისიც ქეთოს ეარშიყება — უპასუხა ნიკომ. — აფიცერია. ხუთიოდე დარჩეული ამხანაგი დაგვიპატიმრა. თედოც იმან დაიჭირა. ამას წინათ ქეთოს ოთახში ზურაბი რომ შეაგდო და გადაარჩინა, არ ვახსოვს?
- ჰოო, ის არის? ამ სახლში მინახია რამდენჯერმე, რაღა! მერმე რა?
- მერე ისა, რომ — ფორხილით დაიწყო ქეთომ — კლიმიაშვილი ამბობს, ჩემი ძმის მოკვლაში ზურაბიც ურევიაო.
- მერმე რა მინდაო?
- მერმე ისა, რომ გამალეებული დაეძებს. სადაც შემხედება, იქვე მოკვლავო.

ნიკომ და ლევანმა ერთმანეთს გადაჰხედეს.

- კარგი და პატიოსანი — სთქვა ლევანმა. — თუ დავაცალეთ, მოკლას და შეერგოს.
- მაგიტომ კი არ ვითხარით რომ დაუშავით რამე — შეშფოთდა ქეთო. — ხელი არ ახლოთ!
- თქმა შენი საქმე იყო, დანარჩენი კი ჩვენი საქმეა — მოუქრა ნიკომ.
- მე მხოლოდ იმისთვის ვითხარით, რომ ზურაბი გააფრთხილოთ.
- აგრე ვიხამთ. იმ აფიცერს კი ხელსაც არ ვახლებთ. არხინად იყავი. — უთხრა ლევანმა და ნიკოს თვალი ჩაუკრა.
- ტერორისტები ხომ არა ვართ, რომ პატიოსანი ხალხი ვხოცოთ. — დაუმატა ნიკომ. — ზურაბს გააფრთხილებთ რომ ერიდოს.
- მუც ეგ მინდოდა მიუგო ქეთომ და დამშვიდებული გამოვიდა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



გ. ქუჩიფილი



ქართული  
წიგლიერთა  
კავშირთა

## საბჭოთა საქართველოს

ხალხურ კილოზე

ლაალეე, ლაალეე,  
დიელი-დალაალეე:  
განახლებულო სამშობლოე,  
შენ კი გენაცვალეე!

ვიცო: უკელმართ წარსულში  
იკენეს — ივალაალეე  
და ცხოვრების შხამსამსალაც  
სულ ჩაფობით სცაალეე.

სოჭვი: თმენასაც საზღვარი აქეს,  
კმარა, რაც ვიწვალეე!  
აჯანყების ცეცხლის დროშაც  
უმალეე გაშალეე!

გამარჯვება შენ გხედა წილად,  
დამხობა შეე ძაალეებს  
და საბჭოთა მზიურ დროშას  
წინ მიაფრიიალეებ!

მშენებლობას მიჰყავ ხელი,  
გადლიერდი მაალეე;  
მანებლებს და მუხანათებს  
თავი ქვას უხაალეე!



ქარხნებით და ფაბრიკებით  
ჩრდილავ შთის მწვერვალებს;  
ცას იპყრობ და იმორჩილებ  
აბალ ძალთაძაალებს!

ლააღე, ლააღე,  
დიელი — დალაღაღე:  
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,  
ეინ არ დაგტრფიღაღე!

ხუმეტი წელი გაგისდა,  
ფერი რაც იცეაღე:  
რაც თაღებუ ვაიძრე და  
ცრემლი შეიშრაღე!

ლააღე, ლააღე,  
დიელი — დალაღაღე:  
ღღეს შენი აღღგენის ღღეა,  
ბაგე ვაიღაღე!

ლააღე, ლააღე,  
ჩანგო, გენაცეაღე:  
პოეტების ჰანგთა შორის  
შენც ვაიწკრიაღე!

სერგო კლდიაშვილი

## ზ ე ი მ ი

მოთხრობა

ელსადგურის გახსნის საზეიმო დღე სოფლის ძველ დღესასწაულს შეხვდა და დილიდანვე ჩარდახიანი ურმები და ცხენოსნებიც მოსჩანდნენ შარავნებზე.

ნაწვიმარის შემდეგ მზე მხურვალე იყო.

თემსაბჭოს თავმჯდომარე არ იმჩნევდა, თუმცა დღეაღდა. მოწვეულ სტუმრებს შორის რაიპარტკომის მდივანს ელოდა და ვერ ისვენებდა. მესამედ მოინახულა ელსადგური, ახლად დამთავრებული ხიდი, შემდეგ ისევ ელსადგური, ისევ ხიდი. დილიდანვე რკინიგზის სადგურზე გაგზავნა თავისი სანაჭებო ლაფშა რაიკომის მდივნის მოსაყვანად და ახლა თითონ ქვეითად უხდებოდა სიარული. ახლად დანიშნული იყო ეს მდივანი. ჯერ არც ენახა და ცდილობდა მეტი ყურადღებითა და პატივისცემით დახვედროდა უცნობ ამხანაგს.

თემსაბჭოში დილიდანვე თავმოყრილი იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მასწავლებლები, უჯრედის მდივანი, ექიმი. ბოლოს შემობაკუნდა აფთიაქის გამგეც. გამოწყობილი კოვჩერკოტის ფრენში და ყვირთელ ფეხსაცმელებში. სხვა დროს შესაძლოა გააკვირვებოდათ, რომ ასე გაკოხტავენბულიყო, მაგრამ ახლა არც უფიქრია ვინმეს, თუ სხვაგვარად მოქცევა შეიძლებოდა.

აფთიაქარი, მუდამ ხმაურა, ხუმარა, ყველასთან დაურიდებელი. — ახლა ზედმეტად გადინჯებულები და ერთადერთი რაც ამკლავნებდა, რომ მაინც იგი აფთიაქარია, იყო ისევ ფრენჩი, რომელსაც წამლების სუნი სდიოდა.

— გაეჭეტი, დიომიდე, შენს ავათმყოფებს? — ღიმილით ჩაუარა გვერდი საბჭოს თავმჯდომარემ.

— ერთი-ორი საათი მეც დამაცადონ. დალოცვილებმა, ცხოვრებას არ ჩამოვრჩე! — მისთვის უჩვეულო სიშვეილით სიტყვა გააყოლა აფთიაქარმა და უცბად ისევ თავისებურად ახშიანდა — არც თუ ისე მაწუხებენ, ამხანაგო ანტონ! შენს ხელში ვის სცალია ავად გახდომისათვის? მე ვარ მხოლოდ შენგან მოძულებული, თორემ...

ველამ იცოდა, რომ კიდევ ადრე იყო და საპატიო სტუდენტი დადგურდიან ვერ ვერ მოვიდოდა, მაგრამ უნებურად, დროვამოწყებით მაინც იხედებოდენ გზისკენ. უხსოვარ დროიდან დაუხნავ ეწემაქმამაქმამა ნაცრისფერი კლაკნილი, რამდენიმე ხნის წინად გაფართოებულ ქუჩაზე კიკენკილი.

დიომიდე, ნაქები საოჯახო საღამოების მოწყობაში და გამოქეპილი თამადა ქორწილებში, ნაწყენი იყო, რომ ზეიმის ჩამტარებელმა კომისიამ რატომღაც არ გაირია და არაფერი დაევალა. უიმიოდ ხდებოდა ახლა თადის მორთვა თემსაბჭოს ეზოში და საერთო ვახშმისათვის სამზადისი. აფთიაქარი ერთხანს საყვედურს არ ამულავებდა, მაგრამ ბოლოს ველარ მოიძვინა, დაიმარტოხელა აღმასკომის მდივანი და, თითქო რჩევისთვის, უთხრა:

— არ შეიძლება, ბიძია, ასე. მართალია, თავიანი კაცია ჩვენი თავმჯდომარე, მარა სიმართლე უნდა ეთქვას, — რა იცის იმან როგორ მოეწყოს ზეიმი? სად უნახავს, სად უსწავლია? რომელი აკადემია მაგან ვამითავე? ანტონი გეგმებზე აღაპარაკე — ამაში ეშმაკი ვერ შეაცდენს. მაგრამ რაც არ იცის, არ იცის და რა ექნათ ახლა... სირცხვილში ჩავევრდეთ ამის გამო? უფრო გამოცდილი კაცებისათვის უნდა დაევალებინა, უნდა დაეძახნა, უნდა ეთქვა... იასონს როგორ მიანდო ასეთი საქმე?

თითონ არ იცოდა საშაროდ რა მიზეზი გამოეძებნა, თუმცა ძალიან ეძებდა კი. სხვა დროს დიომიდე თუთუნს არ მოაწყენებდა აღმასკომის მდივანს, რომელსაც ჩვეულება ჰქონდა გამოერთმია თითო დავრება ყველასთვის, ვინც აღმასკომში შემოვიღოდა, მაგრამ ახლა თითონ ამოიღო ჯიბეში ჩაყრილი თუთუნი და შესთავაზა.

— ახლა ორკესტრის საქმე სთქვი შენ — ქმნიავდა აფთიაქარი — სადაა ამდენხანს ორკესტრი? რატომ მაინც და მაინც მატარებელს უნდა მოყვეს? არ შეიძლებოდა, მაგალითად, უფრო ადრე ამოგვეყვანა და მდივანს მუსიკით შევეტებოდით? დავაყენებდი ეგერ შემოსავალთან და დავეცხებდი როგორც მობრძანებოდა ის პარტიოსანი კაცი. იმასაც იაპებოდა, ჩვენთვისაც სასახელო იქნებოდა. შე მამაცხონებულო, ვინცხა ვიგინდარა სომ არაა? ასეთი მოსარიდალი სტუმარი ყოველ დღე კი არ მოდის... ასეა ჩემო ბიძია, ვისაც რაიმე ვაგება აქვს, იმას არ გაირევთ და ვნახავ აგეო რა გამოგივათ ბოლოს!..

— ნუ გეშინია, არ შევრცხვებით! — მოულოდნელად მოესმა დიომიდეს ხმა.

ლაპარაკით ვართულმა აფთიაქარმა მხოლოდ ახლა დაინახა შორიბლოს მყოფი ანტონი. ღიმილიც შენიშნა მის სახეზე და მან უფრო წაუხდინა საქციელი.

— სინდისს გეფიცები, საწყენად არ შეთქვამს, — მოუწონდა დიომიდეს — შენი პატივისცემა და სიყვარული მარტო მე კი არა, ყველან



გვაქვს... არ დღევინცავ ის კი ვთქვი, რომ იასონზე უფრო გამოსტელი კაცისათვის უნდა მიგენდო ზეიმის ხელმძღვანელობა... ვერ ავიფიქრეში შევრცხვენილვართ და არ მინდა ახლა წაებდეთ...

იასონისთვის რომ შეგვხედნათ, იფიქრებდით აფთიაქარი წაითაღს ამბობდა. ის, ვისაც უნახავს კოლმეურნეობის მოანგარიშე თავის მოვალეობის აღსრულების დროს — ყოველთვის მშვიდი და აუტყარებელი — გაიკვირვებდა როგორ უჩვეულოდ ცმუტავდა ახლა. იასონი ძველი სცენის მოყვარე იყო, ხშირად საგმირო როლებშიაც უნახავთ, მაგრამ მისი ძლიერი ტემპერამენტი მაშინაც არავის შეუმჩნევია. იასონს ფეხები ისედაც გრძელი ჰქონდა — უცბად რომ შეგვხედნათ, გვერანებოდათ პირდაპირ კისრიდან ეწვებოდა. ამ დღეს კი მხოლოდ ფეხებად ქცეულიყო. ყველაფერში ერეოდა ახლა იასონი, ყველა და ყველაფერი თვითონ უნდა ენახა, თითონ უნდა დარწმუნებულყო როგორ კეთდებოდა.

— სადაა ფოსტის გამგე? — გაისმა უეცრად მისი ხმა — მომიყვანეთ საჩინო! ასე უნდა მორთო კაცმა შენი დაწესებულება?!

ფოსტის გამგე რატომღაც არ ყოფილა მათ შორის.

საჩინო წინა დღიდანვე უგუნებოდ გახლდათ და არც ჩჭარობდა მოსვლას კიდევ იმიტომ, რომ მისი სახლი ასიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული თემსაბჭოს. საჭირო წუთში უცბათ მოვიდოდა. ვუნებაზე არ იყო იმიტომ, რომ სწორედ გუშინ, როცა ფოსტის აივანზე პლაკატს აკრავდა, კბე დაუსხლტა და ფანჯრის უღმები ჩაამსხვრია. ხან მუხის ტოტებით ალამაზა ფანჯარა, ხან რუქა მიაკრა, მაგრამ რაც უფრო ცდილობდა, უარესი თუ გამოდიოდა, თორემ დამახინჯებულს ვერაფერი ალამაზებდა. მერე კიდევ და, — მთავარი ეს იყო, — ვახშმის კომისიამ დაავალა საპატივსაცემო სტუმრებისთვის თავისი ბალიდან ატამი მოეკრიფა. კომისიას განზრახვა ჰქონდა სტუმრებისთვის ესამოვინებინა, საჩინოს კი გული ეკუმშებოდა. პატარა ბალი ჰქონდა საჩინოს, შვილებს არ უვლიდა ისე, როგორც მას. შეხაროდა საადრო ნამყენ ატმის ხეებს. ხილი თავისთვისაც არ ემეტებოდა მოსაკრებად, სხვისთვის მით უფრო. წელს თითქოს მის ჯინაზე და ვახშმის კომისიის გულის გასახარად, ჩვეულებრივზე ადრე დამწიფდა ნაყოფი. რამდენიმე ნაბიჯზე სცემდა მისი სურნელი. თავის უმცროს ვოგონას, მსუქან და წითელ ლოყას, არ შეხაროდა საჩინო ისე, როგორც ამ ატმებს. ახლა კი უნდა მოეკრიფა. თვითონ რომ მიეტანა, კიდევ არაუშავდა რა, მაგრამ მისი სახელის ხსენება არ იქნებოდა იქ, როცა პატივცემული სტუმრები ატმით პირს ჩაიგემრიელებდნენ. ვახშმის კომისია კი, ცხადია, მადლობას მიიღებდა. ყველაფერი ამრავლებდა ახლა საჩინოს — ისიც რომ გამოიდარა, ისიც რომ ზეიმის მოწყობა მოესწრო. ამრავლებდა ცოლის შეხედვა, ვერ იტანდა ბავშვის ხმას.

— გააჩუმე მაგ შავ დღეზე დაბადებული. გამიქექა ყურები! — ბრახობდა და თითონ არ იცოდა რატომ ბალში მიმოდიოდა. ღორი სხვა აღ-

გილას გადააბა, ბარი სახლის ქვეშ შეავლო, ძროხას ბაღასი და ცხვარს დაუყარა.

საჩინო ალბათ კიდევ დიდხანს იფოთარებდა ეზოს მკრეხელ მშენებელს აივანზე ფუსფუსი არ შეენიშნა. მაშინ სჩქაროთ გადმოვიდა და გასწია.

— თქმაბჭოს აივანიდან შორს დაინახეს, რომ ეწერზე ორკესტრი მოდიოდა. სპილენძის საკრავები ელავდენ მზეზე. ყველასთვის ცხადი გახდა. — რადგან ორკესტრი ასე ახლოს იყო მოსული, მატარებელს ჩაველო და საცაა რაიპარტკომის მდივანიც გამოჩნდება.

— კი მარა, კაცო, სიტყვას რომელი ამბობთ, სიტყვას? — მოულოდნელად ყველას ყურადღება მიიპყრო აფთიაქარმა.

— რა სიტყვას? — იკითხა იასონმა.

დიომიდემ ცბიერად გადახედა.

— შე მამაცბონებულო, დღეს ყველას პატრონი შენ გავციხდი და ის აღარ იცი, რომ ცეკას კაცს სიტყვით უნდა შეეგებო?

ორკესტრი რამდენიმე წუთით დაღმართში მიიმალა და როცა ამოივარდა, მუსიკის ხმაც გაიხმა.

იასონს არ ახსოვდა, რომ შესაგეგმელი სიტყვის საჭიროებაზე რაიმე ითქვა მისთვის თავმჯდომარეს. არ ახსოვდა, მაგრამ ახლა დიომიდემ დააეჭვა — იქნებ დაეაღებულ იქონდა და დაიფიწყა, იქნებ თვით ანტონმაც ვერ მოიაზრა... დაფიქრებულმა მოიხედა გარშემო და როცა ვერსად შენიშნა ანტონი, ყველაშემთხვევისათვის, რომ შერე უეციობა არავის დაებრალეზინა, გადაშალა რალაც ფურცელი და წამოიძახა:

— ვინ ამომიშალა ეს მუხლი სიაში? ვინ მიქნა ეს?

ვისაც არ დაეკითხა თითქმის ყველამ უთხრა, რომ სიტყვა მხოლოდ მიტინგზე უნდა ითქვას, მაგრამ იასონი მაინც საბოლოოდ ვერ იყო დარწმუნებული. შერე კიდევ დიომიდეს ღიმილს ამჩნევდა და ეს უფრო უკარგავდა სიმშვიდეს.

— ასე ვგრძნობ მე, ის ჩვენი თავმჯდომარე პარტიულ მანდატს დეკარგავს შენი წყალობით! — დაცინვით გადახედა აფთიაქარმა.

— დიომიდემ! — მივიდა მასთან იასონი, მკლავში ხელი გაუყარა და გაიხმა — დიომიდემ, ქენი კაცობა... შენებურად ერთი, რიხიანად, გაბედულად...

— რაო?! — წამოიძახა აფთიაქარმა. ვანგებ კი იყვირა. ამით მხოლოდ ის უნდოდა, რომ სხვასაც გაეგო, თუ რა სთხოვა იასონმა.

— რაო? — უფრო უმატა ხმას — რა ჩემი საქმეა, მე ვინ მკითხავს?!..

— დაგვაველე შე კაი კაცო ეს ერთი... — გაუბედავით უთხრა იასონმა.

— ახლა მეუბნებით მაგას? აქამდე ვერ მოიფიქრეთ? — გაცხარდა აფთიაქარი — მამა გიცხონდა ასე უცბად შეხანზლული სიტყვა წარმოეთქვა. რომელი ციცერონა მე მნახე?

— არა შენი ჭირიმე, მაგ ვინ გაკადრა, ვინ გაგბედას... — თქვი კი... — არა შენი ჭირიმე, არა... რად გინდათ ხლაფორთში ჩამაბათ... ერთი უპარტიო კაცი ვარ, დამცდება რაღაც. ვინ მკითხავს მე ასეთ რამეს.

დომიდე, უკვე ამითაც კმაყოფილი, მოღბა და სახეზე სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა.

— აღრე მოგემართათ, მე ვიცოდი და... ახლა კი... არა შენი ჭირიმე, არა... რად გინდათ ხლაფორთში ჩამაბათ... ერთი უპარტიო კაცი ვარ, დამცდება რაღაც. ვინ მკითხავს მე ასეთ რამეს.

ვინ იცის კიდევ რამდენხანს უნდა ეთხოვნა ისონს აფთიაქარისათვის რომ უეცრად ყველას ყურადღება ისევ ვზას არ მიეპყრო.

ვზაზე ვილაც ცხენს მოაქენებდა.

მალე ისიც გააჩივს, რომ თემსაბჭოს თავმჯდომარის ლაფშა იყო.

დარაიის ხალათის ყვითელი ღერით ცხენოსანიც იცენეს.

ისევ ის იყო, ვისაც სადგურზე რაიკომის მდივნისათვის შესაგებებლად ცხენი გაატანეს.

საჩინო მაშინ ავიდა აივანზე, როცა საბჭოს ეზოში ყვითელ ხალათიანმა ლაფშა შემოაგდო. ცხენი გაქაფული იყო.

— რა ქენი? — მივარდა მხედარს თემსაბჭოს თავმჯდომარე.

მხედარმა სული მოითქვა და დალაგებით უამბო თუ რამდენხანს იცადა სადგურზე, როგორ მოვიდა მატარებელი, როგორ ვადმოვიდა ხალხი და რომ ისეთი კაცი, რომელიც რაიკომის მდივანი უნდა ყოფილიყო, არსად გამოჩენილა.

— შეზღზე ხომ არ ეწერა შე ოჯახდაქვეულო! — უეცრად გახელდა ანტონი — ვერ მოიკითხე, ვერ ჩამოიარე?

ანტონს თუ ახლა ასე გახელბუღლს ხედავდნენ, არაფერ კვირობდა. როგორ არ ქონდა გულმოსასეღელი! რაიკომის მდივანი საღლიც სადგურში იცდის, მისთვის ვაგზაინილი ცხენი კი უკან მოუყვანეს.

ალარაფინ იღებდა ხმას. არაფერ იცოდა რა მოემოქმედნათ ახლა.

— გააბრუნე ეხლავე ცხენი! — დაიძახა ანტონმა — ჰკუამყოფელი წავიდეს ვინმე!

ცხენი ჯერ კიდევ ვწინავედა დაღლილობიდან, როცა ერთი ხავერდის ხალათიანი აბალგაზრდა შეახტა და სადგურისკენ აბრუნებია პირი.

ისონს, რომელიც აქამდე დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი კარვად ქონდა მოგვარებული, რატომღაც ეჩვენა, რომ არაფერიც არ აქვს ვაკეთებული. ტირიფის ტოტებიც თითქო უწნოდ შემოველოთ თაღზე, პლაკატიც უსწორმასწორო ასოებით დაეწერათ, დროშა დროშას არ გავდა და, ცხადია, ელსადგურიც აღარ ამუშავებოდა. ხედავდა კიდევ როგორ იღიმებოდა აფთიაქარი და ეს უფრო აბრაზებდა.

— რას იკრიკები? — შეუღრინა და შენათა თვალბში.



დიომიდემ დაურიღებლად შეხედა და შესცინა:

— შე კაციაციშვილო, სადგურზე გონიერი ვინმე ევლარ გაგხაენე? ორკესტრი ახლოვდებოდა და ხმაც თანდათან ძლიერდებოდა. ცინვათ ისმოდა ახლა ის მზიარული მარში, რომელიც სხვა ბუნების ხალისის შემოიტანდა აქაურობაში.

ისე შემოვიდა ეზოში ორკესტრი, რომ ყურადღება არავის მიუქცევია. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ზეიმი ზეიმს აღარ ემგვანებოდა. კიდევ რომ მოვადგეს რაიკომის მდივანი და კიდევ რომ წარმოსთქვას მიტინგზე სიტყვა, გულში მიანც ხინჯი ეჭნება. მთელ საბჭოს კი სასიკვდილოდ ჭონდა აჭამდე, რომ ასეთი სტუმარი ეწვეოდათ, გააცნობდნენ რაც სოფელში გაკეთდა, როგორ დაწინაურდა თემი და შემდეგ სატრაბახოთ ეჭნებოდათ, რომ რაიკომის მდივანმა, — იმაში დარწმუნებული იყვნენ, — მოღწონათ ყველაფერი.

ორკესტრის ხმას სოფლის ყველა კუთხიდან მოეზიდნა ბავშვები და ეზოში ახლა მათ გრიამული ჰჭონდათ.

ივანზე მყოფთაგანი აღარავინ იხედებოდა გზისკენ. ყველანი უხალისოდ იყვნენ და გულგრილად მისწერებოდნენ ბავშვებს, რომლებიც ორკესტრს შემოხვეოდნენ და მუსიკით გახალისებულნი ცელქობდნენ და ხმაურობდნენ. მოწყენილი იყვნენ მხოლოდ უფროსები. ისინი თავმჯდომარის ოთახში იჯდა და შეეყურებდა ბელადების ახლად ნაყიდი სურათებით შორთულ კედლებს.

— წამოდი, დიომონათით გავიგრილოთ გული! — ხელი ჩაყიდა აფთიაქარმა საჩინოს და კოოპერატივისკენ წაიყვანა.

საერთო მოწყენაში ვერაფერ შენიშნა, როგორ გამოჩნდა ეზოსთან უცნობი ცხენოსანი.

მამაკაცს ჭელქვეშ საჩრდილობლად ცხვირსაბოცი დაეფინა. სახეზე ემჩნეოდა მზე მოკვიდებოდა... მან გაიარა საზეიმოთ შორთულ თაღის გვერდით, შეჩერდა ჩრდილში, ჭული მოიხადა, სახე მოიწმინდა და გარშემო მოიხედა.

ორკესტრი მარშს უკრავდა.

საჩინო და დიომიდე ის იყო კოოპერატივიდან გამოვიდნენ, როცა ორკესტრი დაჩუმდა. ბავშვების ჯგუფში უცნობი მამაკაცი შენიშნეს. უცნობი გოგო-ბიჭებში ჩამდგარიყო. ბავშვები ხალისიანად იყვნენ და ჩვეულებრივ მეტად ხმაურობდნენ.

უცნობი მამაკაცი, რომელსაც ჩაცმულობაზე ემჩნეოდა, რომ ქალაქიდან ჩამოსული უნდა ყოფილიყო, ბავშვებს რაღაც მზიარულს უამბობდა და ამიტომ იყო, ასე ხშირად იხიანი. განსაკუთრებით ერთი წითურა გოგონა იყო მზიარულად, ხელი ჩაეველო აქ ახლად შექმნილ მეგობრისათვის და გულიანად იცინოდა.

— მოკლილია ვიღაც! — ხელი ჩააქნია საჩინომ და ის იყო დასწვლია დააპირა, როცა აფთიაქარმა თავაზიანად სალაპი შისცა უცნობს.

— ხალისობთ, ა, ბავშვებში! — ჩაიხეიხეინა დიომიდემ.

— დიდი ეშმაკი გოგონა! — მოუალერსა უცნობმა ბავშვს.

წითური გოგონა თავს ეკავებლად იცინოდა.

— რავე მოგეწონებათ ჩვენებური ბავშვები, მარა... — ისე, დალაპარაკების სამიზეზოდ, სთქვა აფთიაქარმა და გულგრილად კითხა — ქალაქიდან მობრძანდით?

— პო! — მოკლედ სთქვა უცნობმა.

— კაი დროს კი მოხვედით... ცოტა რაღაც დღესასწაული გვაქვს და გვერთობით მაინც.

დიომიდემ ის იყო თუთუნის აბოლება დააპირა, როცა უცნობმა ოქროს ვარაყიანი პაპიროსის კოლოფი გადაშალა. აფთიაქარს არც უკითხავს, ისე ამოიღო.

— თქვენ? — მიაწოდა უცნობმა საჩინოს.

— არ ეწევ, მარა... გულგრილად წაიბურტყუნა საჩინომ და აიღო.

— ძალიან კი რაცხა ამ დასაქცევში! — გააბოლა აფთიაქარმა — ქვეითად შოდით?

— არა, ცხენით. — სთქვა უცნობმა. — სადგურზე ვიჭარავე. ველოდი არ დამხვდა.

— ნახეი დღეა რაღაც! — ჩაილაპარაკა აფთიაქარმა. ჩვენმა თავმჯდომარემაც ვერ დაახვედრა ცხენი თავის სტუმარს... რომ სთქვას კაცმა უროგო პიროვნება არაა ის ჩვენი თავმჯდომარე. ოცდაოთხი საათი რომ ამუშაო, თვალს არ მილულავს, მარა აქ კი ვერ გამოიჩინა მარტოთი. თუმცა არც ვგაა დანაშავე. მომწყობ კომისიას უნდა ეზრუნა ამაზე...

— ისინი მარტო ზემ ატამზე ზრუნავენ! — დაიღრინა საჩინომ.

— არ მიიკარეს გამოცდილი კაცი, თორემ ეს არ დაემართებოდათ. აქეთ მოდი ამხანაგო ჩრდილში! — ხელი მოკიდა დიომიდემ უცნობს.

უთაობაა, თორემ პარტკომის მდივანს ვერ ვიცნობდი სადგურზე? იცადა ალბათ იმ პატროსანმა კაცმა, გაბრაზდა და გაბრუნდა ქალაქში. ბატონო, გაგვიფუტა ზეიმი. ამას ვინ ჩივის, არ მიგვემანტ-მოგვემანტონ აქედან ყველანი...

— გამიჭირდა, მართალია, — სთქვა უცნობმა, — მაგრამ არც ისე შორი იყო და...

აფთიაქარსა და საჩინოს ალბად შხისდაბნელება არ ეოცებოდათ ისე, როგორც ამ უეცარმა ვაგონებამ გააკვირვათ. როგორ შიხდა, როდის მოხდა, თითონ ვაიკტენ და შეატყობინეს, თუ დაიძახეს — ერთ წუთს არ გაუვლია, რომ მათ გარშემო უკვე თავმოყრილი იდგენ თემსაბჭოს თავმჯდომარე, მასწავლებლები, უჯრედის მდივანი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ხალხი.

ყველა უხერხულობას გრძნობდა და ყველა ერთსა და იმავეს ჩემო-  
რებდა, რომ ცხენი ვაგზავენილი იყო, რომ დამხედურმა ვერ იცოდა და რომ  
ცხენი ისევ გააბრუნეს.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა სიშარბილი იყო, მაგრამ მოდიხარ შეტი  
საოქმელი რაღა ჰქონდათ.

— კი მარა, ასე უბრალო კაცი... ა? — აქამდე ვერ გამორკვეულიყო  
საჩინო. — ხედავ დიომიდე, კიდევ იცინის და ხალისით ლაპარაკობს ყვე-  
ლასთან.

— რა ვიცი, კაცო, დეილოცა ღმერთო შენი სახელი! — ცმუტავდა აფ-  
თიაქარი — ჩვენთან კოოპერატივის გამგესთან ვერ შეხვალ, თუ ათჯერ  
არ მოუბოდიშე...

ის უხერხულობა, რომელსაც ერთხანს გრძნობდენ, მალე გაქრა და ყვე-  
ლას ხალისი დაუბრუნდა. იასონს ის წყინდა მხოლოდ, რომ უქმად ჩაუთ-  
რა შრომამ თაღის მოწყობაზე, რასაც ის დანიშნულება ჰქონდა, რომ  
სტუმარს მაინცადამაინც მის ქვეშ უნდა გაეცლო. თალი კი ახლა ისე კონ-  
ტად შორთული გამოიყურებოდა, რომ თვალს მოშორება ენანებოდა. ხე-  
დაედა რა მეგობრულად, თითქო დიდიხნის დამშობილებული ყოფილიყ-  
ვენ, ელაპარაკებოდა რაიკომის მდივანი გარშემოხვეულ ამხანაგებს და  
იასონს ყველა და ყველაფერი გაღიშებული ეჩვენებოდა. უფრო ტრია-  
ლებდა იასონი და იმის ცდაში იყო, კიდევ რაიმე მარცხი არ მოსელოდა.  
მაგრამ როგორღაც ყველაფერი იოლად ხერხდებოდა და წინასწარ მო-  
ფიქრებულზე უკეთესად გამოდიოდა.

— შენ რა გიბარია? — მაინც არ უსვენებდა დიომიდე — ზეიმი მაგ  
კაცმა მოგიტანა, თორემ სხვა ვინმე ყოფილიყო, ვნახავდი ცხვირ ჩამოშვე-  
ბულს!

სადღურის ვახსნაც მიტი ხალისით მოხდა, ვიდრე ეგონათ. ღამით, კი  
როცა ვორაკის ძირში წამოძღვარი სადღური ელექტროშუქით გაჩაღდა,  
მზიარულად შემოუსხდენ საერთო ვახშამს, რომელიც თემმა მოაწყო.

აფთიაქარისთვის არავის უთქვამს, მაგრამ ის თავისთავად დადგა თა-  
მადის თანაშემწეთ და აღარც დაუზოგავს თავი ოღონდ ღზინი ღირსეუ-  
ლად ჩაეტარებინა.

ჯერ კიდევ შუა ვახშამი იყო, როცა სუფრის თავში, სადაც სტუმარი  
იჯდა, საიდანღაც მოზრდილი კალათი გაჩნდა. კალათს ზევიდან ლედვის  
ფოთლები ეფარა. კალათს ატმის სურნელი სდიოდა. ლედვის ფოთლებ-  
ზე პატარა ბარათი იდგა:

— „ძვირფასო ჩვენო სტუმარო! ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფისა  
და ამხანაგური ხაზით, სულით და გულით გიგზავნი ამ პატარა ხელკა-  
ლათას შიგდებულის შემადგენლობით. შენი მარად საჩინო ზვიადაძე“.



გიორგი კახანიძე

## საჭოთა საქართველოში

გარეუბანში ქვევით ქარხნებთან  
მწკრივად ხეები დარგეს, დარაზმეს;  
დარგეს ვარდები, და ცამ დახედა  
ნაზი ღიმილით ფერებს ლამაზებს.  
ახლა აშვენებს ბაღი ამ მხარეს,  
დიდი აუზი ქვევით ნაგები...  
ბაღში დავდივარ, ნიავს ახარებს  
ჭალთა კრებულის თეთრი კაბები.  
ფრინველებივით პაერს არხვევენ  
მშვიდი მუსიკის ტკბილი პანგები.  
ბაღი ღებულობს ფერად მნახველებს,  
და მარტოობის თვალს ვეკარგები.  
მირჩევს გონება: მუხლი დავლალო  
აქ ყვავილებთან ახლო გარებით...  
ფართოდ შემოდის უკვე საღამოც  
და ხმაურობენ რკინის კარები.  
სიო, სინაზე ჩნდება ახალი  
იწყებს სიმღერას ყელი შადრევნის. —  
შენ აივნიდან სივრცეს დაჰხარი  
და გაბატობენ ბაღში ჭანდრები.  
ხალხი, გარემო, სიოს თამაში  
თავშესაქცევად თითქოს არ გყოფნის;  
მოდის, გიწვება ბავშვი კალთაში —  
შენი პირველი განცდის ნაყოფი!  
გიყვარს, უყვარხარ. როგორ გიციონის!  
რომ ეალერსო, გკოცნის, გაქეზებს...  
დედის ლამაზი თვალთა ციმციმიც  
მთვარის შუქივით ადგას სახეზე.



ქართული  
ბიბლიოთეკა

შვილის ცხოვრების გზების მნათობად  
რამეს, მშვენიერს, გულში გაივლებ...  
ერთხანს შერჩები ბავშვთან ჯართობას  
და მოისურვებ შემდეგ ყვავილებს.  
ბალში ჩამოხვალ. ამბავს უწყინარს  
ვინმე ნაცნობთან ალბათ მოყვები.  
ხალხი ბევრია. როგორ უბრწყინავთ  
აღამიანებს საესე ლოყები!

ვარ მოხარული მათ რომ ვუცქერი,  
საამურია მართლაც ცხოვრება!  
ეს ხმა, ეს ფერი ვარდის ფურცლების  
ყოველთვის ტკბილად გვემახსოვრება.

გზებს მიჰყვებიან ბუნქნი ორწყებად,  
ნამი ტოტებზე ჯდება კვირტივით.  
გსურს არ იცოდე დარდი, მოწყენა,  
ან თუ არსებობს ქვეყნად სიკვდილი!  
გსურს მეოცნებე და გმირ წინაპრებს  
თვალს აუზღვლდეს ეს დრო ხალისის,  
ნაზონ საღამო, როცა ბრწყინვალედ  
ბალს უბრუნდება ეშხი თავისი!

ჩემად დაიდევარ. მივბს და მალღობებს  
ემშვიდობება მზე მოკრძალებით.  
ჯვლავ აივანზე ხარ და ლაღობენ  
შენი კრიალა ლურჯი თვალები!  
ღამე მკვიდრდება. ბალის ბუნებას  
არ ემუჭრება იგი აკლებით;  
ბალი შექდება და იხურება  
ცის დარბაზების ღია სარკმლები.



3. ჩიქვაძე

## მურზაყან დაღუპულიანი

რომანი \*)

### 8 ბაზოტოვება

სასახლეში ხმა გავარდა: მურზაყან დაღუპულიანი სვანეთში მიიჭკარის, სამთავრო ტახტის დასაბრუნებლად ომს ეპირებაო...

იმათაც ამბობდენ: ვითომ დავით დადიანი უწყობს ხელს მურზაყანს, ჯარის მიშველებასაც კპირდებო... ვითომ აფხაზეთის მთავარმა, მიხეილ შერვაშიძემ საიდუმლო ხელშეკრულება დასდო მურზაყანთან: შერვაშიძე დაეხმარება მურზაყანს სვანეთის ტახტის დასაბრუნებლად... ხოლო მურზაყან დაღუპულიანი, შერვაშიძესთან ერთად, იბრძოლებს რუსების წინააღმდეგ... რომ კენიან კესარიამ სწორედ ამ მოსაზრებით მიათხოვა კნიაენა ადილხან სვანეთის უფლისწულს და მათი დაქორწინებით სვანეთის სამთავრო — აფხაზეთისას დაუკავშირა... რომ მურზაყან რუსების თვალსაზრევად გაგზავნეს ნამესტნიკთან, და... რაც მთავარი იყო ამ კორებში: სვანეთი, აფხაზეთი და შესაძლოა სამეგრელოც შეერთებული ძალონით შეებრძოლებიან რუსებს, თუ ისინი, რუსები, სამთავროების შინაურ საქმეებში ჩარევას მოისურვებენ...

კორებმა ნამესტნიკის ყურამდე მიაღწია. ცეტივით გადახარხარა უცებ წარბი შეიკრა. მეჭორე სანოვნიკს, სანამესტნიკო საბჭოს წევრს, დისტრიტელნი სტატსკი სოვეტნიკს R-ს მოწუხულად თვალთ შეხედა... მტორე ფიჭისა და ყოყმანის შემდეგ ღინჯად დაწვდა ხელმოსაწერ ქალღლის ფარატინას... თავის ქიციანთ ჩაათვლიერა: „თავისუფალ სვანეთის თორმეტი საზოგადოება ამიერიდან“... ქალღლი ორივე ხელის გულში მოიშყვდია. დაკმუჭნა, დაფშენა და სანაგვე ყუთში ჩაახალა. „შე თქვენ გაგემებთ საკადრის თავისუფლებას“... ნაწყვეტებად დასძინა ერონცოვმა და საწერ მაგიდას გაშორდა.

ნამესტნიკს ჩვეულებად ჰქონდა ბოლოს ცემაში ჩაეტარებინა კანცელარიის მმართველის მოხსენება... საბჭოს წევრებისაც ქაღალდზე

\*) გაგრძელება იხ. „მთაბი“ № 1.

ხელშოსაწერად თუ მიუახლოვდებოდა მაგიდას. ნიდაყვეც და ურჩხობი-  
ლი მოაწერდა ხელს საქმიან ქალღმერთს და ბოლოს (ეჭვი) განაგრძობ-  
და. ზოგჯერ ფანჯარასთან მიღვებოდა ნამესტნიკი და ნიდაყვეცობდა,  
რომ კანცელარიის მმართველი მოხსენებით უტყდიდა, იღბა ფიქრებში  
გადაკარგული, თვალსაც კი არ ახამხამებდა...

ასეთ დროს, მოქნილი მოხელე ბურნუსს შეიყნოსავდა ხოლმე და  
ცხვირის უტყარ დაცვიმინებაზე გონს მოდიოდა ხმაურობით შემკრთალი  
ქალარა ნამესტნიკი.

— პარდონ! ვანაგრძეთ! — მდაბლად იტყოდა ნამესტნიკი და ხელ-  
ქვეით მოხელეს გულმოდგინეთ უსმენდა.

დღეს აღრე დამთავრდა დილის მოხსენება... საქმიანი საუბარი ქო-  
რებმა შეცვალა. ქორების მთავარი გმირი მურზაყან და დედშქელიანი იყო.

„აღელვებულა... ოთახიდან გარედ არ გამოდის... დათვივით ბურ-  
დღულებს რაღაცას“. — წამოეხმარა ნამესტნიკის ადიუტანტი სასახლის  
მეპორეებს.

ეორონცოვმა მხრები აიჩეხა.

ნამესტნიკთან სტუმრად ჩამოსული თ-დი გაგარინი ერთბაშად გა-  
მოცოცხლდა ქორების გაგონებაზე. სავარძელი მოინაცვლა და ზედმეტი  
გულმოდგინებით წაუვლო ყური და დედშქელიანის ირგვლივ შეთხზულ  
ლეგენდებს.

— ხვალ მიდის ტფილისიდან. — განაგრძობდა ადიუტანტი.

— ხვალ? სასიამოვნოა... — გამოაზოგა ნამესტნიკმა და უსაზღვრო  
კმაყოფილების ნიშნად გამხდარი თითები დაიმტვრია.

— შტაბის უფროსს სთხოვეთ, — მიუბრუნდა საბჭოს წევრს R-ს ნა-  
მესტნიკი — ყაზახთა ასეული გააყოლოს და დედშქელიანს მტებითად... სა-  
ერთოდ ღირსეულად გააცილონ... ტახტის მემკვიდრის საკადრისად...

— ვეცდებით, თქვენო ბრწყინვალეებავ!

ნამესტნიკი სამხედრო რუქას მიუახლოვდა. ტყავშემკნარი თითი გა-  
აელო სამეგრელოს მიწა-წყალზე... სვანეთზე შეჩერდა... დიდხანს უცქი-  
რა, რომელიღაც წერტილს უშვასა და დონღუზ-ორუნს შორის. ფრჩხი-  
ლით გადასერა ფარის მიდამოები და რუქას მოშორდა.

— და დედშქელიანი გეახლათ! — მოახსენა კარისკაცმა.

— КСТАТИ! — მიმართა ნამესტნიკმა თავად გაგარინს, — ეისარგებლებ  
შემთხვევით და ეხლავე გაგაცნობთ სვანეთის ტახტის მემკვიდრეს, ისეთი  
დათუნია ვინმეა, მოგვეწონებათ. სთხოვეთ! — მიუბრუნდა ეორონცოვი კა-  
რისკაცს და თვითონაც მოსალებ კარისკენ გაემართა და დედშქელიანის შე-  
სახვედრად.

თავად გაგარინს ეუცხოვა ნამესტნიკის საქციელი. დამცინავი ღიმილი  
გააყოლა უწლოვან უფლისწულის შესახვედრად გაშურებულ ნამესტნიკს.

კაიო გაიღო. ტრედისფერ პორტიერის მიღმა აღიმართა ვიწრო ვაჭკო. კუშტად შემოდგა ფეხი მურზაყანმა. სასახლის მოხელეებისა და თავ. გაგარინის დანახვაზე შედგა. უკან გაბრუნება დააპირა მანქანაზე. მურზაყანს ღიმილით შეეგება ქალარა ნამესტნიკი. გამხდარმა შექმნილი მსახურით გაუწოდა პირტიველ უფლისწულს. მისალმებისთანავე ხელი გამოსდო და მხარდამხარ წაიყვანა თავ. გაგარინისაკენ.

სასახლის მოხელეებმა ხსრად დასტოვეს ნამესტნიკის მისაღები დარბაზი. აქეთ-იქით გაიძურწენ.

გაგარინი შეკრთა მურზაყანის დანახვაზე. უნებლიედ წამოდგა. მხრები შეიმჩატა. გოცნებული თვალებით აპხედა მყინვარწვერივით გაბიჯებულ ქაბუჯს და, როცა ნამესტნიკი დადგმულიანთან ერთად გაგარინისკენ გაეშალა, თავ. გაგარინმაც აღარ დააყოვნა, მათ შესახვედრად გაეშურა.

მოწინებით გააცვიეს მურზაყან თავად გაგარინს

უხემა სვამა კი მოურიდებლად შეათვალიერა უცხო თავადი ჩინებოლუტებსა და წარჩინების ნიშნებს შიზლით სავსე თვალი გადააელო და ისე მობრუნდა ნამესტნიკისკენ, თითქო ეს არის რაღაც უნდა უსაყვედუროსო.

ვორონცოვმა დაასწრო: „როგორ ხარო, ბატონიშვილო! ხომ არ მოგწყინდათო“, პკითა ამრეზილ მურზაყანს. დაჯდა და მურზაყანსაც მის გვერდით შესთავაზა საგარძელი.

„ბატონიშვილობით“ მიმართვა ესიამოვნა მურზაყანს. შუბლზე ნაოჭი გაეხსნა. გულში სიხარული ჩაეწვეთა.

„თავად დადგმულიანს მიწოდებდა ეს ერთი ხანია; დღეს რომელმაც ანგელოზმა ჩაავონა ასეთი ხელგაშლილობაო“. — ფიქრობდა მურზაყან. თანაც ახალგაცნობილ თავადს თვალს არ აშორებდა.

ნამესტნიკმა მეტისმეტი ენაწყლიანობა გამოიჩინა მურზაყანთან. მოიბოდიშა: ეს ერთი ხანია მეტად დატვირთული ვიყავი საქმეებით და თქვენთან შესახვედრი დრო ვეღარ გადავიწარჩუნეო. ხვალ ზეგ კახეთში ვაბრუნებ და იმედი მაქვს უარს არ იტყვიო ჩვენთან ერთად დროს ტარებო და მოგზაურობაზეო.

მურზაყანს სახე გაუბრწყინდა. შეკრული წარბი გაეხსნა და ძალად მოკუმშული ტუჩები ღიმილმა დაუშვეენა. ნამესტნიკი ისეთი გულწრფელობით განაგრძობდა საუბარს, თითქოს სიზმარცხადი არაფერი იცოდა მურზაყანის სევანეთში დაბრუნების განზრახვისა.

— თავადი გაგარინი ჩვენთან ერთად მოგზაურობს კახეთში... სანანებლად არ დაგჩივბათ ურთიერთ ვაცნობა! — დაუმატა ვორონცოვმა და დასტურისათვის ჯერ გაგარინს ვადახედა, შემდეგ დადგმულიანს.

მურზაყან ისე აენტო ნამესტნიკის სტუმართმოყვარეობით, როგორც ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღეებში... მურზაყანმა ისე იბრუნა გული გაცამყვარებულ ნამესტნიკზე, მაგრამ სევანეთში გამეფებულა და დაბორჯება აღარ ისურვა და მწუხარება გამოსთქვა, უბრალოდ მისი შეხება ნამესტნიკის ფრიად პატივსაღებ წინადადებას.

— მიმეჩქარება, თქვენო ბრწყინვალემავე!— იმართლებდა თავს მურზაყანი— როგორც ჩანს, მისი უდიდებულესობის პასუხიც აგვიანებს. ასე რომ... დაებრუნდები და იქ უფრო თვალნათელი გახდება თუ როგორ ვიმოქმედო... თქვენი რჩევა-დარიგება დიდად შეუწყობდა ხელს ჩემი ჩანადრული საქმის გამოსწორებას, მაგრამ... როგორ გავიბედოთ, ან როგორ გაკადროთ კვლავ შეწყობება...

მურზაყანმა ხაზგასმით აღნიშნა წინადადების ბოლო სიტყვები. რაც იმის ნიშანი იყო: ერთხელ ზომ გთხოვე... გამეორება რაღა საჭიროაო.

ამას მიუხედა ნამესტნიკი. კილო შეიცვალა... წამოდგა, საწერ მაგიდას დაუბრუნდა.

დიდხანს ეძია რაღაც ქალაღი. მიწერ-მოწერა ააჭოთა. ბოლოს მოლურჯო ფერის ტკიცინა ქალაღს დაწვდა... ორთავიანი არწივი ეხატა ქალაღის თავზე. ქვევით მრგვალი სახელმწიფო ბეჭედი ეკრა. დაკვირვებული თვალი შორიდან შენიშნა და ბეჭდის გასწვრივ გაქანებულ ხელმოწერას „ნიკოლაი“.

ნამესტნიკი სავარძელს დაუბრუნდა. მურზაყანს მხარზე ხელი დაჰკრა და ღიმილით დაიწყო: ვფიქრობდი კახეთიდან დაბრუნებისას გამეშვილა თქვენთვის ეს ამბავი, მაგრამ რაკი ასე დაეინებით ფიქრობთ, ბატონიშვილო, სევანეთში გაბრუნებას, ნება მიბოძეთ გაცნობოთ, მისი უდიდებულესობის, ხელმწიფე-იმპერატორის უზენაესი თანხმობა სევანეთის სამთავრო ტახტზე, ციოყ და დეშქელიანის მემკვიდრის მურზაყანის დამტკიცების შესახებ. ოღონდაც— შებოძოქდა ნამესტნიკი და ჩახლენილი ხმის გასწმენდათ ზედიზედ ჩახველა— საქმე ის არის, რომ... ტახტის დაბრუნება... ე. ი. თქვენი სამთავრო ტახტზე ასელა მოხდეს ჩვენი ხელისუფლების ჩარევის გარეშე...

— გადარჩალება საკუთარი ძალღონით. — ჩაურთო თავ. გავარინმა.

— სრული ქვეშარიტებაა: „საკუთარი ძალღონით“ — გაიმეორა ვორონცოვმა და განაგრძო, — თქვენ მიმიხედვებით, ბატონიშვილო, თუ რისთვის არის საჭირო ასეთი სიფრთხილე... და რა გვაძილებს... მ-მ-მ! დიახ, თუ რატომ ასე შორიდებულად გვიქირავს თავი სევანეთის სამთავრო ტახტის მეტოქეების მიმართ. გამხნევდით, ბატონიშვილო! დაიბრუნეთ სამთავრო ტახტი და ჩვენ ყოველ ღონეს ეიხმართ მის შესანარჩუნებლად... თუ საქმე გამწვავდება, ჩვენ რაღა თქმა უნდა უკან არ დავიხვეთ, და ჯარსაც მოგაშველებთ, მაგრამ... სანამ ეს საჭირო არ არის, სჯობს ადგილი. „ნათობი“ 162

ლობრივი ძალებით შეეცადოთ ტახტის დაბრუნებას. რაც შეეძლება საბალახოს ბაეებს, — განგებ მოაგონა დადგეშქელიანს ნამესტნიკა. — ჯერ ტახტი დაიბრუნეთ და დადიანთან დავას ყოველთვის მიუგვეთქალი.

მურზაყანს გული აუთამაშდა. დარწმუნდა, რომ ნამესტნიკის განცხადებით მისი ერთგული მფარველი იყო. სენათის სამთავროს ბედობაზე გულშემატკივარი. ამიტომ თავი დატუტა: „როგორ მომივიდა, ასეთ დიდებულ ადამიანზე, უმნიშვნელო გაფიცების გამო, გული რომ ავიყარო“.

დღეს, ერთხელ — კიდევ ბედნიერად იგონა თავი მურზაყანმა. ხელმწიფე-იმპერატორის დასტურმა ფრთები შეასხა. მაგრამ ცოტა უფრო ღრმად ჩაუკვირდა საქმის შინაარსს... თვალი მოავლო ნამესტნიკის რჩევა-დარიგებას: „საკუთარი ძალღონით“ მოქმედების შესახებ და ოდნავ შეკოჭმანდა. „თუ დასტურს იძლევა, საკუთარი ძალღონე რაღას მიქცია?! აქ უთუოდ! რაღაც ხრეკია. აქი ვამბობდი: გარდამთიელნი სანდონი არ არიან მეთქი!“ — თავი ჩაღუნა მურზაყანმა, ფიქრებში შეტომა.

თავადი გაგარინი დინჯად იჯდა სავარძელში. მსუქან თითებით ეჭირა არანაკლებ მსუქანი სიგარა Calistro და ზარბაცად ამოღებდა. გულგრილად უსმენდა ნამესტნიკა და დადგეშქელიანს ზორის გამართულ საუბარს. ზანგაწევებით მურზაყანს ათვალეირებდა. გაგარინს მოსწონდა პირტიტველა ტახტის მამიებელი. მისი მზნეობა და რაინდული იერი უსი-ღღრო კმაყოფილებას გვრიდა. თვითონაც წარმოსადგევი ვაგაკი იყო გაგარინი. ლამაზი, ახოვანი, გულადობაშიაც ვერვინ წაედაეებოდა. „ერთჯერად ღირსო“ ამბობდენ მასზე. მაგრამ მურზაყანს რომ უცქეროდა თავისი თავი ავიწყდებოდა. თვალს სჭრიდა დადგეშქელიანის ახოვანება. განსაკუთრებით პირსახე და განიერ შუბლის ზემოთ აქოჩრილი ოქროსფერ ხეჭუჭი ტევრი.

„ქართველი და ასეთი მწვევე ბლონდინი? — გაცოცხლებული ეკითხება თავის თავს თავ. გაგარინი, და მურზაყანის მითურ თმებს თვალს არ ამორებს.“

„ეკატორინე დიდს, რომ მურზაყანის ბადალი ვაგაკი შეხვედროდა. უდავოა, რომ იმპერიის ნახევარს უწყალობებდა და საწოლსაც დიდს ალტაკებით გაუზიარებდა“. — დაასვენა გაგარინმა.

აუდიენცია დასრულდა.

მურზაყან მოწიწებით გამოეთხოვა ნამესტნიკს. თავად გაგარინსაც მდაბლად დაუკრა თავი და გავიდა.

— როგორ მოგეწონათ. ალექსანდრ ივანოვიჩ!

— თვალწარმტაკი ვაგაკია, თქვენო ბრწყინვალეებავ!... აპოლონს გაუწივს მეტოქეობას, მაგრამ...

— ბრიყვია, არა? — წამოეშველა ნამესტნიკი.

— არა... უფრო გულუბრყვილოა, თქვენო ბრწყინვალეებო! — მორიდებული ტონით შეუსწორა გაგარინმა პატიემოყვარე ნამესტნიკს და თვალში შეატყდა, ხომ არ იწყინაო.

გაგარინმა

— თქვენ, მართალი ხართ, თავადო! — უყოყმანოდ დათანხმდა ნამესტნიკი — დადუშველიანი გულუბრყვილოა, როგორც ყოველი ქართველი. ქართველებს შორის უკეთესი სანთლით საძებნელია... მაღალ ტალანტით დაჯილდოებულნი არიან ქართველები, მაგრამ ერთი რამ უდავოა... მათ არ შესწევთ შორისმკვრეტელობის უნარი... ჩემის ფიქრით მათ არასოდეს არ გააჩნდათ ეს უნარი... კეთილა და გონებაშეხილვით ეშმაკს გააწბილებენ, მაგრამ... რთულ კითხვებს სახელმწიფო მართვა-გამგეობისათვის ვეღარ ართმევენ. ვიწრო პორიზონტი აქვთ. შეზღუდული. თითქო შემოსაღატულიც. მთებია დამნაშავე. აიღეთ რუსეთის ველები. გაპყურებ უსაზღვრო სივრცეს და აღარ იცი სად თავდება ან სად იწყება ეს ქვეყანა. აქ კი... გაპხედავ აღმოსავლეთს შენ თვალწინ აღიმართება მთა. გაიხედავ დასავლეთით — მთა. ჩრდილოეთით და სამხრეთითაც: მთა. თითქო კურში ზიხარ. ეს გარემოება უთუოდ ზღუდავს მკვიდრთა აზროვნების არეს. მთის იქით თუ რამე არსებობს ვერ წარმოუდგენიათ... აიღეთ ეს პირტიტველა დათვი... ნამდვილი კეუის კოლოფია... ამავე დროს საოცარი ბეცი, მოუქნელი, გაურანდავი. პოლიტიკის არაფერი არ გაეგება. ტახტი დაკარგა და დარწმუნებულია, რომ მისი ერთადერთი მეტოქეა, სევანეთის დღევანდელი მთავარი, თათარყანია თუ ვილაც უკანდაბა თურქყანი. ვერ მიმხვდარა რომ სსახლის აობრებას თათარყანი ვერ გაბედავდა, თუ... თქვენ ზედებით, ალექსანდრ ივანოვიჩ, არა?

— რასაკვირველია, თქვენო ბრწყინვალეებო! — ღიმილით შეაგება გაგარინმა.

— რუსეთის ხელს უკრავ ვერ გრძნობს ეგ პირტიტველა ტახტისმადიებელი, ტფილისში რომ ნამესტნიკი დაუჯინეს, ეგ ვითომ არაფერი... ქართველი მეფეები და ბატონიშვილები რომ რუსეთში სხედან და სამშობლო ცისკიდურის დანახვას ოცნებობენ, ევაც არაფერი. იბერეთში, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთშიც რომ რუსის უარი დგას, და დღითიდღე ფეხს იკიდებს რუსული მართვა-გამგეობა ამასაც ვერ ამჩნევს ეგ ძუძუმწოვარა ვოლიათი... რუსები ეუჯავრება — ეგ უდავოა. მრავალჯერ დავრწმუნდი მისი აქ ყოფნისას... მაგრამ რატომ ეუჯავრება, რუსეთის არიან რუსები მისთვის საფრთხილონი, ვეფქობ, ეს მისთვის გაურკვეველია და შევხედავით მოცული. სევანეთზე ამოდის მზე. სევანეთს ფიცულობს. სევანეთს გარედ ცხოვრება ვერ აწარმოუდგენია... დახმარება მთხოვა... მორჩილება აღმითქვა... მხოლოდ იმიტომ, რომ სევანეთში დაბრუნებულიყო... თვალთმაქცობს ვითომ... საცოდავი... ის კი არ იცის რომ დღეს ჩვენ მიერ შეთავაზებულ ტახტს, ხვალ-ზვგ ხელიდან გამოვაც-

ლით და იმ ვიღაც თათარყან-თურქიყანებთან ერთად... ჰე-ჰე-ჰე! რას იტყვიო, ალექსანდრ ივანოვიჩი! — ნამესტნიკმა სამი ფურცელი გაუტყუტუნა, ერთხელ კიდევ ვადიხარხარა და მზიარული კილოთი განმტკიცებულა მობაგონდა: ის თათარყანი უკვე წაბარგებულა... დარჩენ შეღლები: ოთარ და ჯანსულ... ამათ ეს დათვი გაუსწორებს ანგარიშს. ან მათ ამოელეტს, ან თვითონ შეაკვდება... ასეთია მაგათი ადამი... ყანლუს რომ უწოდებენ. „საკუთარი ძალღონით თქო“... ეს, დიდებული აზრი მოგვივიდა, ალექსანდრ ივანოვიჩი! დაერევიან ერთმანეთს და... ვშიშობ ენგური კალაპოტს გადასცდება... რას იტყვიო, ალექსანდრ ივანოვიჩი!

— ბრძნული პოლიტიკაა, თქვენო ბრწყინვალემა! დარწმუნებული ვარ, თქვენი შესანიშნავი გეგმის განხორციელების შედეგი კავკასიის სამთავროების გაცამტვერება იქნება.

— მთავრებისაც... ჰე-ჰე-ჰე! — ჩაურთო პატივმოყვარე ნამესტნიკმა და კვლავ აბუხუნდა.

— თუ მაქიაველის მითითებით იმოქმედებთ... თქვენო ბრწყინვალემა, მთავრებიც გაცამტვერდებათ...

— განა თავისთავად... ჩვენ თვითონ მოვსაბოთ და გავანადგურებთ. მაქიაველი ბრძენთა-ბრძენი პოლიტიკოსია... ის ვითომ რესპუბლიკანელი იყო... მე რომ მკითხოთ, მისი „frincipe“ რუსეთის იმპერატორის სახელმძღვანელოდ არის დაწერილი. მაქიაველი დაპყრობის წინააღმდეგი ხომ არ არის?!

— პირიქით, თქვენო ბრწყინვალემა!

— მეც მაგას მოგახსენებთ, თავადო! მაქიაველი ამბობს: „დამპყრობელმა, თუ მას სურს შეინარჩუნოს ხელისუფლება დაპყრობილ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა უნდა ამოწყვიტოს ყოფილი მმართველის გვარი... ან კიდევ დაპყრობილ ქვეყანაში ჩაესახლოს თვითონ დამპყრობელი“... \*

— უდიდესი სიბრძნეა, თქვენო ბრწყინვალემა. სწორედ ასე მოიქცა ოსმალეთი, საბერძნეთის დაპყრობისას. ვერავითარი ძალა ვერ დაამაგრებდა, ოსმალეთს საბერძნეთში, რომ ოსმალები არ ჩაესახლებია ბერძნების მიწა-წყალზე. მთავრების ოჯახს როცა თავიდან მოიშორებ... და შენს ერთგულ ქვეშევრდომებს შეურევე დაპყრობილ მიწაწყლის მცხოვრებლებს... გათავდა! ხელისუფლება სამუდამოდ განმტკიცებულია... შესანიშნავი თვალტანადი ვაეკაცო სვანითის მეგვიდრე დადგმულიანი, მაგრამ... თუ იმპერიის ინტერესები ამას მოითხოვს...

— არა, ვეტყვები, ფიზიკურ განადგურებას მაინც ავუტკიო გვერდი... გადავასახლებ... რუსეთი დიდია, სანამ სახალინამდე მიადწევენ... ეიშ იცის... მაღალი ღმერთი თავის მსხვერპლს შეიწირავს... ერცკლე მეფის შთამომავალნი ხომ აღარ დაჰკაენებენ საქართველოში. ერთი, ალექსანდრე

ბატონიშვილი და ამტუტებდა აჭაურობას და იმის დაბრუნებას ბოლო მოელო.

იმერეთის, მეფე და ჯვალაბი უკვე რუსეთშია... ამის მჩქინებულობა და ნარჩენებსაც... და ამ ფრიად რთულ, მაგრამ საინტერესო მოგვარებაში დიდად დამებმარებით თქვენ, ალექსანდრ ივანოვიჩი! რას იტყვიო?

ვორონცოვმა დამტკნარი ხელი გაუწოდა თავად გაგარინს. უკანასკნელმა კი ყოყმანითა და უხალისოდ შეაგება დათვის ბანჯგვლიანი თათი...

## 9. დაბრუნებული

მურზაყან დიდის პატივით გაისტუმრეს ტფილისიდან. სანოენიკებმა ვორონცოვის დავალებით, დიდის ველამდე საზეიმოდ მორთულ ეტლებით, მოაცილეს სვანეთის უფლისწული. დიღომში—გზა დაულოცეს. დადგენ და სანამ მურზაყანისა და მისი ამაღლის დროკები თვალს მოეფარებოდნენ, ხელმანდილებს აფრიალებდნენ ჰაერში. ხუნტრუცა კნენები ჰაეროვანი კონით ეთხოვებოდნენ შინ მიმავალ ბატონიშვილს.

ყახახთა სოტნა შორიახლო მიჰყვებოდა და დეშქელიანს. შათ, ჯერ კიდევ შორი გზა უტკეროდა წინ. მურზაყანს თავი მოსწონდა, როგორც პატივით შეპყრობიანი... მაგრამ გულში მაინც ქვალივით გაქრავდა: ნეტა, ასეთს რას მიპირებენ, რომ საგანგებო ცერემონიალით მიმაცილებენო.

მურზაყანს სევდა შემოაწვა. გზა დასაწყისშივე გამოგრძელდა. აგვისტოს თაკარამ გული უფრო შეუღონა. ვერცხლის ნიაღვარს წააგავდა მტკვრის ვანაპირას გატყორცნილი გზატკეცილი. ბუჭი და კორიანტელი ნისლის ფთილებად რჩებოდა გადაღახულ მანძილის უკან.

ნესტორ აბოიბას ჯანმავარ უფლისწულზე მეტად გაუჭირდა პაპანაქება, მაგრამ ერთხელაც მძიმედ არ ამოუსუნთქავს. აბდიბას ისე მიერქარებოდა აფხაზეთში, თითქო ათი წლის წინად გაყიდულ ვაჟიშვილთან შეხვედრას მოელოდა... დაკარგული შემკვიდრის შინ დაბრუნებას... რახანია, მოსწყინდა აფხაზეთის მთავრის აბოსალარს ქალაქში მეტად ყოფნა და ხეტიალი. თავი მოაბეზრა ქალაქის შფოთმა, სასახლის მუდმივმა ორომტრიალმა... თავი მოაბეზრა რუსებმა და რუსულმა საქმელებმა... აფხაზური ტყემალსაწებელი, ტარიკედის სიღრმე ქაში ჩაყიებული ღვინო, და ფარგა თევზი, სულის ცხონებასავით მოენატრა... მოენატრა ნადირობა, თევზობა, სასირე ბადის ვაშლა და დატყვევებულ გვრიტების გუნდის ფართალი ბადის კუმტულში. გამობრძმედილ აბოსალარსა და ულაყების მხედნავს, აჯილღების კიბეინიც მოენატრა. მთავრის საჯინობოში ათიოდ ურა დასტოვა აბდიბამ... შემოდგომა და მათი დაურევების



დრო ახლოვდებოდა. აბდიბამ ღრმად ჩაისუნთქა და ფიქრით დაკარგულ-  
მა კინალამ დასჭყვივლა ხმამალლა, სწორედ ისე, როგორც მიხედა წერვა-  
შიძისეულ გოდელ მინდორზე სჩვეოდა ხოლმე ჭყვილ-*სჩვეულსა ჭყვილსა*  
ულაყების დაურვებისას.

ნესტორმა თვალები დაახამხამა. საგზაო ხურჯინს ადგილი მოუნაცვლა  
და ისევ ფიქრებში გაეხვია.

მურზაყან ჯერ კიდევ ქალაქურ ბურანშია გახვეული. თვალწინ ნა-  
მესტნიკის სასახლე უდგას... პალატები, ნოხებით მოფენილი დარბაზები,  
უხეში და უზარმაზარი ირანული ბუხრებით. უზარმაზარი სასანთლე კა-  
ღები. ოჭრომკერდით ნაქარგი პორტიერები, ლოინიდან გამოწერილი  
ხელნაყერი შტორები...

„კარ-ფანჯრებს რაღა სამოსი უნდოდა ნეტავი?!“ — გაუელვებს მურ-  
ზაყანს სასახლის დარბაზების შორთულობის გახსენებაზე და ზიზლით  
იღმიჯება. — რუსული კულტურა... ევროპიას ზიზილ-პიპილები... ფუჰ!“

მურზაყანს აგონდება სასახლის საცეკვაო დარბაზები. იქ-გატარებულ  
დრო: ნადიმები, ვახშმები. ევროპული თუ კავკასიური ცეკვები. ბანქოს  
თამაში. ხენტრუცა კნენები და არანაკლებ ატეხილი კნიაფნები...

მცხეთას რომ გაცდენ, მურზაყან ოდნავ გამოცოცხლდა. ციკაბო კარ-  
ჩილების დანახვაზე, მივიწყებული სევანეთი მოაგონდა. საამურმა ერუან-  
ტელმა დაურბინა ტანში მურზაყანს... განვლეს ცოტა და თვალი ჰკიდეს  
ზურმუხტოვან შიდაშობს. აილა სევანეთის თვალუწედნი საბალახოები გა-  
დაიშალა თვალწინ. დაბურული ტყეები. გაშუშებულ დარაჯებივით ჩა-  
რახმული სევანური კოშკები.

აქეთ, ნარიყალამაც გაახილა თვალები. მას მიჰყვენ აბანოები, მეტეხი,  
შუაბაზარი, უტიფარი კინტოები. მურზაყანს ხმამალლა გაეცინა კინტო-  
ების შოგონებაზე...

იგი მოჯადოებულია ტფილისით. ამავე დროს წივანა გველივით ეჯავ-  
რება ის. ქალაქური ცხოვრება თან იტაცებს მურზაყანს, თანაც მზად არის  
ნაციარტუტად აქციოს იქაურობა. ქვა ქვაზე აღარ დატოვოს. ისე ვაი-  
ცამტვეროს ნამესტნიკის სასახლე. განცბრომისა და რუსული გარყენი-  
ლების ეს შხამიანი ბუდე, როგორც ალა-მამად ხანმა მოაოხრა ერთ დროს  
ტფილისი... მაშინ. სიონის სამრეკლო და მეტეხის ციხე-სიმაგრე გვრიდა  
შიშის ერუანტელს ალაპის ბრმა მსახურს... სისულგამომშრაალი საჭურისი  
ხარბი თვალებით უცქერდა ცეცხლწაკიდებულ ტფილისს. მაგრამ მის  
გულს რა ვაითბობდა... მურზაყან წყველა-კრულვით იხსენიებს წარმართ  
მამად-ხანის დროს; მაგრამ მამად-ხანის სისხლი აღარ აწვალებს ტახტურ-  
ყულ ბატონიშვილს. ის ახლა უკან არ დაიხვეს და არც ხელი აუკანკალ-  
დება თუ ნამესტნიკის სასახლეში თავშეყრილ მკონარების (ამ უსისხლო  
უქნარების) გაელვების დრო დაუდგება როდისმე... მართალია, ნამესტნიკ-

მა შეუდარებელი პატივი სცა ტახტის მამიებელ ბატონიშვილს, აღუთქვა დახმარება... ხელმწიფე-იმპერატორთა უშუაღვრომლა დასაქმებულ ტახტზე ასვლის ნებართვაც უწყალობა, მაგრამ... მაგრამ... მაგრამ... გაუთბა მურზაყანს გარდამოთვლებზე... სასახლეში თავმოყრილ მოხელეთა ზროვანზე...

„არა, ე ვრადი ბარტოლო ვინ ოხერია? — ბრაზობს მურზაყან — სვანეთში გეწვევო. ამბობენ თავისუფალ სვანეთში გაემგზავრაო... ისეთ წიველებას გავიპართავ, თუ სადადემეტელიანო სვანეთის მიწაწყალზე ვნახე ფეხდადგმული... ქირიანი ღორი!.. არა, რუსები — რუსული მუნდირებით. კიდევ შო, აიტანს კაცი, მაგრამ ფარაჯიანი ქართველი თავადი?!.. ფუჰ!“

მურზაყანს თ-დ თულაშვილთან წაჩხუბების სცენა მოაგონდა. ზიზლით გააფურთხა. „გამყიდველი! საოცარია, რომ ქართველი შეთქმულები, ბოლოს რუსის ერთგული ოფიცრები გახდენ. ზოგი მათგანი მუსრს ავლებს რუსების დღევანდელ მოწინააღმდეგებს. ამბობენ: გრიგოლ ორბელიანი დალესტანში დათარეშობს, ლეკებს ეომებაო. იმასაც ამბობენ იარანაღის წინზე წაუდგენიათო... ევაჰე, წყეულო დროება! მთის არწივს შამილს, ევარაშოწყვეტილ ორბელიანის შიშა ჰქონდეს გიაურებთან ბრძოლის დროს?! კარგი, ეთქვათ, სვანეთის აობრებაც დაავალეს ორბელიანს, უარს იტყვის, თუ... ო, ნეტა მართლა ვნახო სვანეთში სამტროდ შემოსული... ნეტა“...

მურზაყანმა კბილები ისე დააკრაჭუნა, თითქო აჯილღა ლაგამის გკვენტას ლამობსო.

მურზაყანს თვალწინ დაუდგა ფარაჯებში გამოწყებილი მუნდირიანი ქართველი თავადები... სანამესტნიკო ტუზი მოხლეგები... დესტკიცელნი სტატსკი სოვეტნიკები... ჯვარ-შენდლებითა და ჩინ-ორდენებით შეტყობული ფინიები...

— ქართველები აღარ შურავენ საქართველოს... რუსებს რაღა გაუშტყუნოთ...

მურზაყანს თავ, ბარიატინსკისა და ვორონცოვის შეხვედრა მოაგონდა. მძიმედ ამოიოხრა. „როგორი რიბით მოუთხოვდა ნამესტნიკს ჩეჩნებო! აობრება-გადაბუგვის ამბავს... ის ჯინჯილებიანი დათვითუ ზომ შამილის დაპყრობას ლამობს... ორბელიანი უთუოდ ჭკუაზე შეცდება, რომ... ოობ, საზიზღრებო! არა ჩენი საშველი არ არის... ვინ გადაურჩება ამ თავაშეებულ ოფიცრების თარეშს და წანწალს... ბედი გვაქვს რაღა! პეტერბურგში რაღაც დანაშაულს ჩაიდენენ... მოსაჰკვიანებლად კავკასიაში ერეკებიან... ცოდვათა მონანიება, კავკასიელებზე ჯავრის ამოყრით თავდება ყოველთვის... ჩანს, ბარიატინსკი ძალღი ვინშეა, თორემ ასე ახალგაზრდა ფლოველ-ადიუტანტი? საკაა იარანალი გახდება... არა, წერილი ხალხის

ს. შველი არ არის, არა... არა... ერეკლე მეფე სულელი როდის როცა სპარსეთის შემოსევებით ილაჯგაწყვეტილმა, რუსეთს გაუწოდა ხელი- მაგრამ... რა გამოვიდა! ეგონა მგელს გაეშტა და სწორედ წაქეზების ხრო- ვას ჩაუგდო ხელში ქართველი ხალხი.

მურზაყან შორს გაიტაცა აბეზარმა ფიქრებმა.

ჩახანია სამხრობას გადასცდა, მაგრამ თავბრუ დახვეულ ბატონიშვილს ხემსი არ მოგონებია. იქვებით გახურებულ გულს ანაზღად შეხვედრილი წყაროს წყლები უგრძობდნენ. შიმშილი არ უგრძობნია მურზაყანს.

ნესტორ აბდიბამ და მხლებლებმა ორ-ორჯერ გადაუნაცვლეს ჭამრებს. დანაყრებაზე ხმის ამოღება, რა თქმა უნდა ვერ გაბედეს.

ხანშესულობამ თავისი გაიტანა. ნესტორ აბდიბას სხეებზე აღრე შე- უწყობდა გული შიმშილისაგან. (გზამ საოცარი შიმშილი იცის საერთოდ). ფოსტის სადგურამდე ჯერ კიდევ შორი მანძილი იყო. დროეკის საზურ- გეს მჭიდროდ მიეყრდნო და მისუსტებულმა ზეზეურ წასთვლიმა.



ხაშურში შეჩერდნენ. ჯერ კიდევ აღრე იყო, მაგრამ აბრაგების ში- შით უღელტეხილზე ღამით მგზავრობა აღარ ისურვეს. მიღეთის ხალხი ირეოდა პაწია დაბაში. აქ იყრიდნენ თავს სატრანზიტო გზები ირანიდან, თურქეთიდან, რუსეთიდანაც. ორპირში საშემოდგომო ბაზრობა იწყე- ბოდა და სადაურ ვაჭარს არ ნახავდით იქ მიმავალს. სადგომები რომ ე- ლარ ეშოვათ ცისქვეშ ეყარნენ ღეთის ანაბარად.

მურზაყანმა ბირკას მიაშურა. იქ იყო ერთადერთი სასტუმრო და მგზავრობა თავშესაფარი. მიწურები და ქოხმახები ერთმანეთისაგან არ გ. მოირჩეოდნენ. მურზაყანმა დიდის ვაგლახით იპოვა ამღამინდელი თავშე- საფარი: თიხით შეთითხნილი ფაქა. ფერდებჩაღეწილ მიდგმულებით. ეზოში შეიხედეს. აქ გული შეუღონდა დადგმულებიანს. ერთ კუთხეში ზეინი იდგა ზაფხულის მანძილზე დაგროვილი საზამთრო ქერქისა და ზი- ლის ნაფტქვენების. ეზოში ღორებს გუბე ამოეჩუვანათ... ორმოში მუც- ლით ჩაწოლილი ღორები ძლივს ღრუნჩავდნენ ჭარბი სიმსუქნისაგან...

ბორჯომის უღელტეხილიდან უბერავდა წელი ჭარი და ეზოს სიმყარად თანაბრად ეფინებოდა ირგვლივ შემოტბორულ სადგომებს... აქაურ ერთად- ერთ სასტუმროს ოთახებსაც.

სულშეხუთული მგზავრები ქერებსზე დაყრილ თევზებივით აღებდნენ პირს, ხელის გულით ინიავებდნენ.

შენობათა შეაგულში, სადაც სასტუმრო მოეთავსებია სასტუმრო- კომინატის პატრონს, შედარებით ხალვათობა იყო. აქ მხოლოდ მუშტრებს ჰქონდა დაჯდომის უფლება... მაღალი ფასები აფრთხობდნენ მუშტრებს... ამიტომ იყო ღუქანში ხალვათობა.

მურზაყანმა ცხვირაწევით ჩაუარა ბინძურ ეზოს... მოწყვნილი თვალები გადაავლო ლტოლვილებივით შეხუბრლულ მუქარეულ ვულღაწყვეტით ჰკითხა აბდიბას: ნუთუ, მართლა ამ ჯოჯოხეთში მსგავსდება ლამის გათევანო.

ნამესტნიკის სასახლის შემდეგ ეგ სალორე ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ღია ცისქვეშ დარჩენას მაინც იქ ამჯობინა მურზაყანმა დაბინავება-დასბდენ.

აბდიბამ დინჯად მოხსნა თავი საგზლით გატენილ ხურჯინს... სულწა უღობა არავინ შემწამოსო, — გაიფიქრა და კიდევ უფრო ხელშიმოდამოალავა შემწვარ-მოხარულლები.

მურზაყანმა ღვინო დაუკეთა მიკიტანს... სანამ მიკიტანი ღვინოს მოიტანდა ახალახის ღილები ლავიწის ძვლამდე შეიხსნა და უცხო მზარეში მოგზაურობით მოქანცული აფალები დახლს მიაშტერა:

„Шинлык Кавказкий“ — წაიკითხა მურზაყანმა ფიცრის წანაჭერზე შიბლაჯნილი ბატიფუნური... აბრა დიდის რიხით გადმოაყურებდა დახლს და დახლში თავიმომწონედ გაბიჯგულ მიკიტანს. მიკიტანს თავი მოჰქონდა რუსული აბრით... თითქო აბრის ფიცარი თვითონ იყო და მის მკერდზე ეწერა უცხოური ასოები...

შორაპანი მოაგონდა მურზაყანს. უცებ აინთო კიდევ... მაგრამ უმაღლვე ჩაიჭნია ხელი და თავი ვაკიცხა უადგილო სიფიცხისათვის. „რა არი ქალაქი! იქ, ყოველი ფეხის გადადგმაზე ხედები ასეთ ძალღიმამაძილოლურ ამბებს, გარდამთიელურსა თუ სხვა უცხოურს. უცხოურ საუბარს მოჰკრავ ყურს, სიმღერასაც, მაგრამ როდი აშფოთდება კაცი... აქ კი... ჭართლისა და მესხეთის მიჯნაზე, თუ გინდაც იმერეთში, გურიაში, სვანეთში... თვალს გჭრის ეგ რუსული წარწერები... სისხლი ყელში გებჯინება, თითქოს დახჩობას ან საკუთარ ენის ამოგლეჯას გიპირებენო.“

მედუქნემ ღვინო მოიტანა. აზარფეშაც თან მოაყოლა. კულა და კათხა აბდიბას მიაწოდა...

- კახურია? — დაარღვია სიჩუმე მურზაყანმა.
- ბაღდადური გახლავთ, ბარინ!
- რაო? — დააბრიალა თვალეზი მურზაყანმა „ბარინის“ გაგონებაზე.
- ბაღდადური გახლავთ, ბატონო!
- აგრე ვერ იტყოდი, ცინგლიანი!
- მაპატიეთ, ჩემო ბატონო!
- ცალკე ოთახი ხომ გეწება ჩემთვის... ამათთვის კიდევ ცალკე...
- გვეწება, ბატონო!
- გაგვიშალე საწოლები. დაღლილები ვართ...

— სიჩას, ბატონო! — კვლავ ჩაურუსულა მიკიტანმა, რომ რუსთაველის ქართულით აძლევდა პასუხს, ამიხეხებულ ბატონი-შვილს.

„არა, ჩენი საშველ-არის... ამოა სუყველაფერი... ვინა ჩველებ... ჩქარა ზნე-ჩვეულებები სეცვლება და... გათავდა!“.. გაუელვა მურზაყანს და უგუნებობა გაუორკეცდა.

დუქანში ბოჭაული შემოვიდა. მას შემოყვა ურიადნიკი და რამდენიმე ჩაფარი.

მედღქნეს ფერი ეცვალა პოლიციელთა დანახვაზე. მუშტრებშიც ბევრი მოიღრუბლა.

მურზაყანმა თვალი მოარიდა ბრჭყვიალა პაგონებიან პოლიციელს... მაგრამ გოქის კუდრებით აპრეხილი ქერა უღვაშები, რუხი ფარაჯის ბრჭყვიალა ღილები და ხეზე შერჩენილ ფოთოლივით მოფარფატე ოქროს მედალი ლურსმანივით ჩაეჭვდა მას მესხიერებაში...

— კანდელაკი! ვინ არის აქ კანდელაკი! — რუსულად იკითხა ბოჭაულმა. (აქცენტი უმოწმებდა, რომ ბოჭაული ქართველი იყო). განმარტოებულ სუფრაზე ორი უცნაურ აგებულობის მუშტარი სადილობდა... ერთი დაბალი, ჩამურვივით ჩარგვალბული, მეორე შუა-ტანის ჩამურის ტოლა ღიბგაღმოდებელი. პარველს ჩოხა ეცვა, მეორეს შავი მათულის სერთუკი... ჩოხიანი შეჩქვეფდა. ირიბად გადახედა მოახლოებულ ბოჭაულს.

— კანდელაკი! — გაიმეორა აქცენტით ბოჭაულმა.

— მე გახლავარ. — წამოდგა ჩამურვივით ჩამრგვალბული... კანდელაკი. თუქსუსა. ეს იყო ქუთაისელ ვაჭარს ბაღო აკოფოვს მოურიგდა უღელტეხილზე მშვიდობიანად გადაყვანასა და შორაპნამდე უშიშრად მოგზაურობას... რომ ბოჭაულიც თავს წაადგა.

კანდელაკის მაგიერ აკოფოვს შეეშინდა. თუქსუსას ნაცვლად I ვილდის ვაჭარმა მოიწყინა... დაგლოვიარდა...

— დატუსაღებულნი ხართ! აი გუბერნატორის განკარგულება... — აცნობა კანდელაკს ბოჭაულმა და ურიადნიკს ანიშნა დააკავეთო.

— ტყვილა გარჯილა ბატონი გუბერნატორი... ჩემი დაკავება ნამესტნიკსაც გაუძნელდება...

— თქვენ ოხუნჯობთ... ყარაგიოზ! — დაუცაცხანა ბოჭაულმა ურიადნიკს და ოფლიან თითებზე თეთრი ხელთათმანი მოიღრგო. ურიადნიკი ჯეტურ მიიჭრა ჩამურისებურ ვაჭაკთან და ბოჭაულის ბრძანების აღსრულებას შეეცადა, მაგრამ...

— იქით! — ასწია მუთაქის მსგავსი ხელი კანდელაკმა. — არ და-მაკვრევირო!

შედგა ყარაგიოზ-ურიადნიკი. ბოქაულს გადახედა. ~~ინდიანის~~ და-  
ტუსალებით ბევრს არაფერს სარგებელს მოელოდა და ~~თავისთვის~~ ამ-  
ჯობინა.

ქაქუცავაძე

ბოქაულმა ადგილი მოინაცვლა. ურიადნიკს რაღაც ~~სწავნი~~ ~~სწავნი~~  
დაეღეებაში ურიადნიკი და ჩაფრები სადღაც გაჰქრენ. კანდელაკმა  
თვალი ააჩინა და გაქუთებულ ბოქაულს... ეგონა ყველაფერი მშვიდობიან-  
ნად დამთავრდაო, მაგრამ კარი გაიღო და ურიადნიკს ათიოდ ჩაფარი  
შემოჰყვა სამიკეტოში.

— თუქუსჯან, ვილუბებით? სკაეი, დუშკაჯან, ვილუბებით?

— მე ვიკითხო, თორემ, შენ რა დაგლუბავს. — ცალყბად მიუგო  
თუქუსსამ და თავი ჩაღუნა...

თუქუსსა აინუნშიაც არ იყო, თუ რისთვის დასტრიალებდნენ თავს  
ხაშურელი პოლიციელები... სისხლი ყელში მოებჯინა. მაგაამ. მთერალი  
არ იყო და ეს უშლიდა ხელს... სიმთერალისას, თუქუსსას როტა ჯარ-  
ვერაფერს დააკლებს... ფხიზელმა რა ჰქნას... პოლიციას როგორ გაუმა-  
ლიანდეს.

— ო, სიმთერალეში შემხვედროდით... ჰაი დედასა! — უღიმიამოდ  
გაიქნია თავი თუქუსსამ და მუთაქა — მარჯვენი სამ ოყიან უროს სიძლი-  
ერით დაახეთქა სასადილო სუფრაზე. საინები შეთამაშდნენ. აყირავდა  
ხელადა, კათბა, სამაროლე ჯამი...

ხელები მალა! — შორიდანვე გააფრთხილეს თუქუსსა უკან დაბრუ-  
ნებულმა პოლიციელებმა.

ბოქაულმა აპრებილ უღეაშებს მოკრძალებით მოუაღერსა, ჩაიციანა  
და ქუთაისელ ცნობილ ვაქარს თვალი ჩაუჭრა.

ბაღლო აკოფოვი ჭაქანით წამოდგა... ჯიბეს ფათური დაუწყო.

— არ დაგნებდებით! — დაიღრიალა გამწარებულმა თუქუსსამ...

ხეალ შორაპანში უნდა ჩასულიყო თუქუსსა და პატიმრობისათვის  
როდი ეცალა.

ხმაურობაზე, მურზაყანმა სცქეცა ყურები. მობრუნდა პოლიციელები  
და განსაცდელში ჩაეარდნილი მუშტრები ჩათვალა.

— თუქუსსა! — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა მურზაყანმა და სუფ-  
რიდან წამოდგა.

ბაღლო აკოფოვმა დრო უხელთა ბოქაულს და როცა მურზაყან თუქუს-  
სასთან მივიდა, ორი ოქრო მარცხენა ხელში მიაჩნა... თანაც წასჩურჩუ-  
ლა: პერვომე გილდუ კუბეკუ ბაღლო აკოფოვეუ პროშჩაიტ პაყალუსტაო.

— რა ამბავია? — დაიგრგვინა მურზაყანმა. — თქვენ აქ რას დაწა-  
წალებთ... შეუტია პოლიციელებს.

ბოქაულმა რაკი ხელის დამშვენება უკვე მოასწრო, გულდამშვიდე-  
ბული გაუდგა გზას. მურზაყანასათვის ყურადღებაც არ მიუქცია. მხო-

ლოდ ურიადნიკი ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში. ნოკატე... სე გავ-  
 ვიდა გარეთ, ურიადნიკისათვის არაფერი უნიშნებია... წყლანდელი ბრძა-  
 ნება ძალაში იყო... თუქუსა უნდა დაეპატიმრებიათ... უმბ...  
 დაიბნა ურიადნიკი.

— რას გაშტერებულხარ... — შეუბღვირა მურზაყანმა ურიადნიკს. —  
 გასწით! — დაჯდა და თუქუსას თავადასაველს ყური დაუგდო.

ურიადნიკი და ჩაფრები ერთმანეთს შეეჯახენ სამიკიტნოს ვიწრო კა-  
 რებში. უკან-უკან იხედებოდნენ, არავინ გამოგვედგნოსო.



— იოლად გადავრჩით! — დაარღვი მყუდროება თუქუსამ, როცა  
 მურზაყანთან საუბარს ამორჩა და საპატიო ნაცნობი სასტუმრო ოთახში  
 მიაცილა.

— მადლობა უფალს... — გამოისახა პირჯვარი აკოფოვმა. — „მოფე-  
 რებას“ რა არ შეუძლია... გადავრჩით, ბარემ რომ იოლად გადავრჩით.

თუქუსამ ვერ გაიგო რას ნიშნავდა ვაჭრის გადაკრული ლაპარაკ-  
 და საუბარში არ შეყვა. მთქნარებას მოუხშირა...

— მაშ, უთენია ვიეზგაიმ, თუქუსუჯან! — ახლა აკოფოვმა დაარღვი  
 ხანმოკლე დუმილი და თვითონაც ტყბილად დაამთქნარა.

— ეგ თქვენზეა დამოკიდებული... — უკმეხად მიახალა თუქუსამ. —  
 მე არსად არ მიმჩქარება...

— როგორ თუ ჩემზე. ნე პანიშიე, თუქუსუჯან! — იწყინა აკოფოვმა.

— ესე რაღა!.. — თითები გაასავსავა თუქუსამ — მოვრიგდებით.  
 პაედიმ. ვერ მოვრიგდებით, ნე პაედიმ... — განგებ აკოფოვისებურად შე-  
 უტყია ენა კანდელაკმა.

— ნე პანიშიე — ცოლშეილს ვფიცავარ... აკი მოვრიგდით თუქუს-  
 უჯან. პირი უნდა გასტეხო?!

ქუთაისელი ვაჭარე ბაღო აკოფოვი ქალაქიდან ქუთაისში ბრუნდე-  
 ბოდა... უღელტეხილზე აბრაგების ხაცხაციტ დაშინებული ორი დღეღამე  
 ამ სულშემუთავ სამიკიტნოში იდგა და გამოცდილ გამცილებელს დაე-  
 ძებდა. თუქუსას იცნობდა და ენდობოდა აკოფოვი. დღეს სწორედ მას  
 შეხვდა სრულიად შემთხვევით, სადილზე მიიპატივა და გასამრჯელოზეც  
 ჩამოუგდო სიტყვა... თუქუსა ხუთ ოქროს სთხოვდა, აკოფოვი სამ ოქ-  
 როს ძლივს იმეტებდა... ამ ყოფაში იყვნენ, როცა დუქანში ბოჭული შე-  
 მოვიდა... და მორიგება ჯერ არ დაემთავრებინათ, რომ დატუსაღებული  
 ხარო, გამოუცხადა კანდელაკს...

ეს ახსოვდა თუქუსას და ამიტომ ჩამოაგდო სიტყვა მორიგება-  
 მოურჩებლობაზე... ხოლო როცა აკოფოვმა პირის გატება ახსენა, თუქუს-  
 სამ ჩვეულებრივ იფეთჭა და ხმამაღლა შეუტია, რაში გავტეხე პირიო.

— კარგი, თუქუსჯან, ხელახლა მოერიგდეთ, ნე სერჩაიტ, პეტელუსტა, პა რამდენს ითხოვ, თუქუსჯან, ოთხი გეყოფა? ერქუნულნი

— არა, ხუთი ოქრო... ისიც წინდაწინ... გინგლირუსუქა

— კარგი გეთაყვა... საგლასნი ვარ... ყაბულ თუქუსჯან, ყაბულ... — დაუყვავა აკოფოვმა და ჯიბეზე გაიკრა ხელი... ჭისა გახსნა და ორი ოქრო მოწმენდილ თეფშზე დაუგდო კანდელას.

— ე, რა არი?

— ოქროა... ვერცხლი ან სპილენძი ხომ არ გგონია...

— რამდენია მეთქი?

— ორია რაღა!..

— დანარჩენი?

— ვაჰ, შენგან არ მიკვირს, თუქუსჯან! ბოქაულს რომ სამი ოქრო ჩაუჩხრიალე, ის ოქრო არ იყო.

— რაო? — დაატრიალა თითი კანდელაკმა, — სალამოს შარია?..

— ვა, შარი, აი ნამდვილი შარი ამას ქვია! თუქუსჯან, მაშ, მე ბოქაულს სამი ოქრო არ მივეცი?! ტყვილს ვამზობ?

რის ოქრო, რა ოქრო! — გაცხარდა კანდელაკი... კნიაზ დადგმულიანმა განსაცდელს ამაშორა, შენ რომელ ოქროებზე შელაპარაკები?..

— აი, ამის მზემ, თუქუსჯან, სამი ოქრო მივეცი. — ფაფუკ ლაბაზე იტყიცა ხელი აკოფოვმა. — კარგი ერთი ოქრო ჩემი ზარალი იყოს, ორა შენ გამოიბარე... — დაიღრიჯა აკოფოვი და ერთი ოქრო დაუმატა თეფშზე.

— არა, ან ხუთი, ან არ მოედივარ... არ ინანო კია...

თუქუსა წამოდგა და წასვლა დააპირა...

გაოგნებული აკოფოვი მაჯაში წედა მიმავალ კანდელას, თავისკენ მოაბრუნა და შეემუდარა:

— თუქუსჯან, ვა, ღმერთი არა გწამს?!

(მეორე თავის დასასრული).





ლავრა ზინინაძე

## ქმეზი

მოთხრობა

1

შუა ეზოში დგას ლამაზი ოდა. ცისფერი, ფართო აივნებიანი. ორივე აივანს გარშემო უელის თხელ ფიცარზე ლამაზად ამოქარგული არწილა...

ნეტავ, რა ხელმა ამოქარგა ამ ფიცარებზე ამდენი მრავალნაირი რგოლი, მრუდე და ტეხილი ხაზები. ეტყობა კარგი ოსტატის ნახელარია. მაინც, რა სუფთა ხელი ჰქონია.

ეზოს ხეხილი ამკობს. სულ ქორფა და ქორორა ხეებია. ისინი რიგზეა დარგული. ძირს კი მწვანე მოლი ბიბინებს. ქასთან ერთი ძირი ძეწნაა. გრძელი წვრილი რტოები თასმებივით დაზნექია ძირს...

შეე რომ გადაიხრება და გრილი სიო დაიწყებს სისინს, შეივრხევა და ყურსული ჰაერი და ეზოში ფეხების დინჯი ბაკუნით გამოვა ორი შავი ვერძი. ორივე ერთიმეორეზე უკეთესი, მსუქანი და სჭელდუმანია...

ერთ ადგილზე კომშის ბეერი ხეა. ხეები წრესავით არის შემოყობებული. შუაგულში კი ქურებია მოთავსებული. მაღლა გრძელი რტოები ერთმანეთშია გადახლართული. ეს ნამდვილი ბუნებრივი მარანია. ხის ძირებზე მიყუდებულია ბარები — დიდი და პატარა, იქვეა მიწის გადახახვეტი ძველი თოხი. ფოთლებით დაბურულ რტოებზე ორ ადგილას ორშიმომ ჰკიდია. ერთი პატარაა, მეორე ჩაფივით მსხვილი, ამით ჩასავალი ქურიდან იღებენ ღვინოს, როცა კასრების სწრაფად აესება უნდათ.

ამ ეზოკარს გზიდან ღობე უელის...

ღობე კაცზე მაღალია და ზემოთ სიანს მაღალი წამწვეტებული სარები. თითქმის ყოველ მეთათე სარზე ქუდივით არის ჩამოცმული ცხენის გამოფიტული თავი. საკვირველია მაინც, ერთ სოფელში ამდენი ცხენი როგორ დაიხოცა.

ამ ღობეზე შემკობილ ოჯახში ზებედო ჯიბუტი ცხოვრობს...

ზებედო ხშირად ტრიალებს ეზოში...



იგი ფაქიზი კაცია, დილით სანამ ქალარა თმასა და წვერს საცუთარი ჯიბის საფარცხლით არ დაივარცხნის, ეზოს გარეთ ფურცლებს უშვამს... ამ ქალარა, სახე მწყაზარ კაცისთვის ხნეიანობას დასტავს, დიდი ქობმაკი კაცია, სწორი ტანადი, ცოტა გამხდარი, გათეთრებულ წვერიდან მოუჩანს წითელი ფერბორციანი ლოყები. დიდი გამრგვე კაცი რომ არის, ეს ყოველმხრივ ეტყობა. ხელების ზურგზე სამ-სამი ძარღვია გაწოლილი: მსხვილი ძარღვებია, ლურჯად დაბერილი, კანი ამოუხნეკიათ.

შვილიშვილები ძალიან შეჩვეული ჰყავს...

ისინი მიტუნცულდებიან ბაბუასთან, ზოგი მუხლზე შემოუჯდება, ზოგიც ფეხზე დადგება. უკვირთ, ბაბუას ხელებზე რომ დიდი ძარღვებია, უსვამენ თავიანთ ფუნჯულა პატარა თითებს. იცინიან და დიდ სიამოვნებას გრძნობენ.

— ბაბუა, ლაა ესენი ამ ხელზე? — შეეკითხა ერთხელ შუათანა შვილიშვილი. თანაც თითს უსვამს, აკვირდება. არც უფროსი და უმცროსი ბავშვები ასვენებდნენ.

— ამუ! — მოულოდნელად წამოიძახა ბაბუამ. ბავშვი ჯერ შეხტა და მერე ყველამ ერთად ასტეხეს სიცილი.

— ალა... ალა, ბაბუა! აღ მოგეშობი... მითხალი, ლა ალი ეს?

— ამას, ჩემო ბაბულო, ძარღვს ეძახიან.

— მელე, ლატომ მე აღ მაქ?

— ჯერ პატარა ხარ, გეიზრდება და შენც გეჭნება.

ხშირად ასე ეთამაშებიან შვილისშვილები ბაბუას ხელებს. ხანდახან კი, როცა საღამომობით მოკლილია ზებედო, ეზოში გამოვა და ვერძების კიბობობით სიამოვნებს. ჯერ ვერძებს თვითონ ასტეხავს. მერე, რა კი ხასიათზე მოვლენ, გაიმართება კიბობა და კაცს შეაშინებს მათი უცნაურად დაგრებილი რქების ჯახა-ჯუხი. ზებედოს აკვირვებს მათი თავების ხათქენი. რამდენჯერ უთქვამს:

— რას შვრება ეს ყველაზე მშინარა ცხოველი, რა დაუნდობლად ურტყამენ თავებს. ახლა რა ერთი პაწია ძალლი გამოხტეს. ცხრა მთას იქით მოუხნდავად გაღიობდნენ.

2

ზებედოს უფროს შვილს არისტო ჰქვია. ცოლშვილიანია. უმცროსს ბიჭიკოს ეძახიან, ოკი წლის ქაბუკია. იგი ყოჩალი კომკავშირელია, ბევრ დავალებას ასრულებს. უყვართ კომკავშირლებს, შინ კი ცალკებად უცქერიან, რადგან ერთი დღე არ გაივლის ისე, რომ კოლექტივში შესვლაზე არ ჩამოაგდოს საუბარი.



ეს ადგილი სასოფლო კრებებისთვის აქვთ ამორჩეული. მოლაპარაკეთათვის ერთგან ამაღლებული ადგილია. დადგებიან ამ კვარცხობეზე და სიტყვები გაიმართება.

ერქენული

წლებადღელ ზაფხულში მესამეჯერ მოიწვიეს კრებას. ზღაპრულად ესწრებოდნენ გლეხები. არც ზებედო დაკლებია. იგი დამხედურთ ჩვეულებრივი თავაზიანი სალამით შეემატა, სხვებიც ასე თავდახრით აძლევდნენ კეთილ სალამს ყველას და ზებედოსაც.

პირველად კრებაზე რაიონიდან მომაგრებულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს, ხალხი სმენად იყო ვადაქცეული. ბოლოს კოლმეურნე გლეხები გამოვიდნენ სიტყვით. ერთი შინაურულად ლაპარაკობდა:

— ახლა, ჩემო ბიძიებო, კარვად ვცხოვრობ, ქალამნების მაგიერ წულა მაცვია... პური გვაქვს და ღვინო...

შეგვუფული ხალხის უკანა ნაწილებიდან ერთმა კაცმა წინისკენ წაიწინაურა. გამხდარი კაცი, თმაში აქა-იქ ქალარა ურეცია, გრძელი უღეა-შები აქვს. წვერის მოპარსვა შეგვიანებია, ისე გაბურძენია, რომ პირი აღარც კი ემჩნევა. აცვია შინ მოქსოვილი, ახალოხივით შეკერილი შალის ჩოხა. ესეც შემოძველებია, მხრებსა და იდაყვებზე დაბეცია და ფართო ნაფლეთები ჰკიდია. ცალ ხელში ჩაბალახი უკავია, მეორეში ქალაღდი. ქალაღდიან ხელს წინ სწევს, თითქოს შორიდან უნდა მისწვდეს კრების თავმჯდომარესო. ხალხმა გაიწ-გამოიწია და ვიწრო გასაღული გზა დაუტოვა ამ კაცს, რომელსაც წინ უსწრებდა თავი და ცალი ხელი.

— რა გნებაეს, ამხანაგო! — დაუძახა თავმჯდომარემ.

— აი, ეს ქალაღდი გეტყვის, — და ქალაღდი გადასცა. მერე უკან დაიწია. ხმას აღარ იღებს, თავი მალა აქვს აწეული და ფართოდ გაღებულ თვალებით უცქერის თავმჯდომარეს. იმ ქალაღდს რაიონიდან მოსულმა ამხანაგებმაც გადახედეს. მათ დასტურის ნიშნად თავები დააქნიეს.

თავმჯდომარემ ქალაღდის კითხვა დაიწყო და ოთხი კომლი გლეხის გვარი და სახელი გამოაცხადა. ისინი დღეიდან თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონებით კოლექტივში შევიდნენ. მერე მათთან ძველი კოლმეურნენი მივიდნენ, სიხარულით მიულოცეს:

— მოდით, ძმებო, მოდით! ცხოვრება აქაა.

შემდეგ ზებედოც მიუახლოვდათ ფეხაკრეფით და ფრთხილად ჩაულაპარაკათ:

— ასე სჯობია, ჩემო ვანო... ეჰ, გლეხკაცი გოუბედავია, თვარა აგერ კარის ძირში კოლექტივია და რატომ ვერ შევედი შიგ? შინ კიდევ უმცროსი ბიჭი არ მასვენებს, ბიჭიკოი, ყოველდღე შეუბნება: შედიო, კაია კოლექტივიო, ხალხიც უფრო კაი თვალით შემოგხედავსო.

პარტკომის მდივანმა უღვაშებში ჩაიცივნა. ზებედო ჯიბუტს მხარზე ხელი დაადო და ღიმილით უთხრა:

— ზებედო, შენ ნუ გეშინია... გამრჯელი კაცი ხარ, მაგრამ შენ სხვა იქნება, ჩვენთან რომ მოხვალ. ვითომ რატომ არ უნდა მოხვიდე, ჩვენ ხელში დაწინაურებული გლეხი ხარ.

— მართალი ბრძანებაა შენ ნუ მომიკვდები, მარამ ამხელა საქმეს ფიჭური უნდა...

## 4

სოფლის აღმასკომში პარტიისა და კომკავშირის დახურული კრებაა მოწვეული. ადრე მივიდა ბიჭიკო. მხიარულ გუნებაზეა, დღეს დავალება უნდა მიიღოს.

კრების დღის წესრიგში დგას ამხანაგების სასოფლო უბნებზე რამდენიმე ხნით მიმავრება საკოლმეურნეო საკითხების გასატარებლად.

პარტიისა და კომკავშირის კომიტეტის მდივნები დასხდნენ, და თათბირი გაიმართა. მაგიდაზე აწყვეია პარტ-კომკავშირლების სიები. მოზრდილ უბნებზე ორ-ორ კაცს ამავრებენ პარტიულსა და კომკავშირელს, ხოლო პატარა უბნებზე — თითო კომკავშირელს.

— მე და შენ ერთად წვეიდეთ...

— არა, ბიჭო, შენ წამოდი ჩემთან...

— მე თქვენ უბანში წამოვალ...

ასე გულითადად ეპატიჟებიან ისინი ერთმანეთს...

რა ტკბილი და ამხანაგური მუსიკაფი აქვთ გამართული. წინათ ამ სოფელში ერთი გვარი მეორეს დასცინოდა. ხშირი იყო მათ შორის ჩხუბი და აყალ-მაყალი, რამდენჯერ სასიკვდილოდ დაუტყრიათ ერთმანეთი. ახლა სოფლის ხნიერი კაცები, ერთად რომ შეიყრებიან, სიხარულით ამბობენ ხოლმე:

„უკ, რამდენი ცელილება მოხდა ჩვენ თვალწინ. ასწლოვან ამბებს ამ ათმა წელმა მოუღო ბოლო“...

პარტიისა და კომკავშირის კომიტეტის მდივნები ნელნელა იძახებენ გვარებს. ზოგს წვეილ-წვეილად გზავნიან, ზოგს ცალკე.

ბიჭიკო ყოველი გვარის ამოძახებაზე მაღლა ასწევს თავს, ყურს უგდებს: აბა ვის ამოძახებენო.

— აი, ქვემო უბანზე ბიჭიკო ჯიბუტი მივამაგროთ, — დაბალი ხმით გადაულაპარაკა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა პარტკომის მდივანს.

ბიჭიკომ თავისი გვარი რომ გაიგონა, ახლა უფრო თამამად წამოიძირათა მაღლა.

— ვერ მივამაგრებთ... კომკავშირელია და ჯერ თავისი მშობლები ვერ შემოუყვანია კოლექტივში. სხვა რას დაუჯერებს. თუ კარგია შენ შედიო, მიძახებენ მაშინვე.

— პო და, ასეა ჩემო ძმაო, — წარბების შეკუმუხებით ჩაილაპარაკა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა და გაჯავრებით გაუსვა შავი ფანქარი ჯიბუტის გვირს, თანაც ბიჭიკოს გადახედა.



ბიჭიკოსი

შერცხვა ჯიბუტს...

სახე აუწითლდა...

ლოყები გაუცხელდა, თითქოს ცეცხლი შემოეღო. ცალ ხელს ხან ერთ ლოყაზე იდებს, ხან მეორეზე. წელში ნამგალივით მოიხარა და უცნაურად ჩაიკუმშა, სკამზე ჩეპრით არის დადებული. სკამზე კი არა, იატაკვეშაც რომ ჩავარდეს, არ დაიშურებს, მაშინ უფრო ბედნიერი იქნება. ამ დიდ სირცხვილს აიცილებს თავიდან. ამხანაგები ვეღარ დაინახავენ, მისკენ რომ ერთად მიიხედეს, თითქოს ამ ოთახში პირველად შემოვიდა.

„რად ვარ ცოცხალი?! დღეს ხომ მესამედ ვკამე სირცხვილი. ალბათ, მეოთხეთაც ეს დღე დამადგება“, — გაიფიქრა ბიჭიკომ და თვალი ქურღულად შეავლო ყველას, ვინც მისკენ იხედებოდა.

კრება დამთავრდა...

ყველას თავისი უბანი აქვს, ხოლო ბიჭიკო ჯიბუტი დარჩა მოუმადრებელი.

ისინი მიდიან შინისკენ, ხუმრობენ, იცინიან.

ბიჭიკო მუნჯივით მიდის ამხანაგებთან, თითქო არ ესმის მათი ოხუნჯობა და ვერც მათ მზიარულ სახეებს ხედავს. ერთი კომკავშირელი მოულოდნელად წამოეწია, გვერდი ამხანაგური სითამამით გაჰკრა და რაღაც ჩაულაპარაკა. ბიჭიკომ უშადური თვალთ შეხედა.

— კარგი თუ ძმა ხარ, რა შენი ხუმრობის თავი მაქვს...

ბიჭიკოს სახე დანადვლიანებია...

სიკაბუჯის ლაელაეა ლოყებს სიწითლე დაუქარგავთ. შუბლზე ნაოქებიც კი გასჩენია. მისი მორღობილი სახე ხნიერი კაცის შთაბეჭდილებას ახდენს.

— შენ, ამხანაგო, კომკავშირელი კაცი ხარ. უნდა იცოდე, რომ დარდი ვერ გიშველის.

— ბედნიერი ხარ, პახუმი... ბედნიერია ყველა ჩვენი ბიჭები.

პახუმმა აჩქარებული ნაბიჯი შეანელა, გვერდით ამოუდგა ბიჭიკოს და გულდასმით ახედ-დახედა. აოცებს მისი უცნაურად აფორიაქებული სახე.

— ბიჭიკო, რა გაწუხებს?

— ბევრი... ბევრი რამ მაწუხებს.

— მაინც? ჩამოთვლა არ შეიძლება? — კითხა პახუმმა, ვაშალა ხელი და მიზეზების ჩამოთვლა თითებზე დააპირა.

— რა ვქნა, მთელი სოფელი კოლმეურნეობაშია... მამაჩემს კი ვერადერი მოუხერხე. ამხანაგები გულგრილად მიცქერიით... — ბიჭიკო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობს. სახე ნავეადმყოფარი კაცივით აქვს გაფითრებული. თვალში წყალი უდგას, ქუთუთოებს ჩქარ-ჩქარა ახამხამებს, ეშინია,

ცრემლი არ გადმოგორდეს, სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილს სადღა წაუვა, კომკავშირელი ბიჭია...

ცრემლი გრძნობის შედეგია...

ცრემლი ვერაფერს უშველის...

ერყენული  
ბიჭულირუსეა

პახუმმა ბიჭიკოს სახესა და თვალებში ყველაფერი ამოიკითხა, უფრო მეტი, ვიდრე ათრთოლებული ხმით წარმოთქმულმა სიტყვებმა გამოამჟღავნა.

— ნუ გეშინია, ბიჭიკო, იმუშავე, გულს ნუ გეიტებს, ვიცი, რაშიც არის საქმე...

ბიჭიკოს ჩალურჯებულ სახეზე ღიმილი ათამაშდა.

წყვილად მიდიან...

ღუმელია...

ამ ღუმელში იღვევა ვიწროდ გატყეცილი ბილიკი, ყანებში რომ მიიკლავნება.

იქ, სადაც ეს ბილიკი ორ შტოდ იყოფა, ბიჭიკო და პახუმი ერთმანეთს დაემშვიდობენ და თავიანთ სახლებისკენ წავიდნენ.

## 5

მთელი სოფელი იცნობს ზებედო ჯიბუტს. მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ამბავი ზღაპარივით არის გავრცელებული. ხნიერი გლეხები შვილებსა და შვილიშვილებს უყვებიან მის ამბავს. ეს მათი გასართობია. იცინიან...

ყველამ კარგად იცის ის ამბავი. ის ძველი სასაცილო შემთხვევაა. როცა ზებედო პატარაობისას ერთ მდიდარ კაცთან იყო მოჯამაგირედ, ცხვარს მწყევსავდა. თვლა კი არ იყო, ვერც იმას იტყოდა, რამდენი ცხვარი ებარა. ერთ საღამოს პატრონს ცხვარი ეკოტავა და ზებედოს ჰკითხა:

— ბიჭო, ზებედო, რამდენი ცხვარი გაკლია?

ზებედო დატრიალდა, სათქმელი რომ ვერაფერი მოიგონა, მერე ხელი გამოსწია წინისკენ, ცალცალკე შლის თითებს და იძახის:

— აი, ეს ცხვარი, ეს ცხვარი, ეს ცხვარი და...

— რას ამბობ, ბიჭო, ამდენი „ეს ცხვარი“ როგორ შეიძლება, რამდენია სულ?

ზებედომ ისევ თავიდან გაიმეორა: ეს ცხვარი, ეს ცხვარი და მდიდარმა კაცმა გაიცინა.

— ცხვრები არ დაკარგო, თორემ?! — და მუჭარის ნიშნად გაშლილი თითი უჩვენა.

— არა, ბატონო, მეზობლის ცხვრებში შეერია.

დიდხანს იყო ზებედო მოჯამაგირედ, გვიან ისწავლა თვლა და შემდეგ საკუთარი ოჯახის მოწყობას მიჰყო ხელი...

ცხოვრობდა ღარიბად, ხოლო წელი მას შემდეგ გაიმდგრა, როცა ბოლ-  
შევიკებმა მიწა უსასყიდლოდ მისცეს. ეს ამბავი ხომ ბიჭიკოსაც კარგად  
ახსოვს: პატარა ბიჭი იყო და მოკლე შარვალი ეცვა. ~~ხანდახან~~ სიხარ-  
ული დატრიალდა მაშინ მათ სახლში...

ამის შემდეგ ზებედოს ცხოვრება წყაროს თვალივით წამოვიდა. ღარი-  
ბი, უმიწაწყლო გლეხი საშუალო გახდა. ახლა მის ეზოში დაჯირითობენ  
ვერძები, ხანდახან მძიმედ შეიკუნტრუშებენ ხარები, წელი არ ემძიმებათ  
მოზერებს და დედური სიდინჯით დაბრძანდება ფერდელა ძროხა.

ზებედო დიდი სიხარულის გამო წამდაუწყუმ ლოცავს კომუნისტებს,  
მაგრამ კოლექტივში შესვლაზე მაინც თავს იკავებს. ხანდახან კიდევ იტ-  
ყვის ზოლმე:

„მე ძმას გვეყარე და ახლა ამ მიღეთ ხალხთან როგორ ვიცხოვრე-  
ბო“, — თანაც იცინის და ხუმრობაში ატარებს ამ აკვიატებულ აზრს, მაგ-  
რამ ბიჭიკოა მისი კბილის შატლი, არ ასვენებს, სულ კოლექტივის შესახებ  
ელაპარაკება. ერთხელ გაჯავრდა ზებედო და მწყრალოდ მიმართა:

— ვინ ეშმაკმა ჩავწერა მაგ კომკავშირში?!

— რად მიჯავრდები, მამაჩემო, ჩვენ სოფელში რაც კარგი ბიჭია, ყვე-  
ლა კომკავშირელია, მეც ამიტომ გავხდი კომკავშირელი, — ამაყად და  
თავმომწონედ უპასუხა ბიჭიკომ.

თავი მოსწონს, კომკავშირელი რომ არის, მაგრამ კრებაზე მაინც სამ-  
ჯერ ვააწითლეს. ამ დღეში მეოთხედაც ჩავარდება და...

ეს კარგად იცის მან, სიცოცხლით სავსე ჭბაუქმა, რომელიც აშორდა  
მამისა და თავის წინაპართა გზას: თელა თავის დროზე ისწავლა, ცხოვრე-  
ბის კანონშიც ადრე გაერკვა და სულ სხვაა ახლა მისი გუმანი.

ბიჭიკოს უყვარს მამის ეზო, სახლი, მშვენიერად გამართული ბუნებ-  
რივი მარანი და ეზოს ბოლოზე მწყრივში დარგული ვაზები. რამდენჯერ  
სიყვარულითა და აღერსით აუკრავს თითოეული ვაზის გრძელი და ლორ-  
თქო ყლორტები...

მაგრამ დღეს ხშირად ფიქრობს და ნაღვლობს:

— ნეტავ, არ ვიყოთ ასე კარგად მოწყობილი... ნეტავ, ამ ლამაზი ოღის  
მაგიერ წნელით მოწნული ფაცხა იდგეს...

სულ ეს ფიქრი უტრიალებს თავში, რაც პახუმის ვაშორდა...

ამ ფიქრებით მივიდა პატარა მდინარემდის, რომლის ვალმაც მისი  
სახლია.

მდინარის ერთ კიდეზე მისდევს მაღალი თეთრი კლდე. კლდის ერთ  
აღვილზე ვადმოჩუხჩუხებს მუდამ ცივი და ანკარა წყარო, თითქოს ზღაპ-  
რული უკვდავების წყალიაო. ზემოდან ხშირი ხეებია, თავს მუდამ ჩრდი-  
ლი ადგია.

აქ ისვენებენ მგზავრები...





ხელპირს იგრძობენ...

ხარბად ეწაფებიან ქვის ღარზე მოჩუბჩუბე წყალს.

ეს წყარო ხომ ბიჭიკოსაც ძალიან უყვარს. ვინ იცის, რატომ უყვარს შეუსვამს ეს გულის მაცოცხლებელი კლდის ცივი წყარო. მისთვის ისე გაიარა ბიჭიკომ თავის საყვარელ წყაროსთან, რომ სრულებით ვერ შეამჩნია წყლის ჩქრიალი, შარვლის ჩაშვებაც აღარ მოაგონდა. შარვალი მუხლამდის აქვს ამოწეული და ასე შევიდა ეზოში. პატარა ჭიშკარი რომ მიხურა, დაიხზარუნა. ოდის ქვეშ მძინარ ბროლიას ძილი დაუფრთხო. მას ეზოში შემოსული უტბო ეგონა.

წამობტა...

ბროლიამ, სანამ თვალს გაახელდა, ერთხელ კიდევ დაიყეფა, მაგრამ მერე უკვე იცნო ბიჭიკო, რომელიც ყველაზე უფრო ეფერება მას. კულის ქიკინითა და წელის რხევით შეეგება, მისვლისთანავე ტიტველა წვივებზე შეებლაუქა თავისი მოკლე თათებით...

და ბიჭიკოს სწორედ ახლა მოაგონდა შარვლის ჩაშვება, და ძალღი გულმოსულად დატუქსა. ბროლიამ იცნო გაჯავრებული პატრონი, მერე წინ წაურბინა რამდენიმე ნაბიჯით, ისევ შემოტრიალდა, ჩაცუქდა და პატრონს გაოცებული თვალით შეხედა, თითქოს გაჯავრების მიზეზი უნდა გაიგოსო.

## 6

ზებედომ გზიდან გაალო დიდი, საურმე ჭიშკარი, შევიდა ეზოში და ცალ კიდზე გუშაგევით გაიქიმა...

ეზოში ჯერ მაღალი და წითური ხარები შემოვიდა. ერთს ირმა ჰქვია, მართლაც ირემივით მაღლა აყრილი რქები აქვს. მეორეც ასეთია. ისინი ძმებია. მათ შემდეგ ძროხა და ხბოები შემოვიდნენ.

მამაშვილმა ცალკალკე ჩამოუარეს პირუტყვს და ხეებზე მიაბეს. ბიჭიკომ გვიან შენიშნა ისინი.

— შენ, თუ აქანა ბრძანდებოდი, საქონელი რო მოვრეკეთ, ვერ გამეიხედე? — უთხრა მამამ და პირდაპირ აღარც კი შეხედა ბიჭიკოს.

— ოჰო, მაგ კაცო, საქონლისთვის შეიცლის?! — გამოექომაგა არისტო და გაგულისებით ჩაიარა, მაგრამ ბიჭიკომ უფრო მეტად გესლიანი სიტყვები გაადევნა:

— შე საცოდაო, თუთიყუში ხომ არ ხარ, მოხუცებულის სიტყვას რომ იმეორებ, უნდა გრცხვენოდეს... შენ მომავალი კაცი ხარ, წარმავალს კი არ უნდა წახედო.

ზებედომ „წარმავალი“ რომ გაიგონა, თითისტარივით შემობზრიალდა.

— არ მოგასწოებს ღმერთი, შე გლახა, ჩემ სიკვდილს. მე მიხარია ცოცხალი რო ვარ... კიდევ დიდხანს მინდა სიცოცხლე... თავსლაფი დაესხა შენისთანა შეილს...

— მერე შე, კაი კაცო, რატომ გიხარია სიცოცხლე? — ფინის, როგორც ამბობენ, არ უხაროდათ გლეხებს სიცოცხლეო, სიკვდილს ნატრობდნენო, — ბიჭიკომ მშვიდად და ნიშნის მოგებით უთხრა.

— მე, სხვისი სამადლო არაფერი მაქვს. ეს ცხოვრება უნდა მოსწონილია. — ჯერ წინსკენ გამოწვდილ მკლავებს დახედა, მერე კი თავის კარმიდამოს შემოავლო თვალი.

— ეგ მკლავები ხომ წინათაც გქონდა, მაგრამ მიწა?!

ზებედომ აღარა უპასუხა რა...

გადააფურთხა გვერდზე.

— რაეა, არ გვეკუთვნოდა თუ? — ბიჭიკოსკენ წაიწია არისტომ და დაცინევით ჰკითხა.

— შენ რა უნდა გითხრა... შენთან არც კა ლირს ლაპარაკი.

— ტყუილი გითხარი თუ?!

— შენი მართალი რაა, ტყუილი რაღა უნდა იყოს.

არისტო ჯერ გაყვითლდა, მერე სიწითლემ წამოუარა სახეზე. აინთო. უგრძობლად გადაადგა ორიოდე ნაბიჯი ბიჭიკოსკენ, მაგრამ რისთვის, თვითონაც არ იცის.

— ჩემ ხელში გამოჩიქნილო ბლარო, ვის უბედავ მაგისთანა უნამუსო სიტყვას?!

— აბა, შე კაი კაცო, მიწა რომ გვეკუთვნოდა, ეს მეც ჭე ვიცი, მაგრამ ვინ მოგვცა, საქმე ამაშია. შენ და მამაჩემი არ იყავით, ყოველ ნაბიჯზე რომ გეიძახოდით: დეილოცა ის დღე, რაცხა დღეს ბოლშევიკებმა გეიმარჯვესო.

— მერე, ბოლშევიკებს ახლა როდის ეავინებთ? — ზებედომ თავის-მართლებასავით წამოილაპარაკა.

— მამაჩემო, შენ რომ ყოველ წუთში იძახო: კომუნისტები კაიანო, ეს არაფრად არ ეღირება, თუ კი მათი კანონის წინააღმდეგ წახვალ.

— წინააღმდეგ როდის მიედივარ? კოლექტივში შესვლა სურვილზე არაა?!

— კი, მაგრამ მთელი სოფლის სურვილი რომ ერთნაირია, ახლა რაღას იტყვი, არ გრცხვენია? შენი სურვილა მთელი ჭვეყნის წინააღმდეგ უნდა იყოს?

— მე სირცხვილ-ნამუსს შენ ვერ მასწავლი, — ხელის ჩაქნევით უპასუხა ზებედომ, ზურგი შეაქცია და ხელის დასაბანად წავიდა.

ვეგბ კიდევ გაგრძელებულყო მათი კამათი, მაგრამ დედა გამოვიდა, და ოჯახის ბურჯმა დამაშოშმინებელი სიტყვა ჩამოაგდო:

— რა მოგივიდათ, ხალხნო, სულ რო ჩხუბობთ! ამ დროების ამბავი ჭვეყანამ გეიგო და თქვენ რა ღმერთი გიწყარებათ?!

ბიჭიკომ ამოიქშინა, თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

არისტოც გულმოსული მივიდა ხელსაბანთან. ბუზღუნობს ბიჭვინათეს ლანძღავენ და წყევლიან... ისე წყევლიან, თითქოს სხვა ბიჭვინათე მტერი, ვიღაც შორეული, არც შეილი და არც ძმა.

ბიჭვინათე შეხედა უწინდელ საცხოვრებელ ქოხს, რომელიც ახლა ბოსლის მოვალეობას ასრულებს.

— უკეთესი იქნებოდა, ისევე ამ ქოხში ყოფილიყო მამაჩემი, მაგრამ აი რა ათამამებს, — ჩაილაპარაკა თავისთვის და რაღაც შურიანი სახით შეხედა ოდას.

ბიჭვინათე რაც უნდა ტკბილი სიტყვა უთხრას მამას, ზებედო მაინც ჩაკოხვითა და უცნაური ჩაბღვერით გადახედავს. მერე ბიჭვინათე სულ სხვა საკითხზე ჩამოაგდო სიტყვა:

— უმცროს შეილებს მამები კარგად ეპყრობიან, შენ კი... — სიტყვა აღარ დააბოლოვა და გაკვირვების ნიშნად მზრებილა აიჩეჩა.

— ეგეც შეილზეა დამოკიდებული, — ზებედომ შენიშვნასავით ესროლა ეს სიტყვები და ხელს დამუქრებულივით იმწრალებს პირსახოცზე, რომლის ბოლოებზე წითელი მამლებია ამოქარგული.

## 7

შუა ოთახში სასაღილო სუფრაა. იგი დაბალი და ვიწროა, თანაც უცნაურად გაგრძელებული. სუფრაზე შემოყოლებულია ამოქნილი ლობიით საესე საინები. თბილ ლობიოს ოშხივარი ასდის. ამ გრძელ სუფრაზე ორ ადგილას აწყვია ერთმანეთზე შეწყობილი თეთრი მჭადები, მთავარესავით მრგვალი და მკრთალი. ერთ მოზრდილ საინზე უხვად ჰყრია ცოცხალი მწვანელი.

სუფრის გარშემო შემომსხდარა დიდი და პატარა. შუაში ზებედოა, პირდაპირ ოჯახის დედა ზის, სუფრის ერთ თავში — არისტო, მეორეში — ბიჭვინათე. არისტოს ცოლი ქმარსა და დედამთილს შუა ზის. უფროსი შვილიშვილის აჭეთ-იჭით მამა და ბაბუაა. შუათანა ბავშვი ბებუის გვერდითაა, უმცროსი კი — დედის კალთაში.

ყველა თავის ენაზე ლაპარაკობს. ბავშვები ჩიტეჭივით ჭიკჭიკებენ, სუფრაზე სიციცხლე შეაჭეთ.

— ეგ თვალები რატომ ჩაგლურჯებია, ვინ გაგლახა? — გაკვირვებით შეეკითხა ბიჭვინათე ზებედო.

ბიჭვინათე ვაბუტულია, ვითომ არც გაუგონია მამის შეკითხვა. გაჯავრდა, პირში დიდი ლუკმების ჩადებას მოუხშირა, ყბები უცნაურად გამოებერა.

— რავა ილუკმები, ხო არავინ მოგდევს? ხმა გეილე და ადამიანივით ქამე! — დაცინვით გამოულაპარაკა სუფრის თავიდან პირდაპირ მჯდომმა არისტომ.



— თქვენ ხელში უფრო მეტია მოსალოდნელი.

— ჰო, აგრე იციან შენმა კომკავშირლებმა... ხომ მოგიყვები?

ბიჭიკომ ლუკმა ძლივს გადაყლაპა, კინალამ გულზე დააფარა მერე ძლივს ამოისუნთქა და არისტოს მოურიდებლად მიმართა:

— მეტი არ ადგა შენი გვერდები...

— უყურე ახლა ამას...

— ბიჭო, ნუ მისპობ სიცოცხლეს, — წამოიყვირა ზებედომ და მუხლებზე ისე მაგრა დაიკრა ხელი და დაატკაცუნა, თითქოს ასწლოვანი ხე გადატეხაო.

პატარა შვილიშვილები გაოცდნენ...

უკვირთ ასე ხმაშაღალი ლაპარაკი. ერთი შვილიშვილი ადგა, მუხლზე მოებლაუტა ბაბუას.

— ლა იყო, ბაბუა? მე კი ალაფელი წამიქთენია... ა, კოლიფელი აქ აღის, — და თავის წინ ქადის ნატეხებით საესე საინს დახედა.

— რა მოგივიდათ, ხალხნო, ბოვშები, ნუ გადამირიეთ, — წამოიძახა ოჯახის დიდმა ჯალაბმა, რომელსაც ზოგი დედას ეძახის, ზოგი ბებიას. ზოგი დედამთილს, ზოგი რძალს, მისი ხნის ქალები კი ტერეზას ეძახიან. ეს სახელი ხომ დაბადებიდან ჰქვია. ტერეზა მეტად წყნარი და პატიოსანი აღამიანია, მაგრამ ახლა რალაც მწყურალად და ომზიანად წამოიძახა:

— ბიჭიკო, შენ უმცროსი ხარ, უფროსებს უნდა გაუფონო.

— განა, მაგდენიც აღარ ვიცი? მაგრამ შინ და გარეთ ყველა მეუფროსება. ვის გაუფონო? რომელს?!

— ვისა და ვინც ვაგზარდა, — წამოიყვირა არისტომ. მას სახე აენტო, გაწითლდა, აპილბილდა, — ფუი, ამისთანა ჩხიკვი რო გაგინდება, მაშინ რალას გააწყობ, — თქვა და ფეხი ისე დაუზოგავად ჰკრა სუფრის თავს, თითქოს ამ სუფრის ბრალი ყოფილიყო ყველაფერი. საინები ჩხრიალით გადმოცვივდა ძირს. გაქანებული სუფრა პირდაპირ მჯდომ ბიჭიკოს მოხვდა წვივზე, კინალამ ძვალი გაუტეხა.

მოხუცი დედა ყმაწვილივით წამოხტა. ცოლი კი არისტოს მივარდა, ტუქსვა დაუწყო:

— ხო არ გადირიე, რა მოგივიდა?!

ბავშვები ატირდნენ.

ზებედომ განრისხებით გადახედა ბიჭიკოს, ისევ მას ადანაშაულებს.

— ესაა ცხოვრება?! ახლაც მე ვარ დამნაშავე?! — დაიძახა ბიჭიკომ. მერე უცებ წამოხტა, ხელში თან აიყოლა სკამი, რომელზედაც იჯდა, და მაგრა მოიქნია. მოკლე სივრცე სკამმა ბზრიალით გადასერა და არისტოს თავში მოხვდა.

შეტორტმანდა...

იატაკზე მოტეხილი ბოძივით დაეცა...

ქალებმა კივილი მორთეს.

კარგ ხასიათზე აღარც ბიჭიკოა. ბავშვების ტირილი რომ ვერ გინდა, გული აუწუცდა, ტუჩი აუცახცახდა. ერთმა ტირილითაც მიმართა.

— ბიძია, ლატომ წააქციე მაში?

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო მეტად იმოქმედა ბიჭიკოზე. მისი ნაბიჯი გადაადგა ძმისკენ, მაგრამ გასისხლიანებული თავი რომ დაინახა, უცებ გაიფიქრა.

„დავლუბე თავიო“, — და კარებისკენ გაექანა.

ქალების, ბავშვებისა და ზებედოს საზარელ ხმაურზე მეზობლები მოცვიდნენ და კარებში შეეჩვენნენ ბიჭიკოს.

— გამიშვით! — თავგამეტებით დაიძახა ბიჭიკომ. იგი გარეთ მიიწეეს, ოჯახის დანარჩენი წევრები კი არისტოს დასტრიალებენ თავზე, გასისხლიანებულ თავს უსუფთავენ.

ზებედო მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებს:

— დევილუბე! დევილუბე!

ბიჭიკოს ბევრმა ჩასტიდა ხელი. გაფითრებული სახეებით ეკითხებიან:

— რა ამბავია?

— რა მოგივიდათ?

— გამიშვით, არ ეცი, — ბიჭიკო ცივად იძლევა პასუხს.

— დაიჭირეთ! არ გაუშვათ! — დაიძახა ერთმა.

— რას მომტომიხართ, მომშორდით! — დაიღრიალა ბიჭიკომ. იწეეს, ზალათიც დაეხა, მაგრამ სად გაექცევა ამდენ ხელს?

— ბიჭიკომ დაგვლუბა, თავი მოგვჭრა, — მოთქმით ყვორის არისტოს კოლი, გარს რომ სამი შვილი ახვევია.

## 8

ეზო ვაივსო გლეხებით...

პატარა უბანი შეაშფოთა ქალების კვილმა.

უცნაურ ხორბოცში ნელა ირკვევა ნამდვილი ამბავი. ისინი ბიჭიკოს შემოეხვიენ, აღანაშაულებენ. ერთი ბიჭი მეზობლისა აფრინეს. იქ, მილიციონერი იყო ამოსული. იგი გზაზე შეხვდა. აქოშინებულმა ბიჭმა შეხვედრისთანავე უთხრა:

— ბიჭიკომ ძმა გალახა... გაქცევა უნდა...

მილიციონერი სწრაფად გადახტა ეზოში.

— გამიშვით! — ყვორის ბიჭიკო. იწეეს. ხმა ჩაეხრინწა, ზალათიც შემოეხვიეთ...

— გაუშვით, გაუშვით! — დაიძახა მილიციონერმა.

გლეხები შემოეცალნენ...

ბიჭიკო განმარტოებით დარჩა, მიმოიხედა, გასაქცევად მოეშადა...

გაისმა მილიციონერის განკარგულება:

დაპატიმრებული ხარ, ფეხი არ გადაადგა!



ბიჭიკო ტორტმანობს, ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდები.

— მომეტით საშუალება, პახუმის ნახვა მინდა... კომიტეტის მდივანთან მივალ... იდამიანები არა ხართ?!

— ახლა მაგის დრო არ არის, ოქმი უნდა შევადგინო, რაიონში წამოდი.

— კაცო, შენ ხომ კარგად მიცნობ? — შეეკითხა მილიციონერს... მიდის...

თავს ათასნაირი ფიქრი უშობიებს:

„კომიტეტის მდივანი მაინც შენახა. მას მაინც გაეგო ჩემი უბედურება... კომკავშირელი მაინც არ ვიყო... ორგანიზაციას სახელი გავუტეხე... ყველამ ხომ არ იცის საქმის ნამდვილი ვითარება. დავიღუპე თავი“ — ხელი მოსხლეტით ჩაიქნია.

მიუახლოვდენ პახუმის სახლს და ბიჭიკომ შორიდანვე მისცა ლარლილი:

— პახუმი! პახუმი!

პახუმმა მაშინვე იცნო ბიჭიკოს ხმა და გარეთ გამოვარდა.

— რა იყო?! რა შეგემთხვა?! — გააკვირვა პახუმი შემოხეულმა ტანისამოსმა და მილიციონერმა.

— რა ვითხრა... დალაგებით ლაპარაკიც რომ აღარ შემიძლია?! შენ ყველაფერი იცი. შინ გული მომაყვანიეს. არისტოს სკამი ვესროლე, თავი გაუტყდა. მოცვიდენ მეზობლები. ამბავი არ გამოიკითხეს. ზებირად მხდიან დამნაშავეს. გადამცეს მილიციონერს. ვწუხვარ, ჩემით კომკავშირი უნდა გაილანძლოს. მიშველეთ, — ხვეწნით ეუბნება პახუმის.

პახუმი დააფიქრა ამ მდგომარეობამ. მოაგონდა უკანასკნელი კრება და გზაში საუბარი.

— ამაზე ჩვენ ორგანიზაციულ ზომებს მივიღებთ. კომკავშირელია ჩვენ ამას არსად გავუშვებთ.

— როგორც ვინდათ, მე უკვე მოგიყვანეთ, — თქვა და უკან დაბრუნდა მილიციონერი.

პახუმი და ბიჭიკო მაშინვე მდივანთან გაეშურენ.

9

არისტოს თავი შეუხვეის...

მსუბუქადაა დაშავებული...

ახლა მთელი ოჯახი ბიჭიკოზე ფიქრობს და ყველაზე მეტად ცოლი ტუქსავს არისტოს.

— რატო აგვირიე ოჯახი... შენი ბრალია ყველაფერი.

არისტო ხმას აღარ იღებს. რცხვენია, მიხედა თავის დანაშაულს.

ზებედო შუბლშეკმუნხული დაიარება. შერე არისტოს საყვედურით მიმართა:

— შეილო, თქვენ მე კი არ უნდა ამყვეთ, მოხუცებულს უნდა დამარიგოთ, ახალი ცხოვრების თქვენ მეტი იცით. ძმები ხართ, ერთმანეთი უნდა გიყვარდეთ. ხანდახან რომ დაქტუქსავთ, ეს ზიკოტოვილის კი არაა. ორივე ერთნაირად მიყვარხართ, — მერე ხელეები გამოსწიან წინ, — აი, ამ ათი თითიდან რომელსაც მომპირიან, ყველა ერთნაირად მეტკინება. თუ თქვენ ერთმანეთი დახოცეთ, მტერი გეიცინებს. უმტრო ამ ქვეყანაზე ერთი კაცი არ არსებობს.

არისტო მაინც გაგლულებულია.

მთელ ოჯახს ერთნაირი დარდი აწუხებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჰიპირის ჭრიალი გაისმა. ეზოში პახუმი და კომკავშირის კომიტეტის მდივანი შემოვიდნენ. ბიჭიკო არა ჩანს, ლობეს არის მოფარებული. ზებედომ ბიჭიკოს ამხანაგები იცნო, ყველაფერი დაწერილებით უამბოთ. ბოლოს არისტომაც დაუმატა:

— ჩემი ბრალია... ბიჭიკო შარში ჩავაგდე და კინაღამ ჩემი თავიც დავიღუპე.

— ჩემო ბიძია, მე კარგად ვიცნობ ბიჭიკოს. კარგი ბიჭია. თქვენც გიცნობთ, პატროსანი მშრომელი გლეხები ხართ. მთლად გასამტყუნარი არც თქვენ ხართ, მაგრამ ბიჭიკომ რა ჰქნას, როცა მისი ტოლი ამხანაგები კოლექტივში მუშაობენ. ამხანაგს ამხანაგთან უნდა მუშაობა, — უთხრა კომიტეტის მდივანმა.

— ჩემო ბიძიკო, შეილი მამიყვანეთ, ცოცხალი დამანახვეთ და რასაც მეტყვი, მეც ისე მოვიქცევი, ხოლო სადაც ჩემი შეილი იჭნება, მეც იქ უნდა ვიქნე. შეილებს ვერ მოვშორდები.

გახარებული კომიტეტის მდივანი პახუმს მიუბრუნდა, ამხანაგურად მხარზე დაჰკრა ხელი და თანაც უთხრა:

— ამხანაგო პახუმ, დაუძახე ბიჭიკოს.

ორიოდე წამის შემდეგ ბიჭიკოც გამოჩნდა.

ორივე მხარე დარცხენილია.

მათ წინ დადგა სამოსშემოგლეჯილი ქაბუკი. სხეული ზოგ ალაგას დალურჯებული აქვს.

დღემილია...

და ეს დღემილი ისევ ზებედომ დაარღვია:

— მოდი, შეილო, მოდი! მე ვარ დამნაშავე...

— რას იტყვი, ბიჭიკო, ხომ გინდა მშობლებთან ცხოვრება? — შეკითხა კომიტეტის მდივანი.

— მე მიყვარს მშობლები... მაწუხებს ძმის შეურაცყოფა, მაგრამ რაკვნა, გული მაინც იქით მიიწევს, სადაც ჩვენი ქვეყნის ადამიანები მუშაობენ.

— სად, შეილო?

— კოლექტივში.

— კარგი შეილო, ჩვენში იქნეს სიამტკბილობა და როგორც ვინდათ, ისე ვიცხოვროთ.

ბიჭიკომ ახლა კი თავისუფლად ამოისუნთქა. <sup>ქართული</sup> ძმებმა მყვრე ქვიშარ-  
თვეს ერთმანეთს ხელი. გახარებული ზებედო შეილებს მივარდა, გაშალა  
მკლავები და ორივეს მოეხვია.

იციინის, თვალებიდან სიხარულის ცრემლი ცვივა.

— ასე, შეილებო, ასე... ყოველის შემძლე ძალამ ტკბილი ცხოვრება  
ნუ მოგიშალოთ.

დედამ დახეული ტანისამოსი გამოუცვალა ბიჭიკოს. ზებედო დატრი-  
ალდა, დიდებული ვახშამი მოამზადა. საესე მაგიდას ირგვლივ შემოუს-  
ხდენ.

გაიმართა სადღეგრძელოები.

პირველად არისტოს სადღეგრძელო დალიეს...

შარბათივით ტკბილსა და ოქროსფერ ღვინოს საამურად სვამენ.

რძალ-დედამთილი სულ ფეხზე ტრიალობს, უსაზღვროა მათი სიხა-  
რული.

ბიჭიკოსაც უხარია, მისმა გუჟანმა რომ გაიმარჯვა. მთელი ოჯახით  
უნდა შევიდეს კოლექტივში. ეს იყო მისი ფიჭრი და ოცნება.

ამ დღის შემდეგ ზებედო ჯიბუტი მეზობლებში აღტაცებით აღაპა-  
რაკდა:

— ახლა მეც კოლმეურნე ვარ.



კ. კაკაბელი

## რუსთველის ფილოსოფია

რუსთველის შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე დადგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს: საჭ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესწავლას აძლევს ახალ მიმართულებას. დადგადრო რუსთველოგიის გაშლისა მთელი სიგრძე-სიგანით.

დღემდე არსებულ კვლევა-ძიებას, გარდა მცირედი გამონაკლისისა, ახასიათებს დაუსრულებელი ლაპარაკი რუსთველისა და მისი პოემის გარშემო: საჭიროა, მდგომარეობის შებრუნება: რუსთველოგიის ცენტრად, დასაყრდენად უნდა ვახდეს თვით ტექსტი რუსთველის პოემისა. ტექსტის შესწავლა მოგვეცემს მასალას არა მარტო რუსთველის განხარისხებისათვის, მისი გენიოსობის შეფასებისათვის, არამედ იმ სოციალ-ისტორიული პირობების დახასიათებისათვისაც, რომლების არეშიც ტრიალებს ყოველდღიურად ეს დიდი მოაზროვნე და დიდი მწერალი. რუსთველის ტექსტში არის უდიდესი წყარო გარკვეული იდეოლოგიის, მეტყველების, ისტორიული კულტურის, ზნეობის, ადამიანთა ქცევის, სიკვდილ-სიცოცხლის განცდის. ამ მომენტების გარკვევით ბევრად უფრო მეტი შეიძლება გავიგოთ რუსთველის ვინაობის შესახებ, მისი პოემის სუბეტურ-კომპოზიციური გაადგილების შესახებ, ვიდრე იმ გზებით, რომლებითაც დღემდე მიმოდიოდნენ რუსთველოგები. „ვეფხვის ტყაოსანის“ ტექსტის გარეშე მსჯელობა რუსთველის პოეტური ღირსების და მისი პოემის შესახებ არის უსაგნო ლაპარაკი.

ამ მიზნით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რუსთველის პოემის ტექსტის დადგენა, მისი ლიტერატურული რედაქცია. რუსთველის პოემის დადგენა შეიცავს სიძნელეს: პოემაში აუარებელი ყალბი ადგილია, რაც კარგა ხანია ცნობილია. ამასთანავე რუსთველის პოემას ამოეზარდა ხალხური „ვეფხვის-ტყაოსანი“; რაც მოითხოვს დიდ ყურადღებას. ზოგიერთი ადგილი ხალხური „ვეფხვის-ტყაოსანისა“ პირდაპირ მოგვაგონებს რუსთველის ტექსტს, და სიფრთხილე გვმართებს, რომ რუსთველის ტექსტში არ შევიდეს ის, რაც რუსთველს არ ეკუთვნის. ჩვენი

ისტორიული მოვალეობაა დავსწმინდოთ „ვეფხვის-ტყეოსანი“ სამოვალეობით მას, რაც ჩამატებულია უხეირო და ხშირად უნიკალურ მოვალეობების მიერ. ამ საქმის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიურ კულტურას და კოლექტიურ ენერჯიას: ღრმა დაკვირვებით და გამოცდილებით, მხატვრული კულტურით და ესთეტიური გამოვლენებით, ტექსტის ზუსტი გაგებით უნდა მივიღეთ რუსთველის პოემასთან.

კეთილსინდისიერი მკვლევარი რუსთველისა და მისი პოემის წინაშე თავს გრძნობს ისე, თითქოს დიდი ოკეანის პირას იჯდეს და ესმოდეს ტალღათა პარმონიული შრიალი უსაზღვრეობის გაშლილ არეზე: რუსთველი აზროვნებისა და მეტყველების ოკეანეა და ამ ოკეანესკენ გახედვა, მისი ღელვის მოსმენა და გაგება უდიდესი სიამოვნებაა.

ჩვენს მთავარ მიზანს შეადგენს რუსთველის სოფლმხედველობის გამორკვევა მისი პოეტიკის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით: რუსთველის პოემა და მისი გეგმა რუსთველის მერ თეორიულად მოცემულია პოემის „შესავალში, ხოლო პრაქტიკულად განაღდებულია „ვეფხვის-ტყეოსანის“ მთლიან გაფორმებაში, კომპოზიციაში. მთელი პოემა დაწერილია გამიზნულად: პოეზიისა და სიყვარულის განმარტების დროს თავისი პოემის შესავალში რუსთველი ხაზს უსვამს ნამდვილი პოეტის დანიშნულებას, მისი მუშაობისა და საქმიანობის საგანს: შაირობა შეუძლებელია რუსთველის აზრით, თუ მწერალი არ არის გამიჯნურებული, გატაცებული, შეპყრობილი ერთი განსაკუთრებული გრძნობით, ერთი განსაკუთრებული განწყობილებით. რუსთველი შაირობის განმარტების დროს პოეტებს ოთხ კათეგორიად ჰყოფს: პირველი კათეგორია არის კათეგორია უბრალო მელექსეებისა, რომელთაც შეუძლიათ თქვან „უმსგავსო და შორი, შორი“, რომელთაც ახასიათებს ჯიუტობა, „უცილობლობა“ (უცილობლობს, ვითა ჯორი). ეს კათეგორია დაშორებულია შაირობის შესაძლებლობას, პოეტობას; მას არ შეუძლია შევიდეს ნამდვილ პოეტთა რიცხვში. მეორე კათეგორიას შეადგენენ პატარა პოეტები, რომელთაც დიდი პოეტური საქმიანობის ჩატარება არ ძალუძთ და „ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა“. მათი პოეტობა ბავშვურ, გულუბრყვილო ხასიათს ატარებს. მესამე კათეგორიას შეადგენენ ისინი, რომელნიც წერენ სახუმაროდ, „სალალობოდ, ამხანავთა სათრეველად“. დღევანდელი გაგებით, ესენი არიან ჰუმორისტები შარუსტები. რუსთველი ფიქრობს, რომ ასეთი ხასიათის პოეტობა დასაშვებია, თუ თქმული იქნება ნათელი და გარკვეული მეტყველებით.

რუსთველის გაგებაში სამივე კათეგორია დგას ნამდვილი პოეზიის გარეშე. ამისი მიზეზია მათი პოეზიის უსაგნობა, ზერელობა, ფუქსავატობა, ნამდვილ პოეზიას კი ესაჭიროება გარკვეული საგანი და გატაცება,

ექსტაზი. რუსთველი აქ არისტოტელის პოზიციას უდგას პოეტობა თხოულობს ექსტაზს, პოეტურ „მე“-ს „გაფართოებას“; რუსთველი ამ ცნების განმარტებისათვის იშველიებს არაბულ სიტყვას „მიჯნურობა“-ს, „მიჯნური. შმაგსა ჰქვიან არაბულითა ენითა“, — ამბობს რუსთველი და, მიჰყვება რა ამ გაგების ძირითად ცნებას, სთხოვს მკითხველს, არ აურიოს ერთმანეთში მიჯნურობა და სიძვა:

„მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,  
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი  
ნურდინ გარეთ ერთმანეთსა, გესმით ჩემი ნაუბარი“.

რუსთველი კატეგორიულად მოითხოვს მიჯნურობისა და სიძვის სხვადასხვაობის გაგებას: მთელი პოემის მანძილზე რუსთველი ამტკიცებს თავისი გმირების ქცევაში მიჯნურობისა და სიძვის სხვადასხვაობას. მიჯნურობისათვის დასაშვებია სიძვა, მაგრამ სიძვას არ შეუძლია შესცვალოს მიჯნურობა. რუსთველის გმირები — ავთანდილ და ტარიელ<sup>1</sup> სიძვაზე უარს არ ამბობენ: ფატმან ხათუნთან ავთანდილი დროს ატარებს — კოცნის და ეალერსება ვაჟრის ცოლს, ასრულებს მის დავალებას, მაგრამ მთელი მისი სული, გული, მთელი მისი განცდა თინათინის მოგონებაშია, თინათინს ვერაფერს შესცვლის: ავთანდილის გული რომ გაჭრათ იმ დროს, როდესაც ავთანდილი ფატმან ხათუნს ეხვევა, „შიგ ნახავთ თინათინის სახეს, რადგან ავთანდილს ერთი „უჩიანს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აზიკობს“. ასეთივეა ტარიელი: როდესაც მას მოახსენეს, ვილაც ქალი მოვიდაო, მან მოკლედ უპასუხა: „ჩემგან არის ნახმობარო“. სიძვა, კოცნა, ყოველდღიური აღერსი დროგამოშვებით მიჯნურთათვის, რუსთველის გაგებით, დასაშვებია, თუმცა „კარგი მიჯნური იგია, ვინც იქ სოფლის თმობასა“. რუსთველს „სოფლის თმობა“ დამახასიათებელ თვისებად მიაჩნია კარგი მიჯნურობისათვის იმიტომ, რომ მიჯნურს გული უნდა ჰქონდეს გატაცებული ერთი სახით: სოფლად ყოფნა, ქვეყნად დარჩენა საშიშია მიჯნურობისათვის, რადგან ქვეყანას თავისი სხვადასხვანაირი შემთხვევებით შეუძლია ჩააქროს გატაცების, ექსტაზის ცეცხლი, შეუძლია შეუცვალოს მიჯნურს გრძობა და მისი გამომწვევი მიზეზი.

სწორედ ამიტომ არის გაჭრილი ველად ტარიელი: ტარიელი დაშორდა ქვეყანას, მის სიამოვნებას, ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობას, დაშორდა ცოტენებასა და „მტლაშა-ტლუშს“, რათა მუდმივ, შეუსვენებელი იყოს ნესტანის მოგონებაში. ველური ბუნება, მინდორ-ველი, წყლისა პირსა და მხეცებს შორის ხეტიალი ტარიელს ესაჭიროება, რომ ნესტანის სახე მის წარმოდგენაში არ შეაფიწროოს რომელიმე სხვა სახემ. რუსთველი აქ გვესაუბრება, როგორც დიდი მეცნიერი და ადამიანის სულის დიდი მცოდნე. ერთი სახით გატაცება იწვევს ადამიანში ნების მომართვას ერთი გარკვეული მიმართებით, ერთი მიდრეკილებით, ერთი

ტენდენციით: რუსთველი სასტიკი წინააღმდეგია დაბნეული და უსისტემო ქცევისა, ყოველი აზრი და ყოველი მოქმედება რუსთველის/გმირებისა ყოველთვის გარკვეულ სისტემაშია მოქცეული. მანქანის ქმედება გამოწვეულია მიზანდასახულებით, ხოლო ყოველგვარი მანქანის ქმედება იწვევს გატაცებას, გატაცება კი — ნებისა და მოქმედების მიმართებას. გატაცების ხანგრძლივობით განიზომება მიჯნურობის და პოეზიის განცდა. სწორედ ამიტომ ამბობს რუსთველი მკვეთრად: „მოშირე არა ქვიან, ვინცა იტყვის არა ვრძელად“. მაშასადამე, მოშირობა, პოეტობა თხოულობს საგნობრივ გამიჯნურობას, განცდისა და განწყობილების გასაგნებას. ეძიებს რა შთლიანი ადამიანის ტიპს, იხედება რა თავისი დიდი ინტუიციით და შინაგანი ხილვით ადამიანის სულში, რუსთველი გვესაუბრება, როგორც დიდი ფსიქოლოგი: წარმოდგენაში სახე იძლევა მიმართებას ადამიანის ქცევისას, — აი დედააზრი რუსთველის შეხედულებებისა პოეზიის და სიყვარულის შესახებ. რადგან წარმოდგენაში სახე იმდენ ხანს რჩება, რაოდენ ხანსაც მის დარჩენას მოითხოვს ჩვენი არსებობის ინტერესი, რუსთველი გენიოსურად იხედება ადამიანის სულის იმ სიღრმეში, სადაც ორგანულად უკავშირდებიან ერთმანეთს სახე და ინტერესი. რუსთველის გმირები ყოველთვის დაინტერესებულნი არიან ადამიანების რუსთველის გმირების სულიერი განწყობილება ფეხდაფეხ მიჰყვება მათი ინტერესის მიმართებას, ხოლო ინტერესი რეალურად ჩნდება ადამიანისა და გარემოს ურთიერთობაში. ზემოთა თინათინის გამეფების გამო. დიდი მხიარულების დროს როსტევენი უტბად მოიწყენს — რადგან წარმოიდგენს, რომ მისებრ გულადი და მარჯვე მსროლელი მისი სიკვდილის შემდეგ არავინ დარჩება სახელმწიფოში. იწყება ნადირობა ავთანდილის გამოსაცდელად. გარკვეული მიზნით დაინტერესება იწვევს სანადიროდ გამგზავრებას, მაგრამ ნადირობის დროს ადამიანები მოქცევიან სხვა გარემოში — აქ ადგილი აქვს სხვა ურთიერთობას ადამიანებსა და გარემოცვას შორის, იბადება ახალი ინტერესი: მეფე გატაცებულია ახალი ინტერესით, მას სურს გაიგოს — ვინ იყო, რომ წყლის პირს იჯდა და ტიროდა; მეფეს სჭირს ქცევის სხვაობა — მეფეს აწუხებს, რომ ვეფხვის-ტყაოსანი ვაჟქცა. ამრიგად, ინტერესი და საგნობრივი გატაცება, მათ შორის ადამიანთა ქცევისა და ხასიათის ვაშლა, — აი რა გამოიყურება რუსთველის პოემის შესავალიდან. ნამდვილად პოემა იწყება იმ ადგილიდან, სადაც მეფე როსტევენი პირველად დაინახავს წყლის პირად მგდომ და მტირალ ტარიელს.

ფაბულა და სუეტი რუსთველს შერჩეული აქვს თავისი ესთეტიკური ფილოსოფიური მიზანდასახულების მიხედვით: რუსთველის შემოქმედებით პიროვნებაში გაერთიანებულია მოაზროვნე და მხატვარი. დაკვირვების შედეგად ვგრძნობთ, რომ რუსთველი მხატვარი ემორჩილება და ემსახურება იდეალურად რუსთველ მოაზროვნეს. რუსთველი ტიტანიუ-12 „მნათობი“ № 2.

რად გამოიყურება როგორც თავისი აზროვნებით, ისე თავისი მეტყველებით: მთელი მისი პოემა უმშვენიერესი გამარჯვებების და პოეზიისა ერთსა და იმავე დროს. დაწყებული შესატყვისი მთავრებული ბოლოსიტყვაობით. რუსთველის პოემაში შეწყობილია ცხოვრების უღრმესი ფილოსოფია უმშვენიერეს მეტყველებასთან. მთელს პოემაში ყურადღებას იქცევს აზროვნებისა და მეტყველების განსახეობის შეუღლებელი თავისუფლება: აზრები და სიტყვები ერთმანეთს ევლებიან, ერთმანეთს შველიან, ერთმანეთს ემსახურებიან ადამიანის მეობის შინაარსის გამოვლენაში.

უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს პოემის აგებულება, ამ აგებულებაში მოქმედ პირთა ტიპოლოგიური სხვადასხვაობა. რუსთველის გმირები ერთგვარი სისტემით არიან დახასიათებული და ეს სისტემა ისე თვალსაჩინოა მთელს პოემაში, რომ შეიძლება პირდაპირ პროპორციის შედგენა რუსთველის მთავარი გმირების ხასიათებით. „ვეფხისტყაოსანში“ ოთხი მთავარი გმირია — ორი ქალი და ორი კაცი. ესენი არიან: ნესტან და რეჯანი, თინათინი, ტარიელი და აეთანდილი. დანარჩენები — როსტევაანი, ფარსადანი, სარიდანი, ასმათი, დავარი, შელიქსურხავი, ფატმანი, ჰუსეინი და სხვ. აქსესუარული ტიპები არიან. მთელი „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია იმისათვის, რომ შწერალმა გვიჩვენოს ამ ოთხი ტიპის ბედი და თავგადასავალი. რაინარია ამ ტიპების ტიპოლოგიური ურთიერთობა და რა სისტემით არიან ისინი მოცემული პოემაში? ჩვენი ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია მხოლოდ და მხოლოდ ამ სისტემისათვის, ამ მიზნის მხატვრული განსახეობისათვის. დასაწყისშივე ყურადღებას იქცევს ის, რომ თინათინსა და ნესტანს შორის განსხვავება ისეთივეა, როგორც აეთანდილსა და ტარიელს შორის. მათემატიკურად გამოდის: თინათინი ისე ეფარდება ნესტან დარეჯანს, როგორც აეთანდილი — ტარიელს. ტიპოლოგიურად ქალები ისე სხვადასხვაობენ, როგორც ვალები. ამ სხვადასხვაობაშია გახსნილი ადამიანის მე თავისი ყოველდღიური ქცევით და ნებისყოფის ფორმებით. ტიპოლოგიურად თინათინი ჰგავს აეთანდილს, ხოლო ნესტან-დარეჯანი — ტარიელს. ადამიანის მე მეცნიერულ-ფილოსოფიური ანალიზით ანატომიურად გაქრილია შუაში — ერთ ნახევარში მოცემულია სიჭარბე, ძლევადობა გრძნობისა (ნესტანი, ტარიელი), მეორე ნახევარში მოცემულია ტიპოლოგიურად სიჭარბე, ძლევადობა გონებისა, ინტელექტისა, (თინათინი, აეთანდილი). ამ ოთხი ტიპის სახეებით მოცემულია ადამიანის მეობის ორბიდედი მხარე — ემოცია და ინტელექტი. ნესტანი და ტარიელი ემოციური დომინანტის ტიპები არიან, თინათინი და აეთანდილი — ინტელექტური დომინანტის ტიპები. ნესტანსა და ტარიელში გონებას იმორჩილებს ემოცია, თინათინსა და აეთანდილში ინტელექტი იმორჩილებს ემოციას. ამ

ტიპების ნებისყოფა და ქცევა ყოველთვის ემოციისა და ინტელექტის ერთმანეთთან ბრძოლის შედეგია. თინათინსა და ავთანდილს ინტელექტი იმორჩილებს ემოციას და ამიტომ მათი ქცევა, მათი ნებების სხვადასხვა პირობაში ასე გამჭრიახი და თავისუფალია; ნესტანსა და ტარიელში ემოცია იმორჩილებს ინტელექტს და ამიტომ მათი ქცევა, ხასიათი მუდმივ ტყვეობაშია. სიყვარული, როგორც ბუნების სტიქია, გადის ამ ტიპოლოგიურ სხვადასხვაობაში სხვადასხვანაირად: თინათინი და ავთანდილი მოხერხებით აკეთებენ იმას, რის გაკეთება არ შეუძლია არც ნესტანსა და არც ტარიელს. დააკვირდით — რა გონებრივი და წნობრივი კულტურა, თავდაპირველად ეტყობა თინათინს მთელს პოემაში, განსაკუთრებით მამასთან და ავთანდილთან ურთიერთობაში. როსტევენი ხადრობიდან მოწყენილი ბრუნდება შინ. ზის ავთანდილთან თავის ოთახში. თინათინი მივა კარებთან, მაგრამ, როდესაც მოახსენებენ — მეფე „დაღრეჯილიაო“, უკან ბრუნდება, ვერ შედის მამასთან. ხოლო, როდესაც მამა თითონ დაიბარებს თინათინს, თინათინი მამას აძლევს მშვენიერ რჩევას, თუ როგორ უნდა მონახვა იმას, ვინც წყლის პირას ტიროდა. ბოლოს ხომ მაინც თინათინის წინადადებით შიდის ავთანდილი უცნობის საძებრად; ავთანდილი ხომ ჰკუთს და მოხერხების ოსტატია — ოსტატი დიდი ნებისყოფისა. პოემის მთელს ფაბულაში თინათინ-ავთანდილის ინტელექტია ხელმძღვანელი. ნესტანი და ტარიელი ვნებათა დღევით შთვრალი ტიპებია: მათი ნებისყოფა შეზოქილია აღელვებული ემოციებით.

რუსთველის ტიპოლოგია, დღევანდელი, მეცნიერული თვალსაზრისით, საესებით მისაღებია: ადამიანი მთლიანობაა თავისი ორგანულ-ფსიქიური წყობით. ამ მთლიანობაში არსებობისათვის ბრძოლის პროცესში სამი მთავარი საწყისია — გრძნობა, გონება და ნება. ამ საწყისთა შორის მუდმივი ურთიერთობაა: ერთი საწყისი მოქმედებს მეორეზე, მეორე — მესამეზე, ადამიანის ქცევა არსებობის ყოველ წუთს განისაზღვრება ამ საწყისთა ურთიერთობით. მაგრამ ეს საწყისები თავისუფლად არ მოძრაობენ, თითოეული მათგანი გასაგნებულია მიზნობრივად, ობიექტიურად. რაც უფრო ძლიერია მიზნობრივი გასაგნება, მით უფრო მალე იმორჩილებს თითოეული მათგანი დანარჩენებს. რუსთველის ფაბულა სწორედ იმით განსხვავდება ყველა ფაბულისაგან, რომელიც ცნობილია ლიტერატურათა ისტორიებში, დაწყებული შორეულ წარსულიდან, რომ მასში (ფაბულაში) ჩაქოვილია რუსთველის უდიდესი მეცნიერულ-ფილოსოფიური კონცეპცია: ნება, ერთის მხრით, ემოციის განკარგულებაშია, მეორე მხრით — ინტელექტის. ნესტანისა და ტარიელის ინდივიდუუმებში ნება შეკრულია და შეზღუდული ემოციით, თინათინის და ავთანდილის ინდივიდუუმებში ნება გამლლილია ინტელექტის ამყოლოებით. გაიხსენეთ მინდორ-ველად გაჭრილი ტარიელი: ზის წყლის პირას და ტირის ან



გულწასული გდია მის მიერ მოკლულ მზეცთა შორის, მამარაობისა და ლაპარაკის ხალისის მოკლებული. სულ სხვაა აეთანდრეობა ნებასწინეთ აეთანდრილი მულღანზანზარის ველზე, მომღერალი და მისსტრუქტურულანეტებთან: რა მარჯვედ და ოსტატურად ეუფლება რუსთველის გმირი თავის გრძნობათა ღელვისა და ნებას! აეთანდრილი ორგანულად განიცდის თინათინისადმი სიყვარულს, მაგრამ მისი მე მომართულია ძლიერი შინაგანი ხილვით და ინტელექტით, მისი სული განათებულია მდიდარი ინტუიციით. აეთანდრილი აპოლონიური ტიპია, ტარიელი დიონისური; თინათინი აეთანდრილისებურია ტიპოლოგიურად, ხოლო ნესტან-დარეჯანი — ტარიელისებური.

განა ფაბულაში ეს საყურადღებო არ არის? განა ამაში არ მოსჩანს მთელი სიდიადე და ორიგინალობა რუსთველისა? როგორ მოხდა, რომ დღემდე არც ერთ რუსთველოვს არაფერი არ უთქვამს ამის შესახებ? რა იქნებოდა რუსთველის პოემა, რომ ეს ტიპოლოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემა არ იყოს მასში წამოყენებული? ცხადია, რომ რუსთველი თავის პოემას სწერს გარკვეული მეცნიერულ-ფილოსოფიური დასახულებით: მთელს ფაბულას, მის სუბტურ კომპოზიციურ თვისებებს აშკარად და ნათლად ეტყობა დიდი მოაზროვნისა და დიდი მეცნიერის ხელი. მთელი პოემა წარმოადგენს გმირების მეთოდურ-ფილოსოფიურ გამოცდას: გმირები რუსთველს ყოველთვის ისეთ სიტუაციაში ჰყავს ჩაყენებული, სადაც გარკვევით ჩნდება ხასიათისა და ქცევის თავისებურება, მათი მიზეზები და წარმომშობი პირობები. ვახსენეთ ტარიელი ქაჯეთის ციხის აღების დროს: კაცი, რომელიც მუდამ ტიროდა, რომელსაც დალაპარაკება ეზარებოდა, რომლის გონება და ნება მიჩლუნგებული იყო, უცბად გამოფხიზლდება და თავისი სამხედრო გეგმით ყველაზე უკეთეს რჩევას იძლევა: რა მოხდა? რა არის ამისი მიზეზი? ტარიელმა იცის, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ნესტანთან იქნება. ამის წარმოდგენა მასში ანთავისუფლებს ემოციით დატყვევებულ გონებას: ფსიქიურ მიმოქცევაში ინტელექტი იკავებს ემოციის ადგილს და ადამიანის მე იძენს მოქმედების შინაგან თავისუფლებას. დიონისური განწყობილება იცვლება აპოლონიური განწყობილებით: ემოციურ-ინსტინქტიური ლტოლვა დიალექტიკურად გადადის ინტელექტურ-ინტუიტიურ მიგნებასა და მიხედვრაში. ტარიელი უძრავად გდია, ბევრს ელაპარაკა აეთანდრილი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აეთანდრილი ფიქრობს — რა მოახერხოს, როგორ შესცვალოს ტარიელის განწყობილება? ბოლოს მოიფიქრა: ცხენზე შევსვამ, გავატარებ მინდვრად, ნერვიული სისტემა შეიროხევა, ნიავეი სხვანაირად დაუბერავს და განწყობილება შეიცვლებაო. ყური უნდა დაუგდოთ — რა მიზეზებზეულად ეხვეწება აეთანდრილი ტარიელს და როგორ გამოზომილია მეთოდურად აეთანდრილის ყოველი სიტყვა. გასაოცარი ცოდნა ადამიანის ფსიქიური მდგომარეობისა, მისი დიალექტიკური ვითარებისა რუსთ-

ველს გამოსახული აქვს მეტყველების გასაოცარ სილამაზეში. მსგავსი ადგილია „ვეფხისტყაოსანში“, როდესაც ავთანდილი ეხვეწება ასმათს გამოქვაბულში: ავთანდილს უნდა შეიტყოს ტარიელის ამხანაგის პირობები და არც იკარებს სალაპარაკოდ; ავთანდილი ვერ ეხვეწება ასმათს, შემდეგ სიკვდილით ემუქრება, დანას ყელით მიუტანს, მაგრამ ასმათს ვერ დაიმორჩილებს. მაშინ დაჯდება და ტარილს დაიწყებს იმ მიზნით, რომ სიბრალულის გრძნობა გამოიწვიოს ასმათში. ვანა ასეთი ადგილები არ შეადგენს რუსთველის პოემის ღირებულებას? ვანა ამაში არ გამოისახება რუსთველის გენიოსობა? ვანა აქ არ გამოიყურება დიდი მეცნიერი-ფილოსოფოსი? ჩამოაშორეთ „ვეფხისტყაოსანს“ მისი ფაბულის და სუფეტის აგებულების თავისებურება, მისი გმირების ტიპოლოგია, და დაგრჩებით ჩვეულებრივი სადღევამირო თხრობა.

რუსთველის მეტყველება ამოწყობილია რუსთველის აზროვნებაში; რუსთველის მხატვრული თქმა ამოქსოვლია მის ფილოსოფიურ გააზრებაში, განცდაში. სასაკილოა ლაპარაკი რუსთველის მხატვრულ თქმაზე რუსთველის აზროვნებისა და მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებლად. რუსთველის მშვენიერი მეტყველება რუსთველის ფილოსოფიურ-მეცნიერული გააზრების სამოსი და გარსია.

რუსთველის შემოქმედება მოქსოვილია ელინური სოფმხედველობით, განსაკუთრებით და კერძოდ — პლატონის იდეებით. ტიპოლოგიურად რუსთველის პოემა პლატონის გნოსეოლოგიის, მისი მთავარი აზრის განსახიერებაა. განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია რუსთველის სოფმხედველობის გამოსარკვევად პლატონის დიალოგები — „პარმენიდი“, „თილეტი“, „რესპუბლიკა“, „ნადიმი“. ამკამად შეეჩერდეთ დიალოგ „პარმენიდი“-ზე. ამ მშვენიერ, მეტად ორიგინალურ ნაწარმოებში მოცემულია დიდ პანათინებზე ჩამოსულ ზენონისა, სოკრატისა და პარმენიდის ბაასი მრავლობისა და ერთეულობის საკითხის გამოსარკვევად. „თუ არსებული, — ეუბნება სოკრატი ზენონს, — არის მრავალი, მაშინ ის უნდა იყოს მსგავსი და არამსგავსი, ეს კი შეუძლებელია, ცხადია, იმიტომ, რომ არამსგავსი არ შეიძლება იყოს მსგავსი და მსგავსი არ შეიძლება იყოს არამსგავსი“. „თუ ასე, — ვანაგრძობს სოკრატი, — შეუძლებელია არამსგავსი იყოს მსგავსი და მსგავსი — არამსგავსი, მაშინ შეუძლებელია მრავლობის არსებობაც. საკითხი დგას: არსებობს თუ არა მსგავსი“. ამ საკითხის გასარკვევად სოკრატი ასკვნის: „თუ შე მაჩვენებენ ამას (მსგავსს) და იმას (არამსგავსს), შენაწევრებული შეიცავს ორივეს თვისებას, მაშინ, ზენონ, ეს არ იქნება უაზრო წარმოსადგენი ისე, როგორც გამოვლენა იმისა, რომ ყველაფერი არის ერთეული ერთეულში შენაწევრებისათვის და, მეორე მხრით, ის (ერთეული) ამავე დროს არის მრავალი მრავლობაში მონაწილეობისათვის“. ამ მიმართულებით გრძელდება მსჯელობა დიალოგში და



შემდეგ პარმენიდას და არისტოტელს შორის ბაასი საგნობრივად იცვლება „ერთისა“ და „ორის“ ურთიერთობაში. მოხუცი პარმენიდი უხსნის არისტოტელს: „რაოდენად ერთეული არის <sup>მსგავსი</sup> <sup>მსგავსი</sup> <sup>მსგავსი</sup> არის მეორეში, რაოდენად ის არის ნაწილების გაერთიანება, ის ჩვენი თავის თავში. ამრიგად, ერთეული აუცილებლად უნდა იყოს თავის თავშიაც და სხვაშიაც“<sup>\*)</sup>. პარმენიდი განაგრძობს: „რაკი ერთეული თავის თავში არის და სხვაშიც არის, ის ყოველთვის უნდა მოძრაობდეს და ისვენებდეს“. მოძრაობა—„სხვაში“ ყოფნის გამოისობით, დასვენება—„თავის თავში“ ყოფნის გამოისობით. ერთეული უნდა იყოს იგივეობაში თავის თავთან და განსხვავებული თავის თავისაგან. ამრიგადვე (უნდა იყოს) იგივეობაში სხვასთან და განსხვავებული მისგან“. ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურად მეტად საყურადღებო მსჯელობა პარმენიდას მიდის შემდეგ დასკვნამდე: „რაოდენად ერთეული იმყოფება „სხვაში“, ის იქნებ ეხებოდეს „სხვას“, რაოდენად იმყოფება თავის თავში, სხვასთან დაახლოებას გაურბის, უახლოედება და ერთვის თავის თავს“.

გაეხსენოთ ეხლა რუსთველის ტიპები, მთავარი გმირები. თინათინი, ნესტანი, ავთანდილი, ტარიელი წარმოადგენენ ზემოხსენებული აზრის ესთეტიურ განსახეობას. თინათინი თავის თავშიც არის და ნესტანშიც. ერთეული იმყოფება სხვაში და იმავე დროს თავის თავში: თავის თავში არის თავისი ხასიათისა და ქცევის მმართველი, სხვაში არის, როგორც „განსხვავებული თავის თავისაგან“. აქედან—რუსთველის გმირების ერთმანეთის ძებნა და ერთმანეთისათვის ტანჯვა: არაბები ეძებენ ინდოელებს. გასაოცარი ამბავია: ფეოდალური კარჩაკეტილობა, შური, მტრობა, მაღალი ყორებით და კედლებით შემოფარგვლა თავისი ყოფისა და არსებობისა, — აი საშუალო საუკუნეები. ფირდოუსის უზარმაზარი პოემა აგებულია უკიდურეს ნაციონალიზმსა და ინდივიდუალობაზე: ირანელები და თურანელები ერთმანეთს ანადგურებენ. რუსთველის პოემაში პირიქით ხდება: არაბები თავგამოდებით შევლიან და ეხმარებიან ინდოელებს. საშუალო საუკუნეებისა და ძველი აღმოსავლეთის კასტიური ინდივიდუალისტური ვაგება ქვეყნისა რუსთველმა წაშალა პლატონის ფილოსოფიით, მისი გნოსეოლოგიით.

ჩვენ ხაზგასმით ვამტკიცებთ რუსთველის პოემის, მისი ფაბულისა და ტიპოლოგიის ფილოსოფიურ ხასიათს: ამოდის რა თავისი ძირეულ დებულებიდან — „შირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, რუსთველი თავისი გმირების მოქმედების და ქცევის განრიგებაში ხელმძღვანელობს პლატონის ფილოსოფიით. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ თავისი პოემის საუკეთესო ადგილს — ანდერძს ავთანდილისას — რუსთველი იწყებს სიტყვებით: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონი-

\*) „Платон“, т. IV, გამოცემა Academia, გვ. 17.

საგან სწავლა თქმულსა“. ავთანდილი ეძებს ტარიელს თინათინის დავალებით, მაგრამ, არც თინათინი და არც ავთანდილი არ არიან დამოკიდებული ტარიელისაგან: თინათინს ტარიელი სულ ასრულებს, ავთანდილმა მხოლოდ შორიდან ნახა ნადირობის დროს. თინათინსა და ავთანდილს ტარიელთან საერთო არაფერი აქვთ, თუ საქმეს შევხედავთ ჩვეულებრივი, ყოველდღიური თვალთ. მაგრამ, დააკვირდით რუსთველის გმირების ურთიერთობას, მათ ქცევასა და ტემპერამენტს პლატონის ფილოსოფიის მიხედვით და მაშინვე დაინახავთ რუსთველის ტიპოლოგიაში პლატონის გნოსელოგიას. ავთანდილი ეძებს ტარიელს და დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნახავს, რომ ტარიელი ცხოვრობს საღვთო გამოქვაბულში უნუგეშოდ. წარმოიდგინეთ, რომ ავთანდილი არ არის განსხვავებული ტარიელისაგან და ამავე დროს არც ჰგავს ტარიელს. ავთანდილი რომ ნასიათით და ქცევით ისეთი იყოს, როგორც ტარიელი, ცხადია, რუსთველის ფაბულა შეწყდებოდა ავთანდილისა და ტარიელის ერთმანეთთან შეხვედრით გამოქვაბულში: ორი საცოდავი შეყვარებული ერთმანეთს გაიცნობდა და დიდი ხნის ტირილის შემდეგ ისინი ან თავს მოიკლავდნენ, ან ვაიუსს ხმაზე მოთქმით ერთმანეთს საშუდამოღ დაშორდებოდნენ, როგორც მოუხერხებელი და საწყალი ადამიანები. მაგრამ ფაბულა გრძელდება, იმიტომ რომ ავთანდილი „განსხვავებულია“ ტარიელისაგან და იმავე დროს იმყოფება „სხვა“-ში, ესე იგი ტარიელში, როგორც შენაწევრებული სიყვარულით და მსგავსი: ავთანდილი მსგავსია ტარიელისა, როგორც შეყვარებული, და იმავე დროს არამსგავსი, როგორც მყოფი თავის თავში და როგორც განსხვავებული ტარიელისაგან თავისი გონიერული მოხერხებით. ტარიელი „სხვაა“ და მისი სხვაობა გამოისახება გრძნობის დიონისურ სიჭარბეში; ტარიელში გონება გრძნობის ტყვეობაშია, ამიტომ მას მოხერხება არა აქვს. ავთანდილი, „სხვაა“ და მისი სხვაობა გამოისახება გონების აპოლონურ წინხედვაში; ავთანდილში გრძნობა გონების ტყვეობაშია, ამიტომ მას უსაზღვრო მოხერხების უნარი აქვს. ყოველგვარ მდგომარეობიდან ავთანდილი გამოსავალს ნახულობს: ასმითთან შეხვედრისას ავთანდილს გაუქირდა, მაგრამ გამოსავალი მაინც მონახა. ტარიელი რომ უგრძნობლად გდებული ნახა ავთანდილმა მოკლულ ლომსა და ვეფხვთან, დიდხანს ეხვეწებოდა, ეალერსებოდა; გაუქირდა ძალიან, მაგრამ ბოლოს ისეთ ფსიქოლოგიურ ხერხს მიმართა, რომ მიზანს მაინც მიაღწია. ნესტანის ამბის გასაგებად რომ წავიდა, იქაც მრავალი უცნაური შემთხვევა გადაეღობა, მაგრამ კვლავ გაიმარჯვა. ქაჯეთის ციხის აღებისათვის ჯარი ესაჭიროება და ავთანდილი მაშინვე გაიფიქრებს — ვის უნდა მიმართოს, სად უნდა წავიდეს. ერთის სიტყვით, ავთანდილის ყოველი ნაბიჯი გაზომილ და მოფიქრებულია. ტარიელი ტირის და გამოსავალს ვერ პოულობს არსებობისათვის ბრძოლა-

ში, ავთანდილი თავისი საქმით და სიტყვით ყოველგან გამო-  
სავალს: „გველსა ზერელით გამოიყვანს ენა ტყბილად მოუბარო“.

პოემის ფაბულა იშლება ავთანდილისა და ტარიელის ურთიერთობა-  
ში: მთელი სივრცე და სირთულე პოემისა, მისი ფაბულისა მოცემულია  
ავთანდილისა და ტარიელის სხვაობასა და მსგავსებაში. სწორედ ამიტომ  
ვამბობთ, რომ მთელი პოემა, დაწყებული ფაბულით, წარმოადგენს ფი-  
ლოსოფიურ ნაწარმოებს, რომლის ფონი პლატონიზმია, ხო-  
ლო კომპოზიციური პროცესი — საქართველოს ისტორია კლასთა ბრძო-  
ლის სიტუაციებით — ფეოდალებისა და ვაჭრების ყოველდღიური ურთი-  
ერთობით.

რუსთველის ფილოსოფიურ-მეტაფიზიკური და ესთეტიკური კონცეპციის  
საწყისი უნდა ვეძიოთ რუსთველის დროის მსოფლიოში. პოემაში აღე-  
ბულია ინდოეთი და არაბეთი. ინდოეთის წარმომადგენლები არიან ნეს-  
ტან-დარეჯანი და ტარიელი, არაბეთის — თინათინი და ავთანდილი. ინ-  
დოეთის კულტურულ-ფსიქოლოგიური პროცესი მოცემულია ემოციური  
დომინანტით, ხოლო არაბეთის — ინტელექტური დომინანტით. სინამდვი-  
ლეში ორივე კულტურა ისტორიულად ქართული კულტურის შენაკადია.  
რუსთველს აღებული აქვს არა ძველი ბედუინების დროის არაბეთი, არა-  
მედ ელინიზებული არაბეთი — პლატონისა და არისტოტელის  
ფილოსოფიაზე აღზრდილი ავთანდილი თავის ფილოსოფიურ-  
მორალურ ანდერძში სწერს როსტევანს: „მე სიტყვას ერთსა გკადრებ,  
პლატონისგან სწავლა თქმულსა“... ავთანდილი არაბია (რუსთველს ეს  
არ ავიწყდება), მაგრამ რუსთველი პლატონის ციტატებით ალაპარაკებს  
მას. ეს მაჩვენებელია ელინური კულტურის გავლენისა. აქ ისტორია ლა-  
პარაკობს. კარგა ხანია განმტკიცებულია საქართველოში სრულებით უსა-  
ფუძვლო აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგიური და ლიტერა-  
ტურული წყარო უნდა ვეძიოთ ირანში. ამისი მიზეზია ხანგრძლივი ურ-  
თიერთობა, რომელიც ისტორიულად არსებობდა საქართველოსა და  
ირანს შორის. ცხადია, რომ ქართულ კულტურაზე გავლენა ჰქონდა  
ირანს, მის პოლიტიკურსა და სოციალ-კულტურულ მიმდინარეობას. მა-  
გრამ რუსთველის დროის კულტურასა და მწერლობას ირანის გავლენა  
ნაკლებად ეტყობა: დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროის მოლ-  
ვაწეები იხსენიებენ უფრო ხშირად საბერძნეთის მწერლებსა და ფილო-  
სოფოსებს. არსენ ბერი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე  
თავიანთ ნაწერებში იხსენიებენ არა ირანის მოღვაწეებსა და მწერ-  
ლებს, არამედ საბერძნეთის კულტურის მესვეურებს. იოანე შავთე-  
ლი „აბუდლ-მესიას“ შესავალში ამბობს: „შემოკრბით ბრძენო, ათი-  
ნელთ ძენო, დავითს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა“... ჩახრუხაძე „თა-  
მარიანს“ იწყებს სოკრატის, პომეროსის, პლატონის,  
არისტოტელის ხსენებით. თვით რუსთველი მოკრძალებით ამბობს:

„მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მოკმული, არ ნადღერო;

წყლად ეფრატმა უხვად ურწყო ედემს რგული აღვა მჭერო,

ბროლ ბადახშსა აშვენებდა თმა გიშერი, წარბი ტევრუცხულის

შე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა ხამს აქებდეს ენა ბევერის

რუსთველი „ვისრამიანს“ იცნობს, მაგრამ არც „ვისრამიანის“ ავტორს და არც სხვა ირანელ მოღვაწეებს არ ასახელებს მეტყველებისა და აზროვნების ნორმების მომცემ მოღვაწეებად. ასეთებად იგი ასახელებს ათინელებს. განა ეს დიდი საბუთი არ არის, რომ რუსთველის შემოქმედების ისტორიულ-ლიტერატურული წყარო ვეძიოთ არა ირანში, არამედ საბერძენეთში? განა ფრაზა „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ საკმარისია, რომ რუსთველის იდეოლოგია, აზრთა სისტემა ვეძიოთ სპარსეთში? რუსთველის პოემა შეიცავს საკმაო საბუთებს მისი ისტორიული გენეზისა და იდეოლოგიურ-ისტორიული წარმოშობის შესწავლისათვის: რუსთველის პოემის ტიპოლოგია და ფილოსოფიურ-ესთეტიური შინაარსი მომდინარეობს ელინთა კულტურიდან, მის იდეოლოგიურ-ესთეტიურ წარმოსახვიდან.

ელინიზმით გაკლენთილია მთელი პოემა: სილამაზისა და სიყვარულის ანტიკური კულტი წარმოადგენს პოემის ფსიქოლოგიურ ფონს, მისი ფაბულის დუღაბს, მისი კომპოზიციის გრეხილს. მეობის აპოლონური და დიონისური საწყისებით რუსთველმა თავის პოემას მისცა უაღრესად ისტორიული ხასიათი: ტარიელი ვეფხვის ტყავშია გაბვეული ისე, როგორც კომროსის გმირი პარისი; ტარიელი ისე დახეტილობს მინდორ-ველად, კლდე-ღრეებში, წყლის პირად, როგორც ელინების დიონისი; გარდაქცევა, სულიერი სიმთვრალე, ექსტაზი ისეთივე თვისებებია ტარიელისა, როგორც დიონისისა. აპოლონი და დიონისი ძმები არიან: ორივენი წარმოადგენენ ადამიანის პიროვნების სტადიალურ ფორმებს. ტარიელი და ავთანდილი შეადგენენ ერთმანეთისადმი მოტრფიალე ტიპებს — ტარიელი უავთანდილოდ საცოდავად გამოიყურება პოემიდან; დიონისიც უაპალონოდ წარმოუდგენელია ბერძნულ მითოლოგიაში. რუსთველის ქალებიც ელინური განსახეობით არიან მოცემულნი: ნესტანი მოგვაგონებს აფროდიტეს, თინათინი — ათინას. აფროდიტე და ნესტანი ვნებაა, ათინა-თინათინი — გონება. ნესტანისა და თინათინის დახასიათებაში რუსთველი აშკარად გამოიყურება, როგორც ძველი ელინი-რუსთველი ქალს საერთოდ ცუდად ახასიათებს:

„სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობს:

გილოზლებს და შეგაკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობს,

შარო ანაზდად ვილაღატებს, გაჰკვეთს, რაცა დაესობს,

შით დიაცსა სამალავი არასოდეს არ ეთბრობს“.

თუ ასეთია ქალი, რად იკლავს თავს ავთანდილი და ტარიელი ქალეზისათვის? საკმარისია ერთი დავალება თინათინისა, რომ ავთანდილი

თავაწყვეტით გადავარდეს ვიღაც უცნობის საძებრად. საკმარისი ერთი წარმოდგენა ნესტან-დარეჯნის სახისა და ტარიელს მაშინვე გული წაუყა. ტარიელს სურს უამბოს ავთანდილს ნესტანის ამბავი, მაგრამ სიძულად რომ თხოვრების დროს გული უსუსტდება და წინასწარ წყაღს იმპარატებს. საკვირველია: ერთის მხრით, პოემაში ნათქვამია „სჯობს სიშორე დიაცისა“-ო, ხოლო მეორე მხრით — ტარიელი და ავთანდილი განელტებულნი არიან დიაცებთან დაახლოების სურვილით. ერთის შეხედვით რაღაც ულოლიკობას აქვს ადგილი. ნუ თუ ასეთი დიდი მოაზროვნე, როგორც რუსთველი, ვერ ამჩნევს ამ წინააღმდეგობას? რუსთველი ელინია მსოფლმშედველობით და იგი ქალს უყურებს, როგორც სილამაზის განსხეულებას. ქალი მისთვის აფროდიტეა, ათინაა. ქალი იდეალის განსახიერებაა. თუ ქალი არ არის აფროდიტე და ათინა, თუ ქალი არ არის ნესტანი და თინათინი, ე. ი. თუ ქალი არ წარმოდგენს სილამაზის სრულყოფილ სახეს, მაშინ „სჯობს სიშორე დიაცისა“, მაშინ ავთანდილი ქალს არ იკარებს. როდესაც ფატმანმა ავთანდილს წერილი მოწერა, ავთანდილმა ელინური განწყობილებით სთქვა:

„ყვეი ვარდა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია,  
მაგრამ მას ზედა ბულბულს ჯერ ტყბილად არ უმღერია,  
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია,  
რა ეთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“.

ამ თქმაში ლაპარაკობს ელინური ეტუღი ქართველი არაბის ტანისამოსში: „ყვეი ვარდა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია“, „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“... ასეთი დიდი წყურვილი სილამაზისა, ასეთი დიდი ლტოლვა ადამიანის სულსა მშვენიერებისაკენ ისტორიულად მხოლოდ ძველ ბერძნებს ახასიათებდა. ამიტომ ამბობს რუსთველი: „თინათინი მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“-ო. თავის ვმირებს — ნესტანს, თინათინს, ტარიელს, ავთანდილს რუსთველი ყოველთვის მზესა და მთვარეს ადარებს. რუსთველის ტიპში სილამაზის კულტია მოცემული. რუსთველის მთელი ყურადღება ამ ტიპებისაკენ არის მიქცეული. მაგრამ აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ტანჯვისა და წვალების გამომსახველ ტიპებად რუსთველს გამოყვანილი ჰყავს ემოციური ტიპები — ნესტანი და ტარიელი. აქაც რუსთველი იჩენს უდიდეს მეცნიერულსა და ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიურ ცოდნას ადამიანებისას, მათი ხვედრისას. ცნობილია, რომ ემოციური ტიპები განსაკუთრებით განიცდიან პირობების გავლენას, ისინი განსაკუთრებით გრძნობენ ცხოვრების სიმწვავეს: მათ მეტის სიმწარით უხდებათ იმის განცდა, რაც ადამიანს ყოველდღიურად აწუხებს და მოსვენებას არ აძლევს. რუსთველი თავისებური სინაზით თანაუგრძნობს ტარიელს: „ტარიელისათვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“-ო, ამბობს რუსთველი. ტარიელისა და ნესტან-დარეჯნის ბედი საესეა ისეთი შემთხვევებით, რომელნიც თქვენში

შებრალებისა და თანაგრძნობის უნაზეს განცდებს იწვევენ. ტარიელი თავის ცრემლებით, გულის წუხილით, მოუსვენარი და ღელევილი სულით, სქესობრივი სიმთვრალით, ეროტიული ექსტაზით განსაზღვრავს „შეგრძნობის დიონისესი, რომელიც მუდამ ტანჯვასა და სულსწრაფობას განიცდის“. რუსთველის ყველა ტიპს აქვს სრულყოფილი ესთეტიური გამოხედვა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი თავისებურია და ინდივიდუალურად კონკრეტული თავისი ქცევით და განცდებით, ტიპებს აქვთ ერთგვარი უნაკლო თვისობრივობა, რაც მათ ზორციელ-ორგანულ ღირებულებას შეადგენს. ნესტან-დარეჯანი, თინათინი, აეთანდილი, ტარიელი ორგანული სიმშვენიერის გამოსახულებანი არიან: ვერც ერთ მათგანს ვერავეითარ ნაკლს ტანის მოყვანილობაში ვერ უპოვით. ისინი ისე მშვენიერები არიან, როგორც ელინთა ღმერთები და გმირები: დიონისი, აპოლო, აფროდიტე, ათინა.

მსოფლიო ლიტერატურაში არ არის ისეთი ნაწარმოები, საიდანაც ადამიანის ტანის აგებულება ისე ლამაზად გამოიყურებოდეს, როგორც რუსთველის პოემიდან: კითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ და თვრებით ადამიანის ტანის სილამაზით, მისი ესთეტიკური გაფორმებით, მისი პლასტიკური გამოხედვით. რუსთველის ტიპები თითქოს პლატონის იდეების რეალურად განსხეულებული ფორმები არიან. რუსთველი თავისი ტიპების დახასიათებს ის დროს სისტემატიურად ხაზს უსვამს არა იმას, რომ ისინი ინდოეთიდან ან არაბეთიდან არიან, არამედ იმას, რომ მათ ქცევასა და ხასიათში, მათ სხეულებრივ-ორგანიულ არსებობაში გაშლილია სიმშვენიერის მთელი შესაძლებლობა. თინათინის ზანგი აეთანდილს კლასიკურად ელაპარაკება: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“. რა არის ეს, თუ არა ცხოვრების, როგორც ესთეტიკური ფენომენის, შეცნობა? განა ამ თქმაში არ გვევლინება ელზნური განცდა და წყურვილი სილამაზისა? აეთანდილის ხმის სიმშვენიერე შედის ბუნების სტიქიებში, მათ ჯიშებსა და ხვეულებში, მათ ნახერცებსა და ნერვიულ სისტემებში. მულაზანზარის ველი თავისი მცენარეებით, ცხოველებით, ფრინველებით, ბაყაყებით, კია-ლუებით, ქვებით და მდინარის ტალღებით სამყაროს დაუსრულებლობას უმღერის აეთანდილის ლამაზ განცდებსა და თინათინისადმი ტრფიალებას; აღელვებული სამყარი აეთანდილთან ერთად განიცდის სიყვარულსა და სილამაზეს, ამიტომ აეთანდილთან ერთად ტირის:

„რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მზეცნი მოვიდიან,  
მისევ ყმისა სიტკობსაგან წყლით ჭვანიცა გამოსტდიან,  
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის ატირდიან:  
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“.

„ვისრამიანშიაც“ არის ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ანთროპომორფული გამოსახულება, მაგრამ რუსთველის კოსმოლოგიურ-ფილოსოფიურ პოეზიასთან შედარებით „ვისრამიანის“ მხატვრული სახეები

მკრთალია. რუსთველს მოხერხებულად შეაქვს თავის მხატვრობაში გაფორმება-მეტყველებაში საშუალო საუკუნეების მთელი ასტრონომიულ-ანთროპომორფიული შეხედულება. მიმართავს რა მზეს, მთვარეს, ვენერას, კრატარდს, ზუალს, ასპიროზს, რუსთველი თითოეულ მათგანს თავისებურად ახასიათებს და ამ დახასიათებიდან ნათლად გამოიყურება საშუალო საუკუნეების კოსმოლოგია თავისი ელინური წარმოშობით და ალექსანდრიულ-არაბული რედაქციებით. ავთანდილის პანთეონში გამოსახულია მის სიმღერაში მულღაზანზარის ველზე.



რუსთველმა ღვთაების წარმოდგენა ადამიანში დაიყვანა სამყაროს წარმოდგენის მთლიანობამდე: რუსთველის ღმერთი შემოქმედებითი ძალია მხოლოდ. სამაგიეროდ რუსთველი ძალიან ხშირად იხსენიებს ზედს და ამ ხსენებაშიაც მოსჩანს ელინური სისტემა რუსთველის მსოფლმხედველობისა: საბერძნეთის თეატრი და ტრაგედიები, მთელი საბერძნეთის კულტურა ბედისაგან იყო დამოკიდებული. თვით ღმერთებიც საბერძნეთში ზედს ემორჩილებოდნენ: omor fofi, — ამბობდნენ ძველები. რუსთველი ამბობს: „გონიერი ჰხამს არაოდეს არ აჩქარდეს, რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, ს ა წ უ თ რ ო ს ა და უ წ ყ ნ ა რ დ ე ს“. ზედი რუსთველს ესმის ანტიური გაგებით: რუსთველის ზედი ბერძნების მორჩაა. ზედს ემორჩილება ყველაფერი, რაც ქვეყნად არსებობს. ადამიანის სიცოცხლე ბრძოლაა ზედის საზღვრამდე; ზედის საზღვარს იქით ადამიანი ვერ წავა, მხოლოდ ზედის მიერ ნაჩვენებ საზღვრებში უნდა იბრძოდეს ადამიანი. ცხოვრების მთელი აზრი ამ ბრძოლის სილამაზეშია; რაც უფრო მარჯვედ, მოხერხებით და თავგანწირვით იბრძვის ადამიანი, მით უფრო ლამაზია მისი ცხოვრება, მისი ყოველდღიური არსებობა. აქედან კულტი ბრძოლისა სიკვდილამდე: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ნაძრახი ცხოვრება რუსთველს არ უყვარს, არსებობის ყოველ წუთში, სიცოცხლის მთელ მიმდინარეობაში რუსთველი სილამაზეს ეძიებს. ცხოვრების აზრი სილამაზეშია, — ამბობს რუსთველი. მაგრამ სილამაზე შეუძლებელია იქ, სადაც ადამიანი არ იბრძვის. აქ რუსთველი გოეტეს უახლოვდება. „ფაუსტის“ ავტორი ამბობს: „მხოლოდ ის არის ღირსი ცხოვრებისა, ვინც არსებობის ყოველი წუთი ბრძოლით მოიპოვა“. მოქმედებისა და ბრძოლის ფილოსოფია წარმოადგენს რუსთველის მსოფლმხედველობის დამახასიათებელ თვისებას. „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა. რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“, — განაგრძობს რუსთველი ფილოსოფიურად. ამ სიტყვებით ლაპარაკობს ცხოვრებისადმი უდიდესი სიყვარული და თან აზრის გამოყენება ადამიანის ცხოვრების საჭიროებისა და საქმიანობისათვის.



რუსთველი ქადაგებს გონების გამოყენებას, აზრის მონმარებას / ცხოვრებისა და ადამიანისათვის: „რა შისკირდეს, მაშინ უნდა გონებმა გონიერსა“. რა მშვენიერი აზრია და რა ახლოა ჩვენს ბუნებასთან. სილამაზისა და მშვენიერების ფილოსოფოსი სრულებითაც არ არის პატარა სურვილებისა და რესტორანული განწყობილების ამჟამი გედონისტი: რუსთველი მტკიცე და სტოიკური ნებისყოფის მქადაგებელია. ავთანდილი ეუბნება ტარიელს: „რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“; „ასრე არ სჯობდეს არ გეტყვი“... ეს დიალექტიკური სიღრმით ნათქვამი აზრი უდიდესი მნიშვნელობისაა.

რუსთველის პოეზია საგნობრივი პოეზიაა. (ამ სიტყვის კარგის ვაგებით): მისი საგანი აზრიაო „შაირობა პირველადე სიბრძნისაა ერთი დარგი“. მაშასადამე, პოეზიის ბუნება გამომდინარეობს სიბრძნიდან — ცხოვრების ფილოსოფიიდან, აზრიდან. რუსთველი ფორმალიზმის, სქემის, შაბლონის, ტრაფარეტის წინააღმდეგია. რუსთველი ცხოვრებას უყურებს, როგორც ვითარებას, შემოქმედებას, შესაძლებლობას და აუცილებლობას. რუსთველის ცხოვრების ფილოსოფია ტრიალებს შესაძლებლობასა და აუცილებლობას შორის. აუცილებლობასთან ბრძოლა იძლევა შესაძლებლობას. აქედან — იდეა მაქსიმალური ბრძოლისა: „რა მისკირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“. აზრის გამოყენებასთან, რომლის შესახებაც ჯერ ვლაპარაკობდით, აქ ეხლა უნდა აღინიშნოს რუსთველის მსოფლმხედველობის მეორე თვისება — თვისება პედაგოგიურ-დიდაქტიური: რუსთველს შემოაქვს ევოლიონტარისტული იდეები აზროვნების ისტორიასა და აღზრდაში. ადამიანის სითამამე ბედისწერასთან ბრძოლაში, ძლიერი ნებისყოფის აღზრდა და მომართვა, — აი რა ესაქიროება ცხოვრებას რუსთველის აზრით. ადამიანი იბრძვის აუცილებლობის არეში, მაგრამ თავისი ბრძოლით იგი თვით აუცილებლობაში ჰქმნის შესაძლებლობას. მთელი სიგრძე-სიგანით წამოჭრილია დეტერმინიზმისა და ინდეტერმინიზმის საკითხი. საბოლოო ანგარიშში რუსთველი დეტერმინისტი: ცხოვრების პროცესი რუსთველისთვის აუცილებლობის შეუბრალებელი ვითარებაა. მაგრამ, ადამიანს არ მართებს ძილი, უმოქმედობა, სასოწარკვეთილი მოქნარება, პირიქით:

„არა გვარგებს სიძიმბილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,  
 არ გარდავა გადრუვალად მომავალი, სიქმე ზენა,  
 წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა,  
 არ ვის ძალუმს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

ასეთ განმარტებას აძლევს ადამიანისა და ბედის ურთიერთობის შესახებ მეფე როსტევეანს რუსთველის გმირი ავთანდილი. ფრიად საინტერესოა ამ ტაეპში აზრთა კონტრაპუნქტული აგებულება. პირველ სტრიქონში გამოსახულია ადამიანის სტოიკური განწყობილება, მეორეში —



გარდუვალობისა და აუცილებლობის იდეა, მესამეში — ისევე ადამიანური მძლეობისა და მამა-პაპური თმენის, ატანის განცდვა, კიოფუფუ მყოთხეში — ისევე განსაზღვრულობის და აუცილებლობის ტიპა: მამა-პაპური და მესამე სტრიქონი აზრობრივად მეორე და მეთხე სტრიქონების კონტრაპუნქტებია: ადამიანური მძლეობა და ზედი ერთმანეთს ებრძვიან და ამ ბრძოლის პროცესიდან გამოიყურება ადამიანის გამძლეობის, ამტანობისა და ქცევის ელინური სილამაზე. მოიგონეთ და წარმოიდგინეთ საბერძნეთის კულტურა თავისი მითებით, ბრძოლით, ქცევისა და ხასიათის სილამაზით, ტანისა და აზრის სიმშვენიერით, ტრაგედიული ტიპებით: ყველგან ადამიანი ებრძვის ზედს, აუცილებლობას, და მთელი აზრი ადამიანის ცხოვრებისა ამ ბრძოლის პროცესის სილამაზეშია. ესჟილის პრომეთე, მიჯაჭვული სკვითეთის კლდეზე, დამარცხებულთა, მაგრამ ტიტანიურად ლამაზია იგი თავისი ბრძოლით და ადამიანური მორალით. პრომეთე-ელაპარაკება ზევესის მოხელეს — ჰერმესს: „გაჯეროდეს, რომ მე უბედურებას ჩემსას არ გავცვლი შენს მონობის ხელობაშია“...

რუსთველის ზედი არსებითად წააგავს ანტიკურ მოიროს, მაგრამ მოიროსაგან მაინც განსხვავდება: რუსთველი ხშირად იგივეებს ზედსა და განგებას, თუმცა განგებაც რუსთველის პოემაში იგივეა, რაც ბერძნების ლოგოსი.

რუსთველის პოემას თავიდან ბოლომდე ასულდგმულებს ადამიანის კულტი, მისი მოხერხება და სილამაზე. ადამიანის უდანაშაულო წვალება და წუხილი აწერილია რუსთველური გაშლით და მეტყველების უდიდესი მარაგით მთელს პოემაში. სწორედ ამით განსხვავდება რუსთველის პოემა აღმოსავლეთის ყველა ლიტერატურული ძეგლისაგან და კერძოდ ირანელი ლიტერატურის კლასიკური ფორმებისაგან.

ისტორიულად ცნობილია ირანის და საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა: ჯერ კიდევ მესხეთე საუკუნეში ჩვენ გვაქვს ფრიად საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტი ქართულ-ირანული ურთიერთობის დამახასიათებელი. ამ ურთიერთობიდან სჩანს, რომ პოლიტიკური მომენტი ასხვადფერებდა არა მარტო სახელმწიფოებრივ მდგომარეობას საქართველოში, არამედ ოჯახსა და სიყვარულსაც, ბავშვების მოვლასა და აღზრდასაც: პეროზ მეფე და ვარსკენ პიტიაში, შუშანიკის წვალება, იაკობ ხუცესის როლი ვარსკენ პიტიაშია ოჯახურ ცხოვრებაში, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობა, მოცემული იაკობ ხუცესის მშვენიერ მოთხრობაში, — ყველაფერი ეს დოკუმენტალურად ამტკიცებს ირანისა და საქართველოს მჭიდრო ურთიერთობას უძველეს დროიდან.

ამ ისტორიულ ურთიერთობაში მიმოდინდა სოციალურ მოძრაობათა კულტურულ-იდეოლოგიური გავლენა: ძველი ირანი და საქართველო ხანგრძლივად ახდენდენ ერთმანეთზე კულტურულ გავლენას. ირანის



ემოსი არა მარტო ითარგმნებოდა ლიტერატურულად, არამედ ჩებირ თქმულების გზითაც შემოდოდა საქართველოში: ცნობიერების ქაღალდური ევროსიები როსტომ-ზურაბიანის და ბეჟანიანისა.

ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ში მხატვრული თვალსაზრისით მითური ნაწილი უფრო მეტ ღირებულებას შეიცავს, ვიდრე ისტორიული: როდესაც აკვირდებით ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ს არქიტექტონიკას, აშკარად ამჩნევთ, რომ ფორდოუსის მხატვრულ წარმოსახვასა და განსახებობას ამშვენებს განსაკუთრებით მითური კოლოსალიზმა მოვლენების, ხასიათებისა, გმირობისა; მოიგონეთ ზაალის, როსტომის, ნარიშანის რაინდულ-ზნეობრივი თვისებანი; მოიგონეთ, რა სიზუსტით ემყარება ფირდოუსი ნაციონალური პეროიკის იდეალს, მისი ტერიტორიულ-ისტორიული შემოზღუდვის ნაციონალურ ინტერესს; მოიგონეთ, როგორ მარჯვეთ არის ჩაქსოვილი ერანელთა მოქმედებაში სიკეთე, სილამაზე პატიოსნება, ადამიანობა, გმირობა, დარბაისლობა, სულგრძელობა — ერთის სიტყვით, ყველაფერი, რაც ამშვენებს ადამიანს; მოიგონეთ, როგორ შეთქვებილია თურანელთა ქცევა, ხასიათი, ადამიანობა ბოროტებას, სისაზიზღრეს, დალატს, გაიდევრობას, მოტყუებას, დევებისა და აღქაჯების დახმარებას. მთელს „შაჰ-ნამე“-ში მოცემულია ანტაგონიზმისა და მტრობის იდეა, გამწვანებული და აწყობილი მეტყველების მომხიბლავი სილამაზით, სიტყვათაწყობის შინაგანი თავისუფლებით.

რუსთველის პოემის იდეოლოგიური წყობა, მისი ფაბულური საფუძველი უალრესად ინტერნაციონალურია: ადამიანებთან ბრძოლაში დევებსა და ქაჯებს უცბად ეღებათ ბოლო, რუსთველი გატაცებული მომღერალი და ფილოსოფოსია ადამიანის მოხერხებისა, მისი გონებრივ-ფსიქიური სიმდიდრისა, მისი ჭკუის და განცდისა. ანტაგონიზმისა და მტრობის იდეა რუსთველს გადააქვს ადამიანთა ურთიერთობის მიღმა: მთელს „ვეფხისტყაოსანში“ ისმის ადამიანის მძლეობის, მისი ბრძოლისა და კეთილშობილების ინტერნაციონალური ხმა, ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ინდოეთიდან არიან, თინათინი და აფთანდილი არაბეთიდან, მაგრამ ნაციონალურ-ტერიტორიული არეების სხვადასხვაობა ხელს არ უშლის მათ ერთმანეთისადმი სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობაში ტიპები ტიპოლოგიურად სხვადასხვაობენ, მაგრამ როგორც ადამიანები ერთად არიან, ერთმანეთს ეხმარებიან, ერთმანეთისთვის ზრუნავენ. ჩვენ არა გვაქვს არავითარი განზრახვა რუსთველის მოდერნიზაციის, მაგრამ არ შეიძლება ფაქტი არ აღინიშნოს. არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო იმ მდგომარეობას, რომელშიაც ცხოვრობს რუსთველი და რომლის ისტორიული აზრი გამოისახება ინდივიდუალიზმის უსაზღვრო პრეტენზიებში; homo homini lupus est — იმეორებენ საშუალო საუკუნეები რომაელების კაცობაში ცხოვრების ფილოსოფიას. ევროპასა და ჩვენში ერთიანად მყარი და მტკიცე იყო ეგოცენტრიული მსოფლგაგება.

ამ დროს რუსთველი იდეალურად აკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა ეროვნების ინტერესებს, მათ საქმეებსა და მიზნებს. საშუალო ხანის ხელოვნებები, უაღრესად კარბაკეტილი და ყოველმხრივ შემოზღუდული მსოფლიო პერიოდი და ამ პერიოდში რუსთველი ახერხებს ისეთი აზრების გამოთქმას, რომელთაც ატარებენ მისი გმირები, განსაკუთრებით მისი ავთანდილი და რომელთა მსგავსი რუსთველამდე აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში არ შეგხვდებათ. ცხადია, რომ ამით რუსთველი ძირეულად განსხვავდება ფირდოუსისაგან, მიუხედავად იმ ვაულებისა, რომელსაც ახდენდა საუკუნეთა განმავლობაში ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე ფირდოუსი თავისი უკვდავი პოემით, თავისი ბრძნული თქმულებებით და ფაბულების კოლოსალური სიმდიდრით.

ისტორიულად ცნობილია, რომ „ვისრამიანი“ ირანული წარმოშობისაა. ნათარგმნია თუ გადმოკეთებული „ვისრამიანი“, სულ ერთია — მისი ფაბულა და ტიპოლოგია ირანული ფსიქოლოგიის ფონზე არის გაშლილი. რუსთველი იცნობს „ვისრამიანს“, იხსენიებს კიდევაც მას თავის პოემის სხვადასხვა ადგილას. მაგრამ რუსთველის პოემაში მაინც არ არის გატარებული „ვისრამიანის“ მორალურ-ფსიქოლოგიური პრინციპი: „ვისრამიანის“ ტიპები წარმოადგენენ ისეთ ფსიქიურ-გონებრივ თვისებებს, ისეთ განწყობილებას და ქცევას, რომელთაც რუსთველის გმირები არასოდეს არ ჩაიდენენ, ღრმა სიყვარულისა და გატაცების გრძნობებთან ერთად „ვისრამიანი“ მთლიანად პირფერობის, ორპირობის, ეგოიზმის, ლალატის, ჯადოსნობისა და თილისმის ამბავს შეიცავს. „ვისრამიანის“ გმირები ცბიერი ადამიანები არიან: ერთმანეთის უდიდესი სიყვარულის დროსაც კი გულში ერთმანეთის ლალატს ატარებენ. თვით დედა მოლალატეა თავისი ქალიშვილისა: ვისი შაპრს თავისი შვილისათვის უნდა, რადგან ძალიან ლამაზია. ეგოიზმით გაელენთილი დედა მზად არის ქალიშვილი ვაჟიშვილს შერთოს ცოლად; წარმართობის სოციალური ფსიქოლოგია და ჩვეულებანი ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ, როდესაც მოხუცი მოაბადი ჭრთამს გაუგზავნის შაპრის, შაპრო მზად არის ორივეს უღალატოს — ვაჟსაც და ქალსაც.

მართალია, რუსთველის გმირები სხვაგვარნი არიან: ისინი ბოროტებასაც სჩადიან, კაცებსაც კლავენ, მაგრამ მათი ასეთი ქცევა ყოველთვის გამოწვეულია მათი მდგომარეობის აუცილებლობით: ბოროტება, ადამიანების ბოროტი ქცევა რუსთველის პოემაში ყოველთვის სიტუაციურია, ესე იგი გამომდინარეობს არა ბოროტი განზრახვიდან, არამედ არსებობის აუცილებლობიდან: ავთანდილი ჰკლავს კაცს არა როგორც კაცის შველელი, არა წინასწარ განზრახვით, არამედ შემთხვევით, მას ესაჭიროება დანაშაულის ჩადენა თავისი კეთილშობილი მიზნის მისაღწევად. ფატმანმა იცის ის, რაც ეგრე ესაჭიროება ავთანდილს, რომ იცოდეს, ამიტომ, ავთანდილი იძულებულია შეასრულოს ფატმანის დავალება. ბრძოლის

პროცესი მოითხოვს მსხვერპლს, მორალურ დათმობას, და ერთნაირად მოაქვს მოკრილი თითი ფატმანის საყვარლისა, რომლის ტანი და თავი ავთანდილმა კედელს მიასრისა. სულ სხვა მდგომარეობაა „გეტაში“<sup>\*)</sup>: მისი გმირები ცბიერებასა და ბოროტებას აკულტირებენ. „ვისრამიანის“ გმირები ეშმაკი, ფლიდი და ცბიერი ბალზია. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, პირიქით, კეთილშობილებისა და ადამიანების განსახიერებას წარმოადგენენ: ადამიანი დიდი ხერხითა და ტანჯვით იმარჯვებს არსებობისათვის ბრძოლაში. ყოველთვის და ყველგან რუსთველის პოემაში მოსწავს ადამიანობის მძლეობა, სულისა და ტანის სილამაზე.

ელინურ-ნეოპლატონური იდეებით რუსთველი ებრძვის ცბიერებისა და თილისმების იდეებს. ელინოფილობა საქართველოში საგრძნობი საზოგადოებრივი მიმდინარეობა ყოფილა.<sup>\*)</sup> ამ მიმდინარეობას ებრძოდნენ ოფიციალურად და დაორგანიზებულად სწორედ მე-11 საუკუნის დამლევს და მე-12 საუკუნის დასაწყისში. ქართული ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი საყვედურსა და მწარე უკმაყოფილებას აცხადებს იმ დევნის გამო, რომელსაც იგი განიცდის როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში. 1082—83 წ. წ., როდესაც სტამბულში გაასამართლეს ცნობილი ნეოპლატონიკოსი იოანე იტალი, იოანე პეტრიწსაც დაუწყეს დევნა. იოანე პეტრიწი ასე თუ ისე ურიგდება იმ დევნას, რომელსაც იგი ბერძნებისაგან განიცდის, მაგრამ მწარეა და მძიმე მისთვის ქართველების მხრივ დევნა, ქართველები უნდა მეხმარებოდნენ, ქართველებს უნდა უხაროდეთ, კიდევ, რომ მათ შორის არის ადამიანი „ხელოვნებაში გათვითცნობიერებულნი სულით“ და „ახლოვნებაში გაბრძნებულნი“, — ამბობს იოანე პეტრიწი: — „ეთარმედ წმინდასა განგებასა ღვთისასა კაცი ტოპისაგან ჩ — სა უწარმოებია ხელოვნებათაგან სულითა დახელოვნებული, ხოლო ხედვათაგან გონებისათა ვაგონებული“. ამისთანა კაცს, — განაგრძობს იოანე პეტრიწი, — უნდა დახმარება, ხელის შეწყობა, უნდა წამლობა მის ტკივილებს, „რამე თუ, — ასევის ავტორი ფილოსოფიურად, — მედინისა ბუნებისა არს კაცი, ეამსა რღუვევისა მისისა უცნაურობს“. დღევანდელი ქართულით ეს მშვენიერი აზრი იჭნება: ადამიანი დენადი ბუნების შემოქმედებაა და მან არ იცის, როდის დადგება მისი დაშლის დრო. ამ სიტყვებში მოცემულია მთელი სულიერი დრამა. ქართველი ფილოსოფოსისა, რომელსაც დევნიან სამშობლოში, რომელსაც მუშაობის საშუალება არა აქვს. „მე რომ რაიმე სიყვარულით და დახმარებით ესარგებლობდე, ვაგიარდი ადვილად ბედთა წინააღმდეგობას და გეფიცებით თეორიისადმი თვითტოლვით მე ქართულ ენას დავამსვავსებდი ბერძნულს და ფილოსოფიური სოფლმხედველობის თეორიას შევიმუშავებდი არის-

<sup>\*)</sup> Н. Марр: „Иоанн Петр. — философ неоплатон. XII века“.

ტოტელის მსგავსად“\*). ამ სიტყვებიდან გამოიყურება დიდი ფილოსოფიური განზრახვა, დიდი კულტურა აზროვნებისა, ამასთან დიდი წინააღმდეგობა პეტრიწისა და საზოგადოებას შორის. იოანე პეტრიწის დიდი ერუდიციის ფილოსოფოსია, მშვენიერი მთარგმნელია პეტრიწი ვატაყბულთა პლატონის მოძღვრებით და თარგმნის დიდი ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოხის ან პროკლე იონელის ფილოსოფიურ ნაწარმოებს „კავშირნი ღვთის მეტყულებითნი“. პროკლე დიადოხი: ფილოსოფიის ისტორიაში პლატონის გვერდით უდიდეს ნეოპლატონიკოსად ითვლება: მას თარგმნიან არაბულად, სომხურად, ქართულად. ყველგან პროკლეს იდეები წინააღმდეგობას იწვევენ. რასაც მწუხარებით ამბობს საქართველოში იოანე პეტრიწი, იმასვე ამბობენ სომხეთში სომეხი ღვთისმეტყველები. ნეოპლატონიზმი გადაიქცა ცოცხალ პოლიტიკურ მოძრაობად მსოფლიოში: იტალიაში ნეოპლატონიზმი რელიგიურ სახეს იღებს; საქართველოსა და სომხეთში იგი მთელი სოფლმშენებლობაა, რომლისთვის დევნიან მთაზროვნეებს. თომა აკვინელი, უდიდესი ავტორიტეტი ქრისტიანული სოფლმშენებლობისა, დიდი ხალისით კითხულობს პროკლე დიადოხის ნაწერებს, თუმცა იმავე დროს ცდილობს, ფრთხილად იყოს, რადგან პროკლე დიადოხი სულით და სოფლმშენებლობით ნამდვილი ელინი ფილოსოფიაა, პლატონის ერთგული მოწაფე. იოანე პეტრიწი თარგმნის მის წიგნს „კავშირნი ღვთის მეტყულებითნი“. ამ წიგნში თავიდან ბოლომდე გაშლილია ნეოპლატონიური ონტოლოგია. ღვთისმეტყველებასთან ამ წიგნს ნაკლები კავშირი აქვს. პროკლე დიადოხის ქართული ტექსტის პირველი თავი ასე იწყება: „ყოველი სიმრავლე ეზიარების რაითავე ერთსა, ხოლო, თუ არ ეზიარების, არცა ყოველი ერთ იყოს, არცა თითოეული მრავალთა. რომელთაგან სიმრავლე, არამედ იყოს თითოეულიცა მათი მრავალთა ესე, ვიდრე უსაზღვრობამდე. და თითოეულთა ამით უსაზღვრობათა იყოს კ—დ სიმრავლე უსაზღვრო. არც ერთსა თანამზიარებელი. არც თავისსა საყოველთაოსადმი და არცა თვის შორის თვითეულისადმი“. ამ ადგილის მთელი აზრი გამოსახავს სიმრავლისა და ერთის ურთიერთობას. სიმრავლე და ერთი ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და ერთმანეთს ერთიან. სხვა სახით მათ არსებობა არ შეუძლიათ. ერთი იძლევა მრავალს და მრავალში სახიერდება, ხოლო მრავალში ერთი ჩნდება, როგორც სიმრავლის შესაძლებლობა; აქედან — პირდაპირ და უმეშუოდ იღვა ერთისა, „რომელმაც მოგვცა ჭეყანა, გვაქვს უთვალავი ფერისა“. „ვეფხის-ტყაოსნის“ ავტორი იცნობდა უდაოდ პროკლე დიადოხის ნაწერებს, მის ქართულ კომენტარიებსაც.

\*) Н. Марр: „Иоани Петр. — философ неоплатон. XII века“.

ნეოპლატონიზმი მეტად მწვავე და პოლიტიკური ხასიათის იდეოლოგიური მიმდინარეობაა. თ. უსპენსკის და ნ. შარს მოწყაეთ ან აკომნიის აზრი, რომელიც ახასიათებს ნეოპლატონიზმს როგორც სოციალ-პოლიტიკურ მიმდინარეობას. კონსტანტინეანოზის ეკლესიას ამ-ვინიდან კითხულობენ თეზისებს იოანე იტალის მოძღვრების წინააღმდეგ: აუარებელი ხალხი ქედმოხდილი ისმენს ორტოდოქსალური ქრისტიანობის სიტყვებს და ყოველი თეზისის დამთავრებისას იძახის — „ანათემა“ (კრულვა). დევნილი ფილოსოფოსი იოანე, იტალი თავის პირად მეგობარს ვილაც „აფხაზს“ სწერს: „ის, რაც მე ებლა გავიგონე ბერისაგან შენზე, ყოვლად განსწავლულო, მე არ მიმაჩნია შენი ჩემდამო მტკიცე მეგობრობისა და განწყობილების საწინააღმდეგოდ, რადგან შენ წინადაც ზრუნავდი ჩემზე და იყავი ყველაზე დიდი სახელოვანი მაქება-რი, მომზრე ჩემი (იდეების); ამისათვის, მივიღე რა ეს ამანათები, მაქვს საფუძველი მშვენიერად დავასკვნა და დავამტკიცო, რომ შენ არ გადასხვაფერებულხარ, არამედ რჩები, რაც იყავი, როგორც მე შენ დიდ ხნიდან დღემდე კარვად გიცნობ“. იოანე იტალი თავისი დიდი ისტორიული ღირებულების წერილს ამთავრებს, სხვათა შორს, შემდეგი სიტყვებით: „შენ იცი, რასაც მე ვლაპარაკობ; შენ იცოდი, რომ (საქმე) ეგრე იყო“. აქ მთელი სოციალ-ფილოსოფიური და ისტორიულ-პოლიტიკური ამბებია, რაც მოწმობს იოანე იტალისა და საქართველოს ერთეულობას. მართლაც ვინ არის აფხაზი, რომელსაც მეგობრული სიყვარულით სწერს იოანე იტალი? ექვს გარეშეა, რომ ეს აფხაზი უნდა იყოს ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტროვი, ნეოპლატონიკოსი და იოანე იტალის იდეური თანამგზავრი.

ნეოპლატონიზმი განსაკუთრებით ძლიერ სოციალურ იდეოლოგიად იქცა შეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში. საქართველოსა და სომხეთში, მცირე აზიასა და ბიზანტია-რომში ნეოპლატონიზმს ჰქონდა თავისი ისტორიული სახე, მაგრამ საბოლოოდ ნეოპლატონიზმი ყველგან ერთგვარი იდეური ტრამპლინი იყო პლატონის ფილოსოფიაში გადასასვლელად. ნეოპლატონიზმი ისეთი ფორმა იყო ფილოსოფიის ისტორიაში, რომელიც ბერთიანებდა აზროვნებას რელიგიურ პრინციპებთან, მაგრამ ამ გაერთიანებას საბოლოოდ ფილოსოფიურ ხასიათს აძლევდა. ნეოპლატონიზმის ისტორიაში აღსანიშნავია სამი მომენტი — ალექსანდრიული, სირიული და ათინურ-ბიზანტიური. თითოეულ ამ მომენტს თავისი გამომსახველი ჰყავს. ჩვეულებრივად ნეოპლატონიზმის მამამთავრად ასახელებენ ფილოსოფოსს პლიტინს, რომელიც დაიბადა ეგვიპტეში, ქ. დიკოპოლში, 204 წ. პლოტინი იყო მოწაფე ამონიელ საკასიასი, რომელიც ალექსანდრიაში კითხულობდა ლექციებს. პლოტინი ლებულობდა მონაწილეობას იმპერატორ გორდონის ომებში. გამოკვეთულია, რომ 244 წ. პლოტინი დაბრუნ-

ნებულა რომში და დაუწყია მასწავლებლობა. პლოტინს რომში დიდი გავლენა ჰქონია. მას დახმარებია რომის იმპერატორი გალიენი. იმპერატორ გალიენის დახმარებით პლოტინს განუზრუნველყვეს მსოფლიო კამპანიაში ფილოსოფოსების ქალაქის დაარსება. ამ ქალაქს უნდა დაეკეთებოდა პლატონის სახელი; ქალაქი უნდა აშენებულიყო იმ სტეპით, რომელიც მოცემულია პლატონის „სახელმწიფოში“ და უნდა გადაქცეულიყო ელინისტური კულტურის მონასტრის მსგავს ერთგვარ ცენტრად. პლოტინის მოძღვრება თანდათან, საუკუნეთა განმავლობაში, გადაიქცა ევროპის, განსაკუთრებით სამხრეთი ქვეყნების, არისტოკრაციის მსოფლმხედველობად: ევროპის ფეოდალური არისტოკრაციისათვის პლოტინი ისეთივე მოვლენა იყო, როგორც პლატონი საბერძნეთის მეშამულეებისა და, საერთოდ, მაღალი წოდებისათვის. დამახასიათებელია სოციალისტორიულად ის ფაქტი, რომ პლოტინის მოძღვრება ისტორიაში გაიზდა მაშინ, როდესაც ანტიკური კულტურის ნანგრევებზე წარმოიშვა ახალი არისტოკრატია. პლოტინის ფილოსოფია განსაკუთრებით ვრცელდებოდა არისტოკრატიულ წრეებში. მთელი საუკუნეების განმავლობაში ამ ფილოსოფიას ჰყავდა მრავალი მიმდევარი და გატაცებული თავყვინისმცემელი. პლოტინის ფილოსოფიის ისტორიულ არეს წარმოადგენდა რომი, ბიზანტია, ათინა, მცირე აზია, ალექსანდრია, საქართველო, სომხეთი. ამ ქვეყნებში პლოტინის მოწაფეები აწყობდნენ წრეებს, სთარგმნიდნენ მასწავლებლის ნაწერებს, სიტყვიერად ავრცელებდნენ გადმოცემებს. ფრიად საგულისხმოა, რომ იტალიაში პლოტინის კულტი რელიგიად გადაიქცა. მდიდარი კომერციული არისტოკრატია ფლორენციისა სათავეში მოექცა ქალაქს. კოზიმი მედიჩი ანტიკური კულტურის ძველი ხელნაწერების უდიდესი თავყვანისმცემელი იყო. მის სახლში იკრებებოდნენ მეცნიერები, ფილოსოფოსები, კომენტატორები, მხატვრები. მედიჩის წრეში იყვნენ ლეონარდო ბრუნი, ნიკოლო ნიკოლი, პოჯიო ბრაჩიოლინი. ეს უკანასკნელი უდიდესი მოყვარული იყო ანტიკური კულტურისა. კოზიმი მედიჩის შვილისშვილი ლორენცო მედიჩი ანეთარებს და აგრძელებს თავის სახელოვანი წინაპრის საქმეს: კოზიმო მედიჩიმ დააარსა ფლორენციაში პლატონის სახელობის აკადემია; ერთ დროს ამ აკადემიას სათავეში ედგა პლატონის დიდი მთარგმნელი მარსელიო გიჩინო. პლატონის სახელობის აკადემია უდიდესი დაწესებულება იყო მაშინ. მსოფლიოში. ამ აკადემიის სხდომას ესწრებოდნენ ევროპის ყველა კუთხიდან, აკადემიის სხდომები ზამთრობით ფლორენციაში იმართებოდა, თვით ლორენცოს სასახლეში: ზაფხულობით გადიოდნენ ქალაქ გარედ და იქ მართავდნენ სხდომებს. დაცულია პლატონის აკადემიის ორი სხდომის აღწერა: ერთი სხდომა გამართულია კამალდოღში, მეორე — ლორენცოს ვილაში, კარეჯში. საინტერესოა დღის წესრიგი. პირველ სხდომაზე დასმული ყოფილა შემდეგი საკითხი: რომელი ცხოვრება უკ-

თვისა — ჰერეტიკთი თუ მოქმედებითი. მეორე დღეს გარჩეული საკითხი ადამიანის უმაღლესი ბედნიერების შესახებ. მესამე დაუჭერეფე დღეს ვილაც ლეონ ალბერტს წაუკითხავს მოხსენება პლატონის ფილოსოფიისა და ენადას შესახებ. საინტერესო ყოფილა სტილი პლატონის აკადემიის სხდომებისა: დიდი თაყვანისცემისა და ვედრების შემდეგ კითხულობდენ პლატონის „სიმპოზიონს“ და მსჯელობდენ პლატონურ სიყვარულის შესახებ. 7 ნოემბერს მიღებული ჰქონიათ პლატონის მოსაგონარი სხდომის გამართვა: მოგონება იხსნებოდა სიტყვებით და დებატებით; შემდეგ იღვმებოდა აპოთეოზი: ამალღებულ ადგილზე ღვამდენ პლატონის თეთრ მარმარილოს ქანდაკებას; ქანდაკებას ამშვენებდენ გვირგვინებით; ქანდაკების წინაშე ამბობდენ ლექსებს და საგანგებოდ შეთხზულ ზოტბას, ლოცვებს. ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პლატონის აკადემიის სხდომები რაღაც გრანდიოზული და მეტად საინტერესო იყო \*). ამ სხდომებს ესწრებოდენ ევროპის სხვადასხვა კუთხიდან მეცნიერები, ფილოსოფოსები, მხატვრები; ადვილად შესაძლებელია, რომ საქართველოდანაც მიდიოდენ ამ სხდომებზე დასასწრებლად. ყოველ შემთხვევაში უდაოა, რომ ასეთი დიდი თაყვანისცემა პლატონის ფილოსოფიისა, მისი პიროვნებისა უსათუოდ გამოიწვევდა საქართველოში ფილოსოფიურ-ქრისტიანული ხასიათის ერთგვარ განყოფილებას.

ამრიგად პლატონის ფილოსოფია უკავშირდება სოციალ-ისტორიულად ევროპის ფეოდალურ არისტოკრატის დაორგანიზების ხანას. მის ისტორიულ გაბატონებას და მძლევანობას. პლატონის ფილოსოფიის წყარო უნდა ვეძიოთ აუცილებლად პლატონის ფილოსოფიაში, ხოლო ორივეს საწყისი — ანტიორისა და ევროპიული ფეოდალური არისტოკრატების სიტუაციურ მსგავსებაში. სწორი არ არის ის აზრი, რომელიც ამორებს პლატონის მსოფლმხედველობას პლატონის ფილოსოფიას: პლატონის ფილოსოფიასა და პლატონის ფილოსოფიას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ელინურ-კლასიციზმსა და ფრანგულ ფსევდო-კლასიციზმს შორის. მიუხედავად თავისებურებისა, პლატონის ფილოსოფია ამოსულია პლატონის ფილოსოფიის საწყისიდან. სწორედ ამიტომ ქართულ ლიტერატურაში პლატონის ფილოსოფიური იდეები პლატონის აზროვნების სამოსელშია გახვეული. ანტიკური სული ტრიალებს ქართულ არისტოკრატულ წრეებში და „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციაში ელინურმა მსოფლმხედვამ დაამარცხა ქრისტიანული მოძღვრება: წარმარული სულიერი განწყობილების ექსტაზმა დაფარა აზროვნების ქრისტიანული განყენება. ქართული კულტურის ისტორია განსაკუთრებით გრძნობს „ელინურისა“ და „ქრისტიანულის“ ბრძოლას. ასეთი

\*) W. Kahl. Die Lehre von Primat des Willens bei Augustinus Duns Scotus und Descotes.



ბრძოლა დასავლეთ ევროპაში გათავდა კათოლიკური რაქონალიზ-  
მით და ინკვიციებით. საქართველოში ელინიზმმა ისტორიულ ფსი-  
ქოლოგიურად დაამარცხა ქრისტიანობა თავისი დოგმატიკური და სოციალ-  
ნალიზმით. დასავლეთი ევროპა იცნობს ერესებსა და პრივილეგიებს,  
ინკვიზიტორებსა და შშრალ დოგმატიკორებს. საქართველოში ქრისტიან-  
ობამ ერესი არ იცის, არც ინკვიზიტორები იცის; ისტორიულ ცენტრებიდან  
განდევნილმა ელინიზმმა საქართველოში თავი შეაფარა ეტნოგრაფიულ  
განყოფილებას. ქართული ხალხური თქმულებები ენათესავებიან ფსიქოლო-  
გიურად ელინურ მითებს: პრომეთე და ამირანი, სამეგრელოს ოჩი-კოჩი და  
ოდისეს პოლიფემი. სად არის ქრისტიანული განცდა ქართულ ლიტერატურა-  
ტურაში? ბარათაშვილსაც კი სიტყვა ქრისტე არსად არ უხმარია  
თავის ნაწერებში. ილია ჭავჭავაძემ მწყემსი ქალი ლეთის-  
მშობლის ხატად გადაუქცია ლოცვით და მარხვით დათენთილ ბერს.  
ვაჟა-ფშაველას პოეზია ხომ წარმართობის დიდება და ღალატია.  
შოთა რუსთველმა მომართა ქართული ლიტერატურის მექანიზმი  
ელინიზმით და გადასცა საქართველოს ისტორიას მოძრაობის რიტმი. ელი-  
ნიზმის უარყოფა შეუძლებელია მსოფლიო ისტორიაში, კიდევ უფრო შე-  
უძლებელია საქართველოში. დანტე ალიგიერი თავის ნაწარმო-  
ებს იწყებს ანტიკური ფილოსოფოსებისა და პოეტების ლიბში მოთავე-  
სებით. რა გასაკვირველია, თუ შოთა რუსთაველი — ათინის სტუდენტი,  
ელინური კულტურის გატაცებული თავყვანისმცემელი, ხელმძღვანელობ-  
და პლატონის იდეებით.

იტალია და მცირე აზია მოფენილია სკოლებით, მათი მებრძოლი მიმ-  
დევრებით, მათი ორგანიზაციები: „შენ კარგად იცოდი, რომ საქმე ეგრე  
მიდიოდა“, — სწერს იოანე იტალი — იოანე პეტრიწონელი ს.  
რომელი საქმე? რა საქმე? ცხადია, ფილოსოფიურ-იდეოლოგიური, ცხა-  
დია, ქრისტიანობასთან ბრძოლის საქმე, რომელიც კონსტანტინეპოლისა  
და ბიზანტიის ხალხის ანათებაში გადადის.

საქართველოში იოანე პეტრიწი მარტო არ არის: მასთან  
მის ეპოქაში დგანან ფილოსოფოსები თეოფილე, ეფრემ მცირე,  
ბრძენი სტეფანე, არსენ იყალთოელი, რომელთა  
აზრებიც, ანტონ კათოლიკოსის სიტყვით, „თოვლის ფიფქო-  
ვით“ იფანტებოდა საქართველოსა და საქართველოს გარშემო, რომელთაც  
საზოგადოებაში ავტორიტეტი და პატივისცემა ჰქონდათ მოპოებული.

განა შეიძლება დაუშვათ, რომ ვეფხისტყაოსანის“ ავტორი, აზროვ-  
ნებისა და მეტყველების უზრეტი წყარო, არ იცნობდა ნეოპლატონურ  
ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელსაც საქართველოში ისეთი წარმო-  
შადგენლები ჰყავდა, როგორც არიან ეფრემ მცირე და იოანე  
პეტრიწონელი? ფრიად აღსანიშნავია, რომ თავისი პოემის უმშვე-  
ნიერეს ადგილს — მეფე როსტევისასაღმე აეთანდილის მიერ დატოვებულ



ანდერძს რუსთველი იწყებს ფილოსოფოსს პლატონის იდეებით: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა თქმულსა მსგავსს და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. აქ ჩვენ გვაქვს ნეოპლატონიზმით, მისი მორალით და ადამიანური პრინციპებით ვისრამიანული ვერაგული ცხოვრების ფილოსოფიის დაძლევა: რუსთველმა თავის მსოფლმხედველობაში შეიტანა ყველაფერი, რაც მას მიაჩნია დადებითად, ადამიანურად, წარმართულად, ორგანული შინაარსის მატარებლად, რაც წარმოადგენს ადამიანის, მის გარშემო არსებული სამყაროს ცოცხალ ბუნებას. არსად რუსთველს არ ეტყობა საშუალო საუკუნეობრივი ფორმალიზმი, სქოლასტიკურ-ეკლესიური და დოგმატიური მიდგომა ადამიანისა და ბუნებისადმი. ნეოპლატონიზმით რუსთველი პირდაპირ-ჩადის ელინიზმის შინაგანობაში, მის ფილოსოფიურ-ესთეტიურ არსსა და სიღრმეში: რუსთველის მსოფლმხედველობა არა თუ არ ამოიწურება ნეოპლატონიზმის ფორმალურ-დოგმატიური პრინციპებით, არამედ არსად „ვეფხისტყაოსანში“ არა ჩანს კვალი წმინდა სქოლასტიკური მსოფლმხედველობისა, მისი კლერიკალური ჰეგემონიის და გემოვნებისა.

რუსთველი წარმართია, ნამდვილი წარმართი, უსაზღვროდ შეყვარებული ბუნებას, მის გაშლილობას, მის სილამაზეს, მის სტიქიებსა და მოვლენებს. სილამაზე ორგანიული, სილამაზე სულიერი, სილამაზე ზნეობრივი, საერთოდ ადამიანური. — აი რუსთველის იდეალი. მსოფლიო ლიტერატურაში არ არის მწყრალი, რომელიც ასე ინტენსიურად, მთელი არსებითა და განცდით, მთელი სულითა და გულით ეტრფოდეს სილამაზეს — ტანისა და სულის სილამაზეს. მენაქენი აეთანდილს ეუბნებიან: „ტურფაო სახითა და ანაგებითა“ (842). აეთანდილი კითხულობს, ვინ განაგებს ზღვის სანაპირო ქვეყანას, მაკ პასუხობენ: „ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა... იგია ჩვენი პატრონი, მსგავსი ცით ზუქთა მფენისა“ (843). ფრიდონმა კაცი ვაგზავნა აეთანდილის შესახვედრად: „მონა ფიცხლა მოვეება, ნახა სარო, მორჩი ტანი, დადგა, თვალნი გაურტდეს, დაავიწყეს სიტყვის თქმანი“ (853). მონა დაბრუნდა და ფრიდონს მოახსენეს: მზე ვნახე მოსრული, ჩანს მანათობლად დღისისად“ (855). ფრიდონის მხლებლები აეთანდილს შესახებ ამბობენ: „ასეთი ხორციელი შეუქმნია რაგვარ რასა“ (859); „ეთანდილ მკრელთა აშვენებს ტურფითა პაეროფერითა. მელნისა ტბათა მოჯაერით ჰპურავს გიშრისა ჯერითა“ (878). ქალაქში რომ შევიდენ, მათ შეხედენ „მონანი, ტურფად მოსილნი, წესითა იყენენ სრულითა“. „შეპფრავინენდიან აეთანდილს გულითა სულწასულითა“ (879). აეთანდილი და ფრიდონი ერთმანეთს დაშორდენ; აეთანდილი მიდის: „ფრიდონ დადგა, ყმა წაედა, შემხედველთა მკვლელი ტანი“ (893); აეთანდილს მგზავრები ეუბნებიან ტარიელის შესახებ: „მისი მსგავსი შევენება კაცთაგან უნახავია“ (140). ასმათი ეცნო-

ბა ავთანდილსა და ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება: „ხარ უცალოდ ქარგი ვინმე, მოყმე ბრძენთა საქებარი“ (192): ტარიელი და ავთანდილი ერთად შეხვედნენ ერთმანეთს გამოქვეყნულში: რუსთაველის „განწყობილ ებას“ შეხვედრას, ამბობს:

„გამოვეება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად:  
ანუ კით მთვარე უღრუბლოდ შექთა სოჭენდეს ქვე ბარად,  
რომე მათ-თანა იღვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არად,  
გვანდეს შეიღთავე მნათობსა, სხვადმცა არსა ეოქვი მე დარად“.

რუსთაველის პოემის იდეოლოგია შინაარსურულად სინთეტიურია. ამ სინთეზში რომ ირანულ-არაბული ნაკადი არის, ცხადია; ამას მოწმობს ტიპების სამოქმედო არე, ავთანდილისა და თინათინის გენეალოგია და მრავალი სხვა. მაგრამ, რაც ირანულ-არაბულია პოემაში, ის არსებითად სქემაა, ხოლო სული, კონცეპცია ელინურ-ნეოპლატონიურია. მიუხედავად ასეთი სინთეტური წარმოშობისა, მთელი პოემა თავისი მდიდარი მეტყველებით, ფსიქიურ-ესთეტიკური განცდის ექსპრესიით, მხატვრული წყობით ღრმად ქართულია და ორიგინალური: მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად შეგხვდებათ ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ასე მძლავრად ემჩნეოდეს დიდი შემოქმედის ხელი. რუსთაველის პოემა ერთი დიდი სიმფონიაა: რუსთაველის სიტყვების წყობა ს პ ე ც ი ფ ი უ რ ე ნ ე რ გ ი უ ლ გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს იძლევა ადამიანის ნებისყოფის სამოქმედო, საბრძოლო, მომართვისათვის. პოემა იკითხება ლაღი და გაშლილი თქმით, აქტიური განწყობილებით, ნერვული სისტემის შეუწყვეტელი ვიბრაციით. ფირდოუსის, პომპროსის, ვირგილიუსის, დანტეს ნაწერებს კითხულობთ ყოველთვის ეპიკური სიმშვიდით, მიშვებულნი განწყობილებით. რუსთაველის თქმა გაღვლეებით, გატოკებით, გახალისებით: თითქო დრო არ გასულა, თითქო ტარიელის და ავთანდილის ამბავი გუშინ მომხდარა. მომხიბლავი სიმშვენიერით გამოიყურება რუსთაველის მთელი მხატვრული განსახეობა საშუალო საუკუნეების სიღრმიდან, მის სიბნელიდან. თქმისა და გაანზრების მოხერხებაში რუსთაველს ვერაფერ შეედრება მსოფლიო ლიტერატურაში. რუსთაველის შემოქმედება იმის დამამტკიცებელია, რომ ხელოვნებაში, განსაკუთრებით ლიტერატურაში ლაპარაკობენ არა მარტო სახეები, არამედ მეტყველების რიტმი და პოეტური ტექნიკის კომპლექსი.

რუსთაველის პოემას სახეებთან ერთად აბასიანებს შეუდარებელი რიტმული დინამიკა, რაც განსაკუთრებულ სიმშვენიერეს აძლევს რუსთაველის შემოქმედებას და რაც ორგანიულად გამომდინარეობს ქართული კულტურის მთელი განვითარებიდან, მისი ისტორიული თავისებურებიდან, რუსთაველის პოეზია ბრძოლისა და ადამიანური მძლეობის პოეზიაა: რუსთაველის თქმაში ისმის ისტორიული განცდების, მათი შინაგანი ტე-

ვისა და დიაპაზონის, მათი რიტმიული რხევისა და ლელვის ძრობის, მუსიკა. არაბულ-ირანული და ელინურ-ნეოპლატონური სუფიზმის რიტმანთეს შეზღვილი და შელესილია გენიოსური განცდით და ვაშლილი მსოფლმხედველობით: რუსთაველი დგას არსენ იყალთოელისა, იოანე პეტრიწისა და იოანე შავთელის კულტურულ-ესთეტიურ მემკვიდრეობათა დიდ შარა-გზაზე და გარკვეულ სოციალ-კლასობრივ განცდებს აყოვლადებს საკაცობრიო ღირებულებაში. რუსთველი ჩამოვარდნილი მეტეორი არ არის: ის მთლიანად შესაძლებლობაა ქართული კულტურისა, მისი ისტორიის გარკვეული პერიოდისა. იგი კულტურულ-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიური ძლიერების შედეგია, მაგრამ შედეგი, რომელმაც მოიპოვა მსოფლიო გასაქანი თავისი შინაგანი პოტენციით, იმანენტური რაობით.

რუსთველის შემოქმედების ისტორიული ხასიათი შინაარსეულად სოციალ კლასობრივია: არც ერთი ისტორიის არც ერთი პერიოდი არ არის თავის შინაგანი ვითარებით დამოუკიდებელი: ისტორია არ არსებობს იქ, სადაც არ არის საზოგადოება, ხოლო საზოგადოება შინაარსეულად ყოველთვის კლასთა ურთიერთობაა. ისტორიული პროცესი ისე კი არ მიმდინარეობს, როგორც ვოლფშტრომი ოკეანეში: ისტორიული პროცესი სტადიალურად მიჰყავს მმართველსა და ძლიერ ნაწილს საზოგადოებისას; სოციალური ფენების ურთიერთობაში ძლიერი მიმართულება იმორჩილებს დანარჩენებს და ფაქტიურად ისტორიაში ამოდის მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს საყურადღებოს და თვალსაჩინოს სოციალურ-ურთიერთობაში. ძლიერი მიმართულება სოციალურ ურთიერთობაში იძლევა სისტემასა და სტილს. ისტორიაც ყოველთვის შერჩეული სტილითა და სისტემით ლაპარაკობს.

რუსთველის პოემის იდეოლოგია, მისი მხატვრული გაფორმება და რიტმიული დინამიკა მომდინარეობენ გარკვეულ სოციალურ ფორმაციის შინაგანობიდან, მისი პოტენციიდან.

როდესაც რომელიმე სოციალური ფორმაცია მოძლიერდება საკმაოდ, მისი მმართველი კლასი ეძიებს, როგორც შიგნით, თავის არეში, ისე სხვა ქვეყნების მსგავს სოციალურ ფორმაციებში კულტურისა და აზროვნების ისეთ ფორმებს, რომლებიც მას გამოადგება თავისი ინტერესისა და მოთხოვნილების გამოსახვისათვის. როდესაც რუსეთის ფეოდალური არისტოკრატია სოციალ-ეკონომიურად და კლასობრივად გამაგრდა, მას დაებადა მოთხოვნილება იქონიოს აზროვნებისა და მეტყველების სტილი. ამისათვის მან მიმართა საფრანგეთის ფეოდალურ არისტოკრატიას, მის იდეოლოგებს — ბუალოს, რასინს, კორნელს, ვოლტერს: რუსეთში იწყებენ ლაპარაკს რასინისა და ბუალოს სიტყვებით; რუსეთის მემამულეთა ინტელიგენცია ბუნებრივად ბაძავს თავის ისტორიულ კოლეგას — საფრანგეთის მემამულეთა ინტელიგენციას. ერთი

ქვეყნის სტილი მეორე ქვეყანაში გადადის გაბატონებულ კლასებს შორის ისტორიულად გადებული ხიდი. თუ რომელიმე რეჟიმის კულტურული კლასი ჰყარავს თავის სოციალ-პოლიტიკურ პოზიციას, მისი კულტურული სტილებისა და იდეათა მიზნების ხიდი, მიმოსვლა ისპობა. საფრანგეთის ფეოდალურ არისტოკრატისა და საბერძნეთის ფეოდალურ არისტოკრატის შორისაც ასეთივე ურთიერთობა იყო. საბერძნეთის კლასიკური კულტურის ისტორიული გაფორმებიდან ლუი მეთოთხმეტეს ეპოქამდე შრავალმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია საფრანგეთში ეწერა და ელაპარაკა ანტიკური საბერძნეთის პოეტის მიხედვით, მითიური გმირების თქმებით. ისტორიულად გამავრებული, ორგანიზაციულად ძლიერი ფეოდალური არისტოკრატია საფრანგეთისა იკრიბება სალონებში: მას აქვს მოცალეობა და ხალისი იფიჭროს მეტყველებისა და აზროვნების სტილისათვის, ეძიოს ეს სტილი, მონახოს და შეიმუშაოს. ბუნებრივად ამ ძიების შარა-გზაზე ფრანგები ხედებიან ბერძნებს. ჭრონოლოგიას აქ მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი აქ ისტორიულ-კლასობრივი და სოციალური მდგომარეობაა.

ყველა ქვეყნის არისტოკრატია ასე იქცევა. იტალიაშიაც ასეთი ამბავი მოხდა: დანტე ალიგიერის დამოკიდებულება ანტიკური კულტურისადმი, პატივისცემა ჰომეროსისა, პლატონისა, არისტოტელისა და ვირჯილიუსისადმი იტალიის არისტოკრატის კლასობრივი ინტერესისა და მოთხოვნების მაჩვენებელია.

ცაღია, ქართული კულტურაც ვერ გაეჭეოდა ამ ისტორიულ კანონს. ფეოდალური არისტოკრატია საქართველოში დავით აღმაშენებლის შემდეგ მომავრებულა: მას აქვს ისტორიული წარსული, კულტურა. სოციალ-პოლიტიკური გამავრება ხელს უწყობს ტრადიციის შენარჩუნებას, მის ვაგრძელება-განვითარებას გარკვეული მიმართულებით, დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა პირობები სოციალური კულტურის ყველა ფორმის გაძლიერებისათვის: ქართველი ფეოდალური არისტოკრატია თავისი ინტერესის მიმართებით აფორმებს ქართული საზოგადოებისა და კულტურის ვითარებას: ებრძვის სხვა სოციალურ ფენებს, იყენებს მათ თავისი მიზნებისათვის, ხოლო თავისი მიზნების განსახეობისათვის იშველიებს აღმოსავლეთურსა და ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურებს.

რუსთველის პოემის ფაბულა და სიუჟეტი ისტორიულ წახანაგზეა გაშლილი: ერთის მხრით, მსოფლიო კულტურის დიდი შენაკალები, განსაკუთრებით ელინური არისტოკრატის ესთეტიკური მსოფლგაგება, მეორე მხრით — საქართველოს შინაგანი სოციალური ცხოვრება ფეოდალებისა და ეპარქების ყოველდღიური რეალური ურთიერთობით შეადგენენ რუსთველის პოემის ისტორიულ წყაროებს. ვიმეორებთ: რუსთველის შემოქმედება უაღრესად სინთეტური და ისტორიულად ორიგინალურია. რუსთველის პოემაში წამყვან სოციალურ ძალად გამოიყურება ფეოდალური

არისტოკრატია, მაგრამ ამ არისტოკრატიას ესაჭიროება ვაჭრობა კლასი, რომელმაც იცის საერთაშორისო გზები, რომელიც აქვრებმა უყოფრაფიულ არეებს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ჭკნახა-ზსქქქქი შაჰანდი, მოხერხებისა და მიხვედრის შეუდარებელი ოსტატი ავთანდილი ამბის შესატყობად, ნესტანის შესახებ ცნობების მისაღებად მიდის ვიღაც ვაჭრის ცოლთან, ფატმან-ხათუნთან. მარტო ეს ფაქტი საკმარისია, რომ დაერწინუნდეთ რუსთველის დიდ დაკვირვებაში: ცხადია, საქმე გვაქვს არა მარტო დიდ პოეტთან, არამედ დიდ მოაზროვნესთან, საზოგადოებრივი კულტურის დიდ მკოდნესთან. მართალია, რუსთველის დროს სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, არ არსებობდა, მაგრამ რუსთველი შინც დიდი სოციოლოგია.

ავთანდილი საჭიროებს ფატმან-ხათუნის დახმარებას — ისე ვერაფერს აკეთებს, მიუხედავად თავისი გენიოსური მოხერხებისა და მიხვედრისა. ფეოდალური არისტოკრატია ისტორიულად მოწოდებულია იყოს საზოგადოების მეთაური, მაგრამ ვაჭრების დაუხმარებლად ვერაფერს გააკეთებს.

ამ მხატვრულ ფაქტში ჩაქსოვილია უდიდესი სოციალური საკითხი კლასთა ურთიერთობის შესახებ: რუსთველი ესთეტიური სახეებით ამტკიცებს ფეოდალური არისტოკრატისა და საეაჭრო არისტოკრატის კონსოლიდაციის აუცილებლობას, მხოლოდ ფეოდალური არისტოკრატის მეთაურობით, საქართველოს ისტორიას ახსოვს კლასთა ურთიერთობის გამწვავების მომენტი თამარის ეპოქაში — ახსოვს მომენტი ფეოდალური არისტოკრატის ულტიმატუმის და შემდეგ კონსოლიდაციისა. რუსთველი ფრიალ-მოხერხებულად შლის ფეოდალიზმისა და საეაჭრო კაპიტალის ადრინდელი ურთიერთობის სოციალურ პრობლემას. ჩვენ ავლნიშნით სხვაგან კლასების ურთიერთობა „ვეფხისტყაოსანში“. აქ ვაყენებთ ამ ურთიერთობის სუბეტურ-კომპოზიციური მნიშვნელობის საკითხს. რუსთველი შლის სოციალურ ფილოსოფიას ესთეტიკურ სახეებში გასაოცარი სიძლიერით და მეტყველების სიმდიდრით: ელიზნურსა და ნეოპლატონურ იდეებს რუსთველი იმარჯვებს თავისი სოციალურ კლასობრივი კონცეპციის მომართვისა და განსახეობისათვის. რუსთველის ავთანდილი იმიტომ ატარებს არაბიზებულ ელიზნურ-ნეოპლატონურ იდეებს, რომ ის არაბია, რომ არაბული კულტურის განვითარებულ არეშია აღზრდილი, ხოლო არაბეთს ისტორიულად შეთვისებული აქვთ ელიზნური ცივილიზაცია თავისი პლატონებით და არისტოტელებით. არაბეთი იცნობდა აგრეთვე ნეოპლატონურ მიმართულებას: პროკლე დიადოხის ნაწერები თარგმნილი იყო არაბულად. მეორე მხრით, ნეოპლატონიზმი და მისი ისტორიული წყარო საქართველოში შემოდრიოდენ ბიზანტიის გზით და მიმართულებით.

ამრიგად, რუსთველის სოციალური არე გავლენითილია ელენის ნეო-პლატონურ და არაბულ-მუსლიმანურ ფორმებში. „ვეფხისტყაოსანი“ გაშლილია სწორედ აქ, ამ სოციალ-ისტორიულ მომენტში, როდესაც ნეო-პლატონური-ესთეტიკურ წახნაგზე, ამ მდიდარ ისტორიულ პირობებს ესაყიარებოდა სინთეტიკური გენია, რომელიც ისტორიულ-კულტურულმა შესაძლებლობამ გაშალა რუსთველის შემოქმედებაში და რომელიც პირველი გააღებდა პირველი რენესანსის მსოფლიოში.

გეროპის რენესანსი დაგვიანებული და დასრულებული სახეა ადრინდელი რენესანსისა, რომელიც იწყება საშუალო საუკუნეებში არაბთა მიმოფანტვით. დასავლეთსა და აღმოსავლეთში არაბებმა ერთნაირად ითამაშეს დიდი კულტურული როლი. არაბთა მოძრაობა ისტორიაში ატარებს გადატანით პროპაგანდულ ხასიათს. ის, რაც გავითვალსებინა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სახელდობრ ათინა-რომსა და ინდო-ჩინეთში, შედის არაბთა მოძრაობაში, როგორც შემონაკადი დიდი ცივილიზაციისა: არაბებმა საშუალო საუკუნეებში თავი ისახელეს არა მარტო დიდი ფრესკებით, ორნამენტებით, სასახლეებისა და მიწვეთების სტილით, არამედ დიდი ფილოსოფოსებისა და მეცნიერების თარგმნებით, მათი იდეების გავრცელებით. არაბთა მოძრაობაში არის რაღაც ანტისქოლასტიკური, ანტიფორმალური, რაღაც ჰუმანური და კულტურული — ფართო გაგებით. ტყუილად კი არ უნიშნავდა ჯამაგირს არაბ ბერებსა და სწავლულებს მეფე დავით აღმაშენებელი. დიდი პოლიტიკოსი ხელმძღვანელობდა არა ფილანტროპიული ზრახვებით და კაცთმოყვარული გულანუყებით, არამედ კულტურულ-პოლიტიკური მოსაზრებით. არაბთა მოძრაობა ისტორიულად ხედება ნეოპლატონურ იდეათა გავრცელებას და ვინც ცხოვრობდა ამ ორი კულტურულ-იდეოლოგიური მიმდინარეობის პერიოდში, მას არ შეიძლებოდა, რაც უნდა კარგი ქრისტიანი ყოფილიყო იგი, არ განეცადა ფსიქო-გონებრივი რეკონსტრუქცია.

„ვეფხისტყაოსანი“ ავტორი, დიდი აზროვნებისა და ძლიერი განწყობილების, ტემპერამენტის კაცი, ცხადია, არ დაკმაყოფილდებოდა ასეთ ეპოქაში მარტო ეკლესიური ღაღადით, ოფიციალური სქოლოსტიკით. რუსთველი, არაბულ-ელენურ კულტურათა ყველა ფორმისა, ყველა სტილის და მიმდინარეობის მკოდნე, თავის მდიდარ ესთეტიკურს წარმოსახვაში თავისუფლად ირჩევს ისეთ მხატვრულ სახეებს, იდეებს, ფერებს, რომელთაც აქვთ ეპოქის სოციალური მიმართების და ინტერესის შესატყვისი ღირებულება: არაბეთისა და საბერძნეთის დიდ არისტოკრატიათა ცხოვრების ფილოსოფია, შეხედულებანი, ესთეტიკური სახეები უფრო ენათესავება ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის დიდი პოეტის სულს, ვიდრე ქრისტიანული სქოლასტიკა და ეკლესიური ფორმალიზმი. აი სად არის რუსთველის მსოფლშედეგლობის, მის ესთეტიკური დასისტემების სოციალურ-კლასობრივი საწყისი, აი სად უნდა ვე-

ძლით რუსთაველის ცხოვრების ფილოსოფიის ისტორიული მიზნები. რუსთაველის დროის პოეტები თავიანთ ნაწერებს იწყებენ სიტყვებით — „არსებით ღმერთმან, სამებით, ერთმან“. რუსთაველის მთელმა შემოქმედებასად არ არის ნახსენები სამება, არც ქრისტე. რუსთაველი თავის შემოქმედებას ფილოსოფიას უპირდაპირებს ქრისტიანულ ფორმალისმს და ეკლესიის დოგმატიკას. ამ დაპირდაპირებაში რუსთაველი გყრდნობა არაბულ-ელენურ კულტურათა დიდ ცოდნას, ელენური მითოლოგიის სიმბოლოებს.

მართლაც: სწანიდების დიდი კულტურული მემკვიდრეობა თავისი მხატვრული სახეებით, ტრადიციებით, ქსოვილებისა და ოჯახური მორთულობის თავისებური სტილით, ირანო-ელენური ცივილიზაცია, ათვისებული და პროპაგანდრებული არაბთა მოძრაობით, იონე იტალიისა, პროკლე დიოდოხისა და იოანე პეტრიწონელის ნეობლატონური იდეები, გავრცელებული განსაკუთრებით არისტოკრატიულ წრეებში, — აი ის ნოყიერი, იდეოლოგიურად მსუფვე ისტორიულ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, რომელშიაც იზრდება, ვითარდება და ესთეტიურად სახიერდება რუსთაველის გენია. უდაოა, რომ რუსთაველის სოფლმხედველობას აშკარად ეტყობა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურათა ღრმა გავლენა. უდაოა, რომ რუსთაველის შემოქმედება სინათეშია დიდ ცივილიზაციათა ორგანიული შემონაკადებისა, მაგრამ ეს შემონაკადები ერთმანეთს შეხორცებულა, შერწყმულია ელენური სტილით, გემოვნებით, ხერხით, საქართველოს ისტორიის რეალური სოციალ-კლასობრივი მოთხოვნილებების ამყოლებით.

რუსთაველის პოემა ღრმად და ორიგინალურად მოფიქრებული ნაწარმოებია, რომელიც დაწერილია გარკვეული მიზნით, გარკვეული სოციალური ფსიქოლოგიის მიხედვით: რუსთაველს უნდა, რომ კაცობრიობის მთელი კულტურა, გამოცდილება, სიბრძნე. — ყველაფერი, რაც ცივილიზაციის მიღწევას შეადგენს, მოიყვანოს ერთგვარ სისტემაში თავისი დიდი ეპოქისა და ისტორიის ტენდენციის შინაგანი ზრახვების, გამოსახატავად.

რას იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მისი ავტორის ვინაობის გამოჩვენებისა და მისი მსოფლმხედველობის დახასიათებისათვის? ავთანდილი „ზღვისა პირსა მიეა ოთხითა მონათა, წამალსა ტარიელისა ეძიებს ყოვლითა ღონითა“. „ღლისით და ღამით მქრალი, იღვრების ცრემლთა ფონითა, ჩალად უწმს ყოვლი ქვეყანა, მისივე ჩალისა წიწნითა“. დაღლილი ავთანდილი უიმედობაშია ჩაეარდნილი. გამოსავალს ვერ ხედავს. რა ქნას, არ იცის. მოულოდნელად წააწყდება ვაქართა ქარავანს:

„მუნ ქარავანი ურაცხვი იდგა მის ზღვისა კიდესა.

შეიპირებდეს, კმუნვიდეს, ვერცა ღლს, ვერცა ვლიდესა“.

ავთანდილი შეიტყობს, რომ ქარავანი წამოსულია ეგვიპტიდან და ყაჩაღებისაგან შეშინებული ვერ მიდის წინ. ვაქართა უხუცესი ეუბნება ავ-



თანდილს: „შევიდეთ, ვა თუ დაგეზოცნენ, ძალი არა გეჭკვება; ვერ ვდგავართ, ვერცა წავსულვართ, ღონე წაგვესლია რჩობისა“. ავთანდილი კისრულობს ვაჭრების დაცვას და არწმუნებს მათ, რომ ეჭვიმყუფველებს მეკობრეებთან ბრძოლაში. პოემაში ძალიან მოხერხებულად გამოყენებული ვაჭართა უნუგეშო მდგომარეობა, მათი შიში და წუხილი. ავთანდილი თვისი გმირული სულით და მებრძოლი ხასიათით დაპირისპირებულია ამ ჯაბან ვაჭრებთან. ვაჭრები სხედან და ტირიან, რომ პატრონი და მცველი არა ჰყავთ, ავთანდილი მათ ესაჭიროებათ, როგორც მცველი და ვაჭრებისაგან მხსნელი. სწორედ ეს ადგილია რუსთაველის მსოფლმხედველობის სოციალ-კლასობრივი საწყისის მაჩვენებელი. ავთანდილი ვაჭრებს უებნება:

„თქვენ ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი.

შორს ისრითა არ დაგზოცნენ, ჩაიბრჩენით თანა ვარნი,  
მარტო მნახე ვით შეგება, ვით ეიხმარნე დომნი მკლავნი,  
მეკობრისა ნავისანი სისბლი მნახნეთ მონადვარნი“.

დარწმუნებული თავის სიძლიერეში, ავთანდილი მარტო შეეტაკება მეკობრეებს და შეუბრალებლად ხოცავს მათ:

„მათ ლაშქართა გულ-უწიშრად ასრე ხოცდა, ვითა თხასა,  
ზოგი ნავსა შენარცბის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა;  
ერთმან-ერთისა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა  
ჰკრის რვასა“.

ვინც რჩომილა, მკვდართა შუა იმალვიან, კმალავენ ხმასა“.

ვაჭართა სიხარულს საზღვარი არა აქვს, ავთანდილმა ქარაევანი გადაარჩინა, მეკობრეები დახოცა. ვაჭრები მიდიან და კოცნიან გამარჯვებულ ავთანდილს. ვიმეორებთ: ეს ადგილი პოემაში ისეთი ოსტატობით არის აწერილი, იქ იმდენი პოლიტიკური ამბავია გამოთქმული, რომ თამამად შეგვიძლია ამის მიხედვით ვაეკეთოთ ფრიად მნიშვნელოვანი ხასიათის დასკვნა.

„მოვეგბნეს, აკოცებდეს თავსა, პირსა, ფერხთა, ხელსა,  
ჰკადრეს ჰება უსაზომო მას ტურფასა საქმელსა;  
მოსი ჰვრეტა გაიშმაგებს კაცსა ბრძენსა, ვითა ხელსა,  
მენგან დავრჩით ჰვენ ყველანი ფათერაკსა ეზომ ძნელსა“.

ავთანდილის შესახებ რუსთაველი მოხდენილად ამბობს: „ჰშვენოდეს დაკოდლილობა, ცოტა რამე ვნებოდეს“. კეთილშობილი ავთანდილი, ჰკუთნა სავსე და მოხერხებული, ფიზიკურადაც ძლიერი. იგი ვაჭრებს მოევილინა, როგორც დამცველი და ხელმძღვანელი. ვაჭრები ფრიად კმაყოფილნი არი-

ან ავთანდილის რაინდული და კეთილშობილი ქცევით. ვაჭრის წარმომადგენელი ეუბნება ავთანდილს:



„შენგან ვართ გამაგრებულნი. ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდოქსიკენული რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა“.

ბიბლიონთეა

მაგრამ რუსთველი თავის ავთანდილს ახასიათებს ისეთ კაცად, რომელსაც ჭონება არ აინტერესებს. ვაჭრები სიბაზუღით თაყვანს სცემენ ავთანდილს:

„მოვიდეს და თავიანი სცეს, ჰკადრეს: ჩვენი იმედია“.

დააკვირდით — რა გატაცებით ეუბნებიან ვაჭრები ფეოდალ ავთანდილს „ჩვენი იმედია“ — ი. გადაიტანეთ რუსთველის ფაბულა, მისი სუფიტი და კომპოზიცია ისტორიულ სინამდვილეში. ვახსენეთ თამარ მეფის ეპოქა, ვაჭრებისა და ფეოდალების შეტაკება, თამარ მეფის სასახლე, ალყა შემორტყმული. ეს დიდი სოციალ-კლასობრივი კონფლიქტი რუსთველს გენიოსურად აქვს გაშლილი, როგორც საფუძველი და მიზეზი პოემის წარმოშობისა. კონკრეტული მაგალითებით უმტკიცებს რუსთველი თავის მკითხველებს, რომ ვაჭრებს ამ ქვეყნად ესაჭიროებათ ისეთი მოხერხებულები, ჭკუიანი და ძლიერი დამცველნი, როგორიცაა ავთანდილი. მაგრამ დიდი მხატვარი იმასაც ხედავს, რომ ფეოდალებს ესაჭიროებათ ვაჭრები, მათი ოჯახები და ცოლები. ფილოსოფოსი და მეთოდისტი ავთანდილი ბოლოს და ბოლოს გზას იკვლევს ვაჭრის ცოლის ფატმანის მეშვეობით.

პოემის პირველ ნახევარში გაშლილია ფეოდალური არისტოკრატის საზოგადოება, ამ საზოგადოების სიმდიდრე და სილამაზე. თითქოს ამ საზოგადოებას არაფერი არ აკლია, მას ყველაფერი აქვს. როსტევენი, თინათინი, ფრიდონი, ტარიელი, ნესტანი — ყველანი კარგები და ლამაზები არიან, ყველა თავისებურია, საესე ყოველგვარი სიყვითით. მაგრამ მათ მანც ესაჭიროებათ ისეთი ტიპები, როგორც არიან ფატმან-ხათუნი და მისი მუღღლე. რუსთველი, ფაბულა ისეთი შინაგანი ლოგიკით არის სუფიტირებული, რომ თავიდან ბოლომდე მასში მოჩანს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მიზანი: რუსთველის წერას ეტყობა რაღაც მიზანდასახულება, გარკვეული მიმართულება. ჩაიხედა რა თავის ეპოქის შინაგან ვითარებაში, მის სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებში, რუსთველმა დაუპირდაპირა ერთმანეთს მოწინააღმდეგე სოციალური ჯგუფები, დაახასიათა ამ ჯგუფების საუკეთესო წარმომადგენლები, დაამტკიცა, რომ ეს ჯგუფები ისტორიულად ერთმანეთს ესაჭიროებიან, მაგრამ, როგორც თავისი წრის ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი, რუსთველი გვისახავს ისტორიის წამყვან ძალად თავის წრეს, თავისი ფილოსოფიურ-ესთეტიური

იდევბი, თავისი კოლოსალური ცოდნა და უმშვენიერესი მხატვრული მეტყველება რუსთველმა გამოიყენა თავისი პოქის კონკრეტული სოციალ-კლასობრივი მოთხოვნილებებისათვის. რუსთველმა ყველაფერი რეზუმირებულა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა ისტორიებიდან დაიღწა, ირანო-სასანიდური კულტურა, ფილოსოფიური და რელიგიური იდეები, ვადააფასა, შრავალნაირად განიცადა, სისტემაში მოიყვანა და მოგვცა მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც გაშალა თავისი საკუთარი ცხოვრების ფილოსოფია.



ი. მანსვეტაშვილი

ნარსულიდან \*)

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მდივნად ყოფნის დროს ბევრი ჩვენი საქვეყნო მოღვაწე, მწერალი, არტისტი შემხვედრია და მინდა მათზე ორიოდ სიტყვა ვთქვა.

პირველი სიტყვა აკაკი ზე. დღესაც თვალწინ მიდგა ახოვანი, ტანოვანი, გულმკერდიანი, ხუჭუჭ-თმიანი აკაკი, დიდრონი ცეცხლის მფრქვეველი თვალებით და განუშორებელი ღიმილით ტუჩებზე. აი ნამდვილი, უტყუარი სურათი აკაკისა. მართალია, სიბერეში დიდად შეიცვალა: ხუჭუჭი თმა აღარა ჰქონდა, თვალის ქუთუთოების სიღამბლესავით რალაცა დაემართა, თვალები ეხუჭებოდა და რომ თვალები გაეხილა, თავი უკან უნდა გადაეგდო. ეს იყო სიბერის უძლურება, უკუმიტყევა, ხშირი ბუნებრივი მოვლენა ღრმა მოხუცებულობაში.

აკაკის მოგონებაზე უნებლიედ ილიას ხსენებაც გულში გაგივლით. ჩვენ ხსოვნაში ეს ორი სახელი განუშორებელია. მათი შედარებაც არ იქნება უადგილო.

რამდენად ილიას შინჯდომა, კარჩაკეტილობა უყვარდა, იმდენად აკაკი გარეთ ყოფნას, ხალხში გარეგან რჩეობდა. ვისაც ილიას ნახვა უნდოდა, ან მასთან სახლში უნდა მისულიყო, ან ბანკში. მე პირადად ქუჩაში სასერიზოდ გამოსული ილია არ მინახავს. აკაკის კი ყველგან და ყოველ ჟამს ნახავდით. ილია თუ გულდახურული იყო, მიუკარებელი, ძნელად თუ ვისმე თავისთან მიიხლოვებდა, აკაკი, პირიქით, გულგახსნილი იყო, ყველას ადვილად ხელს გაუშლიდა, შიიახლოვებდა. ვერ ვიტყვი, რომ პირველს ეს სიამაყით მოსდიოდა და მეორეს თავმდაბლობით. არა, ბუნება ჰქონდათ ასეთი. იქნება ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ილიას მდაბიო ხალხში ისე არ ჰქონდა სიყვარული მოპოებული, როგორც აკაკის.

აგრეთვე დიდი ზღვარი იდგა ილიასი და აკაკის პოეტურ ნიჭს შორის. ილიას პოეზიაში ყოველთვის ჰქუა სქარბობდა, აკაკის პოეზია კი წმინდა ხალასი გრძნობა იყო. აკაკის სავესებით შეეფერება ის სიტყვები, რომე-

\*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

ლიც რუსეთის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ სტყვა პუშკინის შესახებ: „Пушкин весь огонь поэзии, в нем нет ни капли жира“.

აკაკის ერთი არასასიამოვნო ზნე სკიპრდა: შურიანი ზნე. ვაი შენი ბრალო, თუ მასთან ვისმეს აქებდი, ლექსს ან ნაწერს მოიწონებდი. იკვშეპყრობილი დიაცივით გაკაპასებული მოგვარდებოდა და თავის ღვარძლიანი ენით ისეთს ამბავს დაგაწევდა, რომ თავსა და ბედს გაწყველინებდა. მახსენდება ერთი ამბავი, მომხდარი პეტერბურგში ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. მოგვივიდა ჟურნალი, სადაც დაბეჭდილი იყო ახლად დაწერილი ილიას ისტორიული პოემა „დიმიტრი თავდადებული“. ქართველ სტუდენტთა წრეში განვიზრახეთ ხმამაღლა წაკითხვა. აკაკიც იქ იყო. ვათავდა კითხვა. ყველანი ალტაცებაში მოგვიყვანა ილიას მკვეთრმა ლექსმა და მდიდარმა შინაარსმა. ბევრმა თავისი ალტაცება ხმამაღლა წარმოსთქვა. უცბად წამოდგა აკაკი გაფითრებული სახით და მოგვამხა:

— რა ნახეთ მანდ მოსაწონი? მავაზე უნიკო ჯერ არა დაუწერია რა ილიას.

ამოძრავა თავისი ენა და არ დააცხრო იმ დრომდე, სანამ გულიდან მთელი ნაღველი არ ამოიღო. ეს გულის ზაფრა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ყველანი გაეშეშდით და ხმის ამოდებას ვეღარ ვახერხებდით.

ესევე იყო მიზეზი, რომ აკაკი არ იწყნარებდა ვ ა ე ა ფ შ ა ვ ე ლ ა ს, ანა სცნობდა მას ნიჭიერ პოეტად. რატომაო, რომ ვკითხავდით, — გვიპასუხებდა: ენა არ მომწონს მისი, არ მესმის, სიტყვებს განგებ ამახინჯებსო. ასეთი პასუხი რა მოსატანია! ჯერ ერთი, სიტყვის დამახინჯების გამო, — ეს ცილის-წამება იყო: ვაეა კი არ ამახინჯებდა, არამედ ხმარობდა ისეთს სიტყვებს და მათ ისეთს მიხვრა-მოხვრას, რომელიც მიღებულია მთელ მთაში. ეს დამახინჯება კი არა, გამდიდრებაა ქართული ენისა. ესეც რომ არ იყოს, განა სათქმელია, რომ ამასა და ამას პოეტად არ ვცნობ იმიტომ, რომ ჩემთვის ვასაგებ ენით არ სწერსო?

არ მოსწონდა აკაკის ს ა ნ დ რ ო უ ა ზ ბ ე გ ი ც. რომ გეკითხნათ: რად არ მოგწონსო, ვიპასუხებდათ: ისე, არ მოწონსო, — და ვათავდა. ერთხელ „დროების“ რედაქციაში მომიხდა ყოფნა, მაჩაბლის რედაქტორობის დროს. აკაკიც იქ იყო და ფურცლავდა გაზეთის ნომრებს, რომელიც რამდენიმე თვისა ერთად იყო შეკრული ცალკე ყდაში. ფურცლავდა აკაკი და თან ხმამაღლა გაიძახოდა: სულ ელისო, სულ ელისო, სულ ელისო! მაჩაბელი გამოეხმაურა:

— რას ამბობ, აკაკი, რას კითხულობ? სულელი მანდ საიდან ამოიკითხო?

— რას წაიკითხავ? გაზეთი სულ ელისოთია გავსებული, — უპასუხა აკაკიმ.

ცხადია, აქ გადაკვირით ნახსენები იყო სანდრო ყაზბეგის მოთხრობა „ელისო“ და აგრეთვე სანდროს „სულელობაც“. ასეთი „საქმე-საქმე“ საკადრისი არ იყო აკაკისთვის, რადგან მან კარგად იცოდა, რომ საბრალო ყაზბეგს იმ ხანებში მართლაც შეპარებული ჰქონდა უკვე უღმობელი სენი.

ჩემი სტუდენტობის დროს აკაკი ხშირად მოდიოდა ხოლმე პეტერბურგში, მისი ცოლშვილი იქ ცხოვრობდა. აკაკის ცოლი რუსის ქალი იყო, ბელოსელსკი-ბელოზერსკის ოჯახიდან, რომელიც განთქმული იყო იმ დროს მთელ რუსეთში თავისი აუარებელი სიმდიდრით. აკაკის ცოლსაც დიდი მზითვევი მოჰყვა, მაგრამ პარიზსა და პეტერბურგში ხელგაშლით ცხოვრებამ მალე ბოლო მოუღო ამ მზითვად მოტანილ სიმდიდრეს.

მე და ილიკო ბახტაძე ერთად ვცხოვრობდით. აკაკი ხშირად შემოვიდოდა ხოლმე ჩვენთან საღამოობით სალაუბოდ, მხოლოდ ათ საათზე გვიან არ დაარჩებოდა. ერთხელ, იქნებოდა ეგრე ღამის თერთმეტი საათი, აკაკი მოვიდა ჩვენთან დიდად აღელვებული და გვითხრა, ღამე თქვენთან უნდა გამატარებინოთო.

— რა ამბავია, აკაკი, რა მოგსვლია? — დავეკითხეთ.

— ღმერთმა რომ ამოაგდოს ჩემი ცოლი: ისეთი ჩხუბი ამიტეხა, ისეთი ამბავი დამაწია, გვიან რად მოდიხარ შინაო, რომ ველარ გაუუძელი და გამოვიქეცი.

აკაკის ერთი შვილი ჰყვანდა, სახელიდ ილექსი. ეს ალექსია, რომელსაც აკაკიმ უძღვნა ერთი თავისი პოემა.

როგორი აღზრდა ეძლეოდა ამ ალექსის? აქ აკაკის არაერთარი გავლენა და მნიშვნელობა არაა ჰქონდა. მისმა შვილმა ქართული ენა სრულებით არ იცოდა და სხვაფორივაც არაფერი ქართველობისა არა ეტყობოდა რა. ამას მათქმევიანებს ჩემი დაკვირვება, რადგან შემთხვევა ჰქონდა აკაკის ოჯახის პირადად გაცნობისა.

ერთხელ აკაკიმ თავისთან მიგვიწვია სადილად მე და ილიკო ბახტაძე. მაშინ კიდევ ყველაფერში სიუხვე ეტყობოდა მის ოჯახს. მისმა სახლობამ გარეგნობით ჩვეულებრივი ზრდილობიანობით მიგვიღო, მაგრამ გულში კი ცოტა ამრეზილობა ეტყობოდა. ვერ ვიტყვი, რომ ქართველებისა და, საზოგადოდ, ქართველობის დიდი სიყვარული ჰქონდა. მიგვიწვიეს სასადილო ოთახში. აკაკის ცოლის და და მათი სტუმარი, ვილაც აფიცერი დიდხანს არ გამოდიოდნენ შორე ოთახიდან. ორჯელ ვაგზავნეს ალექსი მოსაწვეად. მაინც იგვიანებდნენ და, დედამ ჰკითხა შვილს:

— რას აკეთებენ ნეტავი, რომ ასე იგვიანებენ?

— ერთმანეთს ეხვევიან, ჰკოცნიან! — უპასუხა გულუბრყვილოდ შვილმა, რომელიც მაშინ შვიდი-რვა წლისა იქნებოდა.

— რა სისულელეს პროშავ? — წყრომით უთხრა დედამ.

— მაშ განა ეგრე არ უნდა? — გაიკვირვა შვილმა: — დეიდა ყოველთვის სადილს წინ სტუმრებს ეხვევა და ჰკოცნისო. *ეჩქინეული*

აქედან თქვენ თითონ მიხედებით, რაგვარი იყო აქაქის უწყვეტი ჰაზრდა და ზნეობრივი განვითარება. ნუ დაივიწყებთ, რომ აკაკი ხშირად მთელი წლობით ვერა ხედავდა ხოლმე თავის ოჯახს.

აკაკის მოსწრებული სიტყვა, მახვილი ჭკუა და გესლიანი ენა ყველას ექნება გაგონილი. ხშირად ისეთი სიტყვაც მოჰყვანდათ აკაკის ნათქვამად, რომელიც მას თავის დღეში არ უთქვამს. ღმერთი, რჯული, ჩემი ნათქვამი არ არის ეგაო, — იტყოდა ხოლმე აკაკი, მაგრამ ვინ უჯერებდა. აკაკი მართლაც რომ ქართველების შოლა-ნასრედინად გადაიქცა. აკაკის მოსწრებული სიტყვის ნიმუშად მოვიყვან ერთ-ორ მაგალითს, ბევრისაგან და თვით აკაკის პირიდანაც გაგონილს.

ერთ დიდ სადილზე ყოფილან აკაკი და ანდრია აღუღაძე, მასწავლებელი და საყმაწვილო ეურნალ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელი. ანდრიას კარგად გადაეკრა ღვინო. სმაში ცოტა ჭკუას ჰკარგავდა და აჩემებული სიმღერა უყვარდა. დაიწყებდა ერთ რამე სიმღერას და გაჰკიოდა მალალი მყვირალა ხმით. ასე ამ სადილზედაც გააბა თურმე გაუთავებელი:

მიმინო მყვანდა, მიმინო მყვანდა,  
მიმინო მყავდა, მყავდა — მიყვარდა!

ყველას თავი მოაბეზრა. მაშინ აკაკი მიუბრუნდა თურმე და უთხრა:

— ნუ სჯრულობ, ანდრია, დაჩუმდი! აბა რასა სტყუი: მიმინო რომ გყვანდეს, მაგდენ მწყურებს მანდ რა დააყენებდაო, — და შუბლზე მიადო თურმე ხელი.

იყო ერთი გურული ალექსანდრე თოიძე. პატარაობიდანვე ჩამოეყვანათ ტფილისში და სადღაც რესტორანში მიეზარებინათ. ნიჭი გამოეჩინა და ქართული ისე კარგად შეესწავლა, რომ მერე გაზეთებშიაცა სწერდა „სანდრო ბიჭის“ ფსევდონომით. ერთ დროს ეს სანდრო სასტუმრო „ორიანტში“ მსახურობდა და ბილიარდების მეთვალყურედ იყო. ერთხელ აქ ბილიარდს თამაშობდა თურმე იმ დროს გამოჩენილი ადვოკატი მელეგი. თამაშობის დროს სანდროს რალაზედაც სიცილი წასკდომოდა. მელეგის ჰგონებოდა, ჩემს თამაშს დასცინისო, და მკაცრი კილოთი უთხრა თურმე: რას იცინიო.

— Смех — это чихание ума, — сказал Бёрне.

Почему я не могу смеяться? — უბასუხა თურმე სანდრომ რუსულად.

მელეგისაც გაეცინა და ამ სიტყვებით მიემართა იქ მოთამაშეებისათვის:

— Чорт знает, что такое! тут и лакеи философствуют.

აი ამ სანდრო თოიძემ და ერთმა მისმა ამხანაგმა, ეჭვუტყუღემ ი-  
ნაიშვილმა განიზრახეს საკუთარი რესტორანის გახსნა. მათგანვე  
ლაფერი და ახლა იმის ფიქრში შევიდნენ, ისეთი რა სახელი დაეარქვათ,  
რომ მოკლევ იყოს და მუშტარიც ბევრი მოიზიდოსო. ბევრგან იკითხეს  
და ბოლოს აკაკისაც მიჰმართეს:

— „მუქთი“ დაარქვითო, — მოუქრა მოკლედ აკაკიმ: — სიტყვა მოკ-  
ლევ არის და მიმზიდველიც, მუშტარს ველარ აუხვიალო, ისე დაგვხვევიან,  
როგორც ბუზი თაფლსაო.

ბოლოს ამ რესტორანს „ბურ-ლენინო“ დაარქვეს. რესტორანს სანდრო  
განაგებდა, მაგრამ უფრო ფილოსოფოსობდა აქაც, ვიდრე საქმიანობდა.

ს ა ნ დ რ ო უ ა ზ ბ ე გ თ ა ნ კარგი განწყობილება მქონდა. ზრდი-  
ლობიანი იყო, კეთილშობილური ხასიათი ჰქონდა. მასსოც ასეთი ამბავი.  
როდესაც სემინარიელმა ლ ა ღ ი ა შ ვ ი ლ მ ა სემინარიის რექტორი  
მოკლა, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა რომ ეს ლალიაშვილი ქართველი არ  
ყოფილა, ოსი აღმოჩნდაო. შემოვარდა ჩემთან წერა-კითხვის საზოგადოე-  
ბაში გაადფრებული სანდრო და გაჯავრებულმა მითხრა:

— ვადაეცი თქვენ ილიას, რომ მაგისტანა სისულელის დაწერა მეო-  
რედ აღარ გაბედოს. რად უარყოფთ ლალიაშვილის ქართველობას, პირ-  
იქით, თავი უნდა მოგვეჩინდეს რომ ჩვენგან გამოვიდა გამხუდავი ახალ-  
გაზრდა, რომელმაც კისერი მოუგრია იმას, ვინც ჩვენ ეროვნულ ღირ-  
სებას ფეხქვეშ სთელავდა და აფურთხებდა.

აქ უნდა განვამარტოთ, რომ ლალიაშვილ მარტო არ იყო, მას მხარს  
უჭერდნენ სხვებიც, რომელნიც აღშფოთებულნი იყვნენ მაშინდელი მთავ-  
რობის საქციელით. ქართული წიგნის თუ გაზეთის კითხვის ნებას არ  
აძლევდნენ, ქართული ლაპარაკი კი აღკრძალული იყო, — ქართული ენა  
და საერთოდ ყოველივე ქართული შელახული იყო, შეგინებული, რა-  
ღაც ფეხქვეშ სათრევ მჩვრად გადაქცეული. სხვა ღონით რომ ვერას გახ-  
დნენ, ძალადობას — ძალადობა წაუყენეს წინ, და ლალიაშვილი მხოლოდ  
აღმასრულებელი იყო. ამიტომ მისი ქართველობის უარყოფა „ივერიის“  
მხრივ უადგილო სიმხდალე იყო. სანდრო საზოგადოდ არ სწყალობდა  
ილიას. არც „ივერიის“ რედაქციაში, არც მის კრებებზე, არც ილიას  
სახლში სანდროს ფეხი არ შემოუდგამს. რომ ვკითხავდი: — სანდრო,  
„ივერიას“ და ილიას რად ერიდები, შორს რად გაურბიხარ მეთქი, — ასე  
მიპასუხებდა: არ მოწონს ილია, მხოლოდ სიტყვის კაცია და არა საქმისა.  
ამასთან გულზეიადი ადამიანიაო. აქ სახეში ჰქონდა, მგონი, ილიას გან-  
წყობილება მაჩაბელთან, რომლის დიდი პატივისმცემელი და ერთგული  
მეგობარი იყო სანდრო.



წინადაც ბევრისაგან გაიგონებდით და დღეს ხომ ერთი განცხადებადს სანდრო ყაზბეგის სახელის გარშემო, მეტადრე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ელისაბედ ყაზბეგის, სანდროს ბიძაშვიტის წაწვეტები, სადაც ეს ქალი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სანდრო ყაზბეგის სახელით ცნობილი მოთხრობები დიმიტრი ყაზბეგისაა და სანდრომ მხოლოდ მიიჩემოა. თუმცა, გულახდილად ვიტყვი, ამ უკანასკნელ ნაწერებში ისტორიკა და ჯალაბური კოროიკანობა, მითქმა-მოთქმა უფრო მეტია, ვიდრე დამჯდარი მსჯელობა და ნამდვილი ამბები, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთი გულუბრყვილონიც, რომელთაც სინამდვილედ მიიღეს ელისაბედ ყაზბეგის შინაურ ჭეჭეყიან სარეცხის ჭეჭეყა.

ერთი ასაბუთებენ, რომ ვითომ სანდროს არ შეეძლო ასეთი მოთხრობების დაწერაო. იმითი ჯერ, რომ სანდრო საკმაოდ განათლებული და განვითარებული არ იყო. ვიკითხოთ ერთი: — А судьи кто? — და მერე კიდევ: რა განათლება და განვითარება აქვთ სახეში? ვითომ ის, რომ სანდროს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი არ ჰქონდა? და განა ეს აუცილებლად საჭიროა? განა ამთთვის უცნობია ის ამბანური კეშმარიტება, რომ მოთხრობების წერისათვის საჭიროა განსაკუთრებული ნიჭი და არა უსათუოდ დიდი სწავლა? გაიხსენეთ თუნდ რუსეთის პოეტები კალცოვი და ნეკრასოვი: პირველი იყო თითქმის სრულიად უსწავლელი, საკლავი საქონლის მყიდველი და გამყიდველი, ხოლო მეორეს გიმნაზიაც არა სავსებით ჰქონდა დამთავრებული. მერე, განა იტყვის ვინმე, რომ ისინი რუსეთის დიდებულ პოეტებად არ ითვლებიანო?

გაიძახის ელისაბედ ყაზბეგი და სხვებიც ბანს ეუბნებიან: სანდრო, მართალია, ბევრსა სწერდა და უფრო ლექსებს, მაგრამ ეს ლექსები სულ უწმაწური, პორნოგრაფიული შინაარსისა იყო. არ ვიცი, რამდენად მართალია არიან, მხოლოდ ჩემად შემდეგის შემოწმება შემიძლიან. სანდროს ერთი დიდი ტანის რევეული ჰქონდა, რომელიც სულ ლექსებით იყო სავსე. ხშირად წაუკითხავს ჩემთვის ეს ლექსები და გადაწყვეტით ვადასტურებ, რომ ამ ლექსებში არავითარი დაუსვებელი უწმაწურობა, პორნოგრაფია არ შემიმჩნევიდა, იქნება ცოტაოდენი ლაღობა, თავისუფლება სიტყვისა კი იყო, მაგრამ მეტი არაფერი. დამახსოვდა კარგად ერთი საკმაოდ მოზრდილი ლექსი, რომლის შინაარსი ასეთი იყო.

ერთი გლეხის ცოლს, რომელსაც ქმარი შორს საღადაც წასვლოდა, შეუჩნდა მეზობლის ბიჭი და არშიყობა დაუწყო. ქალმა ეს დიდად იტყადრისა, განრისხდა. ბიჭი მაინც არ ეშვებოდა. ერთ საღამოს ეს ბიჭი მეტის აზირებით აუტყდა, ამაღამ შენთან მოვალ და სახლის კარი ღია იყოს, ძაღლიც სადმე მიმაღეო. ქალმა იწყინა ასეთი გაკადნიერება, თავგასულობა და ერთი ამბავი დააწია: არ გაბედო მაგისთანა თავხედოშა, თორემ ჭეყყანას შეეყრი, მეზობლებს ფეხზე დავაყენებ, ძაღლებს დაგისევ და დიდ სირცხვილს გაქმევო. თქვა ეს, გაბრუნდა, შევიდა სახლში და კარი მაგრა

ჩაკეტა. ბიჭი, დაღონებული, შერცხვენილი, შინისკენ წავიდა. მაგრამ მაინც ვერ მოითმინა. ღამე კარგად გადასული იყო, რომ ეს ბიჭი ადგა და ქალის სახლისკენ გასწია. მიდიოდა და თანაც შიშობდა, ვერ თუ მართლა რაიმე ხათხალაში ვაგებოა. მაგრამ აი მივიდა ქალის სახლიდან, ნაშ-ქაქა-ნება არ ისმის. სრული სიჩუმეა, ძალიც არსადა სჩანს. მივიდა კარებთან, მიაწვა და კარი ღია დაუხვდა.

აი მთელი შინაარსი ამ ლექსისა. იქნებ ზოგიერთებს, ზნეობის მეტისმეტად სიწმინდის დამცველებს, ესეც პორნოგრაფიად ეჩვენათ. მაშინ ხომ საფრანგეთის ლალი მწერალი გიუ დე-მოპასანი, იტალიელი ბოკაჩიოც უნდა პორნოგრაფებად ჩავთვალოთ: რამდენ ამისთანას და უფრო უარესსაც იპოვით მათ ნაწერებში.

ვთქვათ, სრულებით ასეა. დავუჯეროთ, რომ სანდროს ლექსებში პორნოგრაფიის მეტი არაფერი მოიპოვებოდა. მერე რა? განა ეს მის უნიკობას ამტკიცებს? გაგეგონებათ პუშკინის „Аврелиада“ და „Вишня“, ლერმონტოვის „Саша“ დაბეჭდილი და უფრო კიდევ მეტი დაუბეჭდავი მათი ამგვარი ლექსები, რომლებიც წმინდა წყლის პორნოგრაფიული ლექსებია. მერე, განა ეს ამტკიცებს, რომ პუშკინი და ლერმონტოვი უდიდესი პოეტები არ იყვნენ?

მაშ ვინ იყო ავტორი იმ მოთხრობებისა, რომელნიც ქართველობამ გაიცნო სანდრო ყაზბეგის სახელით? ელისაბედ ყაზბეგი და ზანდუკელი ღმერთსა და ხატს გვეფიცებიან, რომ მათი ავტორი დიმიტრი ყაზბეგი იყო, სანდროს ბიძაშვილი. საბუთი? საბუთად ის მოჰყავთ, რომ დიმიტრი ყაზბეგი დიდი ჭკუისა და ნიჭის კაცი იყო. ჩვენთვის ეს საბუთი კი არა, უაზრო, ლიტონი სიტყვაა. მოგეხსენებათ: სიტყვა-სიტყვაა, საქმე კი სხვაა. თქვენ აი ეს საქმე გვიჩვენეთ, თორემ ჭკვიანი და, თუ გნებავთ, ნიჭიერიც ბევრი მოიპოვება ქვეყნად, მაგრამ ყველა მათგანს მწერლობა კი არ შეუძლიან — ელისაბედ ყაზბეგი და ზანდუკელი კი სულ ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერებენ. რას? სულ ერთსა და იმავეს: ჭკვიანი იყო, ნიჭიერიც, და საქმეს რომ მოსთხოვთ, მიჩუმდებიან.

პეტრე უმიკაშვილი ალაპარაკდა ამათ მაგიერ. ეს ჩვეულებრივ ფრთხილი და ჩუმი კაციც კი აჰყვა მათ ხმას და გაიძახოდა: აი ჩქარა დაებეჭდავო დ. ყაზბეგის ნაწერსო, და დაბეჭდა კიდევ პეტრემ თავის „კრებულში“ ამ „დიდის ჭკუისა და ნიჭის“ კაცის ნაწარმოები. მერე რა აღმოჩნდა? უბრალო, უგემური პატარა კორესპონდენცია მოხვედების ცხოვრებიდან, ისეთი კორესპონდენცია, რომელსაც ყველა გაზეთი ასობით იღებს და ხშირად უფრო შნოიანად, უფრო ნიჭიერად დაწერილსაც. ბევრმა უსაყვედურა პეტრეს: რას გვიქაღოდი და რა გამოდგაო. ეგ რა დასაბეჭდი იყო. აკაკიმ ხომ ვეღარ მოითმინა და პირში მიახალა პეტრეს:

ვაი ჩემო პეტრეო,  
შე ჩერჩეტო და ხეპრო!

მეტყვიან: აღებულია პატარა ეპიზოდი მოხვევების, ზნე-ჩვეულებისა, და აქ მაინც გასაქანი არ ჰქონდა დიდი მხატვრული ნიჭის გამოსაჩენად. ვერ დაგეთანხმებით: ნიჭი ყველგან თავს იჩენს. აილუარძენა მანსვეტაშვილმა დაგვიჩვენა. იმასაც ჰქონდა ბევრი რამ ნაწერი ფშაველების შესახებ და ზე. ან აილეთ თუნდ იმავ სანდრო ყაზბეგის მოგონებანი თავის მეცხვარეობის დროიდან. შეადარეთ ახლა ამ ორის ნაწერი დიმიტრი ყაზბეგის ნაწერს და დაინახავთ, რომ ის სხვაა, ეს სხვა, შუა უდევს დიდი ზღვარი: ვაჟას და სანდროს ნაწერებს უტყუარი მხატვრული ნიჭის მადლი სციხიათ, დიმიტრი ყაზბეგის ნაწერი კი უბრალო მოხსენებას მოგაგონებთ.

ელისაბედ ყაზბეგი მაინც ჭირვეულობს და დაკინებით გაიძახის: დიმიტრის ბევრი ჰქონდა ნაწერი, დაკეტილ ყუთში ინახავდა და, როდესაც დიმიტრი გარდაიცვალა, ეს ყუთი სანდრომ, რომელიც სიკვდილს დაესწრო, გატეხა და რაც შიგ ქაღალდები ელაგა, ამოიღო და თავისთან გადიტანაო. ვთქვათ, ასეც იყო. მერე რა იყო იმ ყუთში, რა გვარი ქაღალდები ელაგა? ელისაბედ ყაზბეგი გვარწმუნებს: სწორედ ის მოთხრობები, რომლებიც შემდეგ სანდრომ თავისად გამოაქვეყნაო. ეს ხომ ისევ ჩვენებური, ძველებური: სიტყვა რუქამ არაკიო, — გამოდის. ჩვენ საბუთებსა ვთხოვთ, საქმეს, ის კი ზღაპარ-არაკებით გვიმასპინძლებდა. მერე მოხსნის პირს და ისეთ რამეებს დასწამებს საწყალ სანდროს, რომ გიკვირს, როგორ მიწა არ გასკდა და თან არ ჩაიტანა სანდრო, ეს ყოველი მომაკვდავი ცოდვით დატვირთული ადამიანი.

ჩვენც შორს ნულარ მივყვებით, თორემ ისეთ სიბუნძურეთა წუმბეში ჩავვითრევს, რომ ფაქიზ ადამიანს ამოაზიდებს, გულს ატრევს. თუ ეს ორიოდ სიტყვა ვთქვი, ესეც იმიტომ, რომ დიდს პატივსა ვცემდი სანდროს, ამ უმწიკვლო ადამიანს და წარმტაცი ნიჭით შემკულ მწერალს. ყოველი ქართველი მოვალეა ჯეროვანი და შესაფერი პასუხი გასცეს ყველა იმათ, ვინც უსამართლოდ შეურაცხყოფს და ჩირქს მოსცხებს სანდრო ყაზბეგს, ამ უწყინარ, კეთილშობილ, პატიოსან ადამიანს და უანგარო საქმეცნო მოღვაწეს.

იმ უზადრუქმა სენმა, რომელმაც ბოლო მოუღო სანდრო ყაზბეგს, უკვე კარგა ხანი იყო, რაც თავი იჩინა. პირველი ნიშნები უკვე 1885 წ. ეტყობოდა, შემდეგში სენმა უფრო მაგრა გაიდგა ფესვი. წერას თავი მიანება, საქმეს ველარ ეწყობოდა, ყოფაქცევაც შეიცვალა. მეტყველებამაც უმტყუნა, ლაპარაკი უმძიმდა, ზოგიერთი სიტყვის გამოთქმა უჭირდებოდა. შემოვიღოდა ჩემთან, დაჯდებოდა კუთხეში და იჯდა ისე უძრავად. მთელი საათობით ხმას არ ამოიღებდა. ან კიდევ მოიტანდა პატარა კოლოფებს, რომლებიც გავსებული ჰქონდა ფერადი ნაქუფებით. იჯდა ჩუმად და ნაქუფებს პატარა ბავშვივით ერთი კოლოფიდან მეორეში ხან ჩაალაგებდა, ხან ამოალაგებდა. ან კიდევ მოიტანდა გარდასაყვან ქაღალდს და ხალისიანად გადაჰყავდა სურათები ერთი ქაღალდიდან მეორეში.

რეზე, და ისე ერთობოდა, რომ არაფერს ამჩნევდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

ერთ ცივ ზამთრის ჭინჭყლიან ქარიან დღეს სახეხულზე წაქრებულად სანდრო. გაჩქარებული მიდიოდა, თითქოს საქმეზე ზღვრულად წაქრებულად. თავზე კახური ნაბღის ქუდი ეხურა, რომელიც კეთვას ძლიერ უფარავდა, ტანზე წამოვდო კარგად მოკვეთილი, გაძინძილი მოკლე ნაბაღი, ფეხთ ეცვა მაღალყელიანი მესტები, ზოგან გაგლეჯილი. გაეაჩერე, დავეკითხე:

— საით, სანდრო? ამისთანა დარში კაი პატრონი ვარეთ ძაღლს არ გამოავდებს და შენ ისეთი რა ვაგჭირებია, რომ გამოსულხარ სახლიდან?

— ოჰ, მე მიყვარს ამისთანა დარი: ჩემ მთას მაგონებს, ჩემ მეცხვირობას.

ამ დროს რალაცა წკმუტუნნი მომესმა. სანდრომ ნაბაღი გაიხსნა და უბიდან თავი ამოჰყო პატარა მაიმუნმა, ფაკომ. ეს ფაკო განუყრელი მეგობარი იყო სანდროსი. სწერდა, კითხულობდა თუ ისე უსაქმოდ იჯდა, ფაკოც იქვე უნდა ჰყოლოდა. ხშირად ბევრი არა სასიამოვნო ოინიც ჩაუდენია ამ ფაკოს: ან საწერელს გადაუტყვევდა და მთელ მაგიდას და რაც ზედ ჭალაღდები იყო სულ მელნით მოუსვრიდა, ან მოჰყვებოდა და ჭალაღდებს სულ ნაკუწნაკუწად უტყვევდა. ფაკოს ამისთანა ოინებს სანდრო აინუშშიც არ იგდებდა. სანდრო ჩემთანაც მოაბძანებდა ხოლმე ფაკოს სტუმრად, და სულ იმის შიშში ვიყავი, იქაც არ ჩაედიანა რამე.

ფაკოს მოუსვენრობა რომ შევამჩნიე, ვუთხარი სანდროს:

— ემაგ საწყალ მაიმუნს რალას აწვალებ და ათრევ თან, ვგენი ხომ მცივანები არიან?

— რა ვქნა მე უმაგისოდ გაძლება არ შემიძლიან, — მიპასუხა სანდრომ და გაუდგა თავის გზას.

რაც ხანი ვადიოდა, სენი მეტად ერეოდა საბრალო სანდროს. გული ვტყიოდა იმის საცოდაობას რომ უყურებდი: ღონე მოშვებულნი, მოუვლელი, დაგლეჯილი ტანთსაცმელით, შიშველ-ტიტველი, წვირიანი, ქუტყუიანი, ვინ იცის, რამდენი ხნის უცვლელი პერანგით — დახეტიალობდა უპატრონოდ აქეთ-იქით და არავინ ჰყვანდა გულშემატკივარი. ბავშვივით უღონო, უძლური ვახდა, მშობლური ზრუნვა, პატრონობა ეჭირებოდა, და ის, ვინც წინად მისი „ელგუჯათი“ „ხვეის ბერ გოჩათი“, „მოჭღვრით“ სტკებოდა და თავს იწონებდა, ეხლა განს ვასდგომოდა და ისე უყურებდა სანდროს, თითქოს უცხო ვინმე მოხეტიალე იყოსო. ისიც კია, ვინც სანდროს თანაშერდილ დად ითვლებოდა — ელისაბედ ყაზბევი, რომელიც პატარაობიდანვე მათ ოჯახში იზრდებოდა, როგორც ღვიძლი და, ეს აღამიანი, ვამბობ, იმის მაგიერ, რომ მზრუნველობა, პატრონობა გაეწია თავის გაუბედურებული ძმისათვის, მიწას უთხრიდა და ჭვეყანაში თავსა სჭრიდა.

ბოლოს, როგორც იყო, მოათავსეს სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში. იქ იპოვა უბედურმა სანდრომ დროებითი თავშესაფარი. მოსვენება და საუკუნო განსვენება.

უნდა მოვიგონო იაკობ გოგებაშვილი ღმრთისმეტყველთაძე. პირველი იყო დიაკვნის თუ მთავრის შვილი, ხოლო მეორე სოფლის ღარიბი მღვდლის შვილი, სიღარიბეში დაბადებულნი, სიღარიბეში აღზრდილნი, ნახევრად მშიერ-მწყურვალნი მაინც იმდენს მხნეობას იჩენენ, იმდენს ცდილობენ, რომ უმაღლეს სასწავლებელსაც კი ათავებენ: ორივეს სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

ცხვეთაძე ისევ მასწავლებლად შევიდა საქალბო ინსტიტუტში, ხოლო გოგებაშვილმა სრულებით სხვა გზა ამოირჩია: სამსახურს სამუდამოდ თავი მიანება და სავსებით საქვეყნო საქმეს შეუდგა სამოსწავლო ასპარეზზე. განიზრახა ქართული სახელმძღვანელოებისა და სახალხო წიგნების შედგენა და გავრცელება. არ იფიქროთ, რომ ეს პატარა საქმე იყო. პირიქით, გოგებაშვილის მხრივ ასეთი ნაბიჯი უფრო ღვაწლშემოსილებას, თავის განწირულებას ემსგავსებოდა. ნუ დაივიწყებთ, რომ საცხოვრებლად მას არაფერი გააჩნდა, სამსახურიდან განდევნის გამო ულუკმაპუროდ დარჩა, შემწეობას არსაიდან არ მოელოდა და არც მიიღებდა წყალობას: მეტად თავმოყვარე და ამაყი კაცი იყო. მაგრამ არ შეუშინდა შიმშილს, არ შედრკა, მტკიცედ დაადგა ცხოვრების ეკლიან გზას და მედგრად გაემკლავა უმაღურ წუთისოფელს, ოღონდ თავისი დედა აზრისთვის არ ეღალატნა.

მხნეობამ, საქვეყნო საქმის სიყვარულით სულჩადგმულმა, თავისი გაიტანა. ხომ იტყვიან: მხნე იყავ და გაძლიერდიო. და აკი გოგებაშვილი მართლაც გაძლიერდა, გაძლიერდა ხალხის თვალში: რამდენი თაობა აღზარდა მის „დედა ენაზე“ და „ბუნების კარზე“. საღ მოიპოვებოდა ისეთი იმერეთის თუ ამერეთის, მთელ საქართველოში, რომ ი. გოგებაშვილის სახელი არ სცოდნოდათ. ვეჭვობ, რომ ქართული წერა-კითხვის გავრცელებაში გოგებაშვილზე მეტი ღვაწლი მიუძღვოდეს თუნდ ილიას ან აკაკის. ამათი ნაწერები თუ ათასობით ვრცელდებოდა მთელ საქართველოში, გოგებაშვილის წიგნები ათაფასობით ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას. მე დანამდვილებით ვიცი, რომ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზია 1880—1890 წლებში ყოველ წლივ ჰყიდდა: ოც-ოცდახუთი ათას ცალს „დედა ენას“ და ხუთ-ექვსი ათასს ცალს „ბუნების კარს“.

დიდი სამსახური ჭაუწიეს გოგებაშვილის წიგნებმა ქართველ ხალხს. დიდის ღირსებისა იყო ეს წიგნები თავის დროზე, დიდის ნიჭით შედგენილი, ყველას უნებლიეთ უღვიძებდნენ მეტის ცოდნის წყურვილს, სწავლის ვაგრძელებებისა და გაძლიერების სურვილს. მე თითონ „დედა ენამ“ და „ბუნების კარმა“ შემაყვარეს ქართული წიგნი, გამაცნეს საქართველოს ისტორია, გეოგრაფია. მაშინდელ სკოლებში ხომ ქართული ენის ხსენე-

ბაც კი აღკრძალული იყო, თორემ ისტორიაზე და გეოგრაფიაზე ვილა რას იტყვის.

გაძლიერდა გოგებაშვილი ჭონებრივადაც: თავის წიგნებიდან, ყოველწლიური წმინდა შემოსავალი ჰქონდა სამი ათას — ოთხმოცდაათი ფული არა თუ სავსებით ჰყოფნიდა მის, როგორც მარტოხელის, უცოლშვილო კაცის არა დიდ მოთხოვნილებას, არამედ სხვებსაც ბევრს ჰშველოდა და კიდევ ანარჩუნებდა ცოტა რამეს შესანახად, სიბერისა თუ რაიმე ავადმყოფობის უზრუნველსაყოფად. ამ სახით შენახული აღმოაჩნდა სიკვდილის ეამს ათი ათას მანეთამდე, და ეს ცოტაოდენი წვლილი სიკვდილის წინ თითონვე გაანაწილა სხვადასხვა დაწესებულებების სისარგებლოდ, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

შკაქრად ექცეოდა გოგებაშვილი, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ სასწავლებელში პედაგოგიურ გზას გადასცდებოდა და შემცდარ ნაბიჯს გადასდგამდა. თითონ დიდად განვითარებული და კარგი მცოდნე პედაგოგისა, შემცდარს ამხელდა და სწორე გზას უჩვენებდა.

როგორც ვნახეთ, ცხვეთაძე სხვა გზას დაადგა, მან სამსახურს თავი არ დაანება, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის არც ამას უღალატნია. ამას არ ჰქონდა ნიჭი მწერლობისა, არ იყო კალმის პატრონი, მაგრამ მხნეობა კი ჰქონდა უძლეველი, შეუდრეკელი. თუ რაიმე საქმეს შეუდგებოდა, გზიდან გადასვლა აღარ იცოდა, ქირვეული იყო, ფანატიკოსი საქმისა. არ იცოდა, რა იყო დამცირება, არაკადნიერად მოქცევა, დაცინვა, — ყველას აიტანდა, ყველაფერს მოითმენდა, ოღონდ მიზნისთვის მიეღწია, განსაზღვრული საქმე საქმეზე მოეყვანა.

თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოვეო, დიადი შენობა, რომელიც ვაკედან ამჟამად ქალაქს დაჰყურებს და ამშვენებს, ის შენობა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება, — ეს უნდა დაუმადლოთ ნ. ცხვეთაძეს, მის მხნეობას, მის ერთგულებას, მის თავგანწირვას. საიდან და როგორ დაიბადა აზრი ამ შენობის აგებისა?

როდესაც მოვახერხეთ და ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა საყოველთაო საშუალო სასწავლებლად გადავაკეთეთ, საკუთარი თავშესაფარი არ გვქონდა ამისთვის, კატის კნუტივით დავათრევდით ამ სასწავლებელს და ხან ერთ შენობაში გადავიტანდით ხან მეორეში, მაგრამ ყველა ყოველად უფარგისი იყო, გამოუსადეგარი, სწავლებისთვის სრულიად მოუწყობელი. უნდა გვეფიქრა საკუთარი შენობის შესაძენად. შესაფერისი ტფილისში არაფერი არ მოიპოვებოდა. უნდა გვეფიქრა საკუთარ შენობაზე. ვაკეზე მიწის შეძენა მოვახერხეთ. ახლა შენობისათვის უნდა გვეზრუნა. მაგრამ საიდან, რა ღონით, ფული სად იყო? გადავწყვიტეთ, ჩვენი საწყალი ჯიბეები გადმოგვებრუნებინა და რაც გვქონდა, ამოგვებერტყა. იყო შედგენილი სიები ქართველ მოხელეთა, მსახურთა და ასე გროშობით, — სწორედ გროშობით, — შეკრებილი ფულით ჩავეყარეთ საძირკველი. ამა-

ზე ხომ ვერ შევდგებოდით? გართულდა საქმე. ფული ბევრი უნდა. ჩვენი გროშებით და თუნდ მანეთებითაც ველარას გავხდებოდით. უნდა სხვა ღონე გველონა. აი სწორედ აქ იჩინა თავი ცხვეთაქმე. ამოიღებდა ნიშანში, ვისაც კი რაიმე ჭონებას შეამჩნევდა, შეუჩნდებოდა და, სანამ ფულს არ გამოალებინებდა, არ ჩამოეშვებოდა. არც ერთი მდიდარი ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვეთაქმეს ხარკს. ჩვენში იქნებოდა, რუსეთში თუ უცხოეთში, ყველგან ხელს მიაწვდენდა. ყველას გამოამეტინებდა რასმე. ხერხი იცოდა, ვისთან როგორ უნდა მისულიყო, ვისთვის საიდან მოეელო. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო მეტი მადა ეშლებოდა ჩვენს ნიკოს. ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორ-სარ-თულიანი შენობა, მერე მადა გაეხსნა და ორი სართული ოთხად გადააქცია.

ჩემ ხსოვნაში ჩამრჩა კიდევ ერთი ადამიანის სახე, რომლის შესახებ მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა. ეს გახლდათ დავით ერისთავი, შვილი გ. ერისთავისა, რომელმაც წარსული საუკუნის ორმოცდაათ წლებში, ვარანცოვის დროს, პირველმა ჩაუყარა საძირკველი ქართულ თეატრს, პირველმა დაიწყო ქართული კომედიების წერა. შვილსაც, დავითს, მამის ნიჭი გამოჰყვა. დავით ერისთავს ეკუთვნის პიესა „სამშობლო“.

დავით ერისთავი ქართულ დროგამოშვებით მწერლობაშიაც იყო ცნობილი, მაგრამ უფრო რუსულად სწერდა „Наследственный поэт“-ის ფსევდონიმით. ერთ დროს გაზეთ „Кавказ“-ის რედაქტორადაც იყო. კალამი უჭრიდა, ენაც მახვილი ჰქონდა, შნოიანი, მოსწრებული სიტყვის ოქმა იცოდა.

დავით ერისთავს ლექსი ეხერხებოდა, ტყუილად ხომ არ უწოდებდა თავის თავს: „Наследственный поэт“, ე. ი. მემკვიდრეობითს პოეტს. ეს ნიჭიც მამისაგან ჰქონდა გადმოცემული. მაგრამ რამდენადაც უყვარდა ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზია, იმდენად სდევნიდა და ჰკიცხავდა ლექსების მშხაბნელებს, რომელნიც ქართველებში ძალიან გახშირდნენ იმ დროს და რომელთაც თავი მართალ პოეტებად მოჰქონდათ. ამის გამო ერთი აზირებული აზრი ჰქონდა აჩემებული ერისთავს: ქართველები თუ დაილუპებინ, შელექსებოდა დალუპავთო. მათ იმის მაგიერ, რომ საქმე გააკეთონ რამე, აუღიათ ხელში კალამი და ვინც არა მგონია, ლექსებს სწერს. უბრალო კორესპონდენციებსაც კი ლექსად სწერენ. ამას, ჩვენდა საუბედუროდ ჩვენი ენაც უწყობს ხელს: ძალიან დამყოლი, ადვილად მოსაქნელი ენაა. როგორც გინდა გადასვი-გადმოსვი სიტყვა, ასო მოაკვლ, ასო ჩაუმატე, — სულერთია, აიტანს.

წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარია, წიგნის მალაზია და ძველი ხელთნაწერების წიგნთსაცავი მოთავსებული იყო იმავე ბანკის შენობაში,

ეგრეთ წოდებულ არწრუნისეულ ქარვასლაში, სადაც ქართული თეატრიც იმყოფებოდა. ამიტომ რეპეტიციების დროს ჩვენი არტისტები ხშირად შემოივლიდნენ ხოლმე ჩემთან რაიმე წიგნის თუ გაზეთის შექვივებზე, უფრო კი სალაყბოდ. მათ შორის იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და კოტე მესხი.

უფრო ხშირი სტუმარი იყო ვასო აბაშიძე, ჩვენი თეატრის სულჩამდგმელი და მისი დამამშვენიებელი. რამდენი გაკირვება, სიღარიბე, შიმშილი და წყურვილი გამოუვლია, მაგრამ ქართული თეატრის დაღატი ფიქრადაც არ მოსვლია. სკოლის გამგედ იყო, მგონი ყარაბაღში, და იქ რომ დარჩენილიყო, სამსახურშიაც წინ წავიდოდა. ნიჭიერი კაცი იყო და ლუკმა პური უზრუნველი ექნებოდა. მაგრამ ყველა ამას თავი მიანება და ქართულ თეატრს სათავეში დაუდგა.

სახელგანთქმული არტისტი მოსკოვის მცირე თეატრისა და დრამატურგი იუჟინი — ალექსანდრე სუმბათაშვილი — ვასოს ამხანაგი იყო: ტფილისის პირველ გიმნაზიაში ერთად სწავლობდნენ და ორივენი ჯერ მაშინვე დიდს სასცენო ნიქს იჩენდნენ. აი ამ სუმბათაშვილს რამდენჯერმე უთქვამს ვასოსთვის:

— ვასო, მე ხომ შენ კარგად გიცნობ და შენი ნიჭიც ვიცი. რას იკლამ აქ თავს შიმშილით? წამოდი მოსკოვში. შენი ნიქის პატრონი, იქ სახელსაც დიდს მოიხვეჭ და კეთილი ცხოვრებაც გექნება.

მაგრამ ვასო შეურყეველი იყო, ვერ შეაძლინეს. ღარიბი იყო, უმწეო ქართული სცენა იმ დროს და მით უფრო საჭირო იყო მისი აქ ყოფნა, ერთგული, თავგანწირული მუშაობა.

ღიახ, ჩვენი თეატრი მაშინ გატიტვლებულ სალ კლდეს წარმოადგენდა, მაგრამ ვასოს და მის ღირსეულ თანამშრომელთა ერთგული მუშაობით ქართული თეატრი აყვავდა და დღეს მტკიცე საფუძველზე სდგას. დიდი სამსახური მიუძღვით ამათ ქართველების წინაშე. ეს ორიოდ ჩვენი სიტყვა მცირე სასყიდლად ჩაითვალოს იმ დიდი მადლობისა, რომლის ღირსნიც არიან ეს უანგარო მოღვაწენი. იმ დროს, როდესაც ქართული ენა ყველგან ჩაგრული და დევნილი იყო, მათ იგი შეაფარეს თავიანთ ღარიბ ქოხს და ქართველებს შეუნახეს ეს ძვირფასი განძი. წარჩინებულთა გადაგვარებული საზოგადოება შორს გაუდგა ქართულ თეატრს, სამაგიეროდ დანარჩენი ქართველობა სიყვარულით ეკიდებოდა ამ თეატრს, აქ ესმოდა მშობლური ენა, აქ იტკობდა გრძნობას, იკვებავდა გონებას.

ვასოს არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. მაგრამ საკმარისი იყო ერთი იმის სიტყვა და სახის მისებური მოღმევა, რომ თავი ვეღარ დაგეჭირა და სიცილი წაგსქდომოდა.

ერთი უცნაური თვისება ვასოსი უნდა აღვნიშნო. ერთხელ ახალქალაქში, თარხნაიანთ გვარეულობის სოფელში, მომიხდა ყოფნა. ქართული



წარმოდგენა იყო და ვასოსაც უნდა მიეღო მონაწილეობა. აქაი რეზილი ხალხი მოაწყდა თეატრს, ყველას უნდოდა ვასოს ნახვა და მოეხიზნა ეს უცხოელი ერთი საათი აღარ იყო დარჩენილი წარმოდგენამდე, *ქატი-ფიქსი* უცხად ავად გახდა. დაწვა, ოხრავდა, შფოთავდა, გვევებეწებოდა, მიშველეთ, გვედებო. ვაჟუზომეთ სიცხე, მართლაც დიდი სიცხე ჰქონდა, 39° უწევდა. ვერ მიმხედარიყავით, ასე უცხად რა მოუვიდა ამ კაცს. ან რა პასუხი გვეთქვა მოზღვავებულ ხალხისთვის. ასე ვიყავით დადარდიანებულნი და დაფიქრებულნი, რომ ვასო უცხად წამოჯდა და მოგვაძახა:

— აი თქვე, სულელებო! მართლა დაიჯერეთ? მე არა მტკივა რა. აბა დავიწყეთ წარმოდგენა!

არა გვეჯეროდა, არც მისი ჩვეულებრივი ხუმრობა გვეგონა. მაინც ვავუსინჯეთ სიცხე. ტემპერატურა სრულებით ნორმალური ჰქონდა. ვაოცებულნი დავრჩით და მე დღესაც ვერ გამომიჩვენია: ნუ თუ არტისტს მართლა ასე უცნაურად შეუძლიან ბუნების შეცვლა, უცებ მაღალ წერტილამდე აიყვანოს სიცხე და ასევე უცხად ჩვეულებრივ დონეზე დაიყვანოს?

ლ ა დო მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი უფრო იშვიათი სტუმარი იყო ჩემთან. არც მას უყვარდა ბევრი ლაპარაკი. და თუ კი ხმას ამოიღებდა, მუსიკასავით საამური იყო მისი ხმა, რომელიც საიდანაც გულის სიღრმიდან ამოიღოდა. ცოტა ბოხი გამომეტყველება ჰქონდა, და გზიბლავდა, სულსა და გულს გიტკობდა, არ ვინდოდა ყური მოგეშორებინა. ის ვერ წარმოიდგენს ამ ხმის სიმშვენიერეს და მუსიკალობას, ვისაც მესხიშვილი უნახავს მას შემდეგ, რაც ყელის ტკივილი დასჩემდა და აპერაცია გაუკეთეს. მას უკან ხმა წაუხდა, გაბზარული ზარივით უეღრინავდა.

გარეგნობითაც მშვენიერი თვალწარმტაცი შეხედულობისა იყო ლადო. ერთ ზაფხულს ბაჭოში მოუხდა ჩამოსვლა. კლუბში მაღლობ ადგილზე იჯდა გამარტოებული და საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა: მისი გედის მსგავსად მოღერებული კისერი, მისი გამომეტყველის სახის ყველა ნაწილი, თითქოს განგებ გამონაკვეთი და ჩამოსხმული, მაღალი ვადაშლილი შუბლი, რომელსაც ზემოდან დაჰყურებდა ხშირი, თეთრი თოვლივით გაპენტლი, ზუჭუჭი თმა, — ღირსი იყო მშვენიერების ქანდაკებისა. მნახველნი თვალს ვერ აშორებდნენ და კითხულობდნენ: ვინ არის, საილამ გაჩნდაო?

კ ო ტ ე მ ე ს ხ ს პეტერბურგიდან ვიცნობდი, სადაც, საფრანგეთიდან შინ მომავალი, დროებით ცხოვრობდა. ბევრს გვიამბობდა პარიზის თეატრების ამბებს და მეტადრე მაშინდელ გამოჩენილ ფრანგ არტისტებზე, ძმათა კ ო კ ლ ე ნ ე ბ ზ ე. ამ კოკლენების ნახვამ და საზოგადოდ პარიზის თეატრების შესწავლამ დიდი სამსახური გაუწია მესხს. იმაზე უკეთესი მოთამაშე პიესებში უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან ჩვენში არ ყოფილა. მისი თამაში, მაგალითად, ნაპოლეონის როლში მეტად არ



ტისტული, ხელოვნური იყო: როგორც ვრიმით, ისე სახის გამომეტყველებით, მიხერა-მოხერით ნამდვილი ცოცხალი ნაპოვნის წარმოადგენდათ თვალწინ.

საუცხოვოდ თამაშობდა აგრეთვე იმერლის როლს. შეუდარებელი იყო თავისი ცოცხალი, მკვირცხლი სხაპა-სხუპი მეტყველებით, როდესაც თეატრში გვიამბობდა სცენებს გურულთა ცხოვრებიდან.

საზოგადოდ ღირსშესანიშნავია ამ მესხების სახლობა, მათი ნიჭიერება. რამდენი შესანიშნავი მოღვაწე მისცა ქართველებს ამ ერთმა კოტეს ოჯახმა. კოტე ხომ ვიციოთ, ახლა აიღეთ მისი უფროსი ძმა სერგეი. ეს იყო დამარსებელი და პირველი რედაქტორი ქართულ გაზეთ „დროებისა“; მეორე ძმა — დ ა თ ი კ ო — მახვილი კალმის პატრონი იყო, იმის ფელეტონებს დიდის სიამოვნებით ვკითხულობდით; მესამე ძმა — ი ვ ა ნ ე — საზღვარგარეთ სწავლამიღებულნი, ერთგული საზოგადო მოღვაწე იყო და ბათუმის თვითმართველობის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის. ამათი და ე ფ ე მ ი ა, გეპნერის მეუღლე, ხომ ერთი საუკეთესო დრამატული არტისტი ქალი იყო, ქართული სცენის დამამშვენებელი.

კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი — როდესაც კი გამახსენდება, მაშინვე თვალწინ წამომიდგება, გულახდილი, სიცოცხლით სავსე, მზიარული, ლაღი და უდარდელი ადამიანი. ან კი რა ჰქონდა სადარდელი? დიდი, შეძლებული ოჯახის შვილი, პატარაობიდანვე მდიდრად და ნებივრად გაზრდილი, არც ეხლა იყო დაჩაგრული ბედისაგან. მამისაგან კაი შეძლება ჰქონდა დარჩენილი, სახლკარი კარგად მოწყობილი და ლუკმა-პური უზრუნველი. როგორც არტისტი, ნიჭიერი იყო, დინჯი იყო, დინჯი და მოფიქრებელი თამაში უყვარდა. სიყვარული თეატრისა პატარაობიდანვე ჰქონდა ჩანერგილი. მამა მისი, კაცი განათლებული, განვითარებული, დიდი მოყვარული იყო თეატრისა. კოტეს უფრო ეხერხებოდა ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებული, ჩვენი ყოფა-ცხოვრებისაგან წარმოშობილი დინჯი დარბაისული ტიპები. უცხო ცხოვრებიდან ჩვენ სცენაზე ვადმონერგო ტიპების განხორციელებაც ემარჯვებოდა, რადგან კარგად იყო განათლებული, განვითარებული. უცხო ენები საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი და ამ ენებზე ლიტერატურაც ვაცნობილი. ამიტომაც შეძლება ეძლეოდა თავისი როლი საფუძვლიანად შეესწავლა, ჩაფიქრებოდა, შეეთვისებინა. კოტე ყიფიანს დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ქართული თეატრის წინაშე.

ჩემ ბსოვნაში ჩაეყარა ჩვენს თეატრს მტკიცე საფუძველი. დიდ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს ქართველებისთვის ის გარემოება, რომ პირველ ხანებშივე ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ისეთნი დიდნიჭიერნი და თავგანწირულად ერთგულნი ქართული სცენისა, როგორიც იყვნენ: ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე და მისი ცოლი მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი ს ასული, ნ ა ტ ო გ ა ბ უ ნ ი ა ს ქალი, დრამატურგი ც ა გ ა რ ლ ი ს ცოლი, ლ ა

დო ალექსი-მესხიშვილი, კოტე მესხი და კოტე ყიფიანი. ამათ განამტკიცეს სიმკვიდრე ქართული თეატრისათვის.

კოტე ყიფიანი უმცროსი შვილი იყო დიმიტრი ყიფიანისა, იმ საქვეყნო მოღვაწისა, რომელიც ზემოთ უკვე გავიცანით.

კოტე გამუდმებით სცხოვრობდა სოფ. ქვიშეთში, მამისაგან დატოვებულ კარგად მოწყობილ მამულში. ერთხელ მომიხდა სურამში ყოფნა, სადაც კოტე შემხვდა და თავისთან მიმიწვია. კარგად იყო მოწყობილი. დიდი ორსართულიანი სახლი, მალეობ ადგილზე აშენებული, ფართო კარმიდამოთი, რომლის შუა გულში ცივი მთის წყარო გამოიჩნებებდა მილიდან, — ზემოდან დაპყრებდა ტაშის კარს, დოღლაურს და მთელ ქართლის დაცემულ გაშლილ ადგილს. ძველებურად ფართო, გრძელ ზემოსართულის აივანზე იდგა დიდი ღურბინდი, რომელიც დიმიტრის პარიზში ყოფნის დროს შეეძინა. როდესაც კი დიმიტრის ქვიშეთში მოუხდებოდა ყოფნა, ამ ღურბინდში ხშირად უყვარდა თურმე გახედვა და, რა დაინახავდა ვისმე კარგა შორს მანძილზე იმის სახლისკენ მომავალს, მაშინვე პურადი მასპინძელი განკარგულებას გასცემდა, რომ სამზადისს შესდგომოდნენ სტუმრის პატივით დასახვედრად.

კოტეს დედა გენერალ ქილაშვილის ქალი იყო. თავისი დიდბუნებოვანი ქმარი გაგიყვებით უყვარდა. ეს სიყვარული თითქმის კერპთაყვანისმცემლობას მიაღწევდა. როდესაც მე გავიცანი, იგი უკვე ღრმად მოხუცებული და ცხოვრებისაგან მოტეხილი დედააკაცი იყო. იმ დროს დიდი ხანი არ იყო გასული, რაც მისი საყვარელი და სათაყვანებელი დიმიტრი ტრავიკულად დაიღუპა. ამ ამბავს დიდად ემოქმედნა მასზე. ისე ღრმად იყო დამწუხრებული, ჩაფიქრებული, შერყეული, რომ გვეკონებოდათ, ამ ერთს ფიქრს მისცემია და მთელი მისი არსება ამას შეუტყრიაო. დადიოდა და წამდაუწყებ ნაღვლიანად წამოიძახებდა: „Убили моего божественного Дмитрия“. ისე არ გაიხსენებდა თავის დიმიტრის, რომ სიტყვა „божественный“ არ დაემატებინა.

დიმიტრის გვამი ტფილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდაში დაასაფლავეს. სამხედრო გზით მოსვენებულს ცხედარს აუარებელი ხალხი დახვდა ჯერ ისევ ქალაქ გარეთ, საბურთალოსზე. პირველ წამს, როდესაც ბალდახინი მიცვალბულის კუბოთი მოახლოვდა, რაღაც უხერხულობა ჩამოვარდა, არ იცოდნენ, რა ექნათ, პირველი რა უნდა თქმულიყო. აქ წამოდგა წინ დავით ნიჟარაძე, ყიფიანის მოადგილე ქუთაისში, მიუახლოვდა ძირს გადმოღებულ კუბოს, შუბლში ხელი ირტყა და ზარით მოსთქვა: ვაი ჩემ თავს, რომ ცოცხალი ვარ და შენ კი მაგ კუბოში გხედავ!

ეს საკმარისი იყო: უხერხული წამი გაჰქრა, ყველა ამოძრავდა. რამდენიმე კაცი წარსდგა წინ სიტყვის სათქმელად. სამღვდლოებამ მცირე პანაშვიდი გადიხადა და პროცესია გამოემგზავრა ქალაქისკენ. ხალხი თანდათან ემატებოდა, გოლოვინის პროსპექტზე (დღევანდელ რუსთაველზე)

ტევა აღარ იყო. პროცესიამ დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. მთავარ-მართებლის სასახლეში იგრძნეს და შეეცადნენ, რომ მიცვალებული აქ მაინც არ გამოეტარებინათ. პოლიციამ გზა გადაუჭრა და მათი მიზნის თეატრის წინ და უნდოდა ჭავჭავაძის ქუჩისკენ შეებრუნებულნი მართალი რომ ითქვას, აქედან უფრო ახლო იყო მამა დავითის ეკლესია. ხალხი არ ემორიჩლებოდა. მაშინ პოლიციამ მიჰმართა წინ მიმძლო ქართველ ეპისკოპოსს ალექსანდრეს, შებრუნებულიყო ამ ქუჩით. ეპისკოპოსმა ასე უპასუხა: მე აქ მხოლოდ მღვთისმსახურების ნების აღმასრულებელი ვარ, დანარჩენი მე არ მეკითხება. ეგ ჭირისუფლები ნებაა.

ამ დროს ხალხი უკვე მოზღვავედა და გოლოვინის პროსპექტით წინ წაივდა სასახლისკენ. წესრიგის მიმცემნი იყვნენ ვალ. გუნია და ანდრია ლულაძე, რომელნიც ცხენებზე ისხდნენ და პროცესიას წინ მიუძღოდნენ.

ჭალაქის თვითმართველობის სახლის წინ პანაშვიდი გადაუხადეს, როგორც ერთ დროს ჭალაქის თავად ყოფილს და აქედან სოლოლაკით მთაწმინდაში აიტანეს და იქ ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა ჩვენ ნიჭიერ მომღერალზე, ვანო სარაჯიშვილზე. პირადად სარაჯიშვილი გავიცანი ბაქოში, სადაც მოწვეული გვეყვანდა სამღერად ერთ ქართულ კონცერტზე, რომელსაც იქაური ქართველობა ყოველწლიურად მართავდა ხოლმე. ამ კონცერტს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. გარდა ქართველებისა, ბევრი მოდიოდა სხვა ტომის ხალხიც. აი გამოვიდა სარაჯიშვილი და დაიწყო ურმული. იმისმა ტკბილმა, გულის სიღრმიდან ამონადენმა ხმამ მოგვხიბლა, ყველა სულგანაბული უსმენდა. ბევრი კიდევ სხვა სიმღერით დაგვატკბო, ალტაცებას და ტაშისცემას საზღვარი არ ჰქონდა. როგორც შევამჩნიე, სარაჯიშვილს ხმა არ ჰქონდა მძლავრი, მაგრამ ეს ხმა იყო მეტად ნაზი, მეტად ტკბილი, გულის სიღრმეში გვხვდებოდა და ტკბილ გრძნობას გვიღვიძებდა.

ჩემ გვერდზე იჯდა ერთი გერმანელი, ბანკის დირექტორი, ჩემი კარგი ნაცნობი. მომიბრუნდა და მკითხავს:

— მართლა ეგ მომღერალი ქართველია?

— რად არ გჯერათ ვითომ, რომ ქართველია? — გამოვეკითხე მეც.

— არ მეგონა, თუ ქართველებს მაგისთანა მომღერალი გეყოლებოდათ: საოცარი ხმის გარდა, ზელოვნებაც, ცოდნაც სიმღერისა დიდი აქვს. მერე მიუბრუნდა თავის მეზობელს, აგრეთვე გერმანელს და უთხრა: „colossal“, რომელიც პირდაპირი თარგმნით ნიშნავს სიდიადეს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ, როდესაც გერმანელი ამ სიტყვას ხმარობს, ეს ნიშნავს უდიდეს ალტაცებას, უმაღლეს დაფასებას ნიჭისას.

ეს გერმანელი მერე ისევ მომიბრუნდა და მითხრა: წელან მაგის ქართველობა იმიტომ ვიკითხე, რომ მეგონა შინაური მომღერალია და ასეთი

სიმღერის ცოდნა საიდან უნდა შეეძინოს მეთქი. მაგრამ ახლა ალბათ მიკვირს, რადგან გავიგე, რომ სიმღერის სწავლა ჰქონია მღვდელთმამულშიც ეს მაკვირვებს: მაგისტანა ხმის პატრონი რას დამეგდებოდა? (ფ) ვაჭუთ არ გადის, დიდ სახელს მოიხვეჭდა. რუსეთის გარდა, უცხო ქვეყნებშიაც ბევრი მივლია, ბევრი გამოჩენილი მომღერალი მინახავს, მაგრამ, გულწრფელად გეუბნებით, მაგისტანა მოხდენილი ტკბილი ხმა არ მომსმენიაო.

როგორც ვთქვი, სარაჯიშვილი პირველად ბაქოში გავიცანი, მისი სახელი კი ტფილისშიაც მქონდა გაგონილი. საყურადღებოა ისიც, თუ სად და ვინ აღმოაჩინა პირველად ეს ნიჭიერი ახალგაზრდა? სარაჯიშვილი მსახურობდა თურმე სახაზინო პალატაში რალაც მცირე მოხელის ადგილზე. ამხანაგებმა მალე შეიტყვეს მისი საოცარი ხმა. სად შეიტყობდნენ? ცხადია, ქეიფის დროს. ამისთანა ხმის პატრონი ხომ სანთლით საძებნელია, და თუ მისი ამხანაგები, ვისაც სადილი ან ნადიმი ჰქონდა, უსათუოდ სარაჯიშვილსაც იწვევდნენ, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ. იყო ასე სარაჯიშვილი ერთგვარად ღზინში და ქეიფში. სახლიდან ბალებში, დუქნებში გადადიოდნენ, სარაჯიშვილი ყველგან და ყველასათვის სასურველი სტუმარი და დროს გამტარებელი იყო. ამ განუწყვეტელ სმაში და ქეიფში დაიღუპებოდა მისი ჯანაც, ხმაც და ნიჭიც, რომ ბედზე არ შესწრებოდა ხაზინის უფროსი, გვარად სოკოლოვსკი თუ სმირნოვსკი, სწორედ აღარ მახსოვს. ეს უფროსი მხიარული კაცი იყო თურმე, ამასთანავე კარგი მცოდნე და მოყვარული მუსიკისა და სიმღერისა. ხშირად მართავდა თურმე თავისთან სადილებს და იწვევდა პალატის მოხელეთაც, უფრო იმათ, ვისაც მუსიკის ნიჭი და კაი ხმა ჰქონდა. მოჰხვდა ერთს ასეთს სადილზე სარაჯიშვილიც და თავის სასიამოვნო ხმით და მუსიკალობით აღტაცებაში მოიყავნა თავისი უფროსი. გამოიკითხა მისი ვინაობა და მაშინვე განიზრახა თურმე ყოველი ღონე ეხმარა, რომ ეს ნიჭიერი ახალგაზრდა თავის ნიჭის შესაფერ გზაზე დამდგარიყო. ეს სახაზინო პალატის უფროსი იმავე დროს ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის მეთვალყურედაც ითვლებოდა, როგორც ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელი.

თუ ეს პალატის უფროსი მოვიდა ერთ დღეს ბანკში და ერთი ამბავი დააწია. უამბო სარაჯიშვილის ამბავი და უკვირნა, როგორ არა გრცხვენიანთ ქართველებს, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა გყავთ და ხელს არ უმართავთ, რომ თავის გზას დაადგეს. პალატაში თუ დარჩა, დაიღუპება. თუ მდიდარი ნათესაიც ჰყოლია, დავით სარაჯიშვილი, თქვენი კარგი მეგობარი, — მიუბრუნდა ილიას: — ურჩიეთ, დაიყოლიეთ, რომ შემწეობა აღმოუჩინოს თავის ნათესავს. ეს თქვენი და ყველა ქართველის მოვალეობააო. ამ კაცის გულშემატყვირობამ ვასკრა, დავით დასაჯიშვლიმა სტიპენდია დაუნიშნა, და ამგვარად ვანო სარაჯიშვილს გზა გაეხსნა, შეძლება მიეცა მუსიკალური განათლება მიეღო და ქვეყანას გამოსდგომოდა.



# შინაარსი

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს . . . . .	83-3
ლავრენტი ბერია — ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება . . . . .	24
აკ. თათარიშვილი — ქართული საბჭოთა მწერლობა . . . . .	45
ლევო ქიაჩელი — ოქტომბრის რევოლუცია და ქართული მხატვრული ლიტერატურა . . . . .	50
პ. მ. საყვარელიძე — ხუთმეტი წლის საბჭოთა საქართველო . . . . .	53
სერგო კლდიაშვილი — მწერალი და თანამედროვეობა . . . . .	62
ნიკო ლორთქიფანიძე — საბჭოთა მწერალი და მკითხველი . . . . .	65
ალ. აბაშელი — საბჭოთა მწერლობის მაღალი მწვერვალები . . . . .	67
გალ. ტაბიძე — ლექსი განახლებულ ქვეყანაზე . . . . .	69
ვალერიან გაფრინდაშვილი — ოცნება ბელადზე (ლექსი) . . . . .	71
მიხეილ ჯავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი. გაგრძელება) . . . . .	73
გიორგი ქუჩიშვილი — საბჭოთა საქართველოს (ლექსი) . . . . .	130
სერგო კლდიაშვილი — ზეიმი (მოთხრობა) . . . . .	132
გიორგი კაკაბიძე — საბჭოთა საქართველოში (ლექსი) . . . . .	140
პანტელეიმონ ჩხიკვაძე — მურზაყან დაღეშქელიანი (რომანი. გაგრძელება) . . . . .	142
ლავრენტი კიჭინაძე — ძმები (მოთხრობა) . . . . .	158

## ლიტერატურის ისტორია

კ. კაკანელი — რუსთველის ფილოსოფია . . . . .	174
---	-----

## მოგონებანი

ი. მანსვეტაშვილი — წარსულიდან . . . . .	209
---	-----

